644
1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26
1-4

# ცისკარი

1-2

1996

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიხეილ ქვლივიძე

## ლტოლვილი მამალი

რუსთაველზე დილით ადრე სიო დაჰქრის ფრთამალი.
„ივერიის“ აივნიდან ყივის ერთი მამალი.
სასტუმროში ცხოვრობს, მაგრამ განა უცხოელია, —
ლტოლვილია, სოხუმიდან გამოექცა მელიას!

სად ჰგონია ნეტავ თავი — მიტინგზე თუ აღლუმზე?
რას გაჰყივის უთენია: მზის ამოსვლას გვაუწყებს,
თუ საბრალო ლტოლვილების ჭირ-ვარამზე მოგვითხრობს
და ქართველებს აფხაზეთში საბრძოლველად მოგვიხმობს?

ეჰ, მამალო, რა უაზროდ ცოდვილობ და ირჯები:
აფხაზეთში დარჩნენ სწორედ ის ქართველი ბიჭები,
ვისაც ახლა ცივი მიწა ხურავს საბნის მაგივრად,
მაგრამ, აბა, რა ეშველა ჩვენს საერთო სატკივარს?

შენ, ეტყობა, სულ ახლახან ჩამოსულხარ თბილისში,
არ გსმენია ჯერაც ჩვენი ქვრივ-ობლების ვიშვიში,
პარლამენტში შეკრებილთა უსასრულო ქაქანი,
პირველობას რომ ჩემულობს თვითეული მათგანი;

არ გინახავს ქორვაჭრები და მათი საუფლონი,
არ გჭერია ხელში ჩვენი უბადრუკი „კუპონი“,
არ იცი, რომ ტყუილია, რასაც ვამბობთ საჯაროდ
და მშივრებმა, ლამის არი, ერთმანეთი დავჭამოთ,
და რომ აღარც დასაკლავად ვარგა ჩვენი ნახირი...

არაფერი გაგეგება, მაგრამ მაინც გაჰყივი,
გაჰყივი და ისევ ომში გვიხმობ, ფრთამოხატულო,
შენ კი თვითონ, გულისგულში, აქ დარჩენას ნატრულობ.
მაგრამ, ფრთხილად, არ გაბრიყვდე, ჩვენთან თუ დასახლდები,
ამდენ მშიერ თბილისელში ვინმეს ლუკმა გახდები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

იანვარი-თებერვალი № 1-2

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1996

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
გიორგი ბაქანიძე
(მთ. რედაქტორის მოადგ.)
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო

ნოდარ გრიგალაშვილი
გივი გეგეჭკორი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მორიგე რედაქტორი:
ელზა მეტრეველი

# შ ი ნ ა ა რ ს ი


## გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — გაგრძელება. ებრაულიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

## ჩვენი მილოცვა

7. მიხეილ ქვლივიძე — ლექსები

14. ზაურ კალანდია — ნაღდ პოეტს ასაკი არა აქვს

## პოეზია და პროზა

16. გივი მაღულარია — შეხვედრა გამზირზე. რომანი. გაგრძელება

54. ნაირა გელაშვილი — ავტობიოგრაფიული, მეტისმეტად ავტობიოგრაფიული ანუ მე, ღუმელი, ცეცხლი და რცხილა. ლექსი

63. გრიგოლ ორაგველიძე — ნოველები

74. შოთა ზოიძე — უსანქციო სონეტები

85. ნოდარ ბაქრაძე — ლექსები

87. ირაკლი მღვდლიაშვილი — ზღვა. მოთხრობა

97. ამირან ახობაძე — ლექსები

99. მარინე ტურავა — ლექსები

102. რევაზ ლორია — ნოველები

106. ამირან მიქაუტაძე — ლექსები

109. მანანა კანდელაკი — ლექსები

111. მალხაზ გეზარაშვილი — ვაზის ღიმილი. მოთხრობა

## ახალი თარგმანები

126. სვეტლანა ალილუევა — წიგნი შვილიშვილთათვის. გაგრძელება. თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

## წერილები

142. მაია სულაბერიძე — ლია სტურუას შემოქმედების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება

148. ალექსანდრე ღლონტი — მწერლის ქართული

157. შალვა მჭედლიშვილი — „შემოვა სულში რაღაც დიადი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

20614

# ფსალმუნები

## ფსალმუნი 52

ლოტბარისადმი. მოძღვრება დავითისა.
რაჟამს მოვიდა დოეგ ედომელი და ეუბნა საულს
და ამცნო: „მივიდა დავითი ახიმელეხის სახლში“.

3. რატომ ქედმაღლობ ბოროტებით,
ძლევამოსილო,
ყოველჟამ ჰგიეს წყალობა ღმერთის.

4. შენს ბაგე-პირზე ვერაგობა დაუნჯებულა
და ენა —
როგორც ალესილი სამართებელი —
გაბასრულია შხამით და ზაკვით.

5. ავი ითნიე კეთილზე მეტად,
ტყუილს მიაგე სიმართლის ტახტი.

6. საამოდ გიჩანს
ყოველგვარი ცილისწამება,
გესათნოება სიცრუის ენა.

7. ღმერთი ამიტომ გადაგაგებს სამარადჟამოდ,
დაგამდაბლებს და
კარვიდან მოგკვეთს,
რომ ამაქვეყნის საცხოვრისიდან
ამოიძირკვოს ცხოვრება შენი.

8. ნახვენ მართალნი,
შეძრწუნდებიან
და გამკილავად იტყვიან მასზე:

---

გაგრძელება. დასაწ. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7-8, 1993 წ., 1. 1994 წ., 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1995 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

9. „ეს არის კაცი,
რომელმაც ღმერთი
არ აღიარა საიმედო ციხე-სიმაგრედ
და მხოლოდ
თავის სიმდიდრეში ღვთისმოსაობდა
და საკუთარი ბოროტებით ძალმომრეობდა“.

10. მე კი ვყვავილობ
მსხმოიარე ზეთისხილივით
ღმერთის სახლსა და
სამკვიდრებელში
და უკუნითი უკუნისამდე
ღმერთისმიერი მოწყალება მეიმედება.

11. საქმეებს შენსას განვადიდებ კვლავაც და
კვლავაც
და სასოებით მივენდობი სახელსა შენსა,
რამეთუ იგი სიკეთედ ჰგიეს
ღვთისმოსავთა და
წმიდათა თანა.

## ფსალმუნი 53

ლოტბარისადმი. მახალათის საკრავზე.
მოძღვრება დავითისა.

2. თქვა უგუნურმა თავის გულში:
„არა არს ღმერთი!“ —
გაუკეთურდნენ,
აღასრულეს უსჯულოება,
კაცი არ დარჩა სიკეთის მქნელი.

3. ღმერთმა ზეციდან გადმოხედა ადამის შვილებს,
რომ მოეხილა ვიეთთაგანი —
გონსრული ვინმე,
ღმერთს რომ ეძიებს.

4. ყველა უკუდგა,
ერთიანად ბიწი წაიცხეს,
კაცი არ არის სიკეთის მქნელი, —
ერთიც არ არის.

5. ნუთუ ვერ ჩახვდნენ უსჯულოები,
მაჭირვებელნი ჩემი ხალხისა —
პურს რომ სჭამენ და
ღმერთს არ უხმობენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. იქ შეწრიალდნენ,
შეძრწუნდნენ დიდად,
სადაც არ იყო არაფრის შიში:
რადგან ღმერთისგან სასიკვდილოდ შეიმუსრება
შენს წინააღმდეგ აღძრულთა ძვლები;
მოაყივნებ და
შეარცხვენ ყველას,
რაკი უფალმა უკუაგდო ყოველთაგანი.

7. დე, სიონიდან გარდამოვიდეს მაცხოვარება ისრაელისა,
იხსნას უფალმა ტყვეობიდან
ერი თავისი
და გაიხარებს იაკობი
და ისრაელი იმხიარულებს.

## ფსალმუნი 54

ლოტბარისადმი. სიმებიან საკრავზე.
მოძღვრება დავითისა.
რაჟამს მოვიდნენ ზიფელნი და აუწყეს საულს,
დავითი ჩვენთან იმალებაო.

3. ღმერთო,
მიშველე შენი სახელით
და შენი ძალით გამასამართლე.

4. ყური მოაპყარ ჩემეულ ლოცვას
და შეისმინე ღაღადისი
ჩემი ბაგისა.

5. რადგან უცხონი აღიძრნენ ჩემზე
და სული ჩემი მოიძიეს
უკეთურებმა:
არ დაიმკვიდრეს ღმერთი იგი
თავიანთ თვალწინ,
არ აღიარეს სუფევა მისი.

6. ღმერთია ჩემი მოიმედე,
აჰა, ესერა,
ღმერთი —
მეოხი ჩემი სულისა.

7. ავით მიუზღავ
მოავეს ჩემსას,
გააცამტვერებ შენეული ჭეშმარიტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საწირავს გწირავ
ჩემივე ნებით
და სახელს შენსას
აღვუვლენ ქებას,
რადგან, უფალო, კეთილია
სახელი შენი.

9. მან გამომიხსნა ყოველგვარი გასაჭირიდან
და თვალმა ჩემმა
მყისიერ ხილვით
იხილა ჩემთა მოშუღართა განადგურება.

ებრაულიდან თარგმნა
ჯემალ აჯიაშვილმა

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ქვლივიძე

●

ღვთის განუსჯელი ნების მიხედვით
თუ განსასჯელი ცხოვრების წესით,
ჯერ ქვეყნად ქრება ლექსის მკითხველი
და მერე კვდება პოეტის ლექსი.

იგი სინედლეს თანდათან კარგავს,
ხდება უხეში და სხვანაირი

და ბოლოს ლაქად აჩნდება ქაღალდს,
ვით ჩადებული წიგნში ყვავილი...

„რას იზამ? — ვამბობთ, — დროა ასეთი",
და დროს, უარესს, მოველით შიშით
და დღენიადაგ მტკნარი გაზეთით
ვიკმაყოფილებთ სულიერ შიმშილს.

## პოეტის სახლ-მუზეუმში

(ექსკურსია)

ეს მაგიდაა პოეტის. ესეც
საწოლი. ეს კი — კედლის კარადა,
სადაც პოეტი ინტიმურ ლექსებს
თავის ეჭვიან ცოლს უმალავდა.

ამ სავარძელში სული დალია.
მთვრალი არ იყო, მაგრამ ძალიან
წუხდა ახალი ლექსების გამო,
რომ არ დაადგა მათ დაბეჭდვას საშველი... სამოც
წელს იყო უკვე მიტანებული.

ესაა მისი ბოლო კრებული.
ეს — გვიანდელი „ავტოპორტრეტი",
სადაც პოეტი
წარმოდგენილი არის ცირკის ჯამბაზის სახით
(ნუ გიკვირთ: ამ ხნის
კაცსაც სჩვევია უცნაური გამოხდომები,
რაც თავის დროზე აღუნიშნავს ბატონ ხომერიკს —
თვითონ მწერალთა კავშირის მდივანს!).

აქეთ მობრძანდით! ნუ ეყრდნობით იდაყვით მინას!
ამ სტენდზე მისი სატრფიალო ბარათებია.
მათი სიმრავლე მოწმობს: მგოსანს არ დაჰკლებია
დაუცხრომელი ინტერესი მშვენიერ სქესის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხელნაწერი გახლავთ მისი ცნობილი ლექსის
„მთაწმინდის მთვარე“... ეს „იუდას მონოლოგია“,
ეს — „სალაღობო“, ეს კი „ცეცხლის აპოლოგია“...

ბიოგრაფიის ამსახველი დოკუმენტები
ამ დარბაზშია თავმოყრილი, მთელი კედელი
დათმობილი აქვს რეპრესიულ წლების მასალას,
ჩვენი პოეტის იმდროინდელ თავგადასავალს...

ეს გახლავთ ფოტო ვორკუტიდან ჩამოტანილი.
პატიმრებს შორის — ისიცაა, უკან კი მოჩანს
მავთულხლართები, ბარაკები, ძეგლი სტალინის
და საგუშაგო კოშკის თავზე წითელი დროშა...

აქვე იმ დღეთა საგაზეთო წერილებია:
„პარტიის მტრები — ხალხის მტრებია!“,
„ქართველი ხალხი გმობს ფაშიზმის წყეულ ჯაშუშებს!“
„გავანადგუროთ გარეწრები!“ და ასე შემდეგ...
ამ მოწოდებებს ხელს აწერენ ჩვენი პოეტის
სახელოვანი კოლეგები და მეგობრები.

ამ სურათზე კი იგი უკვე თავის სახლშია!
(ალბათ ვერც იცნობთ, შეცვლილია ისე საშინლად).
მოხუცი ქალი, გვერდით რომ უზის,
მისი მეორე ცოლია, რუსი.
ისიც ყოფილი პატიმარია.
ჰქვია მარია.

აქ კი — კუბოში ასვენია ჩვენი მგოსანი...

ამით ვამთავრებთ ექსკურსიას. უკვე დროც არი:
ახალმოსულნი გარეთ გველიან...

კიბეზე ჩახვალთ და ხელმარჯვნივ — გასასვლელია.

## გიორგი შავგულიძის ხსოვნას

რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც —
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!

ჩვენ მას შორიდან ვიცნობდით მხოლოდ,
ვნატრობდით მასთან ქუჩაში გავლას,
მან კი გულები დაგვწყვიტა ბოლოს, —
კაცმა, რომელიც დააკლდა ქალაქს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი დაკარგვის მწარეა განცდა,
ვერ ამოვავსებთ ცარიელ ალაგს,
რადგან ვერც ერთი ვერ მივალთ მასთან, —
კაცთან, რომელიც დააკლდა ქალაქს!

და ახლა, როცა სუფრაზე, სადმე,
თვალს მოვკრავთ ღიმილს — ნაცნობს და ალალს,
წარმოგვიდგება ძვირფასი სახე
კაცის, რომელიც დააკლდა ქალაქს...

და თითქოს ვითვლით — ისევ და ისევ —
გულში დაგროვილ სიკეთის მარაგს
და ღმერთს ვთხოვთ: ღმერთო, გვაცხოვრე ისე,
რომ ჩვენც ოდესმე დავაკლდეთ ქალაქს!

## პასუხი

„მაშ, რამ? შენს ფრენას ფრთა რამ მოჰკვეცა,
რა წვამ აშკარამ, რა წვამ ფარულმა?
რამ გადმოგაგდო? რამ გადმოგხვეწა?
— რამ? სიყვარულმა."

ირაკლი აბაშიძე

აშ, შენ ამბობ, რომ არ ჰყოლია მტრები რუსთაველს?
არ გაჰქცევია სამშობლოდან სულთამხუთავებს
და რომ მარტოდენ უიმედო ტრფობის ბრალია,
თუ ამ ქართველმა უცხოეთში სული დალია?

იქნებ ტრფიალმა გადახვეწა ყველა მელექსე:
თეიმურაზი, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე,
საბა-სულხანი გამოაწყო ბერის კაბაში,
ძვალთშესალაგი დაუკარგა ბესიკ გაბაშვილს,
მამულს მოსწყვიტა სამუდამოდ გურამიშვილი
და ბარათაშვილს ამოჰხადა სული შიმშილით?!

იქნებ ტრფიალმა ჭავჭავაძეს ესროლა ტყვია
ან სიყვარულმა ჰკრა მაჩაბელს ხელი სამიწე,
ან იქნებ იმას სიყვარული სახელად ჰქვია,
რამაც შეშალა მთის არწივი, მოჩხუბარიძე?!

არა! ქართველთა გზა როდია ასე იოლი, —
თ ვ ი თ მ კ ვ ლ ე ლ ო ბ ა ა
დიდი საქმის ჩვენში დაწყება...
სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი
და ქვაფენილებს
გამწარებით
დაენარცხება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თბილისური ელეგია

თემიკო ჩირგაძეს

ნაწვიმარია. მთაწმინდაზე თეთრი ნისლი წევს
ჯერ არ გამშრალა ქვაფენილზე სველი ლაქები.
ქუჩაში მიდის მამაჩემი, გოგი ქვლივიძე —
ერთ დროს ცნობილი ინჟინერი და ქალაქელი.

მას ძველმოდური, გაცრეცილი პალტო აცვია,
ჭაღარა თავზე ქალაქური „კარტუზი" ხურავს.
მიდის ქუჩაში მარტოხელა ბერიკაცი და...
ჰგავს უცხო სახლში ალალბედად მოხვედრილ სტუმარს!

მახსოვს, მოსკოვში გამოგზავნილ წერილში მწერდა:
„ვერა გავუგე ვერაფერი ახალ ცხოვრებას.
გადავიღალე ჭიდაობით ავბედით წლებთან
და ვგრძნობ აშკარად დასასრულის მოახლოებას.

თბილისში ვცხოვრობ და ქალაქურ ადათ-წესს ვნატრობ
და აღარ მესმის: ვინ ვინ არის ან მე ვინა ვარ?
გუშინ მთელი დღე რუსთაველზე ვიდექი მარტო
და იცი, ერთმა ნაცნობმა არ გამოიარა!

ეტყობა, ჩემი დრო წასულა, არ ვარ საჭირო.
უკანასკნელი ქალაქს შევრჩი, როგორც მძევალი
და მის ქუჩებში დღეს რომ სადმე ფეხი გავჭიმო,
არავინ იტყვის: ეს ხომ გოგი ქვლივიძე არი?!

არადა, შვილო, ნუ ჩამითვლი ამ სიტყვებს კვეხნად:
დრო იყო, ქალაქს ამშვენებდა ჩემი კაცობა!.."
მამაჩემივით
                    რუსთაველზე
                                        მეც ვდგევარ ეხლა
და ვუცდი, იქნებ გაიაროს ვინმე ნაცნობმა.

## ი. ბროდსკი — ნობელის პრემიის ლაურეატია!

აირია მონასტერი. შეიცვალა დროც კი.
პოეტების რიცხვს პარნასზე შეემატა ბროდსკი.
გენიოსთა გვერდით დაჯდა დაფნის გვირგვინოსანი,
პუშკინის და ბლოკის ქვეყნის „დისიდენტი" მგოსანი!

...მე, ბატონო, წამიკითხავს რაც რუსული წიგნია,
„ბროდსკის" ვაშლი გამიგია, კაცი არ გამიგია!
სადაური ჯიშისაა? დრომ გვარები არია...
სანაძლეოს ვდებ, თუ „ბროდსკი" მართლა მისი გვარია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, რაკი ეს პოეტი გენიოსად შერაცხეს,
მოდი, თავი დავანებოთ მის გვარსა თუ მეტსახელს
და მის წიგნებს მივაკითხოთ, თუ განგების შეწევნით
ჩიქორთული ტექსტის „შიფრის“ გამოცნობა შევძელით!

ო, ამ „შიფრის“ გამოცნობა ერთობ ძნელი საქმეა,
მე, პირადად, ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი გარკვევა,
რა მიზნით და რა მიზეზით ყოვლისმცოდნე არიფმა
Russich-Englich ლექსიკონი გალექსა და გარითმა?!

შთაგონება ჰქვია ამას თუ სიტყვებთან ლაციცი?
ლექსად როდი გარდიქმნება ყველაფერი, რაც იცი.
გავიხსენოთ, ლექსი თვითონ წერდა პოეტს, ტიციანს
(სხვათა შორის, არც ამ ქართველს აკლდა ერუდიცია!).

მარტო ილეთების ცოდნით ვერ იცეკვებ „შალახოს“,
ლექსისათვის ვარგის სიტყვას პოეტს გრძნობა ჰკარნახობს,
გრძნობა ლექსის დუღაბია, სიტყვა — მხოლოდ აგური,
რა ლექსია, თუ არ ისმის მასში გულის ბაგუნი?!

თუ პოეტი არა ღელავს, არ იცინის, არ ტირის,
თუ ყოველი სიტყვა ლექსში ისე არის გათვლილი,
რომ მკითხველი გააკვირვოს... ცივი და უგრძნობელი,
ვის რად უნდა ის პოეტი ანდა მისი „ნობელი“?!

შესაძლოა, სხვას ფიქრობენ: ფრანგი, შვედი, ურია,
მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის, პოეზია — პურია,
ჩვენი ხალხის მარჩენალი სულიერი საკვები,
„პური ჩვენი არსობისა“, — არც მეტი, არც ნაკლები!

ჰოდა, მიტომ, მისტერ ბროდსკი, პოლიგლოტო მელექსევ,
თქვენი „დელიკატესები“ მე არ მაინტერესებს,
მე ქართული პოეზია მასულდგმულებს მარადჟამ, —
მისი პ უ რ ი თ ვიკვებები,
ტ ო რ ტ ს საერთოდ არა ვჭამ!

## არნახული სახელმწიფო

„ბოროტმოქმედება ჩაიდინეს დაუდგენელმა პირებმა“...
**გაზეთებიდან**

ელსადგური ააფეთქეს... დაანგრიეს გაზსადენი...
კარ-მიდამო გადაუწვეს ამერსა და იმერს...
ამუშავდა პოლიცია და დადგინდა დასადგენი:
ყველაფერი გადაბრალდა „დაუდგენელ პირებს“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი „მოამბეში“ არაერთხელ გადაიცა,
გაზეთებშიც გამოქვეყნდა, რადიოშიც ითქვა...
გამოდის, რომ საქართველოს რესპუბლიკა გადაიქცა
ჯერ არნახულ სახელმწიფოდ „დაუდგენელ პირთა!“

გადაიქცა უზნეობის და სიგლახის მისამართად,
სადაც ცხოვრობს და ცოდვილობს ერთობ გასაკვირი
უძველესი ერი, რომლის დაუდგენელ იღბალს მართავს
შევარდნაძე —
ერთადერთი „დადგენილი პირი“!

## შეგონება პირველი

თუმცა ქართველებს დღეს ერთი გვწვავს ყველას სახმილი
და ერთი გზა გვაქვს გასავლელი, — არ ვართ ნაზირი
და არ გვჭირდება არც მეჯოგე და არც მესხია
და ჩვენ თავს თვითონ ვუპატრონოთ, უმჯობესია!

## შეგონება მეორე

მოდით, აუგად ნუ ვახსენებთ განვლილ ცხოვრებას
და იმ „ბედნიერ მომავალზეც“ სული ნუ მიგვდის,
სჯობს, ამთავითვე მივეჩვიოთ განმარტოებას
და მოვემზადოთ „საუკუნო დიდ სიჩუმისთვის“.

ორი ლექსი პატარა გოგიას

●

ჩემო პატარა გოგია,
ბიჭი ხარ — ერთი მტკაველი.
ნეტავი ამალოკინა
რაც კი გაქვს გზა გასავლელი,
რომ ფეხი არსად დაგიცდეს
და არაფერი იტკინო, —
შარაგზაზე და გზაწვრილზე
სულ გაბედულად ირბინო!

ბიჭი ხარ— პურის მარცვალი,
ყლუპი, რომელიც მწყურია.
გული მტკაველიც არ არი,
მაგრამ ის მაინც — გულია!
შენ მთელი ჩემი საძმო ხარ,
პატარა საქრისტიანო.
ნეტავ, იმდენ ხანს მაცოცხლა,
მოვასწრო, დაგაფრთიანო!

●

მე რომ მოვკვდები, შვილო, და დამაყრიან მიწას
და მიჩუმდება ხმები სამგლოვიარო მარშის,
შენ ჩემ საფლავთან მოსვლა დაგეზარება ხშირად,
რადგან ათასი საქმე გამოგიჩნდება მაშინ.

მე არ გაყვედრი ამას. მე კარგად ვიცი, რომ შენ
არ დამივიწყებ, მაგრამ ორომტრიალში დღეთა,
თუ ჩემ საფლავთან მოსვლა დაგაგვიანდეს, ზოგჯერ
სიზმარში მაინც მნახე, რომ ვიყოთ ისევ ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი სიყვარული

მ. შ.-ს

სულ მენატრები. მაშინაც კი, როცა ვართ ერთად
და ჩემს გარშემო
და ჩემს გვერდით შენა ხარ მარტო.
მუდამ და ყველგან: ძილშიც, ცხადშიც, უშენოდ, შენთან
სულ განუწყვეტლივ მენატრები
და შენზე ვდარდობ...

სულ მენატრები. ერთი წუთით არა მაქვს მოცლა,
დაგეძებ, როგორც ძაღლი ეძებს
დაკარგულ პატრონს
და მე არ ვიცი, რა დავარქვა ამ გრძნობას, როცა
ჩემში ხარ გულის ფეთქვასავით
და მაინც განატრობ!

●

როდი ყოფილა ასე იოლი
შენგან მოწყვეტა და გადახვეწა...
გამახსენდება რუხი იორი
და ცივ-გომბორის კრიალა ზეცა,
წყალთან წნორების წყნარი მოტივი,
წყალვარდნილების ხმა ვაჟკაცური,
გზა — მოქნეული მთაზე შოლტივით,
ველზე რომ ისმის მისი ტკაცუნი,
ბაღ-ვენახები სავსე მოსავლით,
ვაზის ტირილი გულმოსაკლავი...

და კუკიაზე სამშობლოსავით
მიტოვებული დედის საფლავი.

## ონავრული ჩანახატები

(ციკლიდან: „ჩვენი ქალები“)

### ფაშატი

მე ამ ქალიშვილს ჩემთვის ვხედნიდი,
ბევრჯერ ლოგინშიც მიჭენებია
და მისი ჩორთით თუ თოხარიკით
საამოდ გული მიჯერებია.

მაგრამ ერთხელაც, როცა ჯირითით
სიქაგაცლილი ტანზე იცვამდა,
თავის შებერილ მუცელს დახედა
და ვთხოვდებიო, გამომიცხადა

და მე მივხვდი, რომ ამიერიდან
კვლავ სიმარტოვე ჩემი ხვედრია
და ეს ფაშატი, ჩემთვის კი არა,
თურმე სხვებისთვის გამიხედნია!

### „ქალწული“

ამ თმაჭაღარა, კეკლუც ქალბატონს
ალბათ ხანმოკლე ჰქონდა ბავშვობა,
რადგან მრავალჯერ ბედგამოცვლილი,
ისევ ქალწულის როლს თამაშობდა
და მერამდენედ, თუ დავუჯერებთ,
როგორც წაგებულს კარტში ქონებას,
„იმ უნამუსო მამაკაცებთან“
კარგავდა თავის უმანკოებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაღდ პოეტს ასაკი არა აქვს

არიან დიდი მწერლები, რომლებსაც შეეძლოთ ასევე დიდი მხატვრები, ფიზიკოსები, მშენებლები, გნებავთ, პოლიტიკოსები ყოფილიყვნენ; მაგრამ არიან სულიან-ხორციანად პოეტებად დაბადებული ადამიანები, ანუ ისეთები, სხვა „ხელობას“, გარდა პოეტობისა, არ ცნობენ და, რომც მოინდომონ, ვერც შეძლებენ. მათთვის პოეზიაა ყველაფერი, დანარჩენი — მხოლოდ სხვაა, რაღაც დანამატი.

ჩემთვის ასეთი პოეტების რიგშია ბატონი მიხეილ ქვლივიძე; ნიჭით, ბუნებით, ყოფით, ქცევით, ჰაბიტუსით, „მთელი ხმით“ პოეტი კაცი, რომელიც... პროფესიით მხატვარია, პროფესიონალი მხატვარი.

ბატონი მიშა ლექსის კაცია, ლექსია მისი ხატი, ცხოვრება, თავგანწირვა, საზომი... პოეტური ბუნება მისი სიმდიდრეა, ლექსით გამოაქვს ვერდიქტი წარსულისათვის, აწმყოს ლექსით ეპაექრება და მომავალსაც ლექსებში პასიანსივით გვიშლის...

ერთი შეხედვით, ბატონი მიხეილი თავისუფალი, ლაღი, ბედნიერი კაცი ჩანს. ასეც იცნობენ თითქოს, უფრო სწორად, პოეზიის მოყვარული ახალგაზრდები, ასაკოვანი ბანოვნები რუსთაველის გამზირზე თუ თბილისის რომელიმე ძველ უბანში ცნობენ და თვალს გამოაყოლებენ... უეჭველია, რომელიმე თავს შეახსენებს, უსათუოდ გამოესაუბრება... ეს „ბლიც-საუბრები“ მოსწონს და ბავშვივით აღტკინებულს ყოველთვის აქვს ერთ ან ორსტრიქონიანი ცინცხალი ლექსი ასეთი შეხვედრისთვის საგანგებოდ გადანახული.

მისი პოეზია ანუ ცხოვრება — თავისუფალი, ლაღი, ბედნიერი რომ ჩანს — უდიდესი ტკივილის შეგრძნება და განცდა, ჭირთათმენა და სატკივრის სატკივრითვე გაყუჩება-სალბუნობაა. ხან კი, უბრალოდ, ის ლექსია — თავისუფალ, ლაღ, ბედნიერ სტრიქონებად რომ აღვიქვამთ, — პოეტის ლამის სიყვარულით გამსკდარ გულს რომ იტევს...

დიახ, ბატონი მიხეილი უპირველესად პოეტია და, მიუხედავად თაყვანისმცემელთა სიმრავლისა (იცის, სცენა რომ უხდება; მშვენიერი გარეგნობის, მომხიბვლელი საუბრისა და არტისტიზმის წყალობით, როგორც ზემოთ ვთქვით, უბრალო მსმენელიც ბევრი ჰყავს), ჩემი აზრით, ის მაინც ცალკეა; მარტოსულს, განაპირებულს უფრო ვხედავ მას. ხან კიდევ, იმდენად ჭირვეული ბავშვია — მარადისობის წინაშეც კია აბუზღუნებული. ასეთია ის ბუნებით და სხვანაირად ვერ გარდაიქმნება. ვფიქრობ, ეს პოეტური მრავალსახეობა უფრო საინტერესოს და თვითმყოფადს ხდის არა მარტო მის პოეზიას, არამედ თავად მასაც.

ბატონი მიხეილი, როგორც ერთგან ამბობს: „უბრალო, გაცვეთილ სიტყვებს“ აქცევს ლექსად. ასეა, უბრალო ქვისგან იკვეთება, უბრალო თიხისგან იძერწება, უბრალო ბგერებისგან იქმნება ის მშვენიერება, რითაც ჩვენი სული მაღლდება, იზრდება, ნათდება, ციერდება...

ბატონ მიხეილ ქვლივიძეს სამოცდაათი წელი შეუსრულდა.

ეს წლები მხოლოდ პოეტური ნიჭის წყალობით იცხოვრა... ამ წლების თითქმის ნახევარი, ნებსით თუ უნებლიეთ, აქედან შორს, სხვა გარემოში, უცხოობაში მოუწია ყოფნამ, მაგრამ, მწამს, უსამშობლოდ, ულექსოდ, უსიყვარულოდ — არც ერთი წუთით!

ბატონი მიხეილი ჩემი უფროსი მეგობარია.

მე მეამაყება მასთან მეგობრობა, შეხვედრები, ზოგჯერ ცალკე, ჩვენთვის განმარტოება და ჭიქა ღვინოზე ხანგრძლივი საუბარი. და არა მარტო მე მეამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყება ეს სიახლოვე. მას მეგობართა დიდი წრე აქვს, მისი შემოქმედების ჭეშმარიტი შემფასებლები და დამფასებლებიც. მეტიც, სულ ახალბედა მწერლების მთელი საძმოა ხოლმე მის გვერდით და ეს უფრო მახარებს. ამით იმისი თქმაც მინდა, როგორც პოეზიას, ისე ნაღდ პოეტებსაც ასაკი არა აქვთ.

ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, გადღეგრძელოთ, დიდებულო პოეტო და ძვირფასო კაცო, ბატონო მიხეილ!

ზაურ კალანდია

**ბატონო მიხეილ!**

„ცისკრის" რედაქტორის ამ მცირე მისასალმებელ წერილს რომ გადავხედეთ, ამ რამდენიმე თვის წინათ თქვენი ჩვენთან სტუმრობის ერთი თითქოსდა უმნიშვნელო ეპიზოდი დაგვიდგა თვალწინ. უმნიშვნელოო, იმიტომ ვამბობთ, რომ „საქმიანი" არაფერი გითქვამთ, არც ლექსები მოგიტანიათ და... რედაქციის კარი რომ გაიხურეთ, მერეღა მივხვდით: აქ, თქვენს ახალგაზრდა კოლეგებთან, ტკივილმა მოგიყვანათ — იმ დღეებში ბატონ რეზო ინანიშვილის მოუვლელი საფლავი მოგენახულებინათ და ამ საწუხარის გასაზიარებლად შემოგვიარეთ. სიტყვამ მოიტანა და, თბილისი ლამის ვაჭრების ქალაქად გადაიქცეს. აქ, „მშრალ" ხიდთან ერთი ლამაზი ადგილი მეგულება, რა იქნება, მოვახერხოთ, დავდგათ რამდენიმე მაგიდა და ერთ ბოთლ ღვინოზე ჩვენი ტკივილი და პატარ-პატარა სიხარულები გავუზიაროთ მწერლებმა ერთმანეთსო, ჩაურთეთ. მერე ისევ ბატონ რეზოს დაუბრუნდით ფიქრით: კახეთში უნდა წავიდე როგორმე, იქაური ნაცნობ-მეგობრები შევაწუხო, იქნებ ერთი უბრალო, რეზოს სულივით ლამაზი ქვა შევარჩიო და ჩამოვატანინო მისი სამარისთვისო. კახეთის ხსენებაზე ბევრი იქაური, თქვენი ბავშვობისდროინდელი თუ მერმინდელი ამბავი მოიგონეთ და უმალ ტკივილის მაგიერ სიხარულმა და ნეტარებამ დაიბუდა თქვენს თვალებში. მაშინ კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ — დიახაც არ არის სამშობლო თქვენთვის მარტოოდენ ლექსის ლამაზი სტრიქონი. როგორ სჭირდება დღეს საქართველოს (ანკი როდის არ სჭირდებოდა!) თქვენ რომ ბრძანდებით, ისეთი პოეტი. პოეტობაც არ იყოს — თქვენნაირად მოფიქრალი და მზრუნველი კაცები, ალბათ, კიდევ დიდხანს დასჭირდება და მაშ, 70 რა ბედენაა! დიდხანს, ძალიან დიდხანს იცოცხლეთ. ერთიცაა: ადამიანი მაინც მეთავისეა — ჩვენ რომ გვწადია, ჩვენ რომ გვახარებს თქვენთან შეხვედრა და მასლაათი, უფრო სწორად, თქვენი ფიქრიანი ნაუბარის მოსმენა, ამიტომაც გისურვებთ დღეგრძელობას და მზეგრძელობას!

„ცისკრის" რედაქციის თანამშრომლები

P.S. ბატონო მიხეილ! გვინდა, გჯეროდეთ: თქვენი იმ სტუმრობის შემდეგ „ცისკრის" თანამშრომლებს ჩვენს ვალად გვიჩანს, ამ გაზაფხულზე თქვენთან ერთად მოვინახულოთ დიდუბის წმინდა მიწას მიბარებული ჩვენი დიდი თანამედროვის სამარე, მივეპატრონოთ მას და ამით ვუმკურნალოთ ჩვენს ერთ საერთო სატკივარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი მაღულარია

# შეხვედრა გამზირზე

## რომანი

### VII

ბერიკაცს, გარდა ერთი შემთხვევისა, ჯოხი არასოდეს დაუჭერია ხელში და ამის სურვილი არც ახლა ჰქონდა. ამით მაინც გამოირჩეოდა იმ ბერიკაცებისაგან, რომლებიც სახლიდან უჯოხოდ ვერ გამოდიოდნენ. თუმცა მათთან შედარებით არც ყურს აკლდა და არც თვალს ისე, რომ ბგერა ბგერისაგან ვერ გაერჩია და ფერი ფერისაგან. ამ ბოლო დროს გაზეთსაც კი უსათვალოდ კითხულობდა, მაგრამ ეს უპირატესობა ახლა არაფერს ნიშნავდა, რადგან სიამოვნებას არც მანქანების ხმაურში გათქვეფილი სახლში სხვა ბგერები, სხვა ფერები, დაძველებამდე რომ იყვნენ გახუნებული. მათში გამამხნევებელი, დამატკბობელი არაფერი იყო და ამიტომ არც მათი შემადგენელ ნაწილებად დაშლა ღირდა. სახლში სხვა ბგერები, სხვა ფერები, სადღესასწაულო სუფრა ელოდა, უკეთ ვერსად მოილხენდა, ვერსად დაისვენებდა, თუ გაუჭირდებოდა, მოხედავდნენ მაინც, მაგრამ დღეს თავის ჭკუაზე არ იყო, არც სუფრა იზიდავდა და არც შინაურებთან მოლხენა. და არა იმიტომ, რომ ოჯახზე გული აიყარა, აღარ უნდოდა ისე ცხოვრება, როგორც აქამდე ცხოვრობდა, არამედ იმის გამო, რომ თავის თავს არ ჰგავდა, არ იყო ის კაცი, ამ დილით რომ სახლიდან გამოვიდა. სანამ შინ მივიდოდა, სანამ ზღურბლს გადააბიჯებდა, უნდა მოღონიერებულიყო, მოწესრიგებულიყო, დაებრუნებინა ის გამომეტყველება, ჩვეულებრივ რომ ჰქონდა, თორემ შეშფოთდებოდნენ, დაუწყებდნენ კითხვას: რა დაგემართა, ვინმემ ხომ არ გაწყენინა, ავად ხომ არ გახდი? ერთი სიტყვით, გულს გაუწყალებდნენ, მაგრამ გულის გაწყალება ისე არ ადარდებდა, როგორც იმ ჯავშნის გაცვეთა, შხამიან ისრებს რომ იხლეტდა. ამიტომ, სანამ შინ მივიდოდა, ჯავშანი ცოტათი უნდა შეეკეთ-შემოეკეთებინა და სანამ მის საპატივცემულოდ გამართული სადილი ჩათავდებოდა, საკუთარ თავს დარაჯად დასდგომოდა, ეხუმრა, ემჭევრმეტყველა, ეთვალთმაქცა, ყველა დაერწმუნებინა, რომ სულიერადაც ისეთივე ჯანსაღი იყო, როგორც ფიზიკურად და ასე მიეყვანა სადილი ბოლომდე. ეს კი მისი ხნის კაცისათვის უსაშველოდ დამღლელი იყო, განსაკუთრებით გაუჭირდებოდა დღეს, რადგან ენერგიის დიდი ნაწილი სულელურ ჩხირკედელაობას შეალია.

ბერიკაცმა წარბები ისე შეიკრა, თითქოს ვიღაც ჭუჭრუტანიდან უმზერდა და, მოსეირნე წყვილს რომ არ დასჯახებოდა, ნაბიჯს უკლო. არაფრით არ ეგონა, ამ დროს თუ ამდენი ხალხი აღმოჩნდებოდა ქუჩაში, სადაც არაფერი იცვლებოდა, არაფერი ხდებოდა ისეთი, მისი აქეთ გამოსეირნება ცოტათი მაინც

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7-8, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემართლებინა. არადა, როცა აქეთ გამოემართა, რაღაცის იმედი ჰქონდა, არ ეგონა, ყველაფერი თუ ასე გაუსახურებული, გაუფერულებული დახვდებოდა. შეიძლება მის განწყობილებაზე ამანაც იქონია ზეგავლენა, რადგან ისეთი ბუნდოვანი წარმოდგენა, საკუთარ თავზე, დღეს რომ ჰქონდა, არასოდეს ჰქონია. ცოტათი ისიც აკვირვებდა, ცხოვრებას რომ არ ებღაუჭებოდა და უწინდებურად, წყენასა და უსიამოვნებას რომ არ გაურბოდა. აქამდე შინაგან ხმას მხოლოდ მაშინ უგდებდა ყურს, როცა ეს მისთვის სასარგებლო იყო, ახლა კი საყრდენს ვერ პოულობდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, უსაფუძვლო ბრალდებებისაგან თავის დაძვრენას ცდილობდა. მისი მეხსიერება ისე იყო გაპიპინებული წარსულით, რომ სიარულის დროსაც კი ილვრებოდა.

ერთხელ კრასნოიარსკში გვიან ღამით ბრუნდებოდა სასტუმროში, სადაც მაშინ ცხოვრობდა. ქუჩას თოვლი უფრო ანათებდა, ვიდრე მბჟუტავი ნათურა. ირგვლივ კაციშვილი არ ჩანდა, ტროტუარზე მხოლოდ ჩრდილები ეცარნენ გალახული ძაღლებივით. უეცრად ძველი, ქვის ორსართულიანი სახლის ეზოდან ხანშიშესული, წვერმოშვებული, დაუბანელი, ძველმანებში გახვეული კაცი გამოვიდა და წინ გადაუდგა. ამ დაუძლურებული, ცხოვრებისაგან ორთქლში გატარებული ტანსაცმელივით დაჭმუჭნილი კაცის სითამამემ დიდად გააკვირვა, მაგრამ როცა თვალებში ჩახედა, მათში მუდარის მეტი ვერაფერი ამოიკითხა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა ისე, რომ ხმა არ აუმაღლებია.

— იცით... იცით... მაპატიეთ, რომ გაგაჩერეთ... იქით, აქ სარდაფში... ჩემს ბინაში... ერთი კაცი კვდება... ილია პეტროვიჩი... ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამსახურებული კაცი... არ გაგიგონიათ?

— არა.

— ჰოდა... კვდება... დილამდე ვერ გაატანს და მთხოვა... ვინმეს დაუძახე... ვინმე უცხო კაცი მომიყვანე... ქაღალდები მაქვს გადასაცემიო...

— რატომ თქვენ არ გადმოგცათ?

2. „ცისკარი“, № 1-2.

— მე... მე... ერთი უბირი კაცი ვარ... წერა-კითხვა არ ვიცი... რომ ვიცოდე კიდეც... იმ ქაღალდებს თავსა და ბოლოს მაინც ვერ გავუგებ.

— თუ ასეთი ცნობილი კაცია, თქვენს სარდაფში რა უნდა?

— მხოლოდ მე... მე შევიწყალე და შევივრდომე... ჩემს მეტმა კუთხე არავინ მისცა.

— რატომ მეზობლებს არ დაუძახეთ?

— მეზობლები არ უყვარს... არ ენდობა... მეზობლები მის მიმართ მტრულად არიან განწყობილი.

— ადრეც იცნობდით?

— არა.

მომაკვდავი ან ძველი მემამულე შეიძლებოდა ყოფილიყო, ან ძველი ვაჭარი, ან ძველი რევოლუციონერი, თუმცა, ვინც უნდა ყოფილიყო, მისგან არც ერთი არ იმსახურებდა თვალების დახუჭვას და ხელების მკერდზე დაკრეფას. საამისოდ იგი მეტისმეტად შემთხვევითი გამვლელი, უცხო კაცი იყო, მაგრამ გათოშილი ღამის იდუმალებასა, ქვეყნის წინაშე დამსახურებული კაცის სიკვდილსა და იმ ქაღალდებში, სასთუმალთან რომ ედო, იყო რაღაც რომანტიკული, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი. თანაც ბერიკაცი არც მოგზავნილი ჩანდა და არც პროვოკატორისა ეცხო რამე. ამიტომ დროს ანგარიში არ გაუწია, სიფრთხილე უგულვებელყო და იმ ბერიკაცს, წერა-კითხვა რომ არ იცოდა, უსიტყვოდ გაჰყვა უკან.

ეზო ისე იყო მიხერგილ-მოხერგილი, იმდენი ქოხი ჩაედგათ უადგილო ადგილას, რომ უმეგზუროდ გზის გაკვლევა გაუჭირდებოდა. ბერიკაცმა აგურის კიბე ჩაიარა და სარდაფის კარი გააღო. ორთქლი დამწვდეულ ნადირივით გამოვარდა გარეთ. ოთახს თუნუქის პატარა ლამპა ანათებდა, ნესტის, ჭვარტლისა და დამყაყებული ჰაერის სუნი ერთმანეთში აზელილიყო. ერთ კუთხეში რკინის ვიწრო, ძველი საწოლი იდგა, მეორეში — გაუშალაშინებელი ფიცრებისაგან შეკრული ტახტი. სწორედ ამ ტახტზე იწვა მომაკვდავი — ტანჯვისაგან სახედანაოჭებული, გამხდარი, გაუ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარსავი მამაკაცი, რომელსაც სული ჯერ კიდევ ედგა, მაგრამ ამქვეყნისა აღარ იყო. ქვეშ ჩვრები ეგო, ზემოდანაც ჩვრები ეხურა და სასთუმალიც ბოხჩას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბალიშს. შეიძლება ეს სწორედ ის ბოხჩა იყო, სასჯელის მოხდის შემდეგ ბანაკიდან რომ გამოჰყვა. ამას ის ადასტურებდა, რომ ბოხჩის გვერდით სამი სასკოლო რვეული იდო, ალბათ, ის ჩანაწერები, რომელთაც ასე უფრთხილდებოდა. იმ უბირმა კაცმა, ქუჩაში რომ გააჩერა, მომაკვდავს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მომაკვდავმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, თვალები გაახილა, დანისლული მზერით შეათვალიერა, მერე რვეულებს დასწვდა და, როგორც კი გამოუწოდა, მაშინვე ტახტზე გადაიქცა. ამის შემდეგ სიკვდილს აღარ გასძალიანებია. ბინის პატრონმა, ამ სოროს თუ ბინა შეიძლებოდა რქმეოდა, თვალებიც დაუხუჭა და მკლავებიც დაუკრიფა მკერდზე. ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა, როგორც სიზმარში ხდება. ერთხანს მართლაც სიზმრიდან გამორკვეულივით იდგა, ბინის პატრონის ფუსფუსს თავისდა უნებურად ადევნებდა თვალს, შემდეგ კი რვეულები უბეში შეინახა და იქაურობას გაეცალა. გარეთ მამაპაპურად ყინავდა, ყველა ფანჯრის დარაბა დახურული იყო. მოწმენდილმა ცამ და ღია სივრცემ უბადრუკობა არ სცნო, თავისად არ მიიჩნია. მათი მასშტაბები იმხელა იყო, რომ ადამიანს მათ საუფლოში არაფერი ესაქმებოდა. ამიტომაც აუჩქარა ნაბიჯს და, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩა ქარისაგან გაზვეტილივით ცარიელი იყო, მაინც უფათერაკოდ მიაღწია სასტუმრომდე.

კომუნალურ სახლებთან შედარებით სასტუმროს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ოთახებს ელექტროშუქით ანათებდნენ და კედლის ღუმელით ათბობდნენ. მიუხედავად ამისა, ძვალ-რბილში გამჯდარი სიცივე რომ განედევნა, მთელი ერთი ჭიქა არაყი გადაჰკრა. მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდა მაგიდას, პირველი რვეული გადაშალა და მის გადათვალიერებას შეუდგა. გარდაცვლილი ძველი რევოლუციონერი აღმოჩნდა. ეტყობა, წერა უჭირდა, ვერც დიდი ინტელექტით და მასშტაბური აზროვნებით დაიტრაბახებდა, მაგრამ მის ნააზრევში იყო რაღაც ისეთი, რაც პატივისცემასაც იწვევდა და უპატივცემულობასაც. პატივისცემას იმიტომ, რომ იდეებს, ზოგად პრინციპებს არ ღალატობდა, უპატივცემულობას კი იმის გამო, რომ არაფრად აგდებდა იმ უზარმაზარ მსხვერპლსა და ტანჯვა-წამებას, რაც მის მიერ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად აღიარებული იდეების ცხოვრებაში გატარებამ მოიტანა. მისთვის ხალხი სოციალური ექსპერიმენტებისათვის საჭირო მასალა იყო და არა დედის მიერ შობილი, მგრძნობიარე, ცოცხალი ქსოვილისაგან შემდგარი ადამიანების გროვა. ამავე დროს არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმას, რასაც სიმართლე და სიცრუე ეწოდება. სიმართლე, სიცრუე, სინდისი, გონიერება წარსულის გადმონაშთად მიაჩნდა და იმას, ვინც ამ აზრს არ იზიარებდა, რევოლუციონერად არ თვლიდა. ამიტომ არც საკუთარ თავს ინდობდა, ინდივიდუალისტსა და ხალხის მტერს ეძახდა. მისი აზრით, რევოლუციონერი, რომელიც დიად გზაზე შეფერხდება ან მის სისწორეში დაეჭვდება, სიცოცხლის ღირსი არაა და თუ არ დასჯიან, თვითონ უნდა დაისაჯოს საკუთარი თავი. ასე მკაცრად, ასე მაქსიმალისტურად მსჯელობდა სოროში გარდაცვლილი ძველი რევოლუციონერი, მაგრამ სტრიქონებს შორის მისი შეშფოთების ნამდვილი მიზეზიც იკითხებოდა. რევოლუციამ აღზარდა, გამოარჩია, დააწინაურა, იდეურ ბრძოლაში ბევრი ისეთი არაადამიანური დანაშაული ჩაადენინა, რისი გათვითცნობიერება და მონელება რწმენისა და მიზნის გარეშე ჭირს და ამიტომ მთელი შეგნებით, მთელი სულითა და გულით ებღაუჭებოდა იმ აზრს, რომ მსხვერპლი უაზროდ არ ყოფილა გაღებული, სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა და მათი ბრძოლისა და თავგანწირვის შედეგად მთელ მსოფლიოში ახალი, ნათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, სამართლიანი საზოგადოებრივი წყობა დამყარდება.

იმ ნაზრევში, რასაც მან თვალი გადაავლო, ახალი და ფასეული არაფერი იყო. იმ დროს ძველი ცოდვები ბევრ რევოლუციონერს აწვალებდა და რადგან ნათელი, სამართლიანი მომავალი არსად ჩანდა, ცხოვრება თუ უარესდებოდა, თორემ არ უკეთესდებოდა, თავის გასამართლებლად, იმის დასამტკიცებლად, რომ მთლიანი, ღირსეული პიროვნებები იყვნენ და მართლაც მომავლისათვის, მართლაც ხალხისთვის იღვწოდნენ, სინამდვილეს არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ, თვალებს იბრმავებდნენ და მზად იყვნენ, მძიმე ჯვარი ეტვირთათ, ოღონდ იდეა, რომლისთვისაც მძიმე ცოდვები იკისრეს, მცდარი და უსაფუძვლო არ აღმოჩენილიყო.

როცა რვეულები ბოლომდე გადაათვალიერა, ინანა, რომ ბერიკაცს ანგარიში გაუწია და კიდევ ერთი სიკვდილის მოწმე გახდა. ეს ჩანაწერები არც მას სჭირდებოდა და არც იმათ, ვინც ამ ორჭოფულ მდგომარეობას მასზე ნაკლებად არ განიცდიდა. გარდა ამისა, რვეულების სასტუმროში გაჩერება სახიფათო იყო. სასტუმროს ამოწმებდნენ, ჩხრეკდნენ და რომ ეპოვათ, კარგი დღე არ დაადგებოდა. მიუხედავად კომუნისტური მოძღვრების გაფეტიშებისა, მიუხედავად ნებაყოფლობით ჯვარზე ასვლისა, ამგვარი იდეალიზმი მაინც ანტისაბჭოურ, ანტიკომუნისტურ გადახრად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა. ამიტომ წამოდგა, ღუმელის კარი გამოაღო და სამივე რვეული ცეცხლს მისცა. ამით არც მეცნიერებისათვის დაუკარგავს რამე და არც ხალხისათვის.

იმ რვეულებისთვის რომ ორგანოებში დაებარებინათ, ამგვარ სისულელეს საკუთარ თავს არასოდეს აპატიებდა. საერთოდ, ორგანოებში დაბარება შინაგანად არღვევდა, აჩლუნგებდა, აცარიელებდა. ამის მიზეზი იმდენად შიში არ იყო, რამდენადაც საყოველთაოდ გავრცელებული მითი ისეთ საშინელებებზე, რომელთა წარმოდგენა ჩვეულებრივ მოკვდავს უჭირდა. შენობაში შესულს ზღუდავდა, ბოჭავდა ის დერეფნებიცა და კედლებიც, სადაც არაფრის დასაბუთება, არაფრის შეჩერება, არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა. ამიტომ გულმა მაშინაც ძლიერად დაუწყო ძგერა, როცა შინსახკომში ხელმეორედ დაიბარეს. იყო ამ დაბარებაში რაღაც მუხანათური, მზაკვრული, შინსახკომისეული. მისი წინათგრძნობა იმ ღამესვე გამართლდა. გამომძიებელი, ეტყობა, წინააღმდეგობის გაწევას ელოდა და უფრო შეუვალი, უფრო შემართული ბრძანდებოდა, რამაც გვარიანად შეაშფოთა და შეაკრთო. გამომძიებლის ასე დახვედრა იმას ნიშნავდა, რომ ან საქმის ისე წარმართვას, როგორი მიმართულებაც მიიღო, ზემოთ არ დაეთანხმნენ, ანდა შეიცვალა იმ საკითხის მოტივაცია, რაზედაც ადრე ჰქონდათ საუბარი.

— დაჯექით! — უთხრა გამომძიებელმა ისე ცივად, თითქოს პირიდან ყინული ამოსდიოდა.

იგი უხმოდ გაემართა იმ ერთადერთი სკამისაკენ, ოთახის კუთხეში რომ იდგა და იატაკზე იყო დამაგრებული.

გამომძიებელი ერთხანს დუმდა, ანდა სად ეჩქარებოდა, შემდეგ კი ისე ჰკითხა, თითქოს ისიც ადამიანი იყო და კაცის ტყუილუბრალოდ გაფუჭება არ უყვარდა.

— იცით, რისთვის დაგიბარეთ?

როგორც ყოველთვის, ეს კითხვა სადიზმის დიდ დოზას შეიცავდა და ტყვიასავით მძიმე იყო.

— რა თქმა უნდა, არა.

— აი, ამ ქაღალდს უნდა მოაწეროთ ხელი.

— რა ქაღალდს?

გამომძიებელმა მაგიდიდან გამზადებული ქაღალდი აიღო და ისე გამოუწოდა, თითქოს ინდულგენცია იყო, რომლის ძალითაც ძველა ცოდვა ეპატიებოდა, ხოლო ცოდვილი რომ იყო, ამაში მის აქ დამბარებლებს ეჭვი არ ეპარებოდათ.

მან ქაღალდი გამოართვა და კითხვას შეუდგა. ყოველი წინადადების შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რამხელა ჭაობში ითრევდნენ. ქალალდს შორის, იატაკქვეშეთის სუნი უდიოდა და ბუნებრივი სურნელებისა არაფერი ეცხო. ტრაფარეტული ტექსტი ერთსახოვან პასუხს მოითხოვდა. მისი ხელმომწერი ნებაყოფლობით კისრულობდა ემხილებინა საბჭოთა ხელისუფლების გარეშე და შინაური მტრები, გამოემჟღავნებინა ისინი ყველგან — ნათესავებს, ამხანაგებს, თანამშრომლებს შორის, უყურადღებოდ არ დაეტოვებინა არც ერთი პოლიტიკურად საეჭვო აქტი და ყველაფერი დროულად შეეტყობინებინა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისათვის. შემდეგ მოდიოდა რამდენიმე გაცვეთილი ფრაზა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის საბჭოთა მოქალაქეების იდეურ სიფხიზლეს, როცა მტრების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება, და თავდებოდა იმ ლოზუნგიდან გამომდინარე მუქარით: „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია“.

ქალალდი ორჯერ გადაიკითხა და გაშრა, გაფითრდა. ეს იყო კაცის გაფუჭების, გახრწნის, გათახსირების უმურდლესი ხერხი, ყველასი და ყველაფრის გაწირვა იმათი უსაფრთხოებისათვის, ვისაც ხელისუფლება ეპყრა ხელთ. აღშფოთებას კიდევ უფრო ამძაფრებდა იმაზე ფიქრი, რომ სიკვდილამდე ამ უსაძაგლესი იატაკქვეშა დაწესებულების მძევალი უნდა ყოფილიყო. მდგომარეობა მძიმე, უსაშველო იყო, ისეთი, ქართულ წყევლაში რომაა, „წინ წყალი, უკან მეწყერი“, მაგრამ რაღაც გამოსავალი ამ გამოუვალი მდოგმარეობიდანაც უნდა ეპოვა.

— რომ არ მოვაწერო? — ჰკითხა მან გამომძიებელს.

— არ გირჩევთ. თქვენ თუ გგონიათ საქმე შეწყვეტილია, ძალიან სცდებით. ასეთი რამ ჩვენთან არ ხდება. აქედან გასვლის ერთადერთი შანსი ამ ქაღალდზე ხელის მოწერაა. ამ აქტით თქვენ ჩვენი თანამშრომელი ხდებით და ბრალდებისაგან თავისუფლდებით.

— რა ისეთი დანაშაული მე მაქვს ჩადენილი, რომ სასჯელს ვერ გადავურჩე?

— გაქვთ თუ არა გაქვთ, ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ აქედან მანამდე არ გაგიშვებთ არავინ, სანამ დანაშაულს არ აღიარებთ, ხოლო რომ აღიარებთ, ამაში ეჭვი არ მეპარება. აქ ქედი ისეთებისთვის მოუგრეხიათ, ამა თუ იმ რეგიონს თავზარს რომ სცემდნენ. ერთი სიტყვით, ან ამ ქაღალდს მოაწერთ ხელს, ანდა იმ გზას გაგიყენებენ, საიდანაც უკან არ ბრუნდებიან.

ნორმალური კაცისათვის ცოტა ძნელი დასაჯერებელი იყო ის, რასაც გამომძიებელი ამბობდა და ამიტომ კიდევ ერთხელ გაბედა შეპასუხებოდა.

— მაინც რომ არ მოვაწერო?

— ინჟინერი კაცი ხართ და კარგად მოგეხსენებათ, მოთმინებასაც აქვს საზღვარი. გარდა ამისა, რომც არ გაგასამართლოთ, ამ ცხოვრებაში თქვენთვის ყველა გზა და ყველა კარი დაკეტილი იქნება. ვერც სამსახურს ელირსებით, ვერც მყუდრო თავშესაფარს და ვერც მოსვენებულ, ადამიანურ ცხოვრებას. აქეთ ეცემით, იქით ეცემით, ზოგს თავს შეაბრალებთ, ზოგს აუხტებით, მაგრამ ფეხს მაინც ვერსად მოიკიდებთ. უმუშევრობასა და ულუკმაპურობას დიდხანს ვერ გაუძლებთ, მით უმეტეს ცოლშვილს მოკიდებული კაცი და ბოლოს ან მართლა ჩაიდენთ რაიმე დანაშაულს, ანდა გალოთდებით, განაძირალდებით.

— როგორც ვხედავ, ტყუილი უთქვამთ, გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობსო.

— რატომაა ტყუილი, აი, გამოსავალი, — უთხრა გამომძიებელმა და ქაღალდზე მიუთითა. — მოაწერეთ ხელი და ახლავე გაგიშვებთ აქედან.

შეიძლება გამომძიებელი დიდად შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი კაცი არ იყო, შეიძლება ვერც იმაში ერკვეოდა ბოლომდე, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში არ ტყუოდა და განგებ არ ამუქებდა ფერებს. ეს მან იმათ მაგალითზე იცოდა, ვინც მართლა გალოთდა და განაძირალდა. მამამისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ნათესავი, თავმოყვარე, კომპრომისებს მიუჩვეველი კაცი ჩეკამ ვერ გატეხა და იძულებული იყო გამოეშვა, მაგრამ, ვაი ასეთ გამოშვებას. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისე შეზღუდეს და შეავიწროვეს, ცხოვრებამ გაინაპირა და გაალატაკა, ისე გაალოთა და გააპირუტყვა, რომ ახლოს არავინ ეკარებოდა. ამიტომ ახლა იმაზე კი არ უნდა ეფიქრა, მოეწერა ხელი ქაღალდზე თუ არა, არამედ იმაზე, როცა აქედან გავიდოდა, რა ეღონა, როგორ დაეხსნა თავი ამ ჯოჯოხეთური მდგომარეობიდან.

## VIII

მზის სხივები და შემოდგომის ფერი ერთმანეთს ავსებდნენ და შეხმატკბილებულად ქმნიდნენ იმ სითბოსა და სევდის მომგვრელ გარემოს, არსებობის მკაცრ მარწუხებს რომ არბილებდა, მაგრამ ბერიკაცს ვერც სითბო ათბობდა და ვერც სევდა აგულჩვილებდა. დროდადრო ისე აუთამაშდებოდა თვალი, ისე მოეშლებოდა სახე, თითქოს ნიღაბი ჩამოგლიჯეს და სილა გააწნესო. ეს კი რაღაცნაირად აშიშვლებდა, ამცირებდა, აპატარავებდა. საკუთარ თვალში დამცირებას როგორმე აიტანდა, მაგრამ სიშიშვლე არათუ არ უყვარდა, სიმახინჯედ, სისაძაგლედაც კი მიაჩნდა. გაშიშვლებული არც ადამიანი მოსწონდა, არც გრძნობა და არც აზრი. განსაკუთრებით აზრი, რადგან მისგან ვერც თვალის დახუჭვა იფარავდა და ვერც სიჯიუტე. სიშიშვლე ზოგჯერ გატყავებული ცხოველის ასოციაციასაც კი იწვევდა. ამიტომ ყველაფერი შეუმოსავი და შეუნიღბავი ისე ურევდა გულს, როგორც ადამიანის გარეთ გადმოყრილი შიგნეულობა. მით უმეტეს ახლა, როცა დაბერდა, როცა არავითარი სურვილი არ ჰქონდა სხვებისათვის დაენახვებინა მუხლის მოდუნება, შრომისუნარიანობის დაქვეითება, ხასიათის დამძიმება. იგი რომ მირიან ზარდაშელივით ხეიბარი და გაძვალტყავებული ყოფილიყო, არ გამოვიდოდა გარეთ, არ დაენახვებოდა ხალხს, არ დაუწყებდა ტროტუარს ტკეპნას. ის, ვინც არაფერს ფარავს და არაფერს მალავს, უტიფარი, უშუბლძარღვო და უჯიშოა. საჭირო რომ არ ყოფილიყო ლამაზად ჩაცმა-დახურვა, თმის, წვერულვაშისა და ფრჩხილების მოვლა, მუწუკების გამორწყვა და მწვირის ჩამობანა, კაცობრიობა ამ გზას არც დაადგებოდა, უამრავ ფულსა და მასალას არ დახარჯავდა იმისათვის, რომ კაცი კაცს ჰგავდეს და ქალი ქალს. ასე იყო ყოველთვის და ასე უნდა იყოს ახლაც, თორემ ადამიანი თუ დაზღმურტლიანდა, გამუნიანდა და აქოთდა, მასთან შედარებით ყველა ცხოველი დილის ცვარივით სუფთა იქნება.

ბერიკაცს ვიღაც მიესალმა, მაგრამ იგი არც შეჩერებულა და არც უკან მიუხედავს. საერთოდ, ქუჩაში მასლაათსა და მიკითხვ-მოკითხვას შეჩვეული არ იყო. გამონაკლისს მხოლოდ მირიან ზარდაშელი წარმოადგენდა და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მეხსიერების სანაგვეში ვერ ეტეოდა. ამ სანაგვის ზღურბლიდან ისე იყურებოდა, როგორც მოხატული კარიბჭიდან. მიუხედავად ამისა, მის თვალში მაინც უხიაგი და უგუნური ჩანდა. მაშინ რომ რესტორანში არ ამხტარიყო და სისულელე არ ჩაედინა, არც გამომძიებელი დაიბარებდა, არც იმ ქაღალდზე მოაწერინებდა ხელს და არც თბილისის დატოვება მოუხდებოდა. დღეს კი ისე ჩაუარა გვერდით, თითქოს არ იცნობდა, თვალითაც არ უნახავს არასოდეს. და ეს იმ კაცმა, ვის გამოც თითქმის ნემსის ყუნწში გაძვრა, იმხელა წრე მოხაზა, აზრად რომ არ ჰქონია, ისე გამოიქექა, სხვაგან რომ ვერსად გამოიქექებოდა.

იმ ქაღალდზე ხელის მოწერის შემდეგ, მთელი ღამე თეთრად გაათენა, მრავალი შესაძლებლობა მოსინჯა და ბოლოს სწორ დასკვნამდე მივიდა. მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ რომ არ ყოფილიყო, ამა თუ იმ ბინაზე გამოცხადებით რომ არ შეეწუხებინათ და ნათესავების, ნაცნობ-მეგობრებისა და თანამშრომლების ცოდვა არ დაედო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვიტა, თბილისიდან ფეხი ამოეკვეთა, თანაც ისე, მის ოჯახს არაფერი სცოდნოდა. სამზადისს მეორე დღესვე შეუდგა. ერთი გავლენიანი კაცის დახმარებით სამსახურიდან ისე გათავისუფლდა, რომ არავინ არაფერში დაეჭვებულა და როგორც კი ყველა საჭირო საბუთს მოუყარა თავი, როგორც კი ანგარიში გაუსწორეს, მაშინვე მოსკოვში გაემგზავრა, სადაც მის თანაკურსელებს შორის ზოგიერთს საკმაოდ დიდი თანამდებობა ეჭირა.

მოსკოვი მისთვის უცხო ქალაქი არ იყო, უმაღლესი სასწავლებელი სწორედ ამ ქალაქში დაამთავრა და ხუთი წლის მანძილზე ერთხელაც არ მიუტოვებია. მოსკოვში იმიტომ კი არ გადაბარგდა, რომ სწავლა-განათლების დიდი მოყვარული იყო და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება სასიცოცხლო აუცილებლობად მიაჩნდა, არამედ დრომ, ვითარებამ აიძულა. მამამისი მკაცრი, კანონიერებისა და წესრიგის მოყვარული კაცი იყო და თავნებობასა და ცხოვრებისადმი აუღებულ დამოკიდებულებას ვერ იტანდა. ამის გამო ხშირად მოსდიოდათ შელაპარაკება და უსიამოვნება, მაგრამ ეს უთანხმოება საბოლოო განხეთქილებამდე მაინც არ მიდიოდა. და არა იმიტომ, რომ დედა აფარებდა ხელს და ამ დავაში მის მხარეზე იდგა, არამედ იმის გამო, რომ არ უნდოდა მამას ჰგვანებოდა. მამისეული კი მასში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სურდა. და ეს, რატომღაც, აღიზიანებდა, წინააღმდეგობის ხასიათზე აყენებდა. მათი დავა და უთანხმოება რაღაცნაირი ჯიბრით, ასაკობრივი სხვაობით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე აზრთა პრინციპული, მსოფლმხედველობრივი სხვაობით.

ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლამდე მამა ერთ-ერთ კერძო საფინანსო დაწესებულებაში მუშაობდა ინსპექტორად, საკუთარ ღირსებას უფრთხილდებოდა და იმ წრეში, სადაც ტრიალებდა, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ. ლაპარაკობდა თავისუფლად, გამართულად, აზრიანად და მის სიტყვას არა მარტო ყურს უგდებდნენ, არამედ ანგარიშსაც უწევდნენ. ზოგჯერ რჩევის საკითხავადაც კი მოდიოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქვეყანა აირია და უამრავი ხალხი მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. ბოლშევიკები თავიდანვე არ უყვარდა, ბოგანოებსა და მოძალადეებს ეძახდა, მაგრამ როცა მისი დაწესებულება დახურეს და უმუშევარი დატოვეს, მთლად გადაირია, ზოგჯერ ისე აბობოქრდებოდა, რომ მისი დამშვიდება ჭირდა, ზოგჯერ კი ისე ჩაიკეტებოდა საკუთარ თავში, ისე გაწერიდებოდა ყველას, რომ მისი ფეხის ხმაც კი არ ისმოდა. ერთ წელიწადში გარეგნულადაც შეიცვალა და შინაგანადაც. მისი სიმკაცრე და მომთხოვნელობა სადღაც გაქრა, რაღაცნაირად მოდუნდა, მოიმჩვარა. უსამსახუროდ დარჩენილს არც გარეთ მიუწევდა გული და ვერც სახლში პოულობდა საქმეს. მისი კარიერა, მისი საზოგადოებრივი საქმიანობა დამთავრებული იყო, მაგრამ მთლად რომ არ გამოთიშვოდა ცხოვრებას, არ დაოსებულიყო, როცა მელანქოლია არ ჭამდა, ძველ ნაცნობმეგობრებს სიამოვნებით ღებულობდა. მამა და მისი სტუმრები თანდათან ერთმანეთს ემსგავსებოდნენ, სინამდვილეს ანგარიშს არ უწევდნენ და იყო მათ ხანდაზმულობაში რაღაც უდროოდ დრომოჭმული, ნაჭარწაჭრილ ნაკვერჩხალივით მინელებული და მინაბული. რევოლუციამ და ბოლშევიკების საქართველოში შემოსვლამ საოცრად შეცვალა აზროვნების სტილი, სასაუბრო ენა გაალაკონიურა, გაალოზუნგა, გააუწმაწურა, მაგრამ მამამისისა და მისი ნაცნობ-მეგობრებისათვის ეს არაფერს ნიშნავდა, მაინც ძველებურად მსჯელობდნენ, მაინც თავისას მიერეკებოდნენ, ერთხელ ძველი თანამშრომელი თუ ამხანაგი ეწვია. მას, როგორც ახლაგაზრდას, არ ენდნენ და სალაპარაკოდ კაბინეტში გაიკრიბნენ, მაგრამ კარი ღრიჭოდ დარჩათ და ეს პირველი შემთხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა იყო, მან რომ მათი საუბარი თითქმის ბოლომდე მოისმინა.

— გაიგე, წუხელ კიდევ დაუჭერიათ ხალხი. ამბობენ, სულ დარჩეული ქართველები არიანო. ასე თუ გაგრძელდა, ყველას მოგვიღებენ ბოლოს. რა ვქნათ, ბატონო იასონ, როგორ დავაღწიოთ თავი ამ ჩინგისხანის ნაშიერებს? — ჰკითხა მამამისს სტუმარმა ისეთი ხმით, რომ წუწუნს აღარაფერი უკლდა.

— რა უნდა ვქნათ და სირცხვილით ერთმანეთს თვალებში ვერ უნდა ვუყურებდეთ. ჩვენ რომ ჭკუა არ გვქონდეს და ჩვენი ქვეყანა არ გვიყვარდეს, ვისი რა ბრალია? ახლა რომ თავის გამოლამაზებას ვცდილობთ და ერთმანეთს თვალში ნაცარს ვაყრით, ვიყავით კი ასეთი ლამაზები? მეტი არაა ჩემი მტერი. ხალხი რომ სამშობლოს სოციალიზმზე გაცვლის, იმ ხალხს არათუ სამშობლო არ უყვარს, ჭკუაც არ მოეკითხება. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ვიმეტიჩრეთ, სოციალისტობაში ყველას დავასწარით, თანაც ავყაყანდით, შევხედეთ, რა ბიჭები ვართ, რა საქმეს მოვკიდეთ ხელიო! მხედველობიდან მხოლოდ ის გამოგვრჩა, რომ სოციალიზმი სხვისი ფანტაზიის ნაყოფი, სხვისი მითია და რადგან სულით ღატაკნი ვართ, გვეგონა, სოციალიზმი გადაგვაკეთებდა, ხალხად გვაქცევდა, იმ თვისებებს შეგვძენდა, რაც არ გაგვაჩნია. მაგრამ ის, რაც ჩვენი არ იყო და ჩვენს ხასიათში არ იჯდა, ვერ მოვირგეთ, ვერ გავითავისეთ, ვერ შევისისხლხორცეთ. საამისოდ ჩვენ არც კულტურა გაგვაჩნდა, არც ორგანიზაციული ნიჭი და არც პასუხისმგებლობის გრძნობა. თავქარიანობიდან მომდინარე სურვილის მეტი ხელში არაფერი გვეჭირა. იმის მაგივრად, რომ ნამდვილი არმია შეგვექმნა და ხალხი სამშობლოს დასაცავად დაგვერაზმა, წითელ დროშებს ვაფრიალებდით მიწებს ქართველებს ვართმევდით და გადამთიელებს ვურიგებდით. ამიტომაც ვერ ვეწიეთ საწადელს და სხვის მითს სამშობლოც ზედ მივაყოლეთ. ჩვენ რომ ჩვენი უმეცრებით ქვეყანა არ გაგვეპარტახებინა და ცხრათვალს იქით მოგონილი მითით ხალხი არ მოგვეტყუებინა, ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით.

— კაი, ბატონო, არ გვქონდა გამოცდილება, არ გვეყო ჭკუა, წავაგეთ ომი, დავმარცხდით, მაგრამ ვის არ წაუგია ომი და ვინ არ დამარცხებულა, ამისთვის ხომ არ უნდა აგვიკლონ და აგვაოხრონ?

— წაგებაც არის და წაგებაც. ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით, ვისთან გვქონდა საქმე და რას მოგვახვევდნენ თავს. იმ დროს, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა სიმტკიცე და გამძლეობა, მოუმწიფარნი და ინფანტილურნი აღმოვჩნდით. ბოლშევიკებმა არა მარტო ომში დაგვამარცხეს და სირცხვილი გვაჭამეს, არამედ ჩვენში უზნეობაც, გაუტანლობაც და დაუნდობლობაც შემოიტანეს. იმიტომ გვიჭერენ და გვხვრეტენ, რომ დაგვჯაბნეს, გაგვრყვნეს, მოგვაღორეს.

— მოღალატეები არც დამარცხებამდე გვაკლდნენ. ისინი რომ არა, რუსები ასე ადვილად ვერ შემოდგამდნენ ფეხს საქართველოში.

— მოღალატეები იმიტომ გვყავდა უამრავი, რომ ჩვენ ვიყავით სუსტი. რაც უფრო სუსტია ქვეყანა, მით უფრო ბევრი მოღალატე ჰყავს, რადგან მოღალატე სუსტს გაურბის და ძლიერს ეტმასნება. სად იყო ამდენი ბოლშევიკი საქართველოში ან თუნდაც რუსეთში, ახლა რომ გაჩნდა?

— ეს მიტმასნებულები უფრო დაუნდობლები და გათახსირებულები არიან, ვიდრე ისინი, ვისაც ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდება სოციალიზმის გამარჯვება ჰგონია.

— მიტმასნილი სხვანაირი არც ყოფილა და არც შეიძლება იყოს, რადგან ბუნებით მეძავია. სანამ არ იყიდიან, არავისი არაა, ხოლო როცა იყიდიან, მლიქვნელობს, თვალთმაქცობს, ცდილობს, რაც შეიძლება დიდი ლუკმა დაითრიოს და თუ ამის უფლებას მისცემენ, არავითარ დანაშაულს არ მოერიდება. ასეთებს სამშობლო, პატიოსნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობა ან ქალობა სასაცილოდ არ ჰყოფნით. ამ ქუჩაზე ერთი კაცი ცხოვრობს, უწინ ჟანდარმი იყო და კომუნისტებს იჭერდა, ახლა ჩეკისტია და ანტიკომუნისტებს იჭერს. ეს კაცი გამონაკლისი არ გეგონოს, ამბობენ, მისთანები ჩეკაში საკმაოდ ბევრიაო.

— თუ მოღალატეებს და მიტმასნილებს ქურდებს, ყაჩაღებს, ყომარბაზებს, მეძავებს და ათასი ჯურის მანკიერებით შეპყრობილებს მივუმატებთ, ხალხი მათ ჰქვია და არა ჩვენისთანა მღაღადებლებს.

— ამიტომაა ჩვენი საქმე ცუდად. ყველა ისინი, ვინც შენ აქ ჩამოთვალე, ბოლშევიკების ზედამხედველობის ქვეშ, მათ კმაყოფაზე იმყოფებიან და ამგვარი კეთილისმყოფლები რომ არ დაკარგონ, ჩვენისთანებს ისე გადაუვლიან ზედ, რომ თვალსაც არ დაახამხამებენ.

ბავშვობიდანვე აკვირვებდა ის ამბავი, მამამისს რომ ყველა კითხვაზე პასუხი მზად ჰქონდა და ლაპარაკის დროს ერთს არ წაიბორძიკებდა, ერთი უადგილო სიტყვა არ დასცდებოდა, მაგრამ კიდევ უფრო საკვირველი ის იყო, ამის გამო მის მსჯელობას დამაჯერებლობა არ ემატებოდა. თავიდან მისი მჭევრმეტყველება თრგუნავდა, აბნევდა, დაფიქრების საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ შემდეგ შეეჩვია და, როცა სხვას ვერაფერს ახერხებდა, ქუჩურ ჟარგონზე გადადიოდა. ჟარგონი კი მის ხელში ისეთი მძლავრი იარაღი იყო, რომ მამამისი მაშინვე უკან იხევდა.

სანამ წარსულს იგონებდა და მამის მჭევრმეტყველებაზე ფიქრობდა, მოსაუბრენი ზოგადიდან კერძო საკითხზე გადავიდნენ, რამაც კიდევ უფრო დააინტერესა. სტუმარს შვილი გერმანიაში ჰყავდა გაგზავნილი სასწავლებლად. გერმანიაში კი იმ დროს დიდი არეულობა იყო და აღარ იცოდა, რა ექნა, ერჩია, სამშობლოში დაბრუნებულიყო თუ უცხო ქვეყანაში დაეტოვებინა.

— შვილი მეკარგება, იასონ ბატონო, და აღარ ვიცი, რა ვქნა. ვურჩიო დაბრუნდეს და, ვაითუ ციხეში უკრან თავი; არ ვურჩიო და, თუ ეს უნიფხოები დიდხანს იბოგინებენ საქართველოში, ჩემთვის მაინც დაკარგული იქნება.

— ბოლშევიკები ტკიპებივით არიან: რასაც ჩაეჭიდებიან, უსიკვდილოდ ვერ მოაშორებ. დღესდღეობით მათი დამარცხება და გარეკვა შეუძლებელია, რადგან ჯერ კიდევ არ არიან ამოსული იატაკქვეშეთიდან და შეიძლება არც არასოდეს ამოვიდნენ. დაუმსახურებლად განდიდებულთ ყველგან ამბოხება და შეთქმულება ელანდებათ. ამიტომ ყველა უცხოელს და უცხოეთიდან ჩამოსულს ეჭვის თვალით უყურებენ. მე არ ვიცი, შენი შვილი რა ჭკუაზეა, კომუნისტია თუ ანტიკომუნისტი, იატაკქვეშ ურჩევნია ცხოვრება თუ მიწის ზედაპირზე, მაგრამ თუ ახლა შეცდა, მერე ამ შეცდომის გამოსწორება აღარ მოხერხდება.

— მეც ეგ მკლავს, მაგრამ ჩემი თავი ჯანდაბას. გერმანიიდან ისეთი ამბები მოდის, ცოლი მთლად გადამერია. ამბობენ, იქაც რევოლუციონერდებიან, კომუნისტდებიან და იარაღდებიანო. ჩემმა შვილმა რომ სწავლას თავი დაანებოს და კომუნისტების გავლენის ქვეშ მოექცეს, ხომ დავიღუპე კაცი. ამდენი ხარჯიც ჩამეყრება წყალში და შვილიც მტრად დამიბრუნდება.

— შენ გგონია, გერმანიაშიც გაიმარჯვებენ კომუნისტები?

— მე არც ის მეგონა, რომ რუსეთში გაიმარჯვებდნენ.

— გერმანია მაინც გერმანიაა და რუსეთივით არ აირევა. იქ საღად მოაზროვნეც უფრო მეტია და წესრიგის მოყვარულიც. გარდა ამისა, გერმანია შენი შვილის სამშობლო არაა და ასე ადვილად არ ჩარევენ თავიანთ საქმეებში.

— მეც მაგის იმედი მაქვს, მაგრამ როცა შვილს თვალიდან მოიშორებ, თვალის ჩინიც გაკლდება.

— რამდენადაც მახსოვს, შენი შვილი სწავლას იყო მოწყურებული და დაჩემებული ჰქონდა, სწავლული უნდა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდეო. ნუთუ აზრი შეიცვალა და არაფერი შეგატყობინათ?

— უკანასკნელი წერილი რომ მივიღე, ბევრი ვუკირკიტე, წაღმაც ვატრიალე და უკუღმაც, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ამოვიკითხე. ვთქვათ და, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, არც გაკომუნისტებულა და არც გარევოლუციონერებულა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, რაღაც ხომ უნდა ვურჩიო, — რა ქნას, დარჩეს საზღვარგარეთ თუ დაბრუნდეს სამშობლოში?

— ახლა აქ ჩამოსვლას ისევ ის ჯობია, გერმანიაში დარჩეს. ცოდნას მაინც შეიძენს და თუ ჩვენს ქვეყანას ვერ გამოადგება, თვითონ მაინც იცხოვრებს ადამიანურად. სწავლულთ, მათზე აღმატებულთ ბოლშევიკები ისე უყურებენ, როგორც მათი ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულთ.

— რა ვუთხრა დედამისს, თორემ გიჟი უნდა იყო კაცი, რომ ჩვენს დროში შვილს ისეთ ჯოჯოხეთში ჩამოსვლა ურჩიო, საიდანაც წერილის გაგზავნაც კი სახიფათოა.

— დღეს საზღვარგარეთ ფოსტით წერილის გაგზავნა ისეთივე უგუნურებაა, როგორც საკუთარი თავის გაცემა. ამიტომ ჯობია ვინმეს გაატანოთ ანდა სათქმელი ვინმეს პირით შეუთვალოთ.

ამ დროს დედამისმა ქმარსა და მის სტუმარს ღვინო და სახელდახელოდ მომზადებული საუზმე შეუტანა. როცა უკან გამობრუნდა, ღრიჭოდ დარჩენილი კარი საგულდაგულოდ მიხურა. მათი საუბარი უკვე აღარ ესმოდა და, რადგან სახლში საქმე არაფერი ჰქონდა, გადაწყვიტა, საბილიარდოში წასულიყო, მაგრამ ცოტა ფული მაინც უნდა ჰქონოდა ჯიბეში და დედის მეტს ვერავის დასტყუებდა. დედა ქმრის პატივისმცემელი, ოჯახის ერთგული, მშრომელი ქალი იყო და არავითარი პირადი ცხოვრება არ ჰქონდა. ბოლო დროს მხოლოდ იმით იყო შეშფოთებული, რომ ოჯახის კეთილდღეობა სულ უკან და უკან მიდიოდა და ამ უკან სვლას რაღაც უბედურება არ მოჰყოლოდა.

## IX

დრო თანდათან შმორდებოდა, მუნიანდებოდა, სენსა და სახადს ავრცელებდა. იწამლებოდა ჭები, მდინარეები, ბაღბოსტნები. დეკემბრის ბოლოს მამა პარტახტიანი ტიფით გახდა ავად და რამდენიმე დღეში გათავდა. მალე მას დედაც მიჰყვა, ჩუმად, უდრტვინველად დალია სული. ოჯახი დაცარიელდა, გაცივდა, ჩაბინძურდა. მას არათუ ბინის, საკუთარი თავის მოვლაც კი არ შეეძლო, არ იცოდა, სად რა იდო, რას რა დანიშნულება ჰქონდა, რა როგორ უნდა გამოეყენებინა და ამიტომ გარეთ ჭამდა და გარეთ სვამდა. ამასობაში დიდი არეულობა დაიწყო, დამარცხებული, დამცირებული, დაპყრობილი ქართველები გამოსვლებისთვის, ამბოხებისთვის ემზადებოდნენ, რასაც შეიძლებოდა დიდი სისხლისღვრა და არნახული რეპრესიები მოჰყოლოდა. ამიტომაც შეშფოთდა. ჯერ ერთი, აჯანყებას რომ ჩაახშობდნენ, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა; მეორეც, მართალია, მამამისი მკვდარი იყო, მაგრამ თუ ხელისუფლების წინაშე რაიმე დანაშაული მიუძღოდა, კომუნისტებმა არც მკვდრის დანდობა იცოდნენ და შეეძლოთ მამის მაგივრად შვილისათვის მოეთხოვათ პასუხი. ამიტომ მამისეული ბინა და ქონება სასწრაფოდ გაყიდა, იმდენი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი იყიდა, რომ ხუთ წელიწადს ყოფნოდა, დანარჩენი ფული პალტოს ბეწვიან საყელოსა და სახელოებში გამოკერა. მატარებლის ბილეთი იყიდა და მოსკოვს გაემგზავრა. ამ გადაწყვეტილებას მისი ხასიათიც უწყობდა ხელს. ბუნებით მორცხვი არ იყო, უცხო გარემოში არ იბნეოდა, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება არ უჭირდა. გარდა ამისა, რუსული კარგად იცოდა, ცოტაოდენი ფრანგულიც, ეხერხებოდა ანეკდოტების მოყოლა, თითქმის პროფესიონალივით თამაშობდა კარტს, ნარდს, ბილიარდს; ჩხუბი თბილისური იცოდა, თვალებში ნაცრის შეყრა კი ქართული. იმ დროს უამრავი ხალხი იყო აღლე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბული, აბარგებული და მათთან შედარებით კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა — თავის დაჭერა, ადამიანურად ჭამასმა და ადამიანურად ჩაცმა-დახურვა იცოდა. მიუხედავად თავად-აზნაურების და ბურჟუების დევნისა და განადგურებისა, მიუხედავად ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობისა, დახვეწილი მანერები მაინც მომნუსხველად მოქმედებდა მდაბიოებსა და გაუთლელებზე. ჩრდილოეთ კავკასიაში ერთი სტავროპოლელი ნეპმანი ამოვიდა ვაგონში ცოლშვილიანად და იმდენი ხორაგი ამოზიდა, რომ მთელი გზის მანძილზე ჭამა-სმის მეტი არაფერი უკეთებიათ. როცა შეატყვეს, ბოგანი არ იყო და მსუბუქად მგზავრობდა, მასაც გულუხვად გაუმასპინძლდნენ, მაგრამ ხორაგს მაინც არაფერი მოაკლდა. კურსკის ვაგზალში ისევე ჩაბარგდნენ, როგორც პიატიგორსკში ამობარგდნენ.

მოსკოვში გატარებული წლები, იქაური ცოფა-ცხოვრება მის მეხსიერებას ისევე ცხადად და ფრაგმენტულად შემორჩა, როგორიც სინამდვილეში იყო — მყვირალა, მერყევი, უბადრუკი, პროვინციული. კაციშვილმა არ იცოდა, რა მოხდებოდა ხვალ ან ზეგ, სასწორი კიდევ უფრო გადაიხრებოდა კერძო საკუთრებისაკენ, აღოღებულ ბრბოს ცოტა ხანს კიდევ აცლიდნენ მუცლის ამოცორვას და თავდაუზოგავ ღრეობას თუ კერძო საკუთრებას კოლექტივიზაცია მოუღებდა ბოლოს და ისევ დაიწყებოდა დაჭერები და შიმშილი. მოსკოვში ნეპს თითქმის ისეთივე სახე ჰქონდა, როგორიც თბილისში — უხეში, უნდო, მეჭეჭიანი, ქონიანი. ქალაქში სამუშაო და ბინა ჭირდა, თორემ საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური და უცხოური ზიზილ-პიპილები თავსაყრელად ეყარა. კერძო მაღაზიებში ისე გამოგაწყობდნენ თავიდან ფეხებამდე, როგორც სანიძოს. ოღონდ გეყიდა და თავაზიანობასაც კი იჩენდნენ, ფასს გიკლებდნენ.

ქუჩები ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, დაუგველი იყო. ხესა და ნარგავს იშვიათად მოჰკრავდა კაცი თვალს. არ არსებობდა არავითარი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, გარდა ტრამვაისა. ტრამვაის ვაგონები ისე იყო დახუნძლული ხალხით, რომ უზარმაზარ, რახრახა, მოძრავ ცხოველს ჰგავდა. ძალიანაც რომ მოგენდომებინა, ხელის ჩასაჭიდ ადგილს ვერსად იპოვიდი. ეტლები ცოტა იყო, ძვირი ღირდა და ბარგიანი მგზავრების გადაყვანას ძლივს აუდიოდა. ამიტომ რკინიგზის სადგურში ბარგს მუშას აჰკიდებდნენ და ისე გაუდგებოდნენ გზას. მუშები კი იმდენი იყო, ბარგის წაღებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ, ავყიაობდნენ, ზოგჯერ ჩხუბიც კი მოსდიოდათ. სხვებთან შედარებით მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ საერთო საცხოვრებელი ინსტიტუტთან ახლოს იყო და ტრანსპორტი არ სჭირდებოდა. შინ ფეხით მხოლოდ მაშინ ბრუნდებოდა, როცა ღამეს სხვაგან ათევდა.

ქალაქი ადრე იღვიძებდა და გვიან იძინებდა. ბინებს შეშით ან ქვანახშირით ათბობდნენ, წყალს ეზოებიდან ეზიდებოდნენ ვედროებით, სარეცხსაც ეზოში რეცხდნენ და იქვე ფენდნენ. კომუნალური ბინები ისე იყო გაჭედილი მდგმურებით, როგორც სკა დაბუდებული ფუტკრით. მეზობლები ერთმანეთს უთვალთვალებდნენ, ლანძღავდნენ, აბეზღებდნენ. ერთი მეტრი ფართობისთვის ძმა ძმას კარგავდა და და დას. ქალაქს ხალხი ყოველდღიურად ემატებოდა, აშენებით კი არაფერი შენდებოდა. მიუხედავად ამისა, ქალაქი მაინც აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, შრომობდა, ვაჭრობდა, ფერ-უმარილით ითხიპნებოდა, მრუშობდა და იმ შიმშილის შემდეგ, სამოქალაქო ომის დროს რომ გადაიტანა, არყით ილეშებოდა, ცხოვრებით ტკბებოდა და ვენერიული დაავადებებით მდიდრდებოდა. გაზეთები ფოტოსურათებით და რეკლამებით იყო აჭრელებული, სასტუმროებს, დიდ მაღაზიებსა და რესტორნებს მეტწილად გაპრანჭული, გაევროპელებული სახელები ერქვა. მამაკაცებს ვიწრობორტიანი კოსტიუმები ეცვათ, ქალებს გრძელი და ვიწრო კაბები, თავზე კი ორივე სქესის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომადგენლებს „შლაპა" ეხურათ. იყო ერთი წამხედურობა, მანჭვა-გრეხა, დეკადენტური განწყობილებების აფიშირება. რაც უფრო დაგლახაკებული იყო კაცი, მით უფრო კუდაბზიკობდა, თავი ძველი ხომალდის ნაფოტად მოჰქონდა. ერთმანეთში იყო არეული ცხოვრების ძველი და ახალი სტილი და სტილთა ამ აღრევას მჟავე კომბოსტოს, ნივრიანი ძეხვისა და სოფლებიდან ქალაქში ჩამოხეტებული გლეხების სუნი უდიოდა. რესტორნებში, კაფეებში, ბარებში ტევა არ იყო, ცეკვავდნენ ამერიკულ ფოქსტროტსა და ტანგოს, მღეროდნენ რუსულ და ბოშურ რომანსებს. სიგიჟე და თავაშვებულობა უფრო მეტად ფასობდა, ვიდრე გონიერება და თავშეკავებულობა. ბოღმა და ცრემლი ერთმანეთს ენაცვლებოდა. ქალები ვულგარულად, უტიფრად იქცეოდნენ, მამაკაცები უზრდელად, უხამსად. ქეიფსა და ღრეობას ბოლო არ უჩანდა, არც დეკადენტთა და გენიოსთა რწყევას. თვრებოდნენ უგონოდ, ისე, თითქოს ხვალ ამის საშუალება არ ექნებოდათ. საერთო ღრეობასა და ცხოვრების წვაში მხოლოდ კომუნისტები არ ღებულობდნენ მონაწილეობას, განსაკუთრებით თანამდებობის პირები. ისინი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ხალხს მხოლოდ დემონსტრაციებსა და მიტინგებზე ეჩვენებოდნენ და თუ მაინცდამაინც გალეშვა მოუნდებოდათ, სპეცსასადილოებში ან თავიანთი კაბინეტების უკანა ოთახში ილეშებოდნენ. სამაგიეროდ ქვეყანას თავიანთი ნებასურვილის მიხედვით მართავდნენ და თავიანთ გონივრულ თუ უგუნურ გადაწყვეტილებებს თვითონ ატარებდნენ ცხოვრებაში.

მაშინ უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ ღებულობდნენ, თანაც რესპუბლიკებიდან ჩამოსულებს უპირატესობას ანიჭებდნენ და ამიტომ ინსტიტუტში უდავიდარაბოდ მოეწყო მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. მაშინ ტექნიკური დარგები, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობა, მოდაში იყო. მართალია, ბინა არ ჰქონდა, არც ოჯახი ეგულებოდა ისეთი, მცირე ხნით რომ შეკედლებოდა, მაგრამ დროებით, სანამ ინსტიტუტში ჩარიცხავდნენ, ერთ მარტოხელა დედაბერთან კუთხე იქირავა, შემდეგ კი საერთო საცხოვრებელში გადავიდა და სტიპენდიასაც რეგულარულად ღებულობდა. ზედმეტი ტანსაცმელი ლომბარდში დააგირავა, იცოდა, კარგად შეუნახავდნენ, ფული შემნახველ სალაროში შეიტანა, — პროცენტებს დაურიცხავდნენ, შემდეგ საწყობის გამგეს დაუახლოვდა, ერთი მაგრად გამოათრო და ოთახიც ისე მოაწყო, რომ იცხოვრებოდა. მართალია, ოთახში მარტო არ იყო, მაგრამ მისი თანაკურსელი მისი ნებართვის გარეშე პაპიროსის მოწევასაც კი ვერ ბედავდა. ახალგაზრდულმა ენერგიამ, გამჭრიახობამ და თავის დაჭერის უნარმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის პატივისცემა მოუპოვა. მასთან დაახლოებას, დაამხანაგებას, დამეგობრებას ბევრი ცდილობდა. რა თქმა უნდა, სტუდენტებს შორისაც იყვნენ ისეთები, თავი რომ უნდა გამოაყენებინონ ვინმეს და მასაც რა ენაღვლებოდა, ყველას ისე იყენებდა, როგორც გამოადგებოდა. როცა რამის დახაზვა ეზარებოდა, მათ ახაზვინებდა, როცა რამე წასალები, მოსატანი ან გასაფორმებელი იყო, მათ აგზავნიდა. მაგრამ მის ავტორიტეტს რაღაც მაინც აკლდა, უფრო ეფექტური, ემოციურად უფრო დატვირთული. ერთხელ მოზრდილი თანხა ჩაიდო ჯიბეში, ორი მოსკოველი თანაკურსელი აიყოლია და საბილიარდოს მიაკითხა. მაშინ ბილიარდს მხოლოდ ფულზე თამაშობდნენ და მარკიორები ცდილობდნენ, თამაშის ყველა წესი და კანონი დაეცვათ. ამით ყველაზე მეტად თვითონ იყვნენ დაინტერესებული. სანამ თამაში ჩაებმებოდა, ყველა მაგიდას შემოუარა და მოთამაშეების კვალიფიკაცია და თამაშის მანერა შეისწავლა. კლასი არც ისე მაღალი აღმოჩნდა. თბილისში უკეთ თამაშობდნენ. საერთოდ, მოსკოვი არ იყო მოთამაშეების, ყომარბაზების ქალაქი.

იმ საბილიარდოში, სადაც თანაკურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სელები შეიყვანა, ერთი ბერძენი მძვინვარებდა, ყველას უგებდა, უმოწყალოდ ატყავებდა და ჯიბეს ამ საქმიანობით ისქელებდა. ხელი მარჯვე ჰქონდა და თვალი მახვილი, მაგრამ რადგან კონკურენტი არ ჰყავდა, თამაშის კლასის ამაღლებაზე არ ზრუნავდა. ეს კი მისი მხრიდან საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, დაუდევრობა იყო. მან მხოლოდ მაშინ შესთავაზა ბერძენს ერთი-ორი ხელის თამაში, როცა მსურველი აღარავინ დარჩა. ბერძენმა აათვალჩაათვალიერა, დამცინავად გაიღიმა და ფული თუ გაქვსო, ჰკითხა. მან ჯიბიდან ასიგნაციების მთელი დასტა ამოიღო. ბერძენს სხვა საბუთი არ სჭირდებოდა. გამოწვევით დაინტერესებულმა უსაქმურებმა და ჯიბედაცარიელებულმა კლიენტებმა მათ ირგვლივ მოიყარეს თავი. პირველი ორი პარტია ისე წააგო, რომ მისმა თამაშმა მოწონება უფრო დაიმსახურა, ვიდრე დაცინვა. მისი თანაკურსელები კი სიხარულისა და გულისწყრომისაგან ხან წითლდებოდნენ, ხან ფითრდებოდნენ. შემდეგ პიჯაკი გაიხადა, სახელოები დაიკაპიწა და ტემპს უმატა, ხელი აღარ ეცარებოდა. სამი პარტია ისე მოიგო, რომ სუნთქვა არ აჩქარებია. ბერძენი გაშმაგდა, გაცეცხლდა. ჯერ ერთი, აზარტმა შეიპყრო, მეორეც, ავტორიტეტს კარგავდა, რაც მისთვის სახუმარო საქმე არ იყო. თამაში საღამომდე გაგრძელდა. რაც უფრო მეტს ნერვიულობდა მისი მოწინააღმდეგე, მით უფრო ეცარებოდა ხელი. ბოლოს არა მარტო უსაშველოდ დაიქანცა,—მასზე თხუთმეტიოდე წლით უფროსი მაინც იქნებოდა, — არამედ ფულიც გამოელია და წაგებულის ამოსაგებად მეორე დღისათვის დაიბარა. მან თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ ბილიარდის თამაში მის გეგმებში არ შედიოდა და ამიტომ წინასწარ იცოდა, რომ აქაურობას ახლოს არ გაეკარებოდა, ბერძენს შემოსავლის წყაროს არ გადაუკეტავდა. მისი თანაკურსელები მასზე უფრო მეტად იყვნენ გახარებული და ატაცებული. მოგებული ფულით უამრავი საჭმელ-სასმელი იყიდა, დამშეული სტუდენტები დააძღო და დაათრო. მეორე დღეს კი მისი „გმირობის“ ამბავი მთელმა ინსტიტუტმა იცოდა. განსაკუთრებით კი სახელი მას შემდეგ გაითქვა, როცა უმაღლეს სასწავლებელთა ტანმოვარჯიშეებს შორის ღერძზე ვარჯიშში პირველი ადგილი დაიკავა.

ერთხელ ინსტიტუტის დერეფანში ცნობილი პროფესორი შეხვდა, წინა კურსზე მექანიკას უკითხავდა. მექანიკა მას უკვე ჩაბარებული ჰქონდა და ამიტომ თავაზიანად მოიკითხა. პროფესორს პატივს იმიტომ სცემდა, რომ პატიოსანი კაცი იყო და მართლაც მსოფლიო მნიშვნელობის სწავლული, რისთვისაც კოლეგებს უფრო სძულდათ, ვიდრე უყვარდათ. პროფესორს ქალიშვილი ახლდა თან — ქერა, დაწვმაღალი, მოკლედ თმაშეკრეჭილი ქალი, რომელიც ამავე ინსტიტუტში უცხო ენას ასწავლიდა. პროფესორმა ქალიშვილი გააცნო. არაფრისმთქმელ საუბარში გაირკვა, რომ ინსტიტუტი თითქმის ერთი ოჯახივით ცხოვრობდა, აქ ყველამ ყველას შესახებ ყველაფერი იცოდა. მან ქალს ვალის მომხდელი ქათინაური უთხრა და მამა-შვილს გამოემშვიდობა. ერთი კვირის შემდეგ პროფესორმა ვახშამად დაპატიჟა. იფიქრა, ან ქალიშვილს უხდის დაბადების დღეს, ან თავისი მოღვაწეობის თარიღს აღნიშნავსო, მაგრამ ვახშამზე მის მეტი არავინ გამოცხადებულა. ვერაფრით წარმოიდგენდა, ცნობილ მეცნიერს თუ ასე უყვარდა არაყი. ისეთი სიამოვნებით სვამდა, ისე დარბილდა, ისე უჟუჟუნებდა თვალები, რომ მანამდე არ მოეშვა არაყს, სანამ ცოლმა და ქალიშვილმა ხელით არ გაიყვანეს ოთახიდან. შეიძლება სმა მოგვიანებით დაიწყო, მას შემდეგ, რაც ზუსტი მეცნიერებაც კი გაამარქსისტეს, შეიძლება იმის გამო აუცრუვდა გული ცხოვრებაზე, რომ ყველაფერი ფასეული გააუფასურეს. როგორც კი პროფესორი მოასვენეს, დედა-შვილი უკან შემობრუნდა. დიასახლისი სამზარეულოში გავიდა და იქაურობის მილაგებ-მოლა-

ბიბლიოთეკა

გებას შეუდგა, ქალიშვილი კი მის პირდაპირ დაჯდა და ერთხანს ხმას არ იღებდა.

არაყი მასაც ბლომად ჰქონდა ნახუხი, პროფესორი სთხოვდა, პარტნიორობა გამიწიეო, მაგრამ წესად ჰქონდა დათქმული, არ გალეშილიყო, საღი აზრი არ დაეკარგა.

— რატომ არ იხსამთ და არ სვამთ? — ჰკითხა პროფესორის ქალიშვილმა და თხელი შალი მხრებზე მოიგდო.

— არ მინდა გავილეშო.

— თქვენ რა, არ გიყვართ არაყი?

— მე მგონი, არაყი არავის არ უყვარს. თქვენ, ალბათ, იმ გრძნობას გულისხმობთ, არყით თრობა რომ იწვევს.

— საკითხის დაზუსტება გყვარებიათ.

— შეიძლება, მაგრამ მე ბევრს ვიცნობ ისეთს, ქალის სიყვარულზე ლაპარაკს მხოლოდ მას შემდეგ რომ იწყებს, როცა არყის სიყვარულით იჯერებს გულს და არაფრის თავი აღარ აქვს.

ქალს გულიანად გაეცინა და თითქოს ჯიბრზე, არაყი დაისხა და დალია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მის სისხლში ჯერ კიდევ ყიოდა წინაპრების დაუოკებელი ჟინი, შავი მიწის ნოყიერება და გაოფლიანებული ცხენების სუნი.

— იციან ინსტიტუტში, მამას რომ არაყი უყვარს? — ჰკითხა ქალმა.

— არა მგონია.

— რატომ?

— ინსტიტუტში იგი ნასვამი არავის უნახავს.

— შეგეცვალათ მასზე აზრი?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა. პირიქით, ნასვამი უფრო თბილი, უფრო სიმპათიურიც კი მომეჩვენა. ხმა არც ისეთი დიდი უბედურება იქნებოდა, ყველას რომ მამათქვენივით, ცრემლის დაუღვრელად ან ბობოქრობის გარეშე შეეძლოს დათრობა. ცხოვრება რომ ტანჯვა და უაზრობაა, დიდი ხანია ცნობილია და ამიტომ არ ღირს ამის გამო ამდენი აურზაურის ატეხა, თავის შეცოდება და ღნავილი.

— მე თქვენ უფრო სპორტსმენი, მოთამაშე, მოარშიყე მეგონეთ, ვიდრე მოაზროვნე.

— ჩემი ერთადერთი ნაკლი სწორედ ესაა.

ქალს ისევ გაეცინა, მხრებზე მოგდებული შალი მოიძრო და ისე მიაგდო ტახტზე, თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორა. საკუთარ სახლში გაცილებით თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე სხვა გარემოში იგრძნობდა და ამის მიზეზი მისი შებოჭილობა კი არ იყო, არამედ ცხოვრების ის წესი, ქვეყანაში რომ დამყარდა.

— იცით, ვახშმად მე დაგპატიჟეთ და არა მამაჩემმა, — უთხრა ქალმა უფრო ღიმილით, ვიდრე გამომწვევად.

— მამათქვენის ხმაში თქვენი ხმის ინტონაცია და რაღაცნაირი, ჩუმი სიხარული იგრძნობოდა.

— როგორც ვხედავ, უყურადღებოდ არაფერი გრჩებათ. იქნებ ისიც მითხრათ, რატომ დამებადა თქვენი დაპატიჟების სურვილი?

— თქვენი ოჯახი პედაგოგებისაგან შედგება. ალბათ, იფიქრეთ, შეიძლება ამ ველურმა ჭამა-სმაც კი არ იცის ადამიანურად და რადგან ვანათლებთ, მოდი, ამ საქმეშიც გავანათლოთო.

— ყოჩაღ. პასუხი თავაზიანიცაა და ნიშნის მომგებიც. ყველა სხვა აზრი ან მცდარი იქნებოდა, ან უტაქტო. მაგრამ, როგორც ხედავთ, მე მარტო ცნობისმოყვარე არა ვარ, ლაყბობაც მიყვარს და კიდევ ერთი რამ უნდა გკითხოთ: შინაგანად თუ მორღვეულხართ ისე, რომ საკუთარი თავის ხელახლა პოვნა გაგჭირვებიათ?

— მორღვევა, დაკარგვა, პოვნა, ხელახლა მორღვევა და ხელახლა პოვნა... იცით, რას გეტყვით? თქვენ და თქვენისთანებს ეს უჩვეულო რამ გგონიათ, წვალობთ, ჯახირობთ, ვიღაცას თუ რაღაცას ელოდებით და ბოლოს ყრუ კედლებს აწყდებით. სინამდვილეში კი ყველაფერი ეს ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული მოვლენაა. თქვენ გინდათ მთლიანი, განუყოფელი იყოთ და რაღაც არაამქვეყნიურს შეერწყათ, მაგრამ ის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი, რომელსაც ებღაუჭებით, მითიურს არაფერს შეიცავს და რომ შეიცავდეს კიდეც, ამით არაფერი შეიცვლება. მთლიანი, მონოლითური, განუყოფელი ამქვეყნად ადამიანი და მისი ხასიათი კი არა, უმარტივესი არსებაც კი არაა. იქნებ ის გირჩევნიათ, ერთ მძიმე ლოდად შეკრული, უძრავი, გახევებული სული გქონდეთ?

— ღმერთმა დამიფაროს. მე სწორედ ის მაწუხებს, რომ მეტისმეტად ხშირად მეცვლება ხასიათი და ირგვლივ ვერავისა და ვერაფერს ვხედავ ისეთს, ერთიანად რომ შემიპყროს, გამომიყენოს, მემსახუროს და მიმსახუროს. მთლიანობა იმისთვის მჭირდება, რომ მხოლოდ ის მწამდეს, რაც საწამებელია და წვრილმანებზე, ყოველდღიურ უაზრობაზე არ ვიხარჯებოდე.

— თქვენ თუ გინდათ მთლიანად შეგიპყროთ ვიღაცამ ან რაღაცამ, თავის მოტყუებაც უნდა შეგეძლოთ. თუ ამის უნარი არ შეგწევთ, თუ სკეპტიციზმმა უკვე დაგრიათ ხელი, ვერავინ და ვერაფერი ვერ შეგიპყრობთ.

ამ დროს ოთახში პროფესორის მეუღლე შემოვიდა. თავზე პირსახოცი ჰქონდა წაკრული ბიგუდების დასამალავად, სახეზე კი იმდენი ფერ-უმარილი ესვა, რომ ნაოჭები მართლაც აღარ უჩანდა.

— აბა, ახალგაზრდებო, თავს მიხედეთ, არ მოიწყინოთ, მე კი ფეხზე ძლივს ვდგავარ და თუ არ დავწექი, წავიქცევი, — თქვა მან ისე, თითქოს სუფრას ახალდაქორწინებულები უსხდნენ და არა ახალგაცნობილები.

ამ ხობაში არაყი ცოტათი გამოუნელდა, ტონუსი დააკლდა და რომ არ მოდუნებულიყო, ჭიქები პირამდე გაავსო.

— ჭიქები იმიტომ გავავსე, რომ, როგორც ვატყობ, ამ სუფრასთან ერთხანს კიდევ მოგვიწევს ჯდომა და რადგან ამას ჯანი სჭირდება, კარგად ყოფნას გისურვებთ, — უთხრა მან პროფესორის ქალიშვილს და ის, რაც თქვა, ბანალური მოეჩვენა.

— მეც დავლიო?

— ეს უკვე თქვენი საქმეა.

— დავლევ და იცით, რატომ? ამ სახლში არავინ არავის არაფერს უშლის, მაგრამ თავისუფალი მაინც არავინაა.

არყით სავსე ჭიქა მან ისე დაცალა, როგორც საქართველოში ღვინის ჭიქას ცლიან, ქალმა კი სულმოუთქმელად გადაკრა. ერთხანს გაოგნებული იჯდა, ცოტა შეშინებული ელოდა, რა ზემოქმედებას მოახდენდა არაყი, შემდეგ გამოცოცხლდა და თქვა:

— ამდენი არაყი ერთბაშად ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს წონა მაკლდება, სიმსუბუქისაგან ნეტარება მიპყრობს.

— მეკვიდრეობით არ გადმოგედოთ და თქვენც არ შეგიყვარდეთ.

— არა, არ შემიყვარდება. მე რამე, უფრო მსუბუქი, უფრო ჰაეროვანი მირჩევნია, მაგრამ მამაჩემს სხვა სასმელი სასმელად არ მიაჩნია.

— ტრადიციის მიმდევარი ყოფილა.

— უფრო თავისი თავის, ვიდრე ტრადიციის. ბუნებით მამაჩემი ინდივიდუალისტი და კონსერვატორია.

— ეს აქ შემოსვლისთანავე იგრძნობა.

— გეთანხმებით. ეს გრძნობა ბავშვობიდანვე მბოჭავდა. ამავე დროს, მამა არც მკაცრია, არც ზედმეტად მომთხოვნი და არც ისეთი რამის დამშლელი, რაც ზღვარს არ გადადის. ამგვარი ზღვარი კი მას საკმაოდ შორს აქვს გადაწეული.

— სამაგიეროდ იმას, რაც მისი ინტერესების სფეროში შედის, არც დაიშლის და არც დათმობს.

— არცა სთხოვს არავინ. ის, რაც მისი ინტერესების სფეროში შედის, ჩვენ, ქალებს, არ გვაინტერესებს. ამიტომ ჩვენს ოჯახს სითბო და სიამტკბილობა კი აკლია, მაგრამ ჩხუბისა და აყალმაყალისაგან დაზღვეულია. მამაჩემი უფრო წინდახედული კაცია, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. კარგად იცის, ორ ქალს შორის ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცევა, თუ კომპრომისებზე არ წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი აქ დაპატიჟებაც კომპრომისი იყო?

— რა თქმა უნდა, ვახშმის ერთ-ერთი კომპონენტი მის ინტერესებშიც შედიოდა.

— მართალი გითხრათ, მიკვირს. მას ყოველდღე აქვს დალევის შესაძლებლობაც და საშუალებაც და რატომ არ იყენებს ამ შესაძლებლობას?

— იმიტომ, რომ უჩვენოდ დაიღუპება, გალოთდება, გაწანწალდება, წყალში ჩაეყრება ის ცოდნა, დიდი მუყაითობით რომ შეიძინა და პატივს სცემს. ამიტომ გარეთ არათუ არ სვამს, სასმელს საწამლავივით ერიდება. მისი ციხესიმაგრე, მისი საქეიფო ადგილი სახლია და აქაც მხოლოდ მაშინ აძლევენ ამის უფლებას, როცა მოთხოვნილება კრიტიკულ წერტილს აღწევს.

— ამჯერადაც ასე იყო?

— არა. ამჯერად მან ჯილდოდ მიიღო ის, რასაც უამვახშმოდ ვერ მიიღებდა და როცა ვახშმად გპატიჟებდათ, სწორედ ეს ახარებდა.

— არ მესმის, რა საჭირო იყო ასე შორიდან მოვლა? თუ ჩემთან შეხვედრა გინდოდათ, როგორმე გენიშნებინათ. პაემანს დაგინიშნავდით, რესტორანში დაგპატიჟებდით და უკეთ მოვილხენდით.

— რესტორანი არსად გაიქცევა. იქ ჯდომას ჩვენ კიდევ მოვასწრებთ. შინ დაპატიჟებაში არის რაღაც, უფრო ინტიმური, უფრო დამაახლოებელი.

— ეს იმიტომ, რომ კომუნალურ ბინაში არ ცხოვრობთ.

— აი, ამისათვის კი მართლაც მადლობას ვწირავ ღმერთს. მთელი ეს სახლი ბაბუაჩემისა იყო. ამ სახლიდან ჩვენ მხოლოდ ეს ბინა დაგვიტოვეს და მადლობის მეტი რა გვეთქმის, რომ აქედანაც არ გაგვყარეს. დღეიდან ამ ბინის კარი თქვენთვის ღია იქნება და კიდევ ერთი... მაგრამ ჯერ დამისხით და იმ ერთს მერე გეტყვით.

მან ჭიქები შეავსო. ქალი წელში გასწორდა, თვალები გაუფართოვდა, მკერდი გამოეკვეთა. ყველაფერი, რაც მასში ქალური იყო, გარეთ გამობრწყინდა. ერთბაშად ჩამოსცილდა რიდი და შემბოჭავი ხუნდები, რაღაცნაირად გაივსო, გამიწიერდა და, ფეხზე წამომდგარმა, სერიოზულად ჰკითხა:

— დარჩებით ამაღამ ჩემთან?

ეს ისე უშუალოდ, ისე ადამიანურად ჰკითხა, რომ მან სკამი განზე გასწია, ქალთან მივიდა, წელზე ხელი მოხვია, მიიზიდა და ისე აკოცა ტუჩებში, თითქოს აქამდეც ბევრჯერ ეკოცნა. ის ღამე მათ სიყვარულსა და სიამტკბილობაში გაატარეს და მას შემდეგ სხვა ქალთან ღამე არ გაუთენებია.

ამასობაში დრო ისევ გაუკუღმურდა, აირ-დაირია. ძველი ჯვრები ან დალპა ან მოინჯღრა და დასასჯელად აღარ ვარგოდა. საჭირო იყო კიდევ უფრო დიდი ტყის გაჩეხა, უფრო გამძლე ჯვრების აღმართვა, უფრო მეტი მწვალებლების აღმოჩენა. ამისათვის ხალხი უკვე შემზადებული იყო და, რადგან დრო არ ითმენდა, რადგან სიძულვილი უკვე იმათ წამლავდა, ვისაც შთაუნერგეს, დაიწყო კიდეც დიდი მიტინგების მოწყობა, დიდი შხამის ნთხევა, დიდი წმენდა. შიმშილის გაძვალტყავებულმა აჩრდილმა ისევ წამოყო თავი, ისევ აწრიალდა და აბღავლდა საქონელი. იმ დღეს წითელ მოედანზე უამრავი წითელი დროშა აფრიალდა. მოსკოვი ჩინეთის კანტონის რევოლუციური არმიის მიერ შანხაის აღებას ზეიმობდა და სწორედ ამ ზეიმს დაემთხვა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დეკრეტის გამოქვეყნება. ეს ისე მოულოდნელად, ისე მზაკვრულად მოხდა, რომ მისი შედეგების ბოლომდე გათვალისწინება ვერც ქალაქმა შეძლო და ვერც სოფელმა. დიდად არც თვითონ შეშფოთებულა. მაშინ პოლიტიკა არ აინტერესებდა, უფრო პოეზიის საღამოებს, სპექტაკლებსა და კინოფილმებს ეტანებოდა.

გადამწყვეტი შეტევისთვის მზადება კარგა ხანს გაგრძელდა, გარემო იძაბებოდა, იფოფრებოდა, იწყებოდა მასობრივი შიმშილის, ტერორისა და განუკითხაობის კიდევ ერთი ხანა. დეკრე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტის გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ ინსტიტუტში გრანდიოზული მიტინგი მოაწყვეს, სადაც ახალგაზრდებს მოუწოდებდნენ სოფლებისაკენ დაძრულიყვნენ და სისხლისმწოველი კულაკების ჯილაგი ძირფესვიანად ამოეძირკვათ. ამ მოწოდებას იმდენი ენთუზიასტი გამოეხმაურა, ინსტიტუტის კედლებში იმდენი ფანატიკოსი და შენიღბული თუ შეუნიღბავი ჯალათი გამოინახა, რომ მან შინაგანად უკან დაიხია, უფრო ფრთხილი, უფრო თავმდაბალი გახდა. იმ დღიდან მიტინგებს, ღია კრებებსა და ფანატიკურად განწყობილ თანაკურსელებს ერიდებოდა. როცა გამოსავალი არ იყო, ან თავს ივადმყოფებდა, ანდა სახელოსნოებიდან და ლაბორატორიებიდან არ გამოდიოდა. ასე გაიტანა თავი ინსტიტუტის დამთავრებამდე, ხოლო როცა დიპლომი ჯიბეში ჩაიდო, მაშინვე მატარებლის ბილეთი იყიდა და მოსკოვში ერთი დღე აღარ გაჩერებულა.

X

ბერიკაცმა თავი გვერდზე გადასწია, კისერი მოისრისა და ოდნავ შეიჭმუხნა. იგი უკვე ხვდებოდა, რომ მის მეხსიერებაში წარსულმა უფრო დიდი ადგილი დაისაკუთრა, ვიდრე ეს წონასწორობის შენარჩუნებისთვის იყო საჭირო. ამიტომაც ვერ უსხლტებოდა ხელიდან, ამიტომაც ვერ ამჩნევდა იმას, რაც შემოდგომის ფერებში ცურავდა. სამაგიეროდ ცხადად, მკაფიოდ ხედავდა სახალხო და საბარგო მატარებლებს, ტელეგრაფის ბოძებს, ატალახებულ გზებს და მღვრიე გულებს. ხედავდა იმ ჰორიზონტსაც, რომელიც ყოველგვარ სიბინძურეს ითრევდა და მანამდე არ იხევდა უკან, სანამ თვითონაც არ გაბინძურდებოდა. ნაავდრალი გზები გზებს აღარ ჰგავდა, მიწას მართლაც მიწის ფერი ედო, იმ მატარებელს კი, რომლითაც მგზავრობდა, ხან სადგურის მისადგომებთან აჩერებდნენ, ხანაც სადგურში, და არავინ იცოდა, როდის დაიძრებოდა ადგილიდან. პარალელურ ლიანდაგზე კი მიგრუხუნებდნენ და მიგრუხუნებდნენ საბარგო მატარებლები და მათ გრუხუნში იყო რაღაც ნაჩქარევი, ნამალევი, ნაძალადევი. ორთქლმავლები სულმოუთქმელად კიოდნენ, ქშინავდნენ, ორთქლად იღვრებოდნენ. საბარგო მატარებლების ვაგონებიდან ოფლის, შარდის და გაურეცხავი, დანესტიანებული ტანსაცმლისა და ქვეშაგებლის სუნი გამოდიოდა. ამ სუნს ვერც მაზუთის სუნი ახშობდა და ვერც დამწვარი ქვანახშირის. ასახლებდნენ კულაკებს, ასახლებდნენ ჯალაბებიანად და სარჩო-საბადებლიანად, ასახლებდნენ ათასობით და ათი ათასობით, ასახლებდნენ დადაღულ, ბაკში შეყრილ პირუტყვივით, ასახლებდნენ სამუდამოდ, ისეთ ადგილებში, საიდანაც ვერ ბრუნდებიან, ასახლებდნენ არა როგორც მეამბოხეებს, დამნაშავეებს, არამედ როგორც კლასს. საბარგო ვაგონებში ტევა არ იყო, დაუბანელნი და დასნეულებულნი ტილიანდებოდნენ, ყროლდებოდნენ და როცა უჰაერობისა და სივიწროვისგან იხუთებოდნენ, მატარებელს დროებით აჩერებდნენ, გასაწევ კარებს ბოლომდე აღებდნენ და ვაგონებიდან შხამიან ოხშივარს უშვებდნენ. პირქუშ, წვერმოშვებულ, ჯდომისაგან დაოსებულ მამაკაცებს და გაფითრებულ, თავსაფრიან დედაკაცებს ვაგონებიდან სიბინძურით სავსე კასრები გადმოჰქონდათ და, ბადრაგის თანხლებით, ფეხსადგილებამდე მიჰქონდათ და სანამ ისინი უკან მობრუნდებოდნენ, მკვდრებს თივადაგებულ დროგებზე ყრიდნენ და ჭირისუფალს გამოთხოვების უფლებასაც კი არ აძლევდნენ. მათ შორის იყვნენ ბავშვები, უწლოვანი გოგონები და ბიჭები, რომელთაც სახეზე ბავშვური მწუხარება შერჩენოდათ. ხელისუფლება ჩქარობდა კულაკების სამხრეთიდან ჩრდილოეთში გაყვანას, უპატრონოდ დარჩენილი საქონლის ბღავილის ორთქლმავლების კივილით ჩახშობას, იმის ამოძირკვას, რასაც მიწის სუნი უდიოდა და მიწასავით ჯიუტი იყო. თუმცა იმათ, ვინც წინდაცვეთილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წინდაუცვეთავ შვილებს ყინულოვანი ოკეანისკენ ერეკებოდა, მიწა არ უყვარდათ, მიწის დარდი არ ჰქონდათ, მათ მხოლოდ თავიანთი თავი, თავიანთი ხელისუფლება უყვარდათ და თუ მიწა არ დაემორჩილებოდა, არ გაეთელინებოდა, მასაც შეაპყრობდნენ და მოგუდავდნენ. შემოდგომის ცივი ქარი უმოწყალოდ ფლეთდა ცის ჩამოძენძილ კალთებს, ისლით დახურული ქოხები სანთლებივით იწვოდნენ, მძიმედ სუნთქავდა მიწაც და მისი ნაშიერიც, და არაფერი რჩებოდა ქვეყნად ისეთი, რაც ბნელით არ იმოსებოდა, არ კვნესოდა და არ ყმუოდა.

თუ როგორ მონატრებოდა ხუთი წლის მანძილზე მშობლიური ქალაქი, მხოლოდ მაშინ იგრძნო, როცა სადგურის მოედანზე გამოვიდა. ყველაზე მეტად იმან გაახარა, რომ ირგვლივ თითქმის არაფერი შეცვლილიყო, არაფერი არ მოითხოვდა სხვა თვალით აღქმას, სხვაგვარ შეფასებას. მოედნის ერთ კუთხეში ისევ იდგნენ ეტლები და მეეტლეები, ნიავს ნეხვისა და შარდის სუნი მოჰქონდა, მოედნის შუაგულში კი კვლავ დარახრახებდნენ ტრამვაის ღია, გრძელსაფეხურიანი ვაგონები. კურტნიანი მუშები ოფლს იწურავდნენ და გზას ითხოვდნენ. კოლორიტი, სუნი, ყაყანი იმდენად ნაცნობი, იმდენად მშობლიური იყო, რომ ერთი წუთით მისი მეხსიერებიდან მთლიანად ამოიშალა ყველაფერი, რაც სხვა ქალაქში გატარებულ დროის მონაკვეთს შეიცავდა. თბილისში მაშინაც შემოდგომის მზიანი დარი იდგა, თბილი სიო სახეზე ელამუნებოდა, რადიო რომელიღაც მატარებლის მეზობელი სადგურიდან გამოსვლას იუწყებოდა, მას კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ნაცნობი კურორტის სადგურზე ჩამოვიდა და არა მტვრიან ქალაქში.

ოციანი წლების ბოლოს თბილისში სამსახურის კი არა, სულ უბრალო სამუშაოს შოვნაც კი უსაშველოდ ჭირდა. შრომის ბირჟა ფორმალურად არსებობდა, გინდა მიგეკითხა და გინდა არა, მაგრამ ჯიბეში ინჟინრის დიპლომი ედო, ინჟინრები კი მაშინ სანთლით საძებარი იყვნენ და ამიტომ დიდხანს არ უწვალებიათ. ანკეტა, რომელიც შეავსებინეს, რამდენიმე მზაკვრულ კითხვას შეიცავდა: ვინ იყვნენ მისი მშობლები, რა საქმიანობას ეწეოდნენ, იყო თუ არა თვითონ კომკავშირელი ან პარტიული, სად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, რა საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა და ასე შემდეგ... კითხვები უაზრო იყო, ადამიანის ანკეტური მონაცემებით შემფასებელი, მაგრამ მაშინ სპეციალისტები ძალიან აკლდათ, კვალიფიკაციას ჯერ კიდევ უწევდნენ ანგარიშს და მის განცხადებას მის თვალწინ დაადეს რეზოლუცია წითელი ფანქრით. გადამწყვეტი როლი მაინც იმან ითამაშა, რომ უმაღლესი სასწავლებელი მოსკოვში ჰქონდა დამთავრებული. ინჟინერს მაშინ არა მარტო ინჟინრობა მოეთხოვებოდა, არამედ რუსულის ცოდნაც. იყო კიდევ ერთი გარემოება, რამაც მისი გაფორმება დააჩქარა. სასურსათო მაღაზიებთან და ფურნეებთან უზარმაზარი რიგები იდგა, პურსა და სხვა პროდუქტებს ბარათების მიხედვით არიგებდნენ და, ვინც არ მუშაობდა, უბარათოდ რჩებოდა. იმის დაკლება კი, რაც ერგებოდა, მის ხასიათში არ იყო. ამიტომ მანამდე არ მოეშვა ლურჯ გალიფეში გამოწყობილ შავულვაშიან ამხანაგს, სანამ უმუშევრობასა და ულუკმაპურობას თავი არ დააღწია.

კაბინეტიდან გამოსულმა ბრძანებას კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი და წარმატებად ისიც მიიჩნია, რომ მოსაცდელში აღარ მოუწევდა საათობით ჯდომა. რა თქმა უნდა, ერჩია სპეციალობის მიხედვით ემუშავა, კვალიფიკაცია აემაღლებინა, მაგრამ მაშინ თბილისში ჩარხმშენებელი ქარხანა არ არსებობდა, არც არავინ იცოდა, როდის აშენდებოდა და მთლად უმუშევარი რომ არ დარჩენილიყო, მექანიკურ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ქარხანა ძირითადად ქალაქის მეურნეობას ემსახურებოდა, ასხამდნენ თუჯს, ჩარხავდნენ რკინისა და ფოლადის დეტალებს. ბრძმედი გა-

ბიბლიოთეკა

ხული საუკუნისა იყო, ჩარხები რევოლუციამდელი, საამქროები გაჭვარტლული, თიხის იატაკი ზეთით გაჟღენთილი, მაგრამ ყოველივე ამას მუშები ისე იყვნენ შეჩვეული, როგორც ქართველები ღვინის, რუსები კი არყის სმას. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ დაწოლამდე შინ არ მიესვლებოდათ. იმ სივიწროვეში, ისინი რომ ცხოვრობდნენ, უდროო დროს შინ მისვლა ჩხუბსა და აყალმაყალს იწვევდა.

უკეთეს მდგომარეობაში არც თვითონ იყო. სიხარულს არც სამუშაოზე წასვლა ჰგვრიდა და არც შინ დაბრუნება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იმაში, რასაც აკეთებდნენ, არაფერი იყო დამაიმედებელი, დამაინტერესებელი, გამამხნევებელი; მეორეც, იმ ფასად, რასაც იგი იღებდა, თავის მოკვლა არ ღირდა. გარდა ამისა, ზამთრობით არც ქარხანა თბებოდა და არც ბინა. თუმცა, ბინა სახელად ერქვა, თორემ იმ სოროში, ქარხნის მახლობლად რომ იქირავა, საწოლის, მაგიდის, ოთხიოდე სკამისა და კარადის მეტი არაფერი ეტეოდა. საპირფარეშო და პირსაბანი, ანუ ჩვეულებრივი ონკანი, საერთო იყო. ხალათებში ჩაცმული ქალები, მხარზე პირსახოცგადაკიდებული მამაკაცები და საწოლებიდან ახალწამომხტარი ბავშვები მოუთმენლად ცქმუტავდნენ, ერთმანეთს მტრულად უყურებდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ ვინმე გაელანძღათ, დაეტუქსათ, არ მიეშვათ იქ, სადაც არშესვლა კაცს არ შეუძლია. რიგისა და ლანძღვა-გინებისათვის რომ თავი დაეღწია, უთენია დგებოდა, მოსასტუმრებელს ისტუმრებდა, ხელ-პირს იბანდა, ქალაქში გადიოდა და ქარხანაში მისვლამდე წახემსებასაც ასწრებდა. ცხოვრობდა მოსაწყენი, ერთფეროვანი, უსიხარულო ცხოვრებით. დაკლებით თითქოს არაფერს იკლებდა — არც თეატრს, არც კინოს, არც ჭამა-სმას, ცოლ-შვილი არ აწუხებდა და ღარიბი ნათესავები, მაგრამ ის გრძნობა, რომ არაფერს წარმოადგენდა და არავის სჭირდებოდა, მაინც მძიმედ აწვა გულზე. არადა, თავს ნიჭიერ, უნარიან, საქმიან კაცად თვლიდა, უინტერესო, უპერსპექტივო ცხოვრებისთვის არ ემეტებოდა. ყოველ დილით უგუნებოდ დგებოდა და ყოველ ღამე უგუნებოდ წვებოდა. პირველად სწორედ მაშინ იგრძნო ცხადად, რას ჰქვია ჭმუნვა, უაზრობა, გულჩათხრობილობა. ამ გრძნობას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის სიღატაკე და სიდუხჭირე, ქალაქს რომ ძონძებში გახვეულ მათხოვარს ამსგავსებდა და ტილიან თავს წვირიანი ფრჩხილებით აფხანინებდა.

უფერული, ცარიელი დღეები ისე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, როგორც გაზეთის ქაღალდზე დაბეჭდილი კალენდრის ფურცლები, და როცა თვალს ახელდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ცარიელ სკამებზე ვიღაცები ისხდნენ, მაგრამ ამის გამო არც იბოღმებოდა და არც თვალებს იფშვნეტდა. დაუპატიჟებელი სტუმრები არაფერს ითხოვდნენ, არაფერს აშავებდნენ და, როგორც კი ოთახში სინათლე შემოიჭრებოდა, მაშინვე ორთქლდებოდნენ. ფეხზე წამომდგარს არც დრო ჰქონდა და არც სურვილი იმისა, რომ მოჩვენებებს აჰყოლოდა, მათი ახირება გაეზიარებინა. ერჩია, ქუჩაში გასულიყო, თავდაღმართს დაჰყოლოდა, უზმოზე ერთი ჭიქა არაყი გადაეკრა და ხაში დაეყოლებინა. მართალია, შაბათს ან კვირას აბანოში მიდიოდა, მექისეს ტანს აზელინებდა, თმას იკრეჭდა და წვერს იპარსავდა, მაგრამ მთელი დღე აბანოში ხომ ვერ იქნებოდა და მერე უმიზნოდ დახეტიალობდა ქალაქში. ერთხელ, ასეთი ხეტიალის დროს, ნაცნობ ქალიშვილს გადააწყდა. სილამაზე რომ არა, ალბათ, ვერ იცნობდა, რაღაცნაირი დაბნეული, დანაღვლიანებული, ცხოვრებისაგან გამდგარი მოეჩვენა. ეცვა ღარიბულად, ისე, როცა ქალს ტანსაცმლის შერჩევის საშუალება არა აქვს. არადა, გასაბჭოებამდე ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა, მასწავლებლები შინაც დაუდიოდნენ და ქუჩაში ისე ჩაცმულ-დახურული გამოდიოდა, რომ ყურადღებას იქცევდა. მამამისი ცნობილი ვექილი იყო, მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესებს ხალხი სპეციალურად ესწრებოდა, ქართლში მამულებიც ჰქონდა და შეძლებულად ცხოვრობდა. ოდნავ ჩასუქებული, ენერგიული, პურმარილიანი კაცი იყო. ერთი-ორჯერ მათი ოჯახიც დაპატიჟა წვეულებაზე და სწორედ მაშინ გაიცნო ის, ვინც ახლა მის წინ იდგა და უღიმოდა.

— გამარჯობათ, როდის ჩამოხვედით? — ჰკითხა ქალიშვილმა ისე, თითქოს ოდესღაც ახლო მეგობრები ყოფილიყვნენ.

— ამ შემოდგომაზე.

— მშვენივრად გამოიყურებით.

— ახლა ყველა მშვენივრად გამოიყურება, ვინც მათხოვარს არა ჰგავს. როგორა ხართ, როგორ ცხოვრობთ, რას შერებიან თქვენები?

— ნუ მკითხავთ...

მარტოობამ ისე მოაბეზრა თავი, ისე მოენატრა ვინმესთან ადამიანურად დალაპარაკება, რომ გადაწყვიტა ეს შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა.

— თუ სულზე მისასწრები არავინაა და პაემანზე არ გეჩქარებათ, შევიდეთ აგერ იმ კაფეში, დავსხდეთ და ცოტა ვილაპარაკოთ. საამბობი, ალბათ, თქვენც ბევრი გექნებათ და რაღაც-რაღაცებს მეც გიამბობთ, — უთხრა ქალიშვილს და ყოყმანი რომ არ დაეწყო, მკლავში ხელი გაუყარა.

მათ ტრამვაი გაატარეს, ქუჩა გადაჭრეს და კაფეში შევიდნენ. კაფე თითქმის ცარიელი იყო. ამიტომ მყუდრო ადგილი მონახეს, ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ და ამ დროს ოფიციანტიც მოადგა მათ მაგიდას — ოქროსფრად თმაშეღებილი, ხორციანი და ღონიერი რუსი ქალი. მან კონიაკი, ყავა და ნამცხვრები შეუკვეთა. ასარჩევი მეტი არაფერი იყო და, რაც იყო, იმასაც ცეცხლი ეკიდებოდა.

— როცა რუსულად ლაპარაკობთ, ისეთი კილო გაქვთ, თითქოს თბილისში არ დაბადებულიყოთ და არ გაზრდილიყოთ, — უთხრა ქალიშვილმა და გვირილებიანი ლარნაკი განზე გასწია.

— ხუთი წელიწადი იმხელა დროა, რომ, კიდევ კარგი, მთლად არ გადავ-რჯულდი.

— არდადეგებზეც არ ჩამოდიოდით თბილისში?

— ვისთან ჩამოვსულიყავი?

— რა ვიცი, ნათესავებთან, ნაცნობმეგობრებთან.

— იმისათვის, რომ ნათესავს ან მეგობარს ეწვიო, არდადეგები მეტისმეტად დიდხანს გრძელდება. გარდა ამისა, იმ სივიწროვეში, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, ვინმეს კიდევ უფრო შევიწროება ღორობაა და მეტი არაფერი.

— მოსკოვში უკეთესი მდგომარეობაა?

— არა, ყველა კუთხე-კუნჭული იქაც მაქსიმალურადაა გამოყენებული, მაგრამ როცა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობ, ის კუთხე, შენ რომ გეკუთვნის, შენია და საბოდიშო არავისთან არაფერი გაქვს.

ოფიციანტმა კონიაკი, ყავა და ნამცხვრები მოიტანა. ნამცხვარი იმიტომ იყო იშვიათობა, რომ არც შაქარი იშოვებოდა, არც კარაქი და არც კვერცხი. ყველაფერ ამას ოქროს ფასი ედო და სამკაულებზე იცვლებოდა. ერთ მხარეს იწონებოდა პატიოსანი თვლები, ოქროვერცხლი, პლატინა, მეორე მხარეს კი შაქარი, კარაქი, ჩაი, ყავა და ასე შემდეგ. გლეხების გაპროლეტარებამ ბოლოს ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ საქონლის ბღავილი თბილისშიც კი ისმოდა.

— ნამცხვარს ისე გადავეჩვიე, რომ მიკარებაც კი მერიდება, — უთხრა ქალიშვილმა, როცა გადასაღებად გაუწოდა.

— ეგ არაფერი. მიუჩვეველის მიჩვევა ჭირს, თორემ მიჩვეულს ყელზე არაფერი დაადგება.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ იმდენი სიკეთე თქვენცა და მეც, რამდენი ლუკმაც პირზე დამდგომია, როცა გაგვიჭირდა. ისეთი ხალხიც კი გვერიდებოდა, სულ ჩვენთან რომ ეყარნენ და სკდებოდნენ. ერთხელ ერთმა კარიც კი მომიჯახუნა და ჩემს გასაგონად ჩაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზღუნა, რას დაეთრევიან ეს მუქთახორებიო.

— რას იზამ. ცხოვრება ცხოვრებაა და ყველაზე ვერაგი მტრები სწორედ ისინი არიან, სხვის სახლში რომ სკდებოდნენ.

— ჩემი თავი ჯანდაბას. მამა მეცოდებოდა, არ იმსახურებდა იმ დამცირებას, უმადურთაგან რომ იწვნია.

— აღარ არის ცოცხალი?

— არა.

— დახვრიტეს თუ დატირება მაინც ეღირსა?

— დახვრეტით არ დაუხვრეტიათ, მაგრამ ბოლო დროს მის სიცოცხლეს სიცოცხლე აღარ ერქვა. ჯერ იყო და, კერძო პრაქტიკა აუკრძალეს, მერე მამულები ჩამოგვართვეს, სახლში მდგმურები შემოგვისახლეს. იმხელა სახლიდან მხოლოდ ერთი ბინა დაგვიტოვეს. ჩვენსავე სამზარეულოში შესვლას გვიკრძალავდნენ, ჩვენივე საპირფარეშოთი სარგებლობას არ გვანებებდნენ, წურბელებს, სისხლისმსმელებს გვეძახდნენ. განსაკუთრებით მამა ამოიჩემეს, უჩიოდნენ, აბეზღებდნენ, ერთი ორჯერ ძლივს გადაურჩა დაჭერას. სანამ შეეძლო, იბრძოდა, თავს იცავდა, ზოგჯერ იქითაც კი უჩიოდა მოძალადეებს, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ სიმართლეს ვერსად იპოვიდა, ისეთი დეპრესია დაეწყო, ექიმებმა გვირჩიეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაგვეწვინა, მაგრამ მე და დედაჩემმა არ ვქენით და დარაჯად დავუდექით. მას შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. ეს ხორცსავსე, ენერგიული კაცი სანთელივით ჩამოდნა, დაილია, აჩრდილს დაემსგავსა და ისე დალია სული, რომ სიკვდილს არც კი შებრძოლებია. ჩემთვის ეს იმდენად მძიმე, იმდენად აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო, რომ დღემდე ვერ მოვსულვარ გონს.

მან კონიაკი დაისხა და ქალიშვილსაც დაუსხა. რაიმეს რჩევა, ნუგეშისცემა აქ ისევე ზედმეტი იქნებოდა, როგორც ცინიკური ანეკდოტის მოყოლა. გარდა ამისა, სათქმელი ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა და ამიტომ თანაგრძნობით ჰკითხა:

— დედა როგორაა?

— როგორ იქნება. სამსახურში ჩვენ არ გვღებულობენ და ადამიანებად ჩვენ არ გვთვლიან. რაც შეგვარჩინეს, თითქმის ყველაფერი გავყიდეთ, არ გვაცვია და არ გვახურავს. თავს მხოლოდ კერძო გაკვეთილებით ვირჩენთ. ხანდახან ვინმეს სათარგმნელი აქვს რამე და ცოტათი ესეც გვეხიდება. საგონებელში კი ის მაგდებს, რომ რაც დრო გადის, დედა სულ უფრო და უფრო მორწმუნე ხდება, წირვას არ აცდენს და მეზობლები ალმაცერად უყურებენ. არ ვიცი, რა წყალს მივცე თავი, კიდევ ერთ დარტყმას მე ვერ გავუძლებ.

ეს სუსტი, ნატიფი, უაზრო ბრძოლაში ჩათრეული ქალიშვილი არ ემეტებოდა იმისათვის, რომ ცხოვრებას გაეთელა, გაეძარცვა, უდროოდ ჩაეყვანა მიწაში. ახლა მას მხარში ამომდგომი, დამცველი, გამამხნევებელი სჭირდებოდა, მაგრამ რაღაც დათმობაზე ქალიშვილიც უნდა წასულიყო. დაევიწყებინა ის ცხოვრება, როგორითაც ერთ დროს ცხოვრობდა, ეპატიებინა ხელისუფლებისთვის მამის გაუბედურება, ოჯახის გალატაკება, არ შეეხსენებინა უმადურთათვის უმადურობა, უმეცართათვის უმეცრება, მეზობლებისთვის უხეშობა და გაუტანლობა. ის ცხოვრება, მას რომ ანებივრებდა, აღარ არსებობდა და აღარასოდეს იარსებებდა. ეს უნდა შეეგნო, უნდა შეგუებოდა იმ რეალობას, დრომ რომ მოიტანა და თუ ვინმე დასახმარებლად ხელს გაუწვდიდა, ამ ხელისათვის ხელი არ უნდა ეკრა. მართალია, ამგვარი გარდასახვა, სულ სხვაგვარი ცხოვრების დაწყება იოლი საქმე არ იყო, დიდ ძალასა და შემართებას მოითხოვდა, რასაც შეიძლება გაეხრისა კიდეც, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა და თუ მართლა არ იცოდა, რომელი წყლისათვის მიეცა თავი, არ უნდა ეუკადრისებინა ის ადამიანები, ის გარემო და ის სინამდვილე, რომელსაც ვერც მოერეოდა და ვერც გულს მოულბობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დალიეთ ერთი ჭიქა კონიაკი; თუ ხასიათზე ვერ მოგიყვანთ, მოკლით მაინც არ მოგკლავთ. დღეს პირველად შევხვდით ერთმანეთს და არ მინდა ისე გახვიდეთ აქედან, რომ უიმედობის მეტი არაფერი გაიტანოთ, — უთხრა მან ქალიშვილს, როცა ზოგი რამ აწონდაწონა.

— კონიაკი რომ უიმედობას აქარწყლებდეს, ერთ ჭიქას კი არა, ერთ ბოთლს დავლევდი, მაგრამ იმასაც ამბობენ, დათრობამ გულის აჩუყება და ცრემლების მოგვრა იცისო.

— აი, მაგას კი ვერ მოგიწონებთ. ცრემლის ღვრა აქ არა მარტო უადგილო იქნება, არამედ ისეთ ეჭვსაც გამოიწვევს, რომ ალმაცერად დამიწყებენ ყურებას. მე კი თქვენთვის ჯერ არაფერი დამიშავებია.

— მართალია, არ დაგიშავებიათ, მაგრამ რაღაც-რაღაცების დანახვა და განჭვრეტა მეც ვისწავლე და მიჭირს იმის დამალვა, რაც არ მომწონს და რისი მიღებაც არ შემიძლია.

— რისი მიღება არ შეგიძლიათ?

— თუნდაც იმის, რომ ლოიალურად ხართ განწყობილი იმ ხალხის მიმართ, ვინც მე არა მარტო დამიშავა, არამედ ამქვეყნიდან გადაშენებასაც კი მიპირებს.

არ ეგონა, ასე მალე თუ ჩამოწვებოდა მათ შორის ის შავი ღრუბელი, რომლის არც გაფანტვა იყო ადვილი და არც ისე გამოწურვა, რომ ცრემლი და უთანხმოება არ გამოეწვია. იმ გარემოში კი, სადაც ისხდნენ, არც ერთი აწყობდა და არც მეორე. განსაკუთრებით მეორე, რადგან ქალიშვილს შეეძლო წონასწორობიდან გამოსულიყო, გაცხარებულიყო, აყვირებულიყო და რაღაც ისეთი წამოსცდენოდა, რასაც არავის აპატიებდნენ. ეს კი მისი ბრალი იქნებოდა, მან გამოიჩინა ინიციატივა, დაპატიჟა კაფეში, დაალევინა კონიაკი და, რამე რომ მომხდარიყო, ცოდვაც მას დააწვებოდა კისერზე. საქმე რომ სკანდალამდე არ მისულიყო, არა მარტო წინდახედულება სჭირდებოდა, არამედ დიდი მოთმინებაც.

— ჩემი გაკიცხვის უფლება მხოლოდ მაშინ გექნებოდათ, უსახლკარო რომ არ ვიყო და შრომით არ ვირჩენდე თავს. რაც შეეხება ლოიალობას, არ მიყვარს, როცა კაცი მოთმინებასთან ერთად ჭკუასაც კარგავს და კედლის თავით განგრევას იწყებს. ეს არა მარტო ხასიათის სისუსტეზე მეტყველებს, არამედ მორალურ უმწეობაზეც. მე არც სინამდვილეს გავურბივარ და არც იმაზე ვხუჭავ თვალს, რაც დასანახი და ანგარიშგასაწევია, — უთხრა მან ქალიშვილს და ყავა ისე მოსვა, მისი სახის გამომეტყველებისთვის თვალი არ მოუშორებია.

— ნუთუ თქვენთვის ყველაფერი ის, რაც ირგვლივ ხდება, მოსაწონი, ასატანი და მისაღებია, ნუთუ ზნეობრივი უმწეობაა ის, რომ მამის მკვლელებს მკვლელობა არ აპატიო, დაიცვა საკუთარი ღირსება და ამქვეყნად არსებობის უფლება? თქვენ თუ ასე ფიქრობთ, მათი წყალი გადაგსხმიათ და ეს არის.

— ახლა ისიც არ დამაბრალოთ, რომ აქ განგებ შემოგიტყუეთ, რომ პროვოკაციაზე წამოგაგოთ და გავიგო, რით სუნთქავთ?

— ჩემს ირგვლივ იმდენი უმსგავსობა და უსამართლობა ხდება, ისე გადაგვარდნენ და გადაჯიშდნენ ადამიანები, რომ გასაკვირი არც ეს იქნება.

— ჩვენს დროში გასაკვირი მართლაც არაფერია, წაღმა სიარული საზიანო აღმოჩნდა, მაგრამ ჩემს ავკაცობაში მაინც არა ხართ დარწმუნებული. ეს რომ ასე იყოს, სხვაგვარად მოიქცეოდით.

— მაინც, როგორ?

— ან ადგებოდით და წახვიდოდით, ანდა თქვენს ცდუნებაში თქვენვე მომეხმარებოდით.

ქალიშვილს გაეცინა.

— არ ვდგები და არ მივდივარ მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდა შეურაცხყოფა მოგაყენოთ, ჩემს ცდუნებაში კი იმიტომ ვერ მოგეხმარებით, რომ ამის გამოცდილება არა მაქვს.

ღიმილმა ყინვა გალხო, შავი ღრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ცოტათი გაიცრიცა. თხელმა, აცახცახებულმა ხელის მტევანმა დაჭმუჭნილი სუფრა გაასწორა. ამ გასწორებაში იყო რაღაც დამაწყნარებელი, შემრიგებლური. ახლა ძველის გახსენებას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ შეიძლება ქალიშვილს სადღაც ღრმად, სულის კუნჭულში შეგნებული ჰქონდა, რომ როცა თვითონ ფუფუნებაში ცხოვრობდა, სხვა ბავშვები შიმშილობდნენ, მათხოვრობდნენ, გამონაცვლებში იზრდებოდნენ და ის წესწყობილება რომ კარგი ყოფილიყო, არავინ აუჯანყდებოდა, არავინ დაამხობდა.

— თქვენ, ალბათ, იფიქრეთ, საქმე არაფერი მაქვს, უაზროდ დავხეტიალებ ქუაში; მოდი ამ გოგოს კაფეში დავპატიჟებ; თუ გამოვრჩები რამეს, ხომ კარგი, თუ არადა, ცოტას გავერთობი, გულს გადავაყოლებო, მაგრამ, როგორც ხედავთ, თავი თვითონვე დაისაჯეთ: ვერც ანგარიში გაგიწიეთ და ვერც თანაგრძნობა.

— დასჯილი მაშინ ვიქნებოდი, უარი რომ გეთქვათ. მაგრამ რადგან დამთანხმდით, ამით არა მარტო პატივი მეცით, არამედ ჩვენს ურთიერთობასა და დაახლოებასაც ჩაუყარეთ საფუძველი.

— ჩემთან დაახლოება თქვენისთანა პრაგმატულად მოაზროვნე კაცს ხელს თუ შეუშლის ცხოვრებაში, თორემ ვერაფერში დაეხმარება.

— თქვენგან მე არავითარ გამოსარჩენს არ ველი ანდა რას უნდა გამოგრჩეთ, როცა ალარაფერი გაგაჩნიათ. რაც შეეხება პრაგმატიზმს, მე მაინც ისეთ ხალხთან მირჩევნია ურთიერთობა, ვისაც რამეში დააჯერებ, ვიდრე იმათთან, ვინც ბრმა და ყრუა.

— ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ბრმა და ყრუა, მე ვარ.

— ყრუები მეორე ადამიანს ისე არ უსმენენ, როგორც თქვენ მე მისმენთ, არც ბრმები სწევენ გვერდზე ლარნაკს. თქვენი უბედურება ისაა, რომ წარსულს ჰყავხართ დატყვევებული და მისი ზეგავლენისაგან ვერაფრით გათავისუფლებულხართ.

— არც მინდა გავთავისუფლდე.

— რომ არ გინდოდეთ, არც იტყოდით, არ ვიცი, რომელ წყალს მივცე თავიო.

— ეს მე იმიტომ ვთქვი, რომ დედა მეცოდება და არა ჩემი თავი.

— დედათქვენს თქვენზე უკეთესად აქვს საქმე, ღმერთი მაინც სწამს, თქვენ კი წარსულის მეტი არაფერი დაგრჩენიათ.

— მართალია, მაგრამ უფრო ძვირფასი არაფერი მაქვს.

— არ გედავებით; ისეთ ცხოვრებას, როგორიც გქონდათ, ალბათ, ვეღარ ეღირსებით, მაგრამ ბორკილი ბაჯაღლო ოქროსიც რომ იყოს, მაინც ბორკილია.

— თუ არ მემეტება?

— რისთვის არ გემეტებათ?

— დასამტვრევად, გადასაგდებად, დასავიწყებლად.

— ვინ გეუბნებათ, გადააგდეთო, ჩადეთ სკივრში და შეინახეთ.

— სკივრში ნაფტალინის სუნი აუვა.

— წარსულს უნდა უდიოდეს კიდეც ნაფტალინის სუნი.

უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, უფრო პირდაპირ, უფრო შეუბრალებლად, მაგრამ აზრი არ ჰქონდა ფარდის ახდას იმისათვის, რაც ისედაც ცხადი იყო. სამოქმედო სივრცის ძველმანებისაგან გათავისუფლებას დრო და მოთმინება სჭირდებოდა და რადგან ერთიც თავსაყრელად ჰქონდა და მეორეც, წარსულის აწმყოზე გადართვა თანდათანობითაც შეიძლებოდა. სინამდვილე მხოლოდ მაშინ გააქარწყლებდა დრომოჭმულ ცხოვრებას, როცა სიმკვეთრეს, დამაჯერებლობას შეიძენდა. ეს კი მის შნოსა და ლაზათზე იყო დამოკიდებული.

ქალიშვილთან ურთიერთობაში ისეთ ზღვარს მიაღწია, რომლის გაგრძელებას შეიძლება განხეთქილება გამოეწვია, შეიძლება თვითონაც გადატვირთულიყო და ქალიშვილიც გადაეტვირთა. ამიტომ ოფიციანტს ხელით ანიშნა, ანგარიში გაესწორებინა და შეეცადა იმდღევანდელი შთაბეჭდილებები მანამდე შეენარჩუნებინა, სანამ ბოლომდე ჩამოყალიბდებოდა, დასრულებულ სახეს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილებდა. ეს დღე მისთვის ისეთი იყო, რომ არ უნდოდა მეხსიერებიდან იოლად ამოშლილიყო.

— რას აკეთებთ საღამოობით? — ჰკითხა ქალიშვილს.

— რას უნდა ვაკეთებდე, ვზივარ და იმაზე ვფიქრობ, რით იქნება კიდევ უფრო უარესი ხვალინდელი დღე.

— დედათქვენს თუ ვახსოვარ?

— როგორ არა, ამას წინათ რაღაცასთან დაკავშირებით გაგიხსენათ კიდეც.

— ქვეყანა ხომ არ დაიქცევა, ხვალ ან ზეგ რომ შემოგიაროთ?

— მეტი რა უნდა დაიქცეს, დაგვდეთ პატივი და გვესტუმრეთ.

იმ დღიდან მოყოლებული თითქმის ყოველ საღამოს მათ სახლში იჯდა. მოწყენილობა და უგუნებობა იმედიანმა განწყობილებამ შეცვალა, ჩაის სმამ და შინაურულმა საუბრებმა უფრო სისტემატური, უფრო გონივრული ხასიათი მიიღო. ქალიშვილი ნელ-ნელა იბრუნებდა იმ ჩვევებსა და საქციელს, დრომ რომ გააუფასურა და გააუხეშა. სულ უფრო ნაკლებად და ნაკლებად ისმოდა მკვახე სიტყვა, გესლიანი ფრაზა, სარკასტული ინტონაცია. აღარც ცხოვრება ეჩვენებოდა ისეთი მძიმე და აუტანელი, რომელსაც უნდა გაექცე, დაემალო, ზურგი აქციო. ფანჯრების გაღებამ ოთახში დაგუბებული ჰაერი გაანიავა, სახლი შემავიწროებლებისაგან გათავისუფლდა, ქუჩა—წამომძახებლებისაგან. ის უნდობლობა, ქალიშვილს რომ ბოჭავდა და საკუთარი თავიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა, ნდობამ და კეთილგონიერებამ შეცვალა და ორი თვის შემდეგ მათ იქორწინეს, უფრო სწორად „მმაჩის" ბიუროში მოაწერეს ხელი. ხელის მოწერის შემდეგ ცოლთან და სიდედრთან გადავიდა საცხოვრებლად. ხელიდან ბევრი არაფერი გამოუდიოდა, მაგრამ რაღაც-რაღაცები მიაკეთ-მოაკეთა, შეღებ-შემოღება, ბინა ბინას დაამსგავსა. ხუთ წელიწადში ორი ვაჟი და ერთი ქალი ეყოლათ. ბავშვებმა სახლი გააცოცხლეს, გააფართოვეს, ოჯახში თავიანთი უფლებები და პრობლემები შემოიტანეს. ცოლს არათუ წარსული და სოციალური უსამართლობანი ახსოვდა, ზოგჯერ ისიც კი არა, ვინ იყო, სად იყო, უჭირდა თუ ულხინდა. უთენია დგებოდა და ნაშუაღამევს წვებოდა. ყველაფერი მისახედი, მოსასწრები იყო და ორი ქალი ძლივს აუდიოდა საქმეს. ბავშვებმა სიდედრიც გაამხნევეს, ისეთი რაღაცები დაავიწყეს, რის დავიწყება ვერც კი წარმოედგინა. მიუხედავად ამისა, ცხოვრობდნენ უდავიდარაბოდ, უპრეტენზიოდ, კმაყოფილდებოდნენ იმით, რაც ჰქონდათ და ერთმანეთის ხელშეწყობით სხვებზე ნაკლებად არ უმკლავდებოდნენ იმ წლებს, როცა ფურნეებში პურის მაგივრად ჭადს აცხობდნენ და იმასაც სულადობის მიხედვით იძლეოდნენ. ერთი სიტყვით, იმ წლებში თუ კმაყოფილი არა, უბედური მაინც არ იყო. და სწორედ მაშინ, როცა ცხოვრება ცოტათი გაუმჯობესდა, რესტორნები და სასადილოები ხელმისაწვდომი გახდა, მაღაზიებში სურსათ-სანოვაგე და ჩასაცმელ-დასახური გაჩნდა, დაიწყო არნახული რეპრესიები და მირიან ზარდაშელს სწორედ მაშინ მოუნდა გახელება და კედლის თავით განგრევა.

## XI

მოსკოვი თითქმის ისეთივე დახვდა, როგორიც დატოვა. სიახლეს მხოლოდ მეტროს რამდენიმე პომპეზური სადგური წარმოადგენდა. მათი ინტერიერი ისე იყო მოქანდაკებული და მოხატული, როგორც ამას არაბუნებრივი რეჟიმი და არაბუნებრივი ეკონომიკა მოითხოვდა. მსოფლიოში საუკეთესო „მიწისქვეშეთი" ვერაფერს სძენდა იმ ნაგებობების სიძველესა და უსახურობას, მეტროს სადგურებს რომ ერტყა ირგვლივ, ვერავითარ ბრწყინვალებას ვერ მატებდა მტვრიან და ულაზათო ვიტრინებს, რომელთა ექსპოზიცია გამვლელ-გამომვლელთა გემოვნებას ამახინჯებდა. მიწის ქვეშ უხვად იბნეოდა სინათლე, მიწის ზემოთ კი სიბნელე, და ეს ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს მიწის ზედაპირი საცხოვრებლად აღარ ვარგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ნაკლებად დაცული, ნაკლებად საიმედო იყო და საცხოვრებლები მიწის ზედაპირზე კი არ უნდა აეშენებინათ, სადაც ათასი ჯურის ქარი უბერავდა, წვიმდა, თოვდა, მზე წითელ ფერსაც კი აზუნებდა, არამედ მიწის ქვეშ, სადაც ყველაფერი ადამიანის ხელს ემორჩილებოდა, მოძრაობაც, მექანიზმებიც, განათებაც, და საიდანაც გაქცევა თითქმის შეუძლებელი იყო. ბარელიეფები, კომპოზიციები, ჭაღები მაღალფარდოვნებით გამოირჩეოდნენ და არაფერი ეცხოთ ისეთი, რაც მათ უშუალო დანიშნულებას გაამართლებდა. მეტროს სადგურები არაფრით ჰგავდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ჩვეულებრივ გაჩერებებს, ეს უფრო რევოლუციური აპოთეოზის გამომხატველი სანახაობა იყო, იატაკქვეშეთი, იმ სარდაფების სასახლეებად გარდაქმნა, საიდანაც მიწის ზედაპირზე წამოჭიმული სასახლეებისაკენ „ურას" ძახილით დაიძრნენ პირგამეხებული მუშები და ჯარისკაცები, რომლებიც ბარელიეფებზე დევკაცებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთ. ამ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ფერებიც საგანგებოდ იყო შერჩეული — ჭარბობდა წითელი და მეწამული ფერი, მაგრამ არც თეთრი და ნაცრისფერი მარმარილოს ნაკლებობა იგრძნობოდა. ყველაფერი ბუნებრივი და მდიდარი იყო, ნაცრისფერიც კი არ ჰგავდა იმ სინაცრისფრეს, კიბეზე ამავალ და ჩამავალ მგზავრებს რომ ედოთ სახეზე. გრანდიოზული ფიგურები და კომპოზიციები ამ პატარა, ერთფეროვან ბრბოდ ქცეულ ადამიანებს კი არ ამხნევებდა, კი არ ამაღლებდა და ამდიდრებდა, არამედ ათანაბრებდა, ასერიოზულებდა, აპირქუშებდა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ და არა უნიფორმა, სამუშაოზე მიმავალნი მაინც ჯარისკაცებს ჰგავდნენ. არავითარი გადალაპარაკებ-გადმოლაპარაკება, არავითარი ჟესტიკულაცია, არავითარი სიცილი. წესრიგის დარღვევა მათში მტრულ განწყობილებას უფრო იწვევდა, ვიდრე აღშფოთებას. შეიძლება ამ მტრულ განწყობილებას ქვეცნობიერად ისიც ამძაფრებდა, რომ მეტროს სადგურები ადამიანებს არ ეკუთვნოდა, მეტროს სადგურები და ადამიანები როგორღაც ცალცალკე არსებობდნენ, სხვადასხვანაირი ფერი ედოთ და ამ ფერთა აღრევა ისეთ საშინელებას გამოიწვევდა, ამ ქალაქმა ორი ათეული წლის წინათ ძლივს რომ დააღწია თავი.

როცა მოსკოვში ჩავიდა, პირდაპირ კი არ შეუდგა საქმეს, არამედ ჯერ ნაცნობები და თანაკურსელები მოიკითხა, გაიგო, ვინ სად მუშაობდა, რა თანამდებობა ეკავა, რა წონა ჰქონდა, მრეწველობის რომელ დარგს განაგებდა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ფიქრი იმაზე, ვინ უფრო გამოადგებოდა. როგორც გაირკვა, უმეტესობა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში მუშაობდა. რა თქმა უნდა, ამ მოკითხვა-გამოკითხვაში ისიც გაირკვა, ვინ დაიჭირეს, ვინ დახვრიტეს ან გადაასახლეს და ვინ გამოარჩიეს და დააწინაურეს. შემდეგ, როცა დასჯილთა და დაწინაურებულთა ვინაობა გაიხსენა და ისინი მათი დამსახურების მიხედვით დააჯგუფა, აღმოჩდა, რომ დასჯილთა შორის იყვნენ იდეური, პრინციპული პიროვნებები, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილენი და კოლექტივიზაციის მტკიცე ხელით გამტარებელნი, დაწინაურებულთა შორის კი უპრინციპონი, მედროვენი, კარიერისტები, კონფორმისტები. უპრინციპოებს, იდეით შეპყრობილებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ამბიციები არ აწუხებდათ, მთავრობას პრეტენზიებს არ უყენებდნენ, არ აკრიტიკებდნენ და ამა თუ იმ დაჯგუფების გავლენაში არ ექცეოდნენ. ამავე დროს არც მლიქვნელობას თაკილობდნენ და არც ნაცრის თვალებში შეყრას. მათ სწორედ მაშინ დაიწყეს პარტიაში შესვლა, როცა რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანებს იჭერდნენ, როცა თანამეპრძოლებზე მეტად მორჩილი მოხელეები სჭირდებოდათ. პირადად ამას თაობათა ცვლა, ბიუროკრატული აპარატის გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალგაზრდავება ხელს აძლევდა და საქმეს უადვილებდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ყოველგვარი იდეები და მითები ფეხებზე ეკიდა, მეორეც იმის გამო რომ რევოლუციის წინაშე დამსახურების დამადასტურებელ საბუთებს არ მოსთხოვდნენ. ამიტომ უფრო გაბედულად ესტუმრა ბინაზე ერთ-ერთ თანაკურსელს, რომელიც ცეკას ბიუროკრატულ აპარატში მუშაობდა და ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ინდუსტრიალიზაციის საკითხებს განაგებდა.

ჟელუდკოვი მარტოხელა, სიღარიბეში გაზრდილი, წინდახედული კაცი იყო, დამოუკიდებლად ნაბიჯის გადადგმა უჭირდა და ჯერჯერობით ვიღაცის, ალბათ, რეპრესირებულის გამონაცვალი ბინა ჰქონდა მიღებული იმ სახლში, სადაც ცეკას ბიუროკრატული აპარატის მოხელეები ცხოვრობდნენ. სახლს მილიციელი არ იცავდა და ისე აირბინა მეოთხე სართულამდე, რომ არავის გადაყრია. კვირა დღე იყო, გარეთ გვარიანად ციოდა. საღამო რომ ტყუილუბრალოდ არ დაეკარგა, წინასწარ დაურეკა, ხმაზე იცნო და ახლა სწორედ მასპინძელმა გაუღო კარი. სპორტული შარვალი, თბილი ჯემპრი და თბილი ფლოსტები ეცვა, ფერი ჩინოვნიკისა ედო, წაბლისფერი თმა ოდნავ შეთხელებოდა. ჟელუდკოვმა მაშინვე იცნო, მოეხვია და შინ შეიყვანა. ბინა უბრალოდ, სამამულო ავეჯით იყო გაწყობილი, რომელიც შეიძლება ჟელუდკოვს ბინასთან ერთად ერგო წილად. მძიმე დივანი, მძიმე მაგიდა, საწერი მაგიდაც კი უსაშველოდ მიძმე ჩანდა და ამ სიმძიმეს კედელზე დაკიდებული შიშკინის „ტყის პეიზაჟიც“ კი ვერ აქარწყლებდა.

— ყველაფერს ვიფიქრებდი, იმას კი არა, შენ თუ მესტუმრებოდი. ხშირად გიგონებდით, ლხინშიც გვაკლდი და ჭირშიც. დაჯექი, აი, აქ, ახლავე რაღაცას მოვახლაფორთებ, მერე კი, თუ გინდა, დილამდე ვისაუბროთ, — უთხრა ჟელუდკოვმა და სამზარეულოში გასვლა დააპირა.

— შენ მხოლოდ თეფშები და ჭიქები გადმოიღე, დანარჩენისათვის თავს ნუ შეიწუხებ. დრო რომ ტყუილუბრალოდ არ დაგვეკარგა, ხელს რაღაც-რაღაცები გამოვაყოლე, — შეაჩერა მან ჟელუდკოვი, პორტფელიდან ორი ბოთლი კონიაკი, დაჭრილი ძეხვი, ყველი, მუჟუჟი, ერთი ქილა მჟავე კიტრი ამოალაგა და მაგიდაზე დააწყო. ჟელუდკოვმა სიამოვნებისაგან ხელები მოიფშვნიტა. სუფრა სწრაფად, ყოველგვარი გაქცევა-გამოქცევის გარეშე გაიშალა. უნიღბოდ ჟელუდკოვი გაცილებით უფრო უბრალო და უკომპლექსო ჩანდა. მან კონიაკი გახსნა და ჭიქები შეავსო.

— ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, — თქვა ჟელუდკოვმა ერთგვარი საზეიმო განწყობილებით და კონიაკი ისე გადაკრა, გემო არც კი გაუსინჯავს. დალევა მასაც მოუწია, რადგან, რომ არ დაელია, მასპინძელი იწყენდა, შეიძლება ეჭვიც კი აღძროდა.

— აბა, ახლა მომიყევი, რას აკეთებ, როგორ ცხოვრობ, რა ხდება თბილისში, აფასებენ შენისთანა სპეციალისტს თუ არა? — ჰკითხა ჟელუდკოვმა და თვალები აუჟუჟუნდა.

მას წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, რა როგორ ეთქვა, რაზე გაემახვილებინა ყურადღება, როგორ გადაეადგილ-გადმოეადგილებინა შუქ-ჩრდილები და როგორ მიენიჭებინა ხმისათვის ისეთი ჟღერადობა, რომ გულწრფელი და დამაჯერებელი ყოფილიყო. ერთადერთი, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოსცდენოდა, რაც რადიკალურად შეცვლიდა ჟელუდკოვის მისდამი დამოკიდებულებას, იმ ორგანოების სახელწოდება იყო, რომელთაც გამოექცა.

— რა გითხრა, — დაიწყო მან მშვიდი, ოდნავ მელანქოლიური ხმით. — თბილისი ძველი, პროვინციული ქალაქია და როგორც ყველა პროვინციულ ქალაქში, მასშტაბები იქაც ვიწროა. არ არსებობს არავითარი ინდუსტრია, არავითარი ჩარხსამშენებლო ქარხანა, არავითარი საკონსტრუქტორო ბიურო, არავითარი ექსპერიმენტული ლაბორატორია. იმ ქარხანას, სადაც ვმუშაობ, ჩემს პრო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფესიასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს, არც მომავალში ჩანს რამე ისეთი, საიმედო რომ იყოს. ამასობაში კი შეიძლება კვალიფიკაცია დავკარგო, ჩამოვრჩე და ვერც ჩემს თავს გამოვადგე და ვერც ქვეყანას.

— აი, ამის დაშვება კი არაფრით არ შეიძლება. ჩვენ კვალიფიციური მუშაკები გვაკლია, განსაკუთრებით ახალგაზრდები; არ ვიცით, საიდან მოვიყვანოთ, შენ კი ამ დროს ისეთ საქმეს ადგახარ, რისი გაკეთებაც ყველას შეუძლია და ამით სახელმწიფოს ზარალს აყენებ.

მას გუნებაში გაეღიმა, როცა ჟელუდკოვი სახელმწიფო ინტერესების დამცველად და დარაჯად მოევლინა. იგი ერთი უბრალო, ყოვლად ჩვეულებრივი ყმაწვილი იყო, რომელსაც რევოლუციისათვის არაფერი გაუკეთებია და პროვინციული ქალაქიდან მოსკოვში მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ უმაღლესი სასწავლებელი დაემთავრებინა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, იგი თუ ხელისუფლებას დასჭირდებოდა და ამხელა საქმეს მიანდობდნენ.

— არ გედავები, — უპასუხა მან. — მაგრამ რა გინდა ქნა. ყველა თანამდებობის პირი ხომ ვერ იქნება და ყველა მოსკოვში ხომ ვერ იცხოვრებს, ქარხნებსაც ხომ უნდა მიხედოს ვინმემ. მართალი გითხრა, მოსკოვში ცხოვრება არც მაინტერესებს. მიყვარს რუსეთის სივრცე, მასშტაბები, ფართო სამოქმედო ასპარეზი. მე ჯერ კიდევ შემომრჩა ის რომანტიკული განწყობილება, ახალგაზრდობაში რომ გვქონდა. მინდა კიდევ ერთხელ გამოვცადო ჩემი თავი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, რის მაქნისი ვარ და რისი არა.

— კაბინეტში ჯდომას და ქაღალდების ქექვას არც მე ვაპირებდი, გული ნამდვილი საქმისაკენ, იმ ქალაქებისაკენ მიმიწევდა, სადაც ახლა ჩვენი ინდუსტრიული გიგანტები შენდება, მაგრამ ცხოვრების ისე აწყობა, როგორც გინდა, ყოველთვის არ ხერხდება. დამიბარეს, დამავალეს, მითხრეს, აქ უფრო საჭირო ხარ, ვიდრე იქაო და, როგორც პარტიის წევრს, უარი არ გამივიდა. არადა, ამ ბინაში თავს ისე ვგრძნობ, როგორც დეზინფიცირებულ ბუნაგში.

ჟელუდკოვი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ულებდა ალღოს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და არც რადიკალიზმისკენ იხრებოდა და არც ლიბერალიზმისკენ, არც წინ გამოხტომა უყვარდა და არც საგრძნობი მანძილით ჩამორჩენა. მისი საქმე მოვლენების ზღვარზე დგომა იყო, რაც ყოველთვის აძლევდა იქითკენ გადახრის საშუალებას, საიდანაც ქარი უბერავდა. პარტიაში სწორედ მაშინ შევიდა, როცა იგრძნო, რომ მალე მისთანები დასჭირდებოდათ.

— ვინ ცხოვრობდა შენამდე ამ ბინაში? — ჰკითხა მან ჟელუდკოვს და კონიაკი დაუსხა.

ჟელუდკოვმა ჯერ კონიაკი გადაკრა, მჟავე კიტრი დააყოლა და მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა:

— ერთი ძველი რევოლუციონერი, რომელიც ბოლოს პირწავარდნილი ტროცკისტი და უცხოური დაზვერვის ინფორმატორი აღმოჩნდა. ყოველივე ეს რომ თვითონ არ დაედასტურებინა სასამართლოზე, არ დავიჯერებდი. ბუნებით იმ ტიპის მოღვაწე იყო, ლოზუნგების დაზეპირება და მუშათა მიტინგებზე გამოსვლა რომ უყვარდათ. ასეთებისაგან ეს სახლი თითქმის დაიცალა, თანაც ჩუმად, გაუხმაურებლად. ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში ძველებიდან მხოლოდ ტექნიკური პერსონალი დარჩა. ენთუზიასტებისა და მომიტინგეების დრო წავიდა. იმ დიდ საქმეს, პარტიამ და ხელისუფლებამ რომ წამოიწყო, ახალგაზრდა, ენერგიული, კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება. დილეტანტები საპროექტო და საკონსტრუქტორო ბიუროებს, კვლევით ინსტიტუტებს, ექსპერიმენტულ ლაბორატორიებს ვერ გაუძღვებიან და, ჩემი აზრით, კარგი ქნეს, ისინი რომ მრეწველობის ამ მნიშვნელოვან დარგს ჩამოაშორეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ავეჯიც იმათია?

— კი, იმათია.

— მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს.

— რით?

— ულაზათობით და უცხვირპირობით.

— ბინის დაქირავების უფლება რომ მქონდეს, ამ ვიწროსარკმლებიან, გაუნიავებულ ბინაში ერთ დღესაც არ დავრჩებოდი. ეს ავეჯი და ეს კედლები დარშიც კი პირქუშად იმზირებიან.

— ბინის დაქირავების უფლება რატომ არა გაქვს?

— პარტიას მე ყოველთვის იქ უნდა ვეგულებოდე, სადაც ადგილი მიმიჩინა. ეს ტელეფონიც აქ იმიტომ დგას, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს დარეკვა. ნაქირავებ ბინაში კი შეიძლება ტელეფონი საერთოდ არ იყოს, ანდა იყოს, მაგრამ საერთო. ჩვენ რომ დღე და ღამე არ ვმუშაობდეთ, ასეთ წარმატებას ვერ მივაღწევდით.

— თუ ასეა, არც გაცვლის უფლება გექნება?

— დაუკითხავად არც გაცვლის უფლება მაქვს.

— ცოლი რომ შეირთო და მასთან გადახვიდე?

— არ ვიცი, ჩემი ხასიათის ბრალია თუ დრომ მოიტანა. ჯერ ვერ შევხვდი ისეთ ქალს, რომლის ცოლად შერთვა მნდომებოდეს. გარდა ამისა, ხომ გითხარი, ბინის დაუკითხავად გამოცვლის უფლებას მე ასეთი ანგარიშგასაწევი მიზეზიც კი არ მაძლევს.

— მეზობლებთან თუ გაქვს რაიმე ურთიერთობა?

— მხოლოდ ოფიციალური და უაღრესად კორექტული. აქ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და ფამილარობა მიღებული არაა.

— იქნებ არც მე უნდა შემოვჭრილიყავი ამ სახლში ასე დაუკითხავად?

— აი, ამაში კი ცდები. რატომღაც, და ეს ვერაფრით ამიხსნია, სტუმრის მიღებას, გამასპინძლებას და მასთან ნორმალურ, მეგობრულ ურთიერთობას ჩვენ არავინ გვიკრძალავს, პირიქით, გვირჩევენ კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, სტუმრად ჩვენთან არავინ დადის. რაც ამ სახლში ვცხოვრობ, ჩემი პირველი სტუმარი შენა ხარ.

— ახლა ერთ კითხვაზეც მიპასუხე და მოგეშვები. ხვალ რომ სამსახურში მიხვალ, ჩვენი შეხვედრის შესახებ უნდა დაწერო თუ არა მოხსენებითი ბარათი?

— არც ერთ ინსტრუქციაში ამგვარი რამ არ წერია. გარდა ამისა, ჩემი განყოფილების უფროსი მე ვარ და ვის უნდა ჩავაბარო ანგარიში?

— შენც ხომ გყავს უფროსი.

— რა თქმა უნდა, მყავს, მაგრამ ჩემი უფროსი რომ ჩემს საქმეებში ჩაერიოს, კიდევ უფრო დიდ უფროსს უნდა დაეკითხოს. აუტკივარი თავის ატკივება კი არავის უყვარს, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც მუქარის მოყვარული ხალხი გადაშენდა.

— მადლობა ღმერთს. ხომ იცი, პარტიის წევრი არა ვარ და ასეთ რამეებში ვერ ვერკვევი. ძალიან მეწყინება, ჩემს გამო რაიმე უსიამოვნება რომ შეგხვდეს.

— არც ისე წვიმს, როგორც ქუხს. გარკვეული ზნეობრივი და ეთიკური ნორმები ჩვენთანაც მოქმედებს და უმიზეზოდ მათ დარღვევას მძიმე შედეგები მოაქვს. ასე რომ არ იყოს, ჩვენთან, წესრიგის ნაცვლად, ანარქია იქნებოდა გამეფებული. ეს კი არც უფროსებს აწყობთ და არც უმცროსებს. ამიტომ ამაღამ აქედან არსად გაგიშვებ, ვისხდეთ და ვისაუბროთ, თუმცა, იქნებ, ცოლითა ხარ ჩამოსული?

მას თბილისი და უპატრონოდ მიტოვებული ცოლ-შვილი გაახსენდა, მაგრამ ახლა სანტიმენტალობის დრო არ იყო და ერჩია ჭიქები შეევსო, ვიდრე გულში დარდი შემოეშვა.

— არა, ცოლი არ ჩამომიყვანია, მაგრამ ოჯახს კარგა ხანია მოვეკიდე და ახლა საკმაოდ მძიმე უღელი მაწევს კისერზე. მე აქ რომანტიკული განწყობილება ვახსენე, მაგრამ არც ცხოვრების პრაქტიკული მხარე დამვიწყებია. დიდი ოჯახი მქავს, სამ შვილს ვზრდი, ისეთ ძვირ ქალაქში კი, როგორიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისია, რიგითი ინჟინრის ხელფასზე ცხოვრება ჭირს. ამიტომ გადავწყვიტე, რამდენიმე წელიწადი ისეთ მხარეში ვიმუშაო, სადაც გაზრდილი ხელფასებია, სადაც თუ გამდიდრება არა, ხელის მოთბობა მაინც შეიძლება. ჩემი სტუმრობის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა.

ამას თავისუფლად, ისე გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ საკუთარი სიტყვები თვითონაც დაიჯერა და ჟელუდკოვიც დააჯერა. სინამდვილეში კი გულზე იყო გამსკდარი და სადაც უნდა გადახვეწილიყო, ცოლ-შვილის დარდი თან გაჰყვებოდა. მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, უნდა ეთვალთმაქცა, შეჰგუებოდა ცხოვრებას, ეცნო ის სინამდვილე, ირგვლივ რომ ერტყა და არ გაბოროტებულიყო, არ დაცემულიყო, არ ეღალატა არც საკუთარი თავისა და არც ცოლ-შვილისათვის.

— შენი ეს განზრახვაც პრაქტიკული და დროულია, — უთხრა ჟელუდკოვმა და სიფონიდან სოდიანი წყალი დაისხა. — სიმჟავე მაქვს უსაშველოდ მომატებული, ამბობენ, ნერვიულობამ იცისო. როცა ბორჯომს ვერ ვშოულობ, ამით ვიჭყიპები. ისეთი წყალი, როგორიც ბორჯომია, ათი ათასობით კი არა, მილიონობით ბოთლი უნდა ისხმებოდეს. ღმერთმა გვაჩუქა და ვერ ვიყენებთ. აქამდე ად გვეცალა, მაგრამ მალე იმ ქარხნის რეკონსტრუქციას შევუდგებით, გავაფართოებთ, ახალ ჩამოსასხმელ ხაზებს დავაყენებთ და ადამიანს ბორჯომი მაინც არ ექნება საძებნელი. საქართველოს არც სხვა მხრივ დავტოვებთ უყურადღებოდ. ჩარხმშენებელ ქარხანასაც ავაშენებთ და ელმავალმშენებელსაც. პროექტებს ამზადებენ, ხარჯთაღრიცხვას ადგენენ. ისე კი, რა ვუთხრა გაჭირვებას, თორემ ფულის საშოვნელად კაცი საქართველოდან ციმბირში როგორ უნდა გარბოდეს.

— ციმბირში გაქცევის კიდევ ერთი მიზეზი ისიცაა, რომ კაცს დროდადრო ადგილსამყოფელის გამოცვლა, გადახალისება სჭირდება.

— ეგეც მართალია. ჩვენთან აქ ზოგიერთი ისეა დახავსებული, რომ ობის სუნი უდის. მათ შორის რამდენიმე ჩვენი თანაკურსელიცაა. იმისათვის, რომ მოსკოვიდან ფეხი არ მოიცვალონ და არაყი და ლუდი არ მოიკლონ, რაზე არ მიდიან, რას არ კადრულობენ. დანამდვილებით ვიცი, ერთი-ორი კაცი არსად არ მუშაობს და თავს იმით იზღვევს და იმით ირჩენს, რომ შინსახკომის აგენტია. რა თქმა უნდა, სამუშაო იქაც ბევრი აქვთ ამხანაგებს, ხალხი მათაც სჭირდებათ, მაგრამ რატომ უნდა ცდებოდეს ამისათვის სპეციალისტი, რომელსაც ქვეყნისათვის მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ერთი-ორჯერ დავზიბარე, მინდოდა ისინი ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გამეგზავნა, ხელფასიც კარგი ექნებოდათ და კვალიფიკაციასაც აიმაღლებდნენ, მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. ერთი მათგანი ახლა ყოველდღე ლუდის ბარში აგდია, კბილებჩალეწილი ძლივს ლუდლუდებს და ისე ყარს, რომ ახლოს ვერ მიეკარები. ასე იფლანგება ჩვენი ეროვნული პოტენციალი.

კონიაკმა ჟელუდკოვი გაათამამა და შენიღბული იმპერიული ამბიციები მაშინვე გამოამჟღავნა, როგორც კი ამის საშუალება მიეცა. საბჭოთა კავშირი მისთვის რუსეთი იყო და საქართველოს რუსეთისათვის უნდა ეთქვა მადლობა, ბორჯომს რომ ჩამოასხმევინებდა და ელმავლებს ააშენებინებდა. ამ სიკეთეზე უარის თქმა მას უმადურობად და ნაციონალიზმად მიაჩნდა. ასეთი იყო თითქმის ყველა რუსი მოხელე და ჟელუდკოვი მათგან არაფრით გამოირჩეოდა. იმპერიულ ამბიციებზე მეტად იგი იმან გააკვირვა, რომ ჟელუდკოვი შინსახკომის აგენტების ავად ხსენებას არ მოერიდა. ასეთ რამეს მაშინ იშვიათად თუ გაბედავდა ვინმე. ალბათ, ვერც ჟელუდკოვი გაბედავდა, კონიაკს რომ არ გაეთამამებინა და დარწმუნებული არ ყოფილიყო, რომ მის სიტყვებს აქედან არავინ გაიტანდა. ჟელუდკოვის გაბედულებამ მასაც შესძინა სითამამე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი რამ ჰკითხა, რასაც იმ დროს ადამიანები ერთმანეთს არ ეკითხებოდნენ.

— არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამბობენ, მსხვილი მოხელეები ერთმანეთს კრიჭაში უდგანან და თუ რომელიმე მათგანმა წაიფორხილა, მაშინვე მგლებივით მიესევიანო. შენ რა ხალხი გახვევია ირგვლივ?

ჟელუდკოვმა ბოღმა ვერ დაიოკა.

— პირწავარდნილი გარეწრები და არამზადები.

— წყალს ხომ არ გიმღვრევენ?

— თუ ავამღვრევინე, რა თქმა უნდა, ამიმღვრევენ, მაგრამ ჯერ არც ჩემოდენა გამოცდილება აქვთ და არც ინტრიგებში არიან ისე გაწაფულნი, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანონ. საქმე ისაა, რომ არსებობს როგორც თავდასხმის, ასევე თავდაცვის ხერხები. პირი რომ შეკრან, ერთიანად რომ დაირაზმონ, ცხადია, გამსრესენ, თანაც ისე, თვალს არ დაახამხამებენ, მაგრამ პირის შეკვრას, დარაზმვას ორგანიზებულობის, შეთქმულების სუნი უდის, ამისა კი ცეცხლივით ეშინიათ, იციან, რა მოელით, თუ ეს იარლიყი მიაკერეს. ცალ-ცალკე კი ლაჩრები, ეჭვებით გულგამოხრულნი და სულმოკლენი არიან. მათ არა მარტო ჩემი ჯინი ჭირთ, არამედ ერთმანეთისაც, და თუ ვინმე რამეში გამოიჭირეს, მაშინვე აბეზღებენ. ყველაფერ იმას რომ ვკითხულობდე, რასაც ისინი ერთმანეთზე წერენ, საქმისათვის ერთ წუთსაც ვერ მოვიცლიდი.

— სად მიგაქვს მერე ამდენი საჩივარი?

— საქაღალდეში ვაგროვებ და სპეცგანყოფილებას ვაბარებ. იკითხონ, არჩიონ და იმტვრიონ თავი, რამდენიც უნდათ.

— შენ თუ გყავს მოჩენილი ვინმე?

— რა თქმა უნდა, არა ერთი და ორი, მაგრამ ისინი ისე არიან დაპროგრამებული, თუ შენ თვითონ არ დაუშვი შეცდომა, ვერაფერში გამოგედავებიან. ამ მხრივ ინტრიგანებს ისინი მირჩევნია. ზურგში მაინც არ ჩაგცემენ დანას.

— მძიმე ბრძოლაში ჩაბმულხარ.

— თუ ამ კამპანიას გადავურჩი, მერე ორბიტიდან ადვილად ვერავინ ჩამომხსნის. აი, მაშინ კი ოჯახსაც მოვეკიდები და სამეცნიერო ასპარეზზეც ვცდი ბედს. ისე კი, გულახდილად რომ გითხრა, მიუხედავად უსახლკარობისა, ულუკმაპურობისა და ზოგჯერ მტვირთავად მუშაობისა, არაფერი მაგონდება ისე ტკბილად, როგორც სტუდენტობის წლები. მაშინ შენ დიდ იმედებს იძლეოდი და, ჩვენთან შედარებით, კაცურად ცხოვრობდი.

ჟელუდკოვის სიტყვებმა ბევრი რამ გაახსენა ისეთი, რაც არ უნდა ხსომებოდა, რაც უკვე დამარხული და მივიწყებული იყო, მაგრამ წარსული წარსულია და, როგორც უნდა დამარხო, მაინც არ იხრწნება, არ ქარწყლდება. განსაკუთრებით ისეთი ურთიერთობა, რომელიც რომანტიკით, ინტიმითაა გამთბარი და ამ სითბოს მაშინაც კი არ კარგავს, როცა მთელი ქვეყანა გათოშილია. ის, ვინც იმ წუთს გაახსენდა, არც დაბერებული მოეჩვენა, არც შეცვლილი და არც გაუცხოებული. მისი თეთრი კანი ახლაც თეთრად ქათქათებდა და ქერა თმა ახლაც ოქროსავით ბზინავდა.

— ხომ არ იცი, რას აკეთებს, როგორაა ის პროფესორი, ჩვენ რომ მექანიკას გვიკითხავდა? — ჰკითხა მან ჟელუდკოვს და რატომღაც ნეპის დროინდელი რუსული რომანსი გაახსენდა.

— რომელი, კარდაშევი?

— ჰო, კარდაშევი.

— არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ამ ორიოდე წლის წინ რომელიღაც პროვინციულ უნივერსიტეტში გადაიყვანეს. მას შემდეგ მის შესახებ არაფერი გამიგია. ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი: მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში ამ კურსს ახლაც მისი სახელმძღვანელოების მიხედვით ასწავლიან.

— პროფესორს ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, ისიც ჩვენს ინსტიტუტში მუშაობდა, უცხო ენას ასწავლიდა.

— მახსოვს, მაგრამ ჩვენს ინსტიტუტში ახლა აღარც ის ქალი მუშაობს, ალბათ, მამამისს გაჰყვა თან, რადგან მათ ბინაში ერთი ისეთი კაცი შეასახლეს,

46
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელსაც ჩვენს დროს არავითარი ცენზი არ ჰქონდა, ახლა კი პროფესორი, კათედრის გამგე და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

ჟელუდკოვს საღერღელი აეშალა, სტუდენტობის წლებს ისე იგონებდა, როგორც ოქროს ხანას, მას კი არაფერი აწუხებდა ისე, როგორც ჟელუდკოვის მორღვეული სახე, რომელიც თანდათან ითიშებოდა და ცარიელდებოდა. ახლა ჟელუდკოვი მანამდე არ მოეშვებოდა სმას, სანამ არ გაილეშებოდა, სანამ მაგიდაზე არ ჩამოეძინებოდა. სვამდა უანგარიშოდ, დასათრობად და როცა კონიაკის ბოთლი ბოლომდე დაიცალა, მოტყდა კიდეც კისერი. მან იგი დივანზე დააწვინა, თვითონ კი სავარძელში მოიკალათა. თუ ვერ გამოიძინებდა, ერთ ღამეს თეთრადაც გაათევდა როგორმე. ყოველი კუთხიდან, ყოველი სარკმლიდან სიჩუმე იმზირებოდა — შავად მოსილი, ავი, ხმაგაკმენდილი სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ დილის რიჟრაჟი და ტრამვაის ბორბლების რახრახი აახმაურებდა. ბოლოს რვამ ჩამოჰკრა, ჟელუდკოვი გაეღვიძა, სახე და ტანი ცივი წყლით დაბანინა, მონარჩენი საუზმე განუახლა და საგანგებოდ დილისათვის შემონახული ასი გრამი კონიაკი დაუსხა. ჟელუდკოვს კუჭის წვამაც გაუარა და თავის ტკივილმაც. ჩაცმულს უკვე სხვა იერი, სხვა გამომეტყველება ჰქონდა. მორგებულ ნიღაბს მხოლოდ თვალების ციმციმი ამჩატებდა.

ჟელუდკოვმა საშვი გამოუწერა, კაბინეტში აიყვანა და ისეთივე დიდ და მძიმე საწერ მაგიდასთან დასვა, როგორიც სახლში ედგა. შემდეგ ქაღალდებს გადახედა, მიალაგ-მოალაგა, ერთერთი თანამშრომელი გამოიძახა და ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოების ვაკანტური ადგილების სია მოსთხოვა. სია საკმაოდ გრძელი იყო. ჟელუდკოვმა ბოლომდე ჩაათვალიერა, ერთ-ორს ხაზი გაუსვა და ჰკითხა.

— წახვალ კრასნოიარსკის სამდინარო გემების შემკეთებელი ქარხნის მთავარ ინჟინრად? მართალია, ქარხანა ჯერ კიდევ შენდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამ საქმეს ღირსეულად გაართმევ თავს.

კრასნოიარსკი შორს იყო, სადღაც, აღმოსავლეთ ციმბირში. იქაურ ყინვებზე, ტაიგაზე და ტუნდრაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, არც ის იცოდა ხეირიანად, რა ხალხი ცხოვრობდა იმ მხარეში, რას ჭამდნენ, რას სვამდნენ, რით ერთობოდნენ, მაგრამ ამდენი სწორედ იმიტომ ივაგლახა, რომ რაც შეიძლება შორს გადახვეწილიყო.

— წავალ, რატომაც არ წავალ, ქვეყანა რაც უფრო შორი და აუთვისებელია, მით უფრო საინტერესოა, — უპასუხა მან.

— მაშინ დაწერე განცხადება, ბრძანებას დღესვე გავაფორმებინებ და შეგიძლია შეუკვეთო ბილეთი.

იმ დღეს, მატარებელში რომ ჩაჯდა, ჩრდილოეთიდან ცივი ქარი უბერავდა, ქალაქს თავზე მძიმე, შავი ღრუბლები აწვა და სანამ ფიფქები პერონზე დაცვივდებოდნენ, იქაურობას მათი ჩრდილები აფორიაქებდა.

## XII

მატარებლის ფანჯარა, ღამით რომ იორთქლებოდა, ახლა მხოლოდ ოდნავ იყო შეჭვარტლული და ამიტომ ციმბირის პეიზაჟი ისე იჭრებოდა ვაგონში, როგორც უცხო პლანეტის ნაფლეთი ხელოვნურად განათებულ სამყაროში. ყველაფერი, რაც ამ პეიზაჟს არ ესადაგებოდა, არაბუნებრივი, ნაძალადევი ჩანდა. სადგურები, ბოძები, შენობები ლახავდა, ბილწავდა ტყეების, მინდვრების, ჭაობების უმწიკვლობას, აუხამსებდა იმ იდუმალებას, სიცოცხლესაც რომ შეიცავდა და სიკვდილსაც. საუკუნოვანი ხეების ქვეშ ისეთი მუქი ჩრდილები იყო დაბუდებული, რომ რაღაცით ძველ სარკოფაგებს ჰგავდნენ, ჭაობები კი ისე ცივად ირეკლავდნენ დღის სინათლეს, — დღის სინათლეს და არა მზის სხივებს, — რომ ანარეკლი რაღაც არამიწიერს, არაამქვეყნიურს შეიცავდა. და სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როცა თვალი საბოლოოდ ეჩვეოდა პეიზაჟს და სხვა არაფრის აღქმის იმედი აღარ ჰქონდა, მატარებელს სიჩქარე აკლდებოდა, ორთქლმავალი შიშინს იწყებდა, ბოლოს ჩერდებოდა და სადგურის პატარა, ნაცრისფერი, ტიპური შენობა ისე არღვევდა ბუნების სიმწყობრესა და მრავალსახოვან ერთფეროვნებას, როგორც ჭაობის მოსარკულ ზედაპირს ვირთხა. არც ვაგონის რყევა და ბორბლების რახარუხი შეეფერებოდა იმ უსაზღვრო მდუმარებასა და უძრაობას, ირგვლივ რომ იყო გამეფებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს აქ არაფერი ატარებდა ტანჯვისა და წვალების ნიშანს, არაფერი იყო კალაპოტიდან ამოვარდნილი, უმოწყალოდ დამახინჯებული, ცოდვა-მადლთან დაკავშირებული, არაფერი ითხოვდა სიბრალულსა და თანაგრძნობას იმ გარემოსათვის, მატარებლის ფანჯრიდან რომ ჩანდა, არც წარსული არსებობდა, არც მომავალი, არც მეხსიერება და არც მისი გამოძახილი. ხეები, მინდვრები, ჭაობები ერთმანეთს ავსებდნენ და ერთმანეთში ითქვიფებოდნენ. ირგვლივ თითქოს ყველაფერი მთლიანი, შეუვალი, შეუმუსრავი იყო, მაგრამ ამ მთლიანობას და შეუმუსვრელობას იმხელა სევდა ახლდა თან, რომ დაუკითხავად იჭრებოდა სულში და მთელ მის საუფლოს იპყრობდა. ეს სევდა სხვა ძალის, სხვა შეფერილობის, სხვა მოცულობისა იყო, არც ჩუმ სიხარულს ითხოვდა, არც ცრემლს და თუ ვინმეს თავის საუფლოში ჩაითრევდა, მერე მისგან თავის დახსნა ჭირდა.

გზადაგზა მგზავრები იცვლებოდნენ პალტოიან და შლაპებიან მამაკაცებსა და დედაკაცებს თავშლიანი და ბეწვისქუდიანი მამაკაცები და დედაკაცები ცვლიდნენ, გამხდრებს — მსუქნები, ფერმიხდილებს გალაჟღაჟებულები, მატულობდა ტომრები და კალათები და კლებულობდა ჩემოდნები, იცვლებოდა ბგერები, ლექსიკა და ჟარგონი. ჭამდნენ და სვამდნენ უზომოდ, იყორებოდნენ, ილეშებოდნენ და მერე მთელი ღამე ისმოდა ვაგონში ქშენა, ხვრინვა, ბოყინი, რაც არა მარტო ძილსა და მოსვენებას უფრთხობდა, არამედ კოშმარულ სიზმრებსაც ახვევდა თავს და, როცა იღვიძებდა, ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ, რამაც სიმწრის ოფლი აღვრევინა, სიზმარი იყო და არა სინამდვილე.

მასავით შორს მხოლოდ ერთი კაცი მიემგზავრებოდა. მისი ვინაობა არ იცოდა, მაგრამ თავი სხვებზე ღირსეულად ეჭირა, იქაურობას არ ანაგვიანებდა და თხელ ტუჩებზე ზოგჯერ ზიზღნარევი ღიმილი გადაურბენდა. გამხდარი, ძარღვიანი კაცი იყო, ჩალისფერი თმა ისე ჰქონდა შეთხელებული, რომ გამელოტებას აღარაფერი აკლდა, აზრიან თვალებში ისეთი სევდა ედგა, როგორიც ციმბირის ტყეებიდან და ჭაობებიდან მოედინებოდა. ხანდახან კუპეში მარტო რჩებოდნენ და ამან ისინი დააახლოვა. ზოგჯერ ვაგონ-რესტორანში გაყანყალებას, ცარიელი მაგიდის ძებნას და ლოდინს, კუპეში პურის ჭამა ერჩიათ. სადგურებზე ყველაფერი იყიდებოდა, ისეთი რამეებიც კი, არსად რომ არ უგემია, იმავე სადგურის ბუფეტში სასმელიც ასარჩევად იყო და ამიტომ სუფრის სახელდახელოდ გაშლა არ უჭირდათ. ღამის ლამპას, მაგიდაზე რომ იდგა, ყვითელი აბაჟური ჰქონდა ჩამოფარებული და შებინდული შუქი საუბრისათვის ერთგვარ სიმყუდროვესაც კი ქმნიდა.

— იყო დრო, როცა ამ გზაზე კაცს ლუკმა პურისათვის კლავდნენ, ახლა კი შემწვარ დედალს გთავაზობენ და თანაც ეხვეწებიან, იყიდეო, — უთხრა თანამგზავრმა ირონიული ღიმილით და ჩაის ჭიქებში არაყი გაანაწილა.

— ეს როდის იყო?

— რევოლუციის დროსაც და მას შემდეგაც, თუმცა, რაღა შორს ვიყურებით, ამ სამი-ოთხი წლის წინათაც აქ ხალხი შიმშილით იხოცებოდა. მაშინ არც ომი იყო და არც ბლოკადა.

— არ მეგონა, აქაური თუ იყავით, არც ხასიათით და არც მეტყველებით არ ჰგავხართ ციმბირში გაზრდილ კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქაური არა ვარ, მაგრამ ჩემი დღე და მოსწრება ამ გზაზე ვარ გაბმული. ზეპირად ვიცი, რომელი სადგურის შემდეგ რომელია, რამდენი კილომეტრია მათ შორის, სად დაველოდებით აქეთ მომავალ მატარებელს, სად შემოგვაღამდება და სად გაგვითენდება. ამ სიგრძისა და ამ ტრასასავით შავი ფიქრების აღმძვრელი გზა მსოფლიოში არ მოიპოვება. პირველად ეს ჩემს თავზე სტოლიპინის მძვინვარების დროს გამოვცადე. მაშინ პოლიტპატიმარი ვიყავი, კატორღა მქონდა მოსჯილი. გამაკვირვა აქაურმა ლანდშაფტმა, უკაცრიელობამ, მშთანმთქა მისმა იდუმალებამ, უშფოთველობამ, სიდიადემ. რევოლუციის შემდეგ პეტერბურგში დავბრუნდი, დაუმთავრებელი სამთო ინსტიტუტი დავამთავრე, მაგრამ ცენტრალურ რუსეთში ვერ გავჩერდი, გულმა აქეთ გამომიწია. სპეციალისტები მაშინ სანთლით საძებარი იყო და ამიტომ სამუშაოს შოვნა არ გამჭირვებია. მას შემდეგ ხშირად მიწევს დედაქალაქში ჩასვლა და უკან დაბრუნება. ამ საქმეს უფროსები უნდა აკეთებდნენ, მაგრამ უფროსებს საამისო ცოდნა არა აქვთ.

— რადგან რევოლუციონერი იყავით და კატორღაც გქონდათ მოსჯილი, მეფის ტახტის დამხობაში, ალბათ, დიდი წვლილი მიგიძღვით.

— მეფის ტახტი მე არ დამიმხია. და საერთოდ, არაფერი გამიკეთებია ისეთი, სალაპარაკოდ რომ ღირდეს.

— არაფრისათვის კაცს კატორღას არ უსჯიან. რა ჩაიდინეთ ასეთი?

— ესერთა პარტიის დავალებით ტერორისტულ აქტში მივიღე მონაწილეობა. მაშინ ასეთ დავალებას თითქმის დაუფიქრებლად იძლეოდნენ და განხორციელებითაც პრიმიტიულად ახორციელებდნენ.

— მოკალით ვინმე?

— მოკვლით კი მოვკალით, მაგრამ სასამართლომ ვერ დაადგინა, ვისმა ტყვიამ იმსხვერპლა მტარვალი.

— ალბათ, გამოცდილება გაკლდათ, თორემ ასე, ცხვრებივით როგორ ჩაუვარდით ხელში ჟანდარმებს?

— გამოცდილება მართლაც გვაკლდა, სტუდენტები ვიყავით, მაგრამ ჩვენ კი არ ჩავუცვივდით ხელში ჟანდარმებს, არამედ გაგვცეს, მართლაც ცხვრებივით გაგვყიდეს.

— ცხადია, ვინმე თქვენგანმა, თორემ ამგვარი შეთქმულების ამბავი ქვეყანას ხომ არ ეცოდინებოდა?

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენ გაგვცა ჩვენივე ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, იმ დროს ცნობილმა რევოლუციონერმა, ევნო აზეფმა. ქვეყანაში ისეთ კაცს, როგორიც გარეწარი, ნამუსგარეცხილი აზეფი იყო, დიდი ავტორიტეტი და დაფასება რომ ექნება, იმ ქვეყნის მმართველებს სისხლი არასოდეს შეაშრებათ ხელზე და აკი არც შეაშრათ.

— მე მგონი, იმდროინდელ ამბებს კარგად რომ მოუჩხრიკო ძირი, აზეფისთანა გარეწარი სხვაც ბევრი აღმოჩნდება.

— ამაში ეჭვი არ მეპარება. ჩვენი უბედურება სწორედ ისაა, რომ ბრმად ვენდობით გარეწრებს, ნაძირალებს, ავანტიურისტებს, თანაც ისე, რომ არ ვკითხულობთ, ვისთან გვაქვს საქმე, ვის ვანდობთ ჩვენს თავსა და ჩვენი ქვეყნის ბედს. პრაქტიკული ხალხი ასე არ იქცევა, ასე ადვილად არ იტყუებს თავს. სანამ რაიმე საქმეს წამოიწყებს, დაწვრილებით სწავლობს ყველა საკითხს, ფხიზლად ადევნებს თვალს იმ კაცის ყოველ ნაბიჯს, ვისაც ნდობას უცხადებს. გამოცდილ ხალხზე მისტიფიკაცია, ამბიცია, დემაგოგია არ ჭრის. ჩვენ კი ბატკნებივით გვყიდდნენ და ეს საძაგლობა ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა. უმცირესი ეჭვიც კი არ შეუტანიათ იმ კაცის პატიოსნებაში, ვინც სახრჩობელაზე და კატორღაში გვგზავნიდა. და ეს არა ერთსა და ორს, არამედ ათეულებს და, შეიძლება, ასეულებსაც. მე არც წამიკითხავს და არც გამიგონია, რომ რომელიმე ქვეყანაში რევოლუციური პარტიის ბელადი რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ტერორისტული აქტის აღსრულებას ავალებს, ამ ახალგაზრდობას ასმენდეს და სასიკვდილოდ იმეტებდეს. ქვეყანაში ასეთი რამ რომ მოხდება, ის ქვეყანა დასაღუპავადაა განწირული. მაგრამ ჯერ სად ვართ, აწი და აწი ნახეთ, რა შავბნელი ძალები ამოძვრებიან ჯურღმულებიდან, რა ავი ზრახვები იჩენენ თავს, რა ღვთის რისხვა დატრიალდება ამ ცოდვილ მიწაზე.

მართალია, საუბარი წარსულს ეხებოდა, ისეთ კაცს, რომელიც ბოლოს მაინც ამხილეს, მაგრამ ცხადი და გასაგები არც ის იყო, რას გულისხმობდა მისი თანამგზავრი, როცა ამა თუ იმ აზრს აზოგადებდა და არც ის, მთელი მონოლოგი სიტყვას მოჰყვა თუ განზრახ წამოიწყო. ყველაფერი ეს გარკვევას მოითხოვდა, მაგრამ ახლა დავისა და შეხლა-შემოხლის დრო არ იყო და შეეცადა, საუბარი ისევ წარსულზე გადაეტანა.

— აზეფი უფრო მოქნილი და გამჭრიახი კაცი ყოფილა ოხრანკის იმ მოხელეებთან შედარებით, რომელთაც ათეული წლების მანძილზე რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობას აჩანაგებინებდა, — უთხრა მან თანამგზავრს და პაპიროსის კვამლს სახე მოარიდა.

— ესეც ჩვენი სიბრმავე, სიმხდალე და სირეგვნეა. მართლაცდა, რომელ ქვეყანაში აპარპაშებდნენ ამდენ ხანს კაცს, რომელიც ახალგაზრდებს ჯერ თავის ორგანიზაციაში ითრევდა, დანაშაულს ადენინებდა, შემდეგ კი ასმენდა. სხვებმა თუ არა, ოხრანკის ბობოლა მოხელეებმა ხომ იცოდნენ, ვინ იყო აზეფი, რა საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ იმდენად ბრმები იყვნენ, რომ თავსაც იტყუებდნენ და ახალგაზრდობასაც წირავდნენ. ოხრანკის ერთ მოხელესაც კი არ ეყო იმდენი ჭკუა, რომ პროვოკატორი, დამსმენი აელაგმა და ახალგაზრდების ნაცვლად იგი გაეგზავნა სახრჩობელაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკუთარ შვილებს მათ თანამდებობა და კარიერა ერჩიათ, სიმართლის თქმას — გაყუჩება, დაფიქრებას — ბრძანების აღსრულება. საერთოდ, ჩვენი ბიუროკრატია თავიდანვე იყო მექრთამე, გახრწნილი და უჭკუო. პატიოსნება და კაცური ღირსება ჭირივით სძულდათ, რადგან მათ კეთილდღეობას უთხრიდა ძირს, მათ სიბრიყვესა და სიბილწეს ამხელდა. სხვაგვარად ძნელია იმის ახსნა, რატომ ფასობდა და ფასობს ჩვენში ადამიანის სიცოცხლე ასე იაფად, რატომ გვძულს და გვეჯავრება ერთმანეთი, რატომ ჩავდივართ ამდენ ბოროტებას. ჩვენში კაცის გაყიდვა, გაცემა ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ჭიქა არყის გადაკვრა და ამიტომ არც აღშფოთებას იწვევს და არც გულისწყრომას. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანაში ჯაშუშთა უზარმაზარი ქსელია გაბმული და ამ ქსელში საზოგადოების ყველა ფენაა ჩართული, რაც ქვეყნისა და ერისათვის დამღუპველია. არაფერი არ რღვნის ხალხს ისე, როგორც ჯაშუშობა და ძალადობა.

მზე ჩასასვლელად ემზადებოდა. დიდი ჭაობის ზედაპირზე უკვე ირხეოდა ნისლი. მატარებლის ფანჯრებზე არეკლილი სხივები ჩრდილებს ვერ ერეოდნენ და შეფერილობას იცვლიდნენ. ბინდი ჯერ კიდევ არ დაპატრონებოდა ქვეყანას, მაგრამ ცისკიდური მას უკვე უქმნიდა ფონს და ამ ფონზე ცხადად იკვეთებოდა მისი თანამგზავრის პროფილი. ეს კაცი რომ დიდხანს ვერ გაუძლებდა იმ რეჟიმს, რომელიც უკიდურესად მკაცრდებოდა, ამაზე მისი აზრთა დინებაც მეტყველებდა. უკმაყოფილება არა მარტო სახეზე ეწერა, არამედ ყოველ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაშიც იგრძნობოდა. დრო ყველა ჭკუათმყოფელისგან გაორებას, გაეგოისტებას, გამამაძაღლებას მოითხოვდა, მას კი ან ძალა არ ჰქონდა ამისა, ანდა ამგვარი შემგუებლობა დამამცირებლად მიაჩნდა. ამიტომ დედაქალაქიდან მონაბერი, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სუსხი ციმბირის ქარების სუსხს არაფრით ჩამოუვარდებოდა, ნაფოტივით აიტაცებდა და სადღაც, ბნელ ჯურღმულში ჩაალპობდა.

— ყველაფერი, რაც თქვენ აქ თქვით, იმპულსური მოსაზრებებია, რითაც ვერც ვერაფერს შეცვლით და ვერც იმ უზნეობასა და სიბინძურეს აღმოფხვრით, რომლის ჩამორეცხვას, ეტყობა, დრო და სისუფთავის მოთხოვნილება სჭირდება, — უთხრა მან თანამგზავრს და ფანჯარას თვალი მოწყვიტა.

— გეთანხმებით. ჯერჯერობით ჩვენი სიტყვა სიტყვა არაა და ჩვენი საქმე — საქმე. საქმეს სხვაგვარი მიდგომა, სხვაგვარი შეგნება სჭირდება. ჩვენ კი ჩვენი ფსიქიკითა და აზროვნებით ჯერ კიდევ იმ დონეზე ვდგავართ, რომ ძალიანაც რომ მოვინდომოთ, სხვაგვარად მაინც ვერ ვიაზროვნებთ. სწორედ ეს გვიქმნის საფრთხეს და ეს გვწევს უკან. რევოლუციამ შეიძლება ტახტი დაამხოს, მეფე ჩამოაგდოს, მაგრამ ადამიანს ვერ გარდაქმნის, ვერ გადააკეთებს. რევოლუციის გონივრულად დამთავრებას სხვა ძალა, სხვა ჭკუა სჭირდება. ჩვენი ხალხი კი, მასას ვგულისხმობ, უწიგნური და უსაქმურია, ჯერ კიდევ ვერ გაუმიჯნავს ერთმანეთისაგან თავისი და სხვისი. როგორ გინდა სწორი აზრი, ცხოვრების სადად შეფასების უნარი შთაუნერგო ადამიანს, რომელმაც ისიც კი არ იცის, რომ ხალხი ინახავს მთავრობას და არა მთავრობა ხალხს? რა უნდა მოსთხოვო ხალხს, რომელიც ტანჯვასა და სიკვდილს არად აგდებს მხოლოდ იმიტომ, რომ მბრძანებელი არ მოაკლდეს და სიძულვილის ინსტინქტი არ დაუჩლუნგდეს? ჩვენი საქმე წასულია და ეს ყველაზე ცხადად მაშინ გამოჩნდება, როცა ხელახლა მოგვიწევს იმის აშენება, რასაც დღეს ვანგრევთ. ხალხმა რომ ხმაც არ ამოიღოს, ბუნება არ გვაპატიებს დროისა და სახსრების ასე უგუნურად ფლანგვას.

ვაგონის ფანჯრის მიღმა სიბნელე ჩამოწვა. გაქრა ტყე, მინდორი, ჭაობი. განურღვეველი, გაუპობელი უკუნი დაემსგავსა უკიდეგანო უფსკრულს, სადაც, ადრე თუ გვიან, მატარებელი გადაიჩეხებოდა, ერთმანეთში აირეოდა, აიზილებოდა რკინა, ხე, ქვანახშირი, ზეთი, ადამიანის სისხლი და ხორცი და ეს ნარევი, ეს არაბუნებრივი ნაზავი დაიწყებდა ხრწნას, აქოთდებოდა, აშმორდებოდა და, უბიწო მიწა-წყალი რომ არ წაბილწულიყო, უკუნად ქცეული ღამე კალთას მოიხევდა და შავ სუდარასავით გადააფარებდა იმას, რაც მის წიაღში არ უნდა მომხდარიყო, რაც უცხო იყო არა მარტო მისთვის, არამედ, საერთოდ, არსებობისათვის.

მისი თანამგზავრი უკვე ისე პირდაპირ, ისე შეუფარავად ლაპარაკობდა, რომ თუ მათ ვინმე უსმენდა ან კუპეში მიკროფონი იყო დამონტაჟებული, შეიძლება ეს საუბარი ორივესთვის საბედისწეროდ დამთავრებულიყო, მაგრამ როცა დაფიქრდა, როცა საბჭოთა კავშირის ტექნიკური შესაძლებლობანი და ის ხარჯები წარმოიდგინა, უამრავი მატარებლის უამრავ კუპეში მიკროფონის დამონტაჟებას რომ სჭირდებოდა, ცოტათი დამშვიდდა და თანამგზავრს ერთგვარი ნიშნის მოგებითაც კი უთხრა:

— თქვენ რომ მითებისაგან მოქსოვილი საჩრდილებლის გადაფარება არ გიყვარდეთ, შინაგანად მობილიზებული იყოთ და ემოციების მოთოკვა შეგეძლოთ, შეიძლება უფრო ადვილად დაგეღწიათ თავი იმისათვის, რასაც უპასუხისმგებლობა და უზნეობა ჰქვია. თქვენ იმიტომ კი არ შრომობთ, რომ ქვეყანას შეეწიოთ და შესძინოთ რამე, არამედ სხვებს შეაყაროთ თვალში ნაცარი.

— ქვეყანას რომ რამე შესძინო, ამას შრომის კულტურა, მუყაითობა, ცხოვრების სიმძიმის ისე ატანა სჭირდება, რომ ყვირილითა და წუწუნით სხვები არ შეაწუხო. როცა პატიოსან, მშრომელ, გონიერ კაცს უჭირს, იგი ამ ქვეყანას კი არ წყევლის, არამედ იმაზე ფიქრობს, როგორ შეიმსუბუქოს შრომა, რა მოიგონოს ისეთი, რომ ნაკლები ოფლი დაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაროს და მეტი პროდუქტი მოიწიოს. ჩვენ კი ენთუზიაზმის, ძალ-ღონის უაზროდ ხარჯვის, თავგანწირვის იმედით ვართ და, მიუხედავად ამისა, მუდამ მშიერ-მწყურვალნი, ჩაუცმელ-დაუხურავნი და უსახლკარონი ვყრივართ. მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ და ჩვენში ჯერ კიდევ ხელით შრომაა გაბატონებული. ვმუშაობთ ვირივით, წელებზე ფეხს ვიდგამთ და თუ ცოტაოდენ წარმატებას მივაღწიეთ, თავმდაბლად კი არ ვხრით თავს, არამედ მკერდზე ხელს ვიბაგუნებთ, ხმამაღლა ვყვირით, რომ სხვებმა ყურადღება მოგვაქციონ და როგორც პატარა ბიჭებს, თავზე ხელი გადაგვისვან. ეს კი არც სიქველეა, არც ვაჟკაცობა და არც ჭკუათმყოფლობა. ერთი სიტყვით, ამით არც ჩვენ თავს ვცემთ პატივს და არც იმათ, ვის წინაშეც ვკეკლუცობთ და ვყოყლოჩინობთ. ჩვენ ჯერ კიდევ პროვინციულ სცენაზე ვდგავართ, ჩვენს როლს პროვინციულად ვთამაშობთ და, როცა ვინმე თამაშს გვიწუნებს, ან ვლანძღავთ, ან პირში ბურთს ვჩრით. ყალბი თავმოყვარეობა კი იმის ნიშანია, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული არა ვართ, დაცინვის, აბუჩად აგდებისა გვეშინია. ამიტომაც არ გვიყვარს სიცილი და ხუმრობა. თავი იმით კი არ მოგვაქვს, რაც ვართ, არამედ იმით, რაც გვინდა ვიყოთ. ასე ვიტყუებთ თავს და ვატყუებთ ხალხსაც, რომელსაც ჩვეული პროვინციული აღტყინებით ჯერ გულში ვიკრავთ, შემდეგ კი ვღალატობთ და ვთელავთ. გამცემლები და ჯაშუშები რევოლუციასაც ბევრი აედევნა და ახლა, ალბათ, მათ შორის ბევრია ისეთი, ხალხისგან დაფასებასა და პატივისცემას რომ მოითხოვს. და ეს ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ ბოროტებას სერიოზულად არ მივუდგებით, სანამ არათუ მასობრივი მკვლელობები, მკვლელობის თითოეული ფაქტი არ დაგვაფიქრებს. ტანჯვა, წამება, უზნეობა უკვალოდ არ ქრება, სულსაც ამახინჯებს და გონებასაც ამრუდებს და ეს სიმახინჯე და სიმრუდე ბოლოს ისე იფეთქებს, რომ მთელ მსოფლიოს შეაძრწუნებს.

მან ისევ ფანჯარაში გაიხედა. სადღაც, შორს შუქი კიაფობდა. მალე მატარებელმა გზის ოსტატის ჯიხურს ჩაუქროლა. ჯიხურის ფანჯრიდან ლამპის შუქი გამოსჭვიოდა, შესამჩნევად კრთოდა და მატარებლის ვაგონებს ეცემოდა. მან მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ხეები ირხეოდნენ და ჭრიალებდნენ. იყო ამ რხევასა და ჭრიალში რაღაც ისეთი, რაც არასოდეს ისადგურებს ადამიანის გულში, რაღაც იმ ჩრდილებივით იდუმალი, სარკოფაგებს რომ ჰგავდნენ. ფანჯარაში მისი თანამგზავრიც იყურებოდა, მაგრამ ეს გზა მას უკვე მრავალჯერ ჰქონდა გავლილი და, ალბათ, ისეთ რამეს ხედავდა, რისი დროის კლანჭებიდან დახსნა, ფეხმოუცვლელი ჩრდილებისაგან გათავისუფლება აღარ ხერხდებოდა და იმის პასუხს, რაც აწვალებდა, იდუმალი ტყის სიღრმეში ეძებდა.

— მე რომ კატორღიდან გამათავისუფლეს და ამ გზით შინ ვბრუნდებოდი, შეიარაღებული ბანდები მატარებლებს თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ, ვინც არ მოეწონებოდათ, ადგილზევე უსწორდებოდნენ და მანამდე არ გარბოდნენ, სანამ ნადავლს არ გაიყოფდნენ, — უთხრა თანამგზავრმა და ტუჩები ისე მოკუმა, თითქოს ნაღველი პირზე მოადგაო.

— ძარცვაზე ადამიანი მაშინაც კი არ იღებს ხელს, როცა ამისათვის სიკვდილით სჯიან, ხოლო თუ გამკითხავი არავინაა, შინ რა გააჩერებს, რა თქმა უნდა, აიღებს თოფს და გზაზე გავა, — უპასუხა მან.

— მე ის კი არ მაკვირვებდა, რომ მატარებლებს ძარცვავდნენ, მემამულეების სახლ-კარს ცეცხლს უკიდებდნენ, ფაბრიკებსა და ქარხნებს ანგრევდნენ. ყველაზე მეტად მათი სიხეპრე, სირეგვნე და უზნეობა მაცოფებდა.

— სირეგვნე და სიხეპრე ახლა არ გაცოფებთ?

— ახლა ყველაზე მეტად ის მაცოფებს, რომ რასაც ვაშენებთ, ყველაფერს უწიგნურად, უთავოდ, გაუთვალისწინებლად ვაშენებთ და ეს ძალიან ძვირად დაუჯდება იმ ქვეყანას, რომელიც ამბიციებით ხელმძღვანელობს და არა ჭკუით.

— უფროსები თუ ხედებიან ამას?

— ჩემი უფროსები დიდად არ განსხვავდებიან იმ ხეპრეებისა და რეგვენებისაგან, მატარებლებს რომ ძარცვავდნენ და ნადავლის გაყოფამდე არც კი გარბოდნენ. რა უნდა მოთხოვო ადამიანებს, რომელთაც ერთმანეთისა უფრო ეშინიათ, ვიდრე ქვეყნის დაქცევისა.

— თქვენ სხვებთანაც ასე ლაპარაკობთ, თუ ამ მძიმე, გაუთავებელმა გზამ აგიშალათ საღერღელი?

— ახლა გაჩუმება დანაშაულზე უარესია. არ მინდა ჩემი ქვეყნის დაქცევისა და წაწყმედის მოწმე ვიყო. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ ხომ უნდა ამოიღოს ხმა, ხომ უნდა უთხრას ხეპრეებსა და რეგვენებს, რომ ხეპრეები და რეგვენები არიან. ვიცი, ამისათვის თავზე ხელს არ გადამისვამენ, მაგრამ თუ ადამიანს ცოტაოდენი ადამიანობა კიდევ შერჩა, შიშმა როგორ უნდა გააცხოველოს ისე, რომ ნებაყოფლობით დაიბრმაოს თვალები.

— ღმერთმა ქნას, ჩვენ კიდევ შევხვედროდეთ ერთმანეთს ამ მატარებელში და თქვენ ისეთივე გაუტეხელი მენახოთ, როგორსაც გხედავთ. ახლა კი ღამე მშვიდობისა და თუ ცოტას თქვენც წაიძინებთ, ამით თქვენს სიფხიზლეს არაფერი დააკლდება.

— თქვენ დაწექით, დაიძინეთ, მე კი ძილის წინ პაპიროსის მოწევა მიყვარს, ოღონდ სუფთა ჰაერზე, ღია ფანჯარასთან, — უთხრა თანამგზავრმა, მაგიდიდან პაპიროსის კოლოფი და ასანთი აიღო და კუპედან გავიდა.

არაყმა თავისი მაინც გაიტანა და იმ ღამეს დილამდე ეძინა. თვალი რომ გაახილა, გათენებული იყო. გაღვიძებულს წოლა არ უყვარდა და მაშინვე ჩაიცვა. ფანჯრიდან ნაცრისფერი სინათლე იჭრებოდა. თოვდა წვრილად, მძიმედ, დაუზოგავად. მის თანამგზავრს ბარგი-ბარხანა უკვე შეკრული ჰქონდა, რადგან შემდეგ გაჩერებაზე უნდა ჩასულიყო. ვაგონში არყისა და თამბაქოს სუნი იდგა, რაც იმ ხვედრის, იმ ყოფის, იმ სისხლის ნაზავს წარმოადგენდა, ამ მატარებლის მგზავრებს რომ ელოდათ მომავალში.

უეცრად მაგისტრალურ ლიანდაგს ჯერ ერთი ტოტი გამოეყო, შემდეგ მეორე, მატარებელმა სვლას უკლო და საკმაოდ მოზრდილ სადგურზე გაჩერდა. სხვა სადგურებზე, გარდა წითელქუდიანი სადგურის უფროსისა, აქა-იქ რამდენიმე კაცი თუ გამოჩნდებოდა, ამ სადგურის პერონზე კი ხალხი ირეოდა და სხვადასხვა მხარეს მიეჩქარებოდა. ეტყობა, ეს იყო ტრანსციმბირის რკინიგზის საკვანძო სადგური, რომელიც დიდ მდინარესავით იერთებდა შენაკადებს.

მატარებელი გაჩერდა. ის-ის იყო, მისმა თანამგზავრმა ფანერის დერმატინგადაკრული ჩემოდანი ხელში აიღო და გამომშვიდობებას აპირებდა, რომ კუპეს ორი ოფიცერი მოადგა. ორი შეიარაღებული ჯარისკაცი კი დერეფანში გაჩერდა. ოფიცრებს გამომეტყველებასა და ქცევაზე ეტყობოდათ, რომ ადგილობრივი შინსახკომის თანამშრომლები იყვნენ. გამოწკეპილები, უხეშობამდე სერიოზულები, ისე იდგნენ კუპეს წინ, როგორც ბედისწერის მოციქულები. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა, ჩინით უფროსმა, იქაურობის მითვალიერებ-მოთვალიერება დაამთავრა და გაყინული ხმით თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი საბუთები!

ყველაფერი ეს მისთვის ისე მოულოდნელი იყო, უეცრად იმდენი რამ წარმოიდგინა, რომ ვერც კი მიხვდა, რას სთხოვდნენ, რა უნდოდა ამ ხალხს მისგან. როცა გონს მოეგო, ხელი პიჯაკის შიდა ჯიბისაკენ წაიღო, მაგრამ ოფიცერს მისკენ არც გამოუხედავს. თეთრ ქურქში გახვეული გულისყურით ათვალიერებდა მისი თანამგზავრის საბუთებს და როცა დარწმუნდა, რომ მის წინ ის კაცი იდგა, ვისი დაპატიმრებაც ჰქონდა დავალებული, შემოწმებული საბუთები ჯიბეში ჩაიდო და დაკავებულს კიდევ უფრო ცივი ხმით უთხრა:

— გამოგვყევით!

— სად?

— სადაც საჭიროა.

— მაპატიმრებთ?

— კი არ გაპატიმრებთ, დროებით გაკავებთ.

— რა უფლებით?

— ამას იქ გეტყვიან.

როცა მისი თანამგზავრი კუპედან გაიყვანეს, საბუთები ჯერ კიდევ ხელში ეჭირა და არ იცოდა, სად წაეღო. ოპერატიულმა ჯგუფმა დავალება პირნათლად შეასრულა, დასაპატიმრებელი დააპატიმრა და ამ ვაგონში საქმე აღარაფერი ჰქონდა. ისინი ისევე სწრაფად და მოულოდნელად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ, მან კი ამასობაში ერთი სიცოცხლე გაათავა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნაირა გელაშვილი

### ავტობიოგრაფიული, მეტისმეტად ავტობიოგრაფიული ანუ მე, ღუმელი, ცეცხლი და რცხილა

ახლა, როდესაც რაღაც ბუნდოვნად
ვბინადრობ ჩემი ცხოვრების გზაზე
შეხვედრილ რიგით მერვე ბინაში,
ქალაქში, სადაც გაღიმებას ვერ ბედავს ბედი,
იმ ქვეყანაში, რომლის ძარღვები
თანდაყოლილმა სენმა დაალპო,
რის გამოც თავი აიწყვიტეს იქ ჩამწყვდეულმა
სტიქიონებმა
და ჩემს ბინაში დაემკვიდრა
პირველყოფილი
შიში წინაშე სიბნელის და ყინვა-თოშისა
(ისევე, როგორც ქუჩაში — შიში
მკვლელთა უკვდავი მოდგმის წინაშე)
და გამახსენა
ჩემი საწყალი წინაპარი —
ბინადარი მღვიმეთა და გამოქვაბულთა,
თავის ნადავლის ნახევარს რომ მსხვერპლად სწირავდა
მზესა და მთვარეს,
იმათ წინაშე
მუხლმოდრეკილ-ძირსდამხობილი,
რადგანაც სიკვდილს და სიცოცხლეს ნიშნავდა მისთვის
ის, რასაც ჰქვია უწყინარი სიტყვა: ამინდი.

და მომწყვდეული ჩემს ბინაში ათარეშებულ
სიბნელისა და ყინვის ალყაში,
თვალებში ვუმზერ მე სიკვდილის ძალზე არქაულ
ანუ ბუნებრივ, ე. ი. ბუნებისმიერ
სახეობას და მოყინული ჩემი ფანჯრიდან
ცისკრის ვარსკვლავისაკენ თვალაპყრობილს
პირველად ახლა მესმის, რას ნიშნავს
ძახილი:
„მზეო, მზეო, ამოდი!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოხდა ისე, რომ განგების რაღაცა ძალამ
არ მიიჩნია ჯეროვან საქმედ
ჩემი გაყინვით გარდაცვალება:
მოულოდნელად ბავშვობიდან, სოფლის ზამთრიდან
გადმოალაჯა ოთხკუთხა სითბომ
და ჩემს ოთახში (მამაკაცის წყალობით) გაჩნდა
დავიწყებული
(სათამაშო ძაღლივით თუ ჩემოდანივით) —
თუნუქის ერთი უბირი და უტყვი ღუმელი...

●

დიდება შენდა,
წარსულის ელჩო!
ალბათ მზვერავად გამოგგზავნა მიგდებულმა ჩემმა ბავშვობამ,
რომ მოახსენო თუ რა ხდება ამ ჩემს ასაკში,
რად გადაიქცა ის სითბო, რაც მრავალი წლის წინ
ჩემს ჯერაც კიდევ ნედლ ძვლებს შთაბერე,
რა პირი უჩანს მომავალს და რას ვემალები...
სალამი შენს გამოცხადებას!
თავიდან ვიწყებთ ურთიერთობას,
რომელიც მთელი ორმოცი წლის წინ
შეგვაწყვეტინა გზამ და ბედმა (ანუ ცხოვრებამ).
ცარიელია შენი მუცელი,
ეგ მართკუთხა შენი წიაღი,
სადაც გმირულად გყავდა ხოლმე გამომწყვდეული
ნაზი, სასტიკი
ქალღმერთი ცეცხლის
თუ თმაგაშლილი ალის ალქაჯი...

●

ის ბინა, სადაც დავიბადე და
მერე მალევე შენ გაგიცანი,
სახლი იყო და მიწაზე იდგა —
ვაშლის ხეებით და ხვეული ჩაის ვარდით გარემოცული,
რომლებიც სწორედ მაშინ კვდებოდნენ,
როცა დგებოდა შენი ეპოქა,
შენი დიადი მეფობის ხანა,
როდესაც მხზვილი ვარსკვლავები
და მკრთალი მთვარე —
გასპეტაკებული
კრეპსატინის სუდარასავით
სულს უბერავდნენ ჩვენს სახლს და ხეებს
და გვაორთქლებდნენ ყინვას და სიკვდილს
მანათობელი თვისი ბაგენით...
მაგრამ შენ ჩვენთან იყავი მაშინ,
ჩემო ღუმელო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს შუაგულში.
წიაღაღვსილი ცეცხლის მუქარით
ყინვას მძვინვარედ უჯავრდებოდი,
სულ ქოქოლას აყრიდი იმას
და სიკვდილს აგრე იგერიებდი...
ეგ კი არა და ღამის იყო
ცხენივით ყალყზე შემდგარიყავი
და ცეცხლოვანი ჭიხვინ-ჭიხვინით
დასდევნებოდი უკან სიცივეს...
აი, ასეთი მცველი გვყავდი...
მაშ თავიდან გავაჩაღოთ ის მეგობრობა?..
იმისთვის მოხველ,
რომ ჩემი თავის გადასარჩენი გარჯა დამტყუო?
თუ სადღაც გინდა წამიყვანო
ან დამაბრუნო?..

●

ო, ცეცხლო, ცეცხლო, — გამარჯობა,
კვლავ ჩემს სახლში ხარ!
კვლავ ჩემს კერაზე აყვავილდი, დაუშრეტელო.
სულ არ შეცვლილხარ, მეგობარო,
მე კი დავბერდი...
და ჩემი ტანი
სულ უფრო ძნელად იკავებს სითბოს...
მაშ ასე, ასე, ჩემო მეგზურო,
შენ პირველმა გამაგებინე
სიკეთისა და ბოროტების განუყოფლობა,
როდესაც შენი სიმხურვალით ნაალერსებ და
რაღაც ნეტარად მოთენთილ ბავშვს,
ოდნავ ჩათვლემილს,
შენკენ უმწეოდ, უნებურად გამოწეული
მუხლი დამიწვი...
დისტანციის აპოლოგეტო!
ფამილარობის შეუვალო უარმყოფელო!
მოუსყიდველო მცველო წესების!
უსასტიკესო მოწოდებავ სიფრთხილისაკენ!
აი, ხომ ხედავ, წარმართო დაო,
შენ — ისევ ნორჩსა და დაუცხრომელს
მე — ოდინდელი მცირეწლოვანი წარმართი,
ახლა უკვე ხნიერი,
ქრისტიანი და კოსმოპოლიტი,
მოწიწებით გემსახურები:
შეშას ვაპობთ, ვეზიდებით, გარშემო გიწყობთ,
ვშიშობთ — ვაითუ არ მიიღო, არ მოგეწონოს,
წელში ვიხრები,
მუხლის ჩოქზე ვდგები წვალებით
(მუხლები მტკივა, ჭრიალებენ ჩემი სახსრები),

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ სიფრიფანა ნაფოტების და
პატარ-პატარა ღეროების ხუხულას გიგებ,
რომელსაც შენ ერთ წამში შთანთქავ,
ამიტომ უნდა შემოგაპარო
უფრო დიდი, მძიმე ლუკმები...
და სულს გიბერავ სასოებით,
გივლი, გაპურებ,
თავს დაგტრიალებ, როგორც ჩვილ ბავშვს,
ნაცრის საფენს გიცვლი, მუგუზალს
გისწორებ ფრთხილად, მოწიწებით,
ლოცვით, მუდარით,
მერე ვზივარ და საათობით მოგშტერებივარ...
გიქებ ძალას და სილამაზეს, მომნუსხველობას...

●

ო, ცეცხლო, ცეცხლო,
რა ტანჯული სილამაზეა
შენი ვარდების მაგ შლილობაში,
ყაყაჩოთა ღვივილსა და ფოთოლცვენაში,
ალიონის მზის და წყვდიადის
ფერთა გამყოფ მოცისფრო ალში,
მკვდრის შუბლისა თუ ზამთრის ვაშლის ცივ სითეთრეში,
გოგრის ყვავილის, კომშის, მთვარის მძიმე ყვითელში
და მაინც ისევ
შავის და წითლის
ურთიერთ მუსვრა-შესრუტვასა და
გააფთრებულ ქორწინებაში...
აი, ბაღნარიც მუგუზლების...
მაგ შენი ვნების ნაყოფები და ძოწეული...
სასაფლაო
ბაგეებიდან
ჩამოფერფლილი
ვარდისფერი ღიმილების და
მეწამული სიცილებისა...
ლალის საბადო...
ბროწეულების ნაგლეჯები...
თითქოს მეწამული ტალღები გადასდით...
ო, მუგუზლების ნერვული ხუნთქვა...
იმათ ლოყაზე
წითელი ფერის მიკრთომ-მოკრთომა, ელეთ-მელეთი...
(ეროსის მარად თრთოლვა-სუნთქვას ასახიერებს...)
ო, წარუვალი და მოძრავი ძეგლი ჟრუანტლის,
სისხლის ზამბახი —
ამოზრდილი ღამის ბოლქვიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თუმცა, მოიცა, ჩაი უკვე დუღს...
გმადლობ, ძვირფასო,
ახლა დავლევ და შეციებულ შიგანს გავითბობ.
შენ კი...
ბავშვივით მოიწყინე და მოიბუზე...
თითქოს ავად ხდები...
შეიძლება ამაოების სევდა მოგეძალა,
უიმედობამ დაგრია ხელი...
მოიცა, შენს ნავთს შემოგასხამ,
მადასა და ვნებას აგინთებს —
ეს ნავთი ხომ შენი ღვინოა...
ოო... როგორ აბრიალდი, როგორ იფეთქე,
ლამის ღუმელს მუცლიდან ამოუხტე,
ლამის გვერდები გამოუნგრიო
(ეჰ, ყველაფერი გარეთ ისწრაფვის,
რაც კი შიგნით გამომწყვდეულა.
ჩემი შვილიც სულ ფეხებს მირტყამდა,
ვიდრე ჩემს სხეულში მყავდა მოქცეული)...
ო, შენ და ნავთი
მიწის ქვეშ რომ შეხვდეთ ერთმანეთს,
ნეტავ, რა მოხდება...

●

გიმზერ იდაყვზე თავდაყრდნობილი.
უკვე ათასი საუკუნეა
ამგვარად გიმზერ:
მონუსხული,
მოშვებული,
შეგუებული,
უდრტვინველი,
ფიქრში წასული,
შორს ამ ქვეყნისგან —
როცა ღია ვარ ყველაფრისათვის,
რასაც არათუ ბრძოლა, ძვირფასო,
განძრევაც კი არა სჭირდება...

ჰო, ასე გიმზერ,
წითელთმიანო მზეთუნახავო —
დაშრეტილო
და გარდაცვლილო
საბოლოოდ ამაოების
მსუბუქ და შავად მბზინავ ბოლქვებად,
მორუხო ფქვილად, ფერფლის ტალღებად,
ნაცრის მდუმარე დიუნებად,
რომლის სიღრმიდან შიგადაშიგ ამოკვესავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურჩხულთა ლალის თვალის კაკლები:
განუწყვეტელი რეპეტიცია
უმცირესი
აპოკალიფსის...
ნახანძრალი ლერწმის ტყეები...
ანაბეჭდები ბალახებისა...
მითხარი, დედავ,
ნაცარსა და ფერფლზე ფეხმძიმევ,
მითხარი, ჩემო საშინელო, —
ეგ შენი ცეკვა,
თმის შლა, თვითფლეთა,
ნაზი, უენო სისასტიკე, შენი ბუტბუტი
გლოვაა თუ დღესასწაული,
ლოცვაა თუ ჯადო-შელოცვა?
მითხარ, ჩემო შეუცნობელო,
რომელსაც მე ვერ შეგეხები,
სადა ხარ ხოლმე, ვიდრე გაჩნდები,
ვიდრე გაგაჩენს მზის წამწამები
თუ თითები ადამიანის?
მზეში ბინადრობს, ცეცხლო, შენი ცოცხალი სული,
ხოლო ჩემს სულში შენი სრული, მთელი არსება —
ალი, ღადარი, ნაკვერჩხალი, ნაცარი, ფერფლი...
მაგრამ ჩუ, ჩუ, ჩემო ცხოველო,
მარტო ჩვენ ხომ არ ვმონაწილეობთ
ამ წარმართულ წარმოდგენაში...

●

ო, ჩემო რცხილავ, უცნობო ხეო,
ცუდად ცნობილი ჩემი ქალაქის
შემოგარენში შენთვის მცხოვრებო,
ჩემს ღუმელში რომ გიზგიზებ ახლა
და შენი წვენი
მრგვალი მკლავების მძიმე ნაჭრებზე
მდუღარე ქაფად გადმოგშიშინებს —
სიმწარე შენი ძლიერი და ნედლი ძარღვების...
აი ეს ცეცხლი, ეს კონკრეტული,
ნაწილი ცეცხლთა დიდი მოდგმისა,
უშენოდ სულაც არ არსებობს —
იგი არის შენი სიკვდილი.

პაპაშენი — ახოვანი, დიადი რცხილა,
ან იმის პაპა,
და მით უმეტეს — მოლად უძველესი,
პირველქოფილი მამა-პაპანი,
ამოსულები იმ თესლებიდან,
პირდაპირ უფლის ბაღებიდან რომ გადმოჰფანტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველმა ქარმა,
ისე გამოეთხოვნენ მზესა და მთვარეს,
რომ არავის შეუბღალავს დედამიწაზე
სიყმაწვილე მათი თაობის,
ხელი არავის აღუმართავს მათ სინორჩეზე
ჩემს უძველეს მამაპაპათგან,
არ გაუგიათ, რომ სიბერემდე შეიძლება მოსვლა სიკვდილის,
და მით უმეტეს, შვილ ხეებთან, შვილიშვილებთან...
ხოლო ერთი შენი წინაპარი,
ათასიოდე წლის ბერიკაცი,
ღრუბლებამდე ამზიდველი თავის ხე-ობის,
ლამის ცის ტბაში რომ აწობდა მწვანე კენწეროს,
ფესვები ლამის დედამიწის ფსკერამდე რომ ჰქონდა ჩაზრდილი
და ასე ჰყავდა ჩაბღუჯული
ათი საუკუნის მიწისქვეშეთი;
მკვდართა ფოსფორით გაჟღენთილი წმინდა ფესვები,
გადაქცეული უკვე ტოტებად,
მიწისქვეშა მდინარეებზე
მანათობელ ხიდებად რომ გადაეკიდა,
ხოლო ფესვების სქელი, ხშირი თმა
ან უნაზესი, ცოცხალი ბადე
წყალს ტირიფივით დაჰფენოდა და
მიწისქვეშეთის შავბნელ უფსკრულებს
ჰამაკივით ჩაჰკიდებოდა,
ხოლო ტოტებში,
ან მოქანავე, დიდ გუმბათებში
უსუნთქავდნენ უზარმაზარი
უსახელო, მძიმე ფრინველნი,
და ქარიშხლები თავის დაფლეთილ
ქუთუთოებს ხურავდნენ ნელა...
და საერთოდ ვიღა არ ჰყავდა
გადაქცეულს უკვე მთელ ქვეყნად,
პატარა ტყედ თუ ტყის დიად ღმერთად,
რამდენი მდგმური ყველა სართულზე —
აურაცხელი თაობები ჭიაღუისა,
ჩიტებ-ციყვების,
პეპლების და ქვეწარმავლების...
ყველა იმას შესეოდა და შეფარვოდა...
მერე ვინ იცის, რამდენ სულდგმულის,
რამდენ სოფლის და რამდენ ცხოველის
წყალ-მიწად ყოფნას შეისრუტავდა,
შრიალ-შრიალით მიმოფანტავდა
და გადასცემდა ცას და მიდამოს.
ის ლოცულობდა:
მიწისქვეშეთის მზისქვეშეთში ამომზიდველი,
და მის წინაშეც მუხლს იყრიდნენ და ლოცულობდნენ,
განადიდებდნენ და ეკრძალვოდნენ.
ის ლოცულობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ შენ, ჩემო უიღბლო რცხილავ,
მისმა ლოცვამ ვეღარ გიწია,
უდროოდ მოგჭრა იმ მოდგმის ხალხმა,
გამოსავალს დანაშაულში რომ ჰპოვებს მუდამ.

რა შეედრება სპილოსძვლისფერ სიმკვრივეს შენსას,
ო, ტენიან ტინს შენი ტანისას...
ნაჯახი ვერას დაგაკლებდა,
მედგრად აისხლეტდი, მე და ჩემმა ღმერთმა,
ტარიც უმტყუნებდა ალბათ შენი ხათრით,
ხოლო თუ მაინც ჩაგესობოდა...
იმას მოახრჩობდა
ნედლი უსიკვრცობა შენი სხეულისა...
ხერხის წვრილი კბილები რომ არ არსებობდნენ...
რა თქმა უნდა,
ხერხი გვიანდელი გამოგონებაა.

და ახლა შენი ნედლი ძარღვები
მაცოცხლებელი ცეცხლის წიაღ იბუგებიან
და საკვამურით ჩამოხეტებულ,
მუდამ შორეულ ქარის სისინზე
შიშინით იკრუნჩხ-იგრიხებიან...
და მე ეგ დუჟი მეჩვენება
იმ მრისხანე ანგელოზთა კაბის კალთების
აბრეშუმის ქობა-არშიად,
განკითხვის დღისთვის მზადყოფნაში
მოუთმენლად რომ ირხევიან
და ჩვენი ცეცხლი ასახიერებს
მათი წითელი სამოსის ფრიალს...

მაგრამ როდესაც გამახსენდება,
რომ შენი ქაფი
მეჭეჭების წამალიცაა,
რომლებიც მიტომ უჩნდებათ ბავშვებს,
რომ ღამღამობით
ვარსკვლავების თვლას ბედავენ
გაფრთხილების მიუხედავად —
გული მიჩუყდება და ცრემლი მომდის
და ცრემლიანი სახე მომაქვს ღუმელის კართან
(რომელიც უკვე გეჰენიად გადამქცევია),
სულს ვუბერავ (გულს ვიტკეპნი) და...
ცეცხლს შენს მკლავს ვუწვდი....
რადგან გამოსავალს მე როდი ვირჩევ...
რადგან თებერვლის თბილი წყლები ისევ შორსაა
და ჩემს ფანჯრებს მჭიდროდ აჰკვრია
დეკემბრის დილის თეთრი სარჩული
(და მინაზე გადმოუბეჭდავს
გარდაცვლილი ღერო-ფოთლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პაროლებით მიმანიშნებს,
რომ სიკვდილი აქვეა და კარგად ვახსოვარ),
რადგან თითები მეყინება,
რკინის კალამი რომ ჩაუბღუჯავთ
და ამ სტრიქონებს მიუყვებიან,
როგორც გუთანი მიუყვება
ზამთრისპირის გაყინულ მიწას.

არ მინდა ჩემი მეცხრე ბინა ზეცაში იდგეს,
კარგი იქნება თუ ცა მეათე ბინად მექცევა,
მეცხრე ბინა კი მინდა ისევ სახლი იყოს და
მიწას მშვიდად ებჯინებოდეს,
ვაშლის ხეებით
და ხვეული ჩაის ვარდით გარემოცული.

დეკემბერი, 1994 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორაგველიძე

# ნოველები

რედაქციისაგან: გრიგოლ ორაგველიძემ (1900—1952) გასაბჭოებისას დატოვა სამშობლო; გადავიდა თურქეთში, შემდეგ, ჩავიდა საფრანგეთში, სადაც უმაღლესი განათლება მიიღო, შემდეგ კი ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდა საბედისწერო ნაბიჯის გადადგმამდე — საქართველოში დაბრუნებამდე. აქ კი სიკვდილი ელოდა საბჭოთა ჯურღმულებში.

გრიგოლ ორაგველიძე ქართულ ენაზე თხზავდა თავის ნაწარმოებებს, მაგრამ ვერსად ბეჭდავდა. დაპატიმრების დროს უშიშროების სამსახურმა მთელი მისი საკმაოდ დიდი არქივის კონფისკაცია მოახდინა. სასწაულებრივად გადარჩა პატარა რვეული ამ ნოველებითურთ. თუ გავითვალისწინებთ მათი შექმნის თარიღებს, აგრეთვე, ამა თუ იმ ენობრივ, საერთო სტილისტურ თავისებურებებს (ტექსტი იბეჭდება უცვლელად, ალაგ-ალაგ უმნიშვნელო რედაქტირებით), აშკარაა, რომ გრიგოლ ორაგველიძის შემოქმედება ორგანული ნაწილია ქართული ემიგრანტული ლიტერატურისა და ჯეროვან ყურადღებასაც იმსახურებს.

მადლობას მოვახსენებთ ტრაგიკულად დაღუპული კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულის ვაჟს, თავადაც მრავალჭირნახულ კაცს, ალმანახ „ლიტერატურნაია გრუზიას“ განყოფილების გამგეს ბატონ გივი ორაგველიძეს, რომელმაც ეს ნაწერები გადმოგვცა.

## შაქირ ეფენდი

— ალაჰი არ გაპატიებს ოსმალეთის და ყურანის წაბილწვას!

ვალიმ შუბლი შეიკრა.

— ნუ იკრავ შუბლს! ახალგაზრდა ხარ. მოხვალ შენც ეგრე გონზე, როგორც მე მოველ... თუმც... იქნება ეს გვიან... ხელი შემიშალეთ, თორემ მსურდა სულ სხვა გზით მომენახა ბილიკი მოჰამედისაკენ....

მეტი არა თქვა... დახუჭა თვალი და გაახმორა. ჩაეჭიდა ახალ ცხოვრებას.

ვალი წავიდა. გაჰყვა ჯარიც.

სოფელი მშვიდდებოდა. ახალი ერა ფანჯარას მიადგა. ფანჯარაც გაიღო.

უჩადრო ქალები კისკისით ერთმანეთს ქუჩებში რაღაცას უამბობდნენ.

იმ დროს, როდესაც შაქირ ეფენდი ედემში მოჰამედს ესაუბრებოდა, დაბლით ქალაქის ხვნეშა სოფელს ეკვროდა.

იყო დრო ახალი.

ზოგნი ცეკვავდნენ. ზოგნი კიდევ ძაძებს იკერავდნენ.

ლაზისტანს გურჯული ზმორება თენთავდა. ხალხი რაღაც დიდი სასწაულისათვის ემზადებოდა.

აღელვებულნი, ფიქრობდნენ ოსმალეთის ნგრევის პროცესზე. აწყობდნენ გეგმებს. ფიქრობდნენ ძველი ზმანების სიახლოვეზე. დარბოდნენ. ავრცელებდნენ ხმას: თუ როგორ მოვიდა დრო დედაგურჯისტანის გულს ჩასაკრავად. დარბოდნენ ბიჭები. მსჯელობდნენ. ჩუმად ერთმანეთს ამბებს უამბობდნენ, ნელინელ ირაზმებოდნენ და ხმალს, ძველს, გურჯულს ისევ ლესავდნენ.

ბიბლიოთეკა

არ ეძინა მტერსაც. ჯემალი არწივი-ვით თვალებს აბრიალებდა. იგრძნო საშიშროება და ამიტომაც უამრავ ჯარით შიგ ლაზისტანში მოკალათდა.

ატყდა ვაი-ვუი თუ თმების გლეჯა.

ხალხი, უცებ იმედნაქონი, ვერ ურიგდებოდა გაქცევას. მოხდებოდა უბედურება, რომ... ისევ ჰუსეინ-ოღლი არ გამოჩენილიყო. შეჯდა გადაჭრილ ჯირკზე. გრძელი წვერი დაიბერტყა. ულვაშს ხელი შეავლო. თვალი შეხუჭა და უცებ წამომდგარმა ხალხს თვალი შეუგდო.

გაქავდა ზღვა ხალხი თავის ფიქრებით.

— დიდ არს ალაჰი!.. — დაიჭექა რიხიან ხმით ჰუსეინ გაგრა-ოღლიმ.

— და მოჰამედი, მოციქული მისი... — გასცა პასუხი ხალხმა.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. გულნი ღელავდნენ. ბობოქრობდნენ... ესმოდათ ნათლად, რომ ჰუსეინის სიტყვა იქნებოდა ოქროსავით მძიმე და ძვირი. წინდაწინ იღებდნენ მის განაჩენს თუ ბრძანებას.

ჰუსეინ გაგრა-ოღლიმ ხალხს გაუღიმა.

— ხალხო და ჯამაათო! ეგრე ამბობდნენ ჩვენში, ძველად, ძველად. მეც მინდა ეგრე მოგმართოთ. გულსა თქვენსა შეუჯდა მწარე ფიქრები. იღრღნებით. იფერფლებით. გსურთ დაანთხიოთ. გამოხვიდეთ. სიმართლის სიშორესა გრძნობთ, გსურთ ძალით მოიახლოვოთ.

ხალხო და ჯამაათო! დამშვიდდით. საუკუნე კვლავ არის მუნჯი. ბრმა. დაიშალენით. სახლს მოუარეთ. ამას გეუბნებათ თქვენ ჰუსეინ გაგრა-ოღლი. გესმით?

— გვესმის, გვესმის! — იღრიალა ხალხმა.

— მხოლოდ, სანამ დაიშლებოდეთ, მსურს, რომ იცვიროთ: ნუ რყვნიან ჩვენს დებს, ძმებს...

— ნუ რყვნიან ჩვენს დებს, ძმებს! — აღრიალდა ისევ ხალხი.

იქვე ჯარის უფროსი გაფითრდა. იჭვით შეხედა ჰუსეინ გაგრა-ოღლის.

— ხალხო და ჯამაათო! უიარაღოდ წამოდით, იარეთ ჩემთან ერთად, დავიხსნათ პირველი მსხვერპლი.

ჯირკიდან ჩამოვიდა ჰუსეინ გაგრა-ოღლი. ხალხი გაირღვა. ბოლოს... მისდევდნენ მას: ქალნი თუ ბავშვნი, „ურწმუნო“ არაკებით შეზარხოშებულნი.

ჰუსეინ შევიდა შაქირის აულში. ხალხი მწუხარებით ავსილი უცდიდა მის გამოჩენას. დაინახეს სურათი საარაკო, შემაძრწუნებელი: გრძელწვერა მოხუცის ხელებზე ესვენა გამხდარი ქალის სხეული.

იგრძნო ხალხმა უბედურება.

— ჰმმმ!.. ჰმმმ!.. — გუგუნებს ხალხი.

არ აქცევს მის გუგუნს ყურადღებას ჰუსეინ-ოღლი. არღვევს ხალხს და მჩატე ტვირთით, თავზარდაცემულ ხალხთან ერთად, უხმოდ სტოვებს შაქირ ეფენდის ასულს.

იმ დროს, როდესაც უცნაური პროცესია მთებს უახლოვდებოდა, ბარში თურქნი ღიმილით, ქარვის კრიალოსნის ტრიალით ერთმანეთს უამბობდნენ,

თუ:

როგორი აუტანელი ხალხია ლაზები.

თუ:

როგორ, ლაზნი, გურჯისტანის ფიქრით შემთვრალნი, აგროვებენ ძვლებს და ყოველივე ამას უხმობენ სიცოცხლის მიზნად.

იმ დღეს ჰაერი იყო მძიმე. დაღვენთილი. ამიტომაც შეეკრა სახე სევდით ეთერს თუ ჰუსეინ გაგრა-ოღლის.

— გსურს გიმღერო იავნანა?

— მსურს. მერე როგორ?!

თარის ბარტყუნი არ არის ჟინი უშნო.

არის ის ჩემეტა ქართული. ღიზიანდება გონება, სული ქართული, და მიელტვის ბედნიერებას.

— გსურს ბაიათი?

— მსურს. მერე როგორ!

ზურნის წუწუნი როდია ქშენა აბდაუბდის.

არის ის იდუმალება ქართულ კდემით შემოგარსული.

— გსურს: „ეკალში ვარდი შევნიშნე?“

— ეკალში ვარდი? ეგ რა თქვი?!

— ვთქვი ის, რაც გაიგონე: შენ ხარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდი, ეკლებში ჩაფლულ-ჩავარდნილი. გსურს?

— მსურს...

დასუსტებულმა ხმა ჩაიხშო.

ჩონგური ატირდა. ხმები მოთქვამდნენ. ირეოდნენ ლანდნი ხმათა ბგერაში.

მარხია მათში ყოველივე... ყოველივე...

არსი.

არსი.

წარსული.

აწმყო.

თუ მომავალი.

ეთერმა თვალი დახუჭა. გაათბო ბგერამ მისი შეყინული სხეული. დაზრინა ტკბილად. იგრძნო, რომ უახლოვდებოდა რაღაც თბილს, მამაპაპეულს. ჰუსეინ გაგრა-ოღლიმ, ოდესღაც გაგრაძის გვარის მატარებელმა, ცრემლი დაღვარა.

ცა იყო კრიჭაშეკრული. ყველანი ელოდნენ რაღაცას. ხალხი ნელინელ გაიფანტა, რათა ოდესმე ისევ შეკრებილიყო.

15 ოქტომბერი, 1924 წ.

ქ. რიზე — ლაზისტანი.

## გალიციის ზმორა

არის წუთი, როდესაც გულიდან გამოსული სევდა გონებას გაეზიარება. მაშინ, აკრობატივით, ბეწვზე ვარ შემჯდარი და ვირხევი, ვაკვდები ბეწვს, მინაბული თვალებით შევცქერი კვამლად ქცეულ უფსკრულს. მსურს გადავხტე, დავამთავრო ეს ძლივს დაწყებული სიცოცხლე, მაგრამ მისი ძალა გამიტაცებს ნაპირისკენ და იქ, ვეება ქედზე მიმკვდარი, ვესაუბრები ჩემს თავს, ვიწყებ ფიქრს...

ჩემი გვარი? მასში იმდენი გვარია არეული, ტყუილი იქნება, რომ ესა თუ ის გვარი გავამჟღავნო. ასე რომ, გვარი არა მაქვს — მხოლოდ ხელისუფლებისათვის არსებობს ესა თუ ის გვარი ქაღალდზე.

ჩემი სახელი?

არც ესაა ჩემი. სულს ძლივს ვითქვამდი, აკვანზე რომ დააიავნანეს. მიშოვნეს დრო, თორემ იქნებ მომენახა მთის კაცისთვის საკადრისი სახელი.

ტომი?

ო, ეს კი მაქვს. ის არის წმინდა, ვით ქეთევანის წამება და უტყუარი, ვით ბახმაროს მზის სხივები.

ამიტომ პატივით ვეპყრობი ჩემს ორგანიზმში დაგროვილ ათასეულთა სახეებს.

მე ვარ ერთი. მე ვარ ბევრი.

მე ვარ სარკე წარსულის. ჩემში მოკალათებული ატომები ჩემივე ხალხის გამოჭრილია. საკუთარი მგონი არაფერი გამაჩნია. ყოველივე არის მისი — ხალხის.

როდესაც მძიმედ ვაბიჯებ, მესმის, რომ ეს ნაბიჯი პირადი ჩემი არ არის. ვიგრძენ ეს და ვცდილობ ყოველგვარ შინაგან ხმაურს ვესაუბრო — ქუდმოხდილი.

ზოგიერთი წუთი პირდაპირ ჩემი მომწამვლელია.

ოჰ, როგორ მსურს მეც მქონდეს სამშობლო და თან გულში ასე განვმარტავ:

სამშობლო არის ერთი. უსამშობლოდ არვინ ჩნდება. მაშასადამე, სურვილი მისი ქონებისა თურმე არის ზედმეტი. ქონება კი არა, არამედ შენარჩუნება — აი, ნალდი.

ახლა დავმშვიდდი. ამ განმარტებამ მაგრძნობინა, რომ არის მიზანი. ამიტომ იყო, რომ ხარბ, გაუმაძღარ გონებას თითი გავკარ და შევაჩერე. საქმე იმაშია, რომ მას მოუნდა დაკარგულ სამშობლოს მაგივრად ახალი სამშობლოს შექმნა თუ მოპოვება.

ჩემმა თითის გაკვრამ შეაჩერა გონების დუღილი. საქართველოზე დამწვარმა გულმა მას პასუხი ასე გასცა:

— ისევ მირჩევნია ფეხშიშველა სირბილი პალიასტომის ციებიან ჭაობებში. არ შემაწუხებს სალამოს კოღო. მიცნობს. ვიცნობ. უდარდელად თავს მივადებ წლობით მძინარე ხავსიან ხეს, თხმელას, ჭაობში აღზრდილს და იქვე დავარდნილს. ვიქნები ბედნიერი. სულით სუფთა. გზნებით წყნარი. კუჭი კი ნაკვერჩხალზე შეფიცხებული ღომით და გამხმარი ყველით გამევსება.

ხუთი წლის უკან ვიყავ ალპებში. დღეს

კი ამ სტრიქონებს ვწერ კარპატებში. ზღვაში სიბინძურეა. მთა სულ სხვაა. აქ არის სევდა, სიმხიარულე და სიწმინდე. აქ კალმახიც კლდიდან კლდეზე ხტება.

ამიტომაც, თუკი ვნახე მთა, უცებ ვითვრები. მსურს მას ჩავეხვიო. ქალამნიან გლეხს მოწიწებით სალამი მივცე.

მრწამს მისი სიძლიერე. ის ებრძვის მიწას და ცას. ცას — ღითონის მსგავსი ორგანიზმით. მიწას — მარჯვენათი. უშიშრად.

ყველაზე უფრო მეტი პატრიოტია მთიელი. არ მოშორდება კლდეებს და თუ შემთხვევით ბარს ესტუმრა, დაჭკნება უცებ, ვით სვანი. გულში უდევს სევდა, დათვივით ძლიერი.

სხეული ვერ უძლებს მთის დანაკლისს და ირღვევა.

ბარში მთიელი ბავშვია. მთაში — მოხუცი, მებრძოლი, შეუპოვარი. იქ არის მისი სავანე. ხტის ციყვივით კლდიდან კლდეზე. უყვარს თავისუფლება. ამიტომ, არც არის საოცარი მთიელის სურვილი თავისთვის ყოფნის. არც ის გამიკვირდება, რომ ერთ დღეს ჩვენ, ქართლელებს, ჩვენმა ძმებმა, ხევსურებმა, სვანებმა თუ სხვებმა მარტოობა მოგვთხოვონ.

არის ეს ცხადი; ყოფნის მათ მთა და მისი ბუნება. ადამიანი მასთან არშეზრდილი — უცხოელია.

ვუცქერ ისევ მთებს. მოჩანს მასზე აღმართული ხის ჯვარი. ლოცავს ჯვარი: მთებს, მთებში მიმავალთ, დაბრუნებულთ და მის ძირას მიძინებულ თარემჩეს.

თარემჩე სოფელია. ისეთი, როგორიც წაღვერი ან ბახმარო.

ბახმაროზე ზაფხულში თუ ავძვრებოდი. ერთი თვის შემდეგ თოფნაკრავივით ვეშვებოდი ბარისკენ.

ვიყავი მხდალი. მაშინებდა ზამთარი და ბახმაროს მოლიპული კიდოები.

ერთხელ წვიმა იყო. ახალნაყიდი წუღა გაილესა და ხრიალებდა. ვერ ვიმაგრებდი თავს. როდესაც სახლში მოველ, დედამ მცემა. ეს იმიტომ, რომ მაკლდა შარვლის უკანა ნაწილი.

საქართველოში მზემ მშობა. ქარი კი იავნანას მიგალობდა. ხშირად ვაძლევდი ფიქრს ქარს. სად არ შეაგდო ეს ჩემი ფიქრი ქარმა? მთის წვერზე, მის ღორღზე თუ კოლხიდის ჭაობებში. ფიქრი ხან ჭკნებოდა და ხან იზრდებოდა.

აი, ახლაც, როდესაც ვუცქერ კარპატის მთებს, ვმშვიდდები. მთებს არ აწერია გვარი და არც აქვს პასპორტი. არიან ისეთივე, როგორც იქ... იქ...

ამიტომ მიყვარს მთა.

კარპატებს სალი კლდეებიც აქვს. გადაჰყურებენ პრუტს — ცივგულა მდინარეს. ამ კლდეებზე აუარებელი წარწერაა.

წარწერებში იკითხება ბევრთა კვნესა, ფიქრი. აი, მაგალითად:

„აქ გავიცან ის. აქვე მოვკალ. მთებს ჩავეკარი. ტომი დავკარგე“.
„მედიდურია მთის ზმორა, მაგრამ არანაკლებია მთიელის სიყვარული მთისადმი“.
„ჩემო უკრაინავ! მონა ვარ შენი“.
„პოლონეთო! აი, შენი დიდების აკვანი“.

შემდეგ იწყება მიცკევიჩის თუ შევჩენკოს აზრთა ისრები. ისრები ირევიან ერთმანეთში, ვით ქაოსი, და ქმნიან მშვენიერ პოეზიას თუ ისტორიას.

ვერც მე მოვითმინე. ვიშოვე საჭირო იარაღები და შევუდექ სალ კლდეზე ქართული ანბანის ჭედვას. ვჭედდი კლდეზე სიტყვას, ვესაუბრებოდი მთებს და ჩემს სამშობლოს.

ვმუშაობდი გზნებით. ანბანი ანბანს მისდევდა და შევქმენ:

„კარპატის მთებო! თუ ოდესმე
შემოიჭრეს
შენს წვერზე სიო კავკასიონის,
გთხოვ
შეაჩერო ქართულ ანბანთან. უთხარ,
თუ როგორ შენმა კალთებმა კვნესით
სამშობლო მომაგონა და ამატირა!“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს თუ ვღელავ უფრო მეტად, ეს იმიტომ, რომ უკანასკნელ სიტყვას ვამთავრებ.

მოვა ჩემთან დარცია. მთის ქალს, ჰუცულს, ჩემს აზრს გავაცნობ, გავანდობ.

დარცია მთის ქალწულია. მთის შექმნილია. მასავით მშვენიერია. როდესაც წავუკითხე, აცრემლდა და ჩაიბუტბუტა:

— ოჰ! რომ შემეძლოს იმ სიოს მოტაცება და შენთვის მოგვრა?..

მეც ავცრემლდი. გულში ჩავიკარი დარცია. მისი ნორჩი სხეული ეკვროდა ჩემს სხეულს. წამოზრდილი მკერდი არ მიშვებდა ბაგისკენ.

მიყვარს დარცია.

ხვევნაში თუ ალერსში არის ის ჩვენი ჩვენებები... ბაგეთი ვეწაფები მის თაფლისფერ თვალებს.

თვალები ციმციმებენ და მეუბნებიან:

— კიდევ! კიდევ!..

მე და დარცია მივდივართ ვოროხტისაკენ. ვოროხტა არის უკანასკნელი სადგური. იქ უფრო ცივა, თუმც... მზის სხივები იქ უფრო ტკბილია.

დარციას ჭრელი თავსაფარი, შალი ანუ, ქართული თქმით, — მანდილი ვუყიდე. მოერთო და მითხრა:

— ჩემო პრინცო! ამ შენს ნაჩუქარს ჩემივე წვენით კუბოში დავადნობ...

მიღიმის. ღიმილი ჰგავს მთის წვეროდან დაშვებულ, უცებ მოვარდნილ მზის სხივებს. იჭრება ჩემს ტანში. მაჟრჟოლებს და ვარ მთვრალი.

მიყვარს დარცია სიცოცხლესავით.

ვიცი, აბრაზებს პოლონური სიტყვა და თუ წამომცდა, მის რისხვით ალეწილ სახეს გულთან მივიკრავ და უკრაინულ ენაზე ვეტყვი:

— შენ ჩემი მზე ხარ, ციური...

დადნება. თვალებს მოჭუტავს და ისვენებს.

— მასწავლე სიტყვა ქართული!..

ვასწავლე: „გენაცვალე", „შენი ჭირიმე" და — „მაკოცე".

როდესაც სწავლამ გაიტაცა, უცებ დაღონდა და ცრემლიანმა შემომჩივლა:

—ვერასდროს ვერ გავტეხ ჩემს ყორყს. ვერ ვიტყვი, როგორც შენ: „მიყვარხარ".

— მერე რა?

— თუ სიტყვას აკლია ფერი, არის ის ნასესხები და უცხო.

დაღონებული შევაქანჯალე. გულზე კიდევ მივიკარ...

დარცია!.. ო, დარცია!..

გუშინ პოლონელ ქალს ბილიკზე შეეჩეხა დარცია. ვიწრო იყო ბილიკი. გვერდის შევლა შეიძლებოდა აღმართზე ასვლით. არ მოისურვა დარციამ გზის დათმობა. უკრაინულ ენაზე, ზიზღით სავსემ შეუტია:

— მიწა ჩემია. გზა დამიცალე!..

— მიქარვა არ არის გაბედულება. გზა! — ამაყად გასცა პასუხი პოლონელმა. თვალით ზომავდნენ ერთმანეთს ორნი, ვით ძუ ვეფხვნი. შევშინდი. დარციას ხელში ჩავავლე და აღმართისაკენ გავიტაცე.

პოლონელმა ასულმა მედიდურად გაიარა, დარციამ კი კარგად გამთათხა. იმ დროს, როდესაც იგი უხეშ სიტყვებს პირში მახლიდა, შორიდან თეთრკბილა, ქერა პოლონელი ქალწული მიღიმოდა...

ძველია, ძველი, პოლონელ-უკრაინელების ბრძოლა. ბრძოლა არის სასტიკი, ხან მხეცურიც. არ ინდობენ ბრძოლის დროს ერთმანეთს. ცოცხლებს კარებს ურაზავენ და წვავენ. ჩაკეტილი არ ტირის. არ ითხოვს სიბრალულს, მხოლოდ „ავე-მარიას" გალობით უერთდება ჟანა დარკის მისტიურ ლანდს.

დარცია არის მთებივით ტკბილი, სუსხი, გულღია, მხეცი, მზე — ცხელი და ხან ცივი.

ჰო, მივდივართ ვოროხტისაკენ. მატარებელი რახარუხით ინჯღრევა. ხან მივქრივართ და ხან კიდევ — მივლოღავთ.

ვშიშობ ხანდახან, არ დაკარგოს ორთქლმავალმა ბორბალი. ანდა მხტუნავმა ვაგონებმა არ მოისურვონ კლდის ღორღის ნახვა.

მერე, რა მწარე იქნება იქ ყოფნა? ამიტომ მაგრად ვიკრავ დარციას და არ მინდა იქ, კლდის ძირისკენ ჩავექანოთ.

უცებ ვმშვიდდები. ვგრძნობ სიდიადეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ყოფნისას და უკვე მსურს ბორბალი მოძერეს ორთქლმავალს. მოვშორდე ცივილიზაციას — თუ გინდ ვიქმნე მთის სული, მაგრამ... დარციასთან ერთად.

მატარებელი უცნაური მუსიკოსია. აკომპანიმენტი არის სწორი. მესმის ეს და სადღაც განაგონ ქართველი პოეტის „ლინ-დარიდან, მითხარ, საიდან"-ს ვიმეორებ.

ორთქლმავალი იზნიქება გველივით. მიხოხავს, ეჭიდება მთას.

იმ დროს, როდესაც მე მთების ეშხით ვითვრები, მესმის მეორე მუსიკა. ეს არის დარცია და მისი წყნარი სოპრანო:

— ტი მოიე სონეჩკო...

მატარებელმა დაიწივლა და შეჩერდა მთის პატარა სადგურთან. დარცია ფანჯარას მიყრდნობოდა, იღიმებოდა. უცებ... წამოხტა... ფანჯარას ისე მიაკვდა, თითქოს ლამობდა მის გამტვრევას. ცქერა ეყინება. თვალთა უპეებს ორთქლი ასდის... ბოლოს ისიც შრება... გამშრალი თვალები აფრქვევენ ზიზღს.

გამაოცა დარციას ცვლილებამ. თვალთა ისრები გავაყოლე მის მზერას. ისქირებოდა სადგურისაკენ. სადგურში კი ხალხი შეგროვილიყო. ხმაურობა თანდათან მატულობდა. ვადევნებდი ბრმის თვალს, თუმცა ერთი წუთითაც არ ვეშვებოდი დარციას სახის ცქერას.

სადგურზე კი ხალხი ირეოდა. ბრბოს ზურგზე შეესვა მომღიმარე პოლონელი ოფიცერი — მაიორი და „ვაშას" ძახილით სწორედ ჩვენი ვაგონისაკენ მოაქანებდა.

— დარცია, ვინ არის ეს ოფიცერი?

— ეგ ოფიცერი?.. ჰმ... ჰმ... ჰო... ჰო...

„ეგ ოფიცერი"...

რატომღაც ხმა უწყდებოდა დარციას. ნახევრად სველი, მაგრამ ზიზღით აღვსილი თვალები სიტყვებთან ერთად მომახეთქა:

— პოლონელია, ვერა ხედავ? მერე, როგორი პოლონელი? ლვოვის გმირი!.. მისი „განმათავისუფლებელი"...

სიტყვა „განმათავისუფლებელი" წარმოთქვა ისეთი ზიზღით, ჩემთვის ზედმეტი იყო მეტის გამოკითხვა.

ახლა ყოველივეს მივხვდი, ვინაიდან ვიცოდი: უკრაინელები იარაღით გამოვიდნენ და გალიციაში უკრაინის რესპუბლიკის დაარსება მოისურვეს. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს დედაქალაქი ლვოვიც, მაგრამ...

...პოლონელებმა, ბუდიონის თავიდან მოშორების შემდეგ, უკრაინელებს შეუტიეს და დაამარცხეს ისინი. წაართვეს ლვოვიც და გალიციაში პოლონეთის თეთრმა არწივმა ისევ ფეხი მოიდგა.

მოვიგონე ყოველივე ეს. ვიგრძენი თუ რა შმაგი იყო დარციასთვის ეგ სურათი. მივხვდი, რომ წარსულის მოგონებამ დაუმანჭა სახე... უცებ კარი გაიღო და შურდულივით შემოიჭრა მაიორი.

მაიორს ეტყობოდა ხალისი და კმაყოფილება. დარცია ინერციით ჩემკენ გამოქანდა და სურდა თითქოს... დამალვაც... გვიან იყო. ოფიცერი გაქვავდა, იქცა ქანდაკებად. მხიარული სახე ჩაუქრა და თვალები დაუღამდა. შესცქერის დარციას. დარცია კი ნელ-ნელა ზურგს აქცევს.

უცნაურად ჩახლეჩილი ხმა ვერ დაეტია მაიორის მკერდში. ზევით ამოიჭრა.

— დარცია!

დარცია ხმას არ იღებს.

მე დავიბენი. არ ველოდი ასეთ სცენას. არ ველოდი, თუ მაიორი იცნობდა დარციას. სად პოლონელი და სად ჰუცული?!

უცებ ეჭვმა დამღრინ-დამკბინა.

— აჰა... — აღმომხდა მეც...

ოფიცერი უფრო გაიჭიმა. დაჟინებით შესცქერის მხოლოდ დარციას. მე თითქოს არც კი ვარსებობდი.

— დარცია! მოდი აქ!..

სიტყვა ნასროლი იყო მკვეთრი. თითქოს ბრძანება გასცა მაიორმა.

დარციამ არც კი შეხედა. უკრაინულ ენაზე მკაფიოდ უპასუხა:

— უბრძანე შენს პოლონელებს და არა მე!

ორთავეს ვზომავდი. არ მაოცებდა დარცია. მხოლოდ მაკვირვებდა მაიორის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება, ისიც „შენობით“. თავხედობა იყო ხაზგასმული. ვიცნობ პოლონელს, მით უფრო ოფიცერს: შენობით ის თავის თავს ძილშიც კი არ დაელაპარაკება. ახლა კი?...

ჩემთვის აშკარა გახდა, რომ მაიორი დარციას ძველთაძველი ნაცნობი იყო... ნაცნობი?!.

— პსია კოსც! პშიიდეშ ტუ ჩი ნიე? (ჯანდაბა! მოხვალ თუ არა?)

ეს კი ზედმეტი იყო. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. ორ მხრივ: მაიორისაგან და დარციასაგან — მაიორისაგან, რომ ანგარიშს არ მიწევდა; დარციასაგან, რომ წმინდა კარპატის ყვავილად მომაჩვენა თავი....

წამოვხტი მაინც...

— ბატონო მაიორო! გირჩევთ თავი შეიკავოთ და ზრდილობით მოეპყროთ ჩემს თანამგზავრს, თორემ საქმე გექნებათ ჩემთან! მე კი უკრაინელი როდი ვარ, ქართველი ვარ, ქართველი...

მაიორმა უცებ შემომხედა. ამწონ-დამწონა. მრისხანება ნელი-ნელ გაუქრა... უცნაური ღიმილი მოედო სახეზე.

— ქართველი?!..

მესმის მისი ხმა. ველოდები რაღაც საშინელებას... არ ვიცი, რა მოხდება. ერთი უხეში სიტყვა, მისგან ტყორცნილი, საკმარისი იყო, რომ მემოქმედნა. ისიც ვიგრძენ უცებ, რომ მაიორი ფიზიკურ შეურაცხყოფას, რომც მოესურვებინა, ვერ მოითმენდა და იარაღს მიმართავდა. ბრძოლა იქნებოდა უთანასწორო:

მე — უიარაღო, უცხოელი.

ის — პოლონელი, ოფიცერი, ვალდებული და უფლებამოსილი ჩემი მოკვლის...

მაგრამ გვიან იყო... სისხლი ქართულ ანგარიშს ვერ ეგუება. წავიწიე მისკენ, ვერ მოვასწარი სავსებით მიახლოვება, რომ დარცია, ვით მიმინო, ეგრე დაეშვა ჩვენს შორის და მკერდზე, ვით ვაზი, შემომეგრიხა:

— ნუ... ნუ... ძვიეფასო!..

თავს მალავდა ჩემს მკერდში... ღელავდა. ვატყობდი, რომ დარციამაც იგრძნო დრამის აუცილებლობა. მე მაიორს თვალს არ ვაშორებდი. იღიმებოდა, ვით... ბავშვი...

— დარცია! ეგრე გიყვარს ეგ ქართველი?

— განა შესაძლებელი არის მზის არსიყვარული?

მაიორმა თავი დახარა, ულვაშებში ჩაიცინა.

სახემხიარულმა წარმოთქვა:

— საწყენზე უფრო სასიხარულოა... მე თუ მოგმართე, მხოლოდ იმიტომ, რომ მსურდა წარსული უთანხმოება გამქრალიყო. დარცია! მომეც ხელი, შევრიგდეთ... დავივიწყოთ ძველი, წარსული... გავხდეთ ისევ...

— აკი გითხარ? — მკვახედ უპასუხა დარციამ.

— რა, რა მითხარ? ხელი ავიღო პოლონელობაზე? ჯარიდან გამოვიდე? ჩავიცვა ჰუცულის ქალამნები და სახლში შიმშილით კუჭი დავიწვა? რად მიშლი მე ჩემს რწმენას? რად გსურს ვიყო ის, რაც არ ვარ? სისხლით, რწმენით, აღზრდით მე პოლონელი ვარ, შენ კი დაბნეული...

— ხმა! — შეუტია დარციამ.

მაიორს ცრემლი შევნიშნე. ვიგრძენ მისი ტკივილი.

პატივისცემით გზა დავუთმე ორთა გულის შეჯახებას. მსურდა, რომ გავსულიყავ, გავმქრალიყავ... რომ... ისევ მაიორმა დამასწრო... თავჩაღუნულმა, მგონი ბარბაცით, კარი გააღო და გავიდა.

არ ველოდი მის გასვლას. მერჩივნა, რომ დარჩენილიყო. წაეღო მთის ყვავილი... გული სტიროდა აღშფოთებასიბრაზისაგან.

მეტის აღელვებისაგან ჩამოვჯექ. არ ვიცოდი, რა მექნა. რაც გავიგონე, ჩემთვის მძიმე იყო... თავში არ შედიოდა, რომ ოდესღაც მაიორს და დარციას შორის...

— აჰ... — დავიკვნესე.

დარციამ თვალი შემავლო. ფანჯარას მიუახლოვდა. იცქირება მთებისკენ. მესმის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაპატიე. ბევრი რამ გაიგე. არ მსურდა, რომ ეგრე ღრმად ყოველივე უცებ გცოდნოდა. შემდეგ... შემდეგ გეტყოდი...

მწარედ გავიღიმე და გესლით სავსემ ვუპასუხე:

— როდესაც ჯვარს დავიწერდით, არა?

დარცია შემობრუნდა. დიდი თვალები დაალო. მიცქეროდა დიდხანს... გაოცებით... ჯერ მოწყენილი. უცებ... გადაიხარხარა... სიცილი იყო ბედნიერი. მთიელის...

— რა გაცინებს? დამცინი, არა?

— იჭვიანობ? — მხიარულად მეუბნება დარცია.

ვერ გავუძელ მის სახეს. ყოველივე ცინიზმად მომეჩვენა. უხმოდ წამოვდექ... ხელი ჩავაქნიე და ვაპირებდი ვაგონიდან გასვლას.

გადამეღობა წინ დარცია. ხელი მტაცა. შემომეხვია. მიმიკრა ძალით მკერდზე. ტუჩი ტუჩს მოხვდა. ვცდილობდი დამეხსნა თავი, მაგრამ მთიული, ცხელი ბაგე მადუნებდა. წუთით ვიგრძენ საშიშროება. ძალით მოვიშორე. დავანარცხე იატაკზე.

გამოვვარდი, კარს ჩავეჭიდე და უკვე გაჩერებულ მატარებლიდან გადმოვხტი.

მესმოდა მისი ძახილი, რომელიც ყვირილად იქცა. მე გავრბოდი. შევიჭრ სადგურში და გარეტიანებული იქვე, მოგრძო სკამზე დავენარცხე.

ჩავქინდრე თავი, ვიყავ გიჟი მწუხარებისაგან. მსურდა ტირილი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ნელი-ნელ თავი წამოვწიე... ავკანკალდი... ვიგრძენ, რომ მხარზე ვიღაცა ხელს მადებდა.. წამოვხტი... შემოვბრუნდი და გავშეშდი: ჩემს წინ იდგა... მაიორი...

მიღიმის. ბნედა მომაწვა მთელი არსით. მსურს სილა გავაწნა. ვდუნდები. ვერ ვბედავ. მისი ღიმილი დარციას ღიმილივით მაქვავებს... მაჯადოებს... შეშინებული თვალებით შევცქერი მომღიმარ სახეს.

— ეგრე ძლიერ გიყვართ დარცია?

არ ველოდი ღიმილს, ასეთ მომართვას.

— მერე... მერე თქვენ რა გინდათ?

— მე? თითქოს არაფერი... თანაც... ბევრი... ბევრი... მომწონხართ.

— მერე?

— მერე ის, რომ მსურს იყოთ ბედნიერნი. დაიწერეთ ჯვარი!.. მე დაგეხმარებით... ყოველ მხრივ... მხოლოდ აქაურობას მოაცილეთ დარცია... წაიყვანეთ შორს.

თვალები დავალე. გულში ვფიქრობ: „ეგ ოფიცერი ან დამცინის, ანდა გიჟია".

— ნუ მიცქერით ეგრე. დამიჯერეთ. საშუალება მაქვს... რაც ადრე დაიწერთ ჯვარს, მით უკეთესია. გსურთ, ვარშავაში მოგცემთ კარგ ბინას?

— თქვენ დამცინით ანდა მასხრობთ, მაიორო!

— არც ერთი და არც მეორე.

გაოცებული შევცქერი.

— რად გაოცდით? განა საოცარია, რომ ძმამ დის ბედნიერებაზე იზრუნოს?

— რაო?!!..

— რაც გაიგონეთ! იქნებ არ იცით? დარცია ჩემი და არის... არა დობილი... არა. არა. ნამდვილი და. ერთი დედისგან, ერთი მამისგან...

— ?!!..

— ჰო! ეგრე... მამაჩემი პოლონელი იყო. დედაჩემი კი აქაური, ჰუცული, უკრაინელი. დარცია ჩემი მკვიდრი და არის. აქაური ჩვეულებით, ვაჟი ეკუთვნის მამას, ქალი კი დედას... აი, მე პოლონელი ვარ, დარცია კიდევ — უკრაინელი... ეკლესიამ, აღზრდამ ერთმანეთს დაგვაშორა. შინ მუდამ ჩხუბი გვქონდა. ერთმანეთს დავცინოდით... აი, ხედავთ ამ ნიშანს, ჩემს სახეზე? ეს დარციას წყალობით მაქვს. მხეცია, მხეცი. ცხელი წყალი სახეზე შემასხა იმ დროს, როდესაც მე ლვოვისთვის ვიბრძოდი. მე — პოლონელებთან ერთად, დარცია კიდევ — უკრაინელების მხარეზე.

თითქოს მეხი დამეცა. ჩავიკუნთე. შევცქერი მაიორს. მაიორი კი იღიმის.

— მაშ! მაშ... დარცია თქვენი და?.. არა... არა საყვარელი?

— რის საყვარელი... მტერია... მტერი... მერე როგორი მტერი? ნამდვილი და თან უცხოელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს აღელვებას საზღვარი არ ჰქონდა. მივხვდი ყოველივეს. უქუდოდ გარეთ გავვარდი. მატარებელი ცარიელი იდგა. ვირბინე სადგურის წინ... უკან... შევყევი მთებს... ყველგან ვყვიროდი:

— დარცია!.. დარცია... ჰაუ, დარცია!..

მისი კვალი გაქრა. ვერსად ვერ ვნახე, თუმცა ვეძებდი მთებში თუ ღრეში.

იმედდაკარგული ვბრუნდებოდი უკან, რომ უცებ შემხვდა.

მივვარდი, მსურდა მეტაცა ხელი. მეთქვა ყოველივე. მეტირა მის მკერდზე ბავშვივით, მაგრამ... დარცია სულ სხვა მეჩვენა... ცივი... მშრალი...

— დარცია! მაპატიე...

— რა გაპატიოთ, აბა მითხარით! ის, რომ იჭვი შეიტანეთ ჩემს სიწმინდეში თუ ის, რომ პოლონელის მოკავშირე გახდით?

— როგორ? არ მესმის!!

— ვიდექ კარებთან.. ყოველივე გავიგონე.

— შემდეგ...

— შემდეგ, არაფერი... მე გათხოვება არ მინდა.

— დარცია!

— მე არ მსურს საქმრო, პოლონელი მაიორის ნაბოძები.

ეს თქვა. ვით ქარი—ადგილს მოსწყდა და გაქრა. შემდეგ დარცია არსად მინახავს.

ვარშავაში კი წავაწყდი მის ძმას, უკვე პოლკოვნიკს. გაეხარდა. ხელი გადამხვია. დავლიეთ ღვინო და სამშობლოზე ვისაუბრეთ...

ეგრე მითხრა:

— ყოველივე კვდება. ქრება. სიყვარული იფურჩქნება, ფართოვდება — ბოლოს ისიც კვდება. რჩება ერთი რამ, მარადიული, უცვლელი, ჟინიანი, ანთებული — ვერ გაექცევა მის ეშხს ვერავინ, კაცობრიობა ყოფილა და იქნება მისი მონა — ეს არის სამშობლო.

თავი ჩავღუნე. ავცრემლდი. ბოლოს მოვიგონე დარციას ქცევა, მისი სიტყვები...

დავმწუხრდი: სამშობლო რამდენად ტკბილი იყო, იმდენად—ერთმანეთის დამაშორებელი. არის ეს უცნაური შარბათი, უცნაურ საწამლავით მორწყული. ვაი მას, ვინც ვერ გაიგებს!... ვაი მას, ვინც მას გაიგებს!...

ქ. სტანისლავოვი.

ენკენისთვე, 1932 წ.

## ტყის მოქალაქეთა შორის
### (ფრაგმენტი)

დილის სიო ამოქროდა. დანამა ფოთლები. გააძღო მშიერნი და გაახალისა. შარბათად იქცა ნამი-ნექტარი ფოთლებისათვის. შეთრთოლდნენ, შემდეგ დილის ვარჯიშს შეუდგნენ: ირწეოდნენ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. ფოთლები ფრთებსა შლიდნენ და ყოველ წუთში სკდებოდა მათი ძარღვები.

იყო გაზაფხული.

მიწა ოხშივართან ერთად უშვებდა სიმწვანეს. ერთობოდა ბუნება და ემზადებოდა ფეხის ასადგმელად.

ყოველივე ლამაზია, რაც იმალება: უმწიკვლო, ნაზი, სპეტაკი.

წამოიზრდებიან ფოთლები ნელი-ნელ ხმაურით და შემდეგ, დიდი სიცხეების შემდეგ ისევ... დაბერდებიან. ემსგავსებიან ისინიც ადამიანს. აქვთ მათაც თავიანთი წუხილი თუ მხიარულება.

ამჟღავნებენ ხშირად თავს, თუმც ამისათვის სიოს ითხოვენ ან ქარის აკომპანიმენტს.

ზოგჯერ ეს ჩანგურის ბუტბუტს ჰგავს; ზოგჯერ — ქაოსს, ვაგნერის სულიდან ამომძვრალს.

ბევრი, ბევრი ფოთოლი, ვარდი იშლება. სუსტნი არიან. ითელებიან ფეხქვეშ და ლპებიან, რათა ისევ გაანოყიერონ დედა, ხე.

ხე, ასეთ შემთხვევაში, შვილიჭამიასა ჰგავს. არც იცრემლება, არც დაჰყურებს მათ გვამებს, ძირს დავარდნილს... პირიქით, მიქრის ზემოთ... ზემოთ... ცას ეჭიდება... მზეს და ვარსკვლავებს ესაუბრება.

მაგარი, მაძლარი ძილის შემდეგ, გაზაფხულისას, შეიღვიძებს. ჰგავს ზარმაცს, რომელიც ჯერ ცალ თვალს გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს, შემდეგ თავს გამოყოფს... სინჯავს ჰაერს... სიცივეს... სითბოს... თუ იგრძნო სითბო ოხშივარიანი, კვირტებით იწყებს ღვიძებას.

კვირტებიც ფრთხილნი არიან. არ იცნობენ ამ ქვეყანას და ხშირად დიდხანს არ ტოვებენ ყლორტებს.

მაგრამ თუკი იგრძნო კვირტმა ნდომა, უცებ ამოძვრება და კისკისით, უცნაურ ჰაერით ითვრება...

ტყე იქცევა საბავშვო ბაღად... სუსტი ფოთლები ქანაობენ, სწოვენ ნამს, ვით რძეს — იზრდებიან, იბერებიან. ხან კიდევ — ჯერ ვერ წამოზრდილი, თითზე გასრესილი დნება ბიჭის თითზე... ცრემლით... კვნესით...

წამოზრდილნი ჭორიკანები არიან. თუმცა მეზობლის მეტი არა უნახავთ, მაინც ტრაბახის, ჭორის რკალშივარდებიან. აგინებენ, ლანძღავენ ერთმანეთს, ხანაც, მშვენიერ ზღაპარს თხზავენ... ზღაპარი არის მით უფრო მშვენიერი და ღრმა, თუ მას სიოს აკომპანიმენტი ახლავს... მაშინ მისტერიად იქცევა ტყე... ყოველივე ფუსფუსებს... და დანაღვლიანებულ პოეტს ათრობს და იშვილებს...

ტყე.

ქვეყანა.

ტყეს ჰყავს ხეები.

ქვეყანას — ხალხი.

ორი ქვეყანა, ერთ ქვეყანაში მოქცეულნი, თუმც ხანდახან ერთმანეთის გაუგებელნი...

ადამიანი: წითელკანიანი, თეთრკანიანი თუ შავკანიანი... სხვადასხვა სახის... ორფეხა. ორხელა. ერთმანეთის მსგავსნი, თუმც ფსიქიკურად ერთმანეთს დაცილებულნი. ასეთია ტყის მოქალაქენიც. არიან მაღალნი, დაბალნი, წითელი, ყვითელი თუ ჭრელი...

ხშირად ახერხებენ ერთად ცხოვრებას, თუმც ამისათვის ითხოვენ გამძლეობას. ბრძოლას. ხშირად ვერ ეწყობიან სრულებით. ახრჩობენ ჩრდილებით, ტოტებით ერთმანეთს... ევროპის ხეები უფრო ნაზი არიან. კულტურულნი. ისინი ერთმანეთს ებრძვიან ჩრდილით, სიდიდით და არ არიან მზაკვრები ისე, როგორც ადამიანისაგან მივიწყებული, მიტოვებული აფრიკის ხეები.

იქ, აფრიკაში, ხე სისხლის მწყურვალე ყაჩაღს ჰგავს.

ხე იქ არის ჩასაფრებული მონადირე. ყლორტები მსუნაგი. მიმალული. ხორცის მოახლოებაზე ხელდება. საფრდება. რა დაინახავს მასთან მიახლოებულ ადამიანს თუ ნადირს, ტოტებს ელვის სისწრაფით გაისვრის და მსხვერპლს ჩაებღაუჭება და შეჰკრავს, სანამ წელში არ გასტეხს, არ დაამტვრევს. დედა-ხე ძალას იჩენს, კვირტებიც ეხმარებიან და სწოვენ სისხლს, შემდეგ გლეჯენ ხორცსაც.

ჩონჩხად რომ იქცევა მსხვერპლი, გამოუსადეგარი ძვლები ძირს დაცვივდება, რათა იქცეს ნაცრად და ისევ მიწა გაანოყიეროს...

მეორე ჯურის ყაჩაღი ხე ფოთლებს, თავის ფართე ფოთლებს გულუბრყვილოდ გაშლის. დაბნეული, დაღალული ჩიტიც ესტუმრება, რათა ფოთლის გვერდზე ან მის ზურგზე შემოჯდეს. დაისვენოს.

ელოდება ასეთ წამს ფოთოლიც. უცებ იკუმშება, იხურება და იქცევა ბნელ ციხედ. ციხე არის გაუტეხელი, თანდათან მკუმშველი. მსხვერპლი ამაოდ ცდილობს ნისკარტით თუ სუსტი ფეხების ფათურით შავი კედლის გარღვევას. კედლები კედლებს ეწებება. საბრალო ჩიტი იხრჩობა... გაიშლება ფოთოლი, მაგრამ გვიან... პატარა ძვლებს ძირს დაჰყრის და, შემძღარი, ისევ ემზადება სანადიროდ...

მესამე ჯურის ყაჩაღი არის ყველაზე უფრო თაღლითი... ცინიკოსი: მშვენიერი ყვავილებით დაფარული, ფართედ გაშლის მხრებს... იძლევა ჩრდილს და სიოს... გამვლელისთვის ხატივით მშვენიერი ხდება მისი სიდიადე. იქვე ჩამოჯდება. ჩრდილს მზისგან შეხურებულ სხეულს შეაფარებს. გრილდება. ყნოსავს უცნაურ ჰაერს. ითვრება... ამთქნარებს, აზმორებს, დაიძინებს, რათა არასოდეს არ გაიღვიძოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმხეცე თურმე ადამიანის მოგონილი არ ყოფილა. სიმხეცე არის თურმე თვით ბუნებაც. მასში აღზრდილნი მას ვემსგავსებით. ვართ თვინიერნი, მაგრამ უთუოდ მკვლელნი...

მძაფრი მკვლელობა აფრიკაში არც გვიკვირს...

იქ ყოველივე ერთმანეთზე ნადირობს...

აქ, ევროპაში ხეებიც, მცენარეებიც კულტურულნი არიან. სხვაფრივ აწყობენ თავიანთ ცხოვრებას, თუმც ბრძოლაზე იოლად თუ ვინმე ხელს აიღებს.

ერთ ჯურის ხეს არ მოსწონს და არ უყვარს მეორე. ხშირად ნახავთ ერთი ჯურის ხეთა შორის ჩავარდნილ შემთხვევით მცენარეს... მის ირგვლივ ყოველივე იშლება, იზრდება, ის კი, დაჩრდილული, კვნესით ათავებს თავის სიცოცხლეს.

ხეები ევროპაში ნამდვილი მოქალაქენი არიან.

კულტურულნი. ხშირად ნახავთ მათ გვერდით დალაქებს. მაკრატლით უკვეცავენ წვერს თუ ულვაშს. ალამაზებენ... ამშვენიერებენ... უდროო დროს ასეთი ოპერაცია ხეებს არ მოსწონთ, მაგრამ დაძინებულნი თვალებს რომ გააჭყეტენ და გაზაფხულზე თავიანთ თავს შეკრეჭილს ნახავენ, ულვაშებს ამაყად გადაიგრეხენ და ხარბად ეწაფებიან გაზაფხულის მზის სხივებს...

1946 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შოთა ზოიძე

## უსანქციო სონეტები

26.

ჩემი ოცნების საზღვარია უსაზღვროება,
უსაზღვროება ესაზღვრება გრძნობების საზღვარს,
გავმარგლავ ყანას, გაზაფხულის წვიმებით მაძღარს,
მამაპაპურად გარჯას ითხოვს ჩვენი დროება.

საკუთარ შვილებს გამოკვებავს ჩვენი მთა-ჭალა,
ჩვენი წყალ-ჭალა, კერე-კუჩხე, სახნავ-სათიბი,
გაზაფხულს ჩვენსას ვინ გახადა მწვანე ქათიბი,
ვინ ჩაულეწა საქართველოს ღია ფანჯარა?!

კაცმა არ იცის, მერამდენედ, რატომ და რისთვის,
თავზე დაგვატყდა მწუხარება, ცრემლი და რისხვა,
სანამდე უნდა დაიღვაროს ქართული სისხლი?!

ღირსებას ჩვენსას ვერ გათელავს მტერი ვერაგი,
თუნდაც მოგვადგეს ურიცხვ ჯართა არქიპელაგი,
ჩემი ჯერია, ფეხზე ვდგები და იარაღს ვისხამ.

27.

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე!

აკაკი

ვინ დამიბედა ბეწვის ხიდი ყოველ ცისმარე,
მე ნახევარი ცხოვრების გზა ასე გავლიე,
ამ გზაზე ბევრი შხამიანი ღვინო დავლიე,
გვიან ამიჴდა სიყმაწვილის თეთრი სიზმარი.

გვიან მოვიდა სიყვარული ყოვლის მომცველი,
დიდი ღმერთივით უხილავი და შორსმჭვრეტელი,
მოციქულებით მიმოხატა ტაძრის კედლები,
რომლის წინაშე ერთადერთი ვდგავარ მლოცველი.

მე ჩემი წილი სამშობლო არ დამეყვედრება,
მაღალო ღმერთო, შეისმინე ყველას ვედრება
და მიუჩინე საკუთარი სვე და სავანე.
სათნოების და სიყვარულის მიეცი ნიჭი,

———

დასასრული. დასაწყ. იხ. „ცისკარი" № 7-8, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურდულით ჩიტებს რომ აფეთებს პატარა ბიჭი
და ჩემს სავანეს ცხრათვალა ზმე მიასალამე...

28.

იმ სოფლელ გოგოს, ქალაქი რომ ნახა პირველად,
იმ ქალაქელ ბიჭს, პირველად რომ ნახა სოფელი,
რატომ, არ ვიცი, თვალი ჰქონდა თურმე სოველი
და მეგზურობდა შიში, როგორც უცხო ფრინველი.

გოგო როდესაც დაუბრუნდა სოფლის ორღობეს,
ქალაქის ხმაურს დაუბრუნდა ბიჭი როდესაც,
გოგონას ძილში სიყვარულის ჰანგი მოესმა
და იმ ბიჭს თვალწინ აუფრინდა თეთრი ხოხობი.

ის ბიჭი მე ვარ, ქალაქი რომ ნახა პირველად,
გზაზე დავკარგე შიში, როგორც უცხო ფრინველი,
და შევეჭიდე ცხრათავიან დევებს პირისპირ.

გოგო, რომელმაც სულ პირველად წყალი დალია
სოფლის წყაროზე, ახლა უკვე დიდი ქალია...
ახლაც მაწვალებს ფერგამკრთალი სახე იმისი.

29.

დრო ასამართლებს ყველა დროის იმპერატორებს
და ყველა დროის იმპერატორს დრო ასამარებს.
იმპერიებმა ბოროტება ვეღარ დამალეს,
ხელში აკვდებათ უნიათო თავის პატრონებს.

მსოფლიოს რუკა შუქჩრდილებით არის მოსილი,
იღვრება სისხლი უმოწყალოდ და უგანგებოდ,
უმისამართოდ არაფერი არ იკარგება,
ზოგი ჩრდილში დგას უცოდველი ანგელოსივით.

კაცმა არ იცის, ვინ ვის მოძღვრავს, ვინ ვის ახელებს,
ხალხის სახელით ქუჩებს ვუცვლით თავის სახელებს,
ბოლოს და ბოლოს დადგინდება ჭეშმარიტება.

დრო კი თავის გზით მიხრიგინებს ძველი დროგივით
და იმუქრება იმპერია: „მე თქვენ მოგივლით!“
და ზოგი ვინმე თავის კანში ვეღარ ეტევა.

30.

დგას უსანქციო სონეტების ჯერი და რიგი,
სიტყვა სიტყვაში ჯდება, როგორც ტყვია ტყვიაში,
იქნება მალე შემიტანონ მეც შავ სიაში,
მე უკვე ვხედავ ამისათვის მზად არის იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ყორანი რად აფეთებს სამოთხის ჩიტებს.
ვინ აუკრძალოს ნიავს ქროლა, ბულბულს გალობა?!
გვაქვს საქართველო, ღვთისმშობელის დიდი წყალობა,
მოწყალე გული უსასრულო სამყაროს იტევს.

მე თუ აღმანთებს, ისევ ჩემი წილი აღმართი,
აზრი არა აქვს (თუ არაფერს აღარ აღმერთებ)
სიცოცხლეს შენსას, ყველაფერი ჩალის ფასია.

კაცი, რომელიც თავს მოიკლავს სიკვდილის შიშით,
ვეღარ იქნება ჩვენი მოდგმა და ჩვენი ჯიში.
სიკვდილის შიში ვერ ეწყობა ქართულ ხასიათს.

31.

ჩაკეტილი აქვთ საიდუმლო დროის სეიფებს
და ისტორია ყელში უჭერს რკინის მარწუხებს,
მე წარსულს შენსას ჩემს სონეტში არ შევაწუხებ,
ყარაჩოხელებს ვერ მივართვი მტკვარზე ქეიფი.

მომენატრები, ჩემს საყვარელ მგოსნებს გადავშლი,
მიმინოსავით დაგიდგები ცერზე მეტეხთან,
მე გრიშაშვილის მირჩევნია ლექსის ნატეხი
და ლეონიძის მათრობელა სიტყვის ბადახში.

მე ლოპიანას აღარ მჯერა ძველი დარდები,
შენი გულისთვის წყალში ორჯერ გადავვარდები,
სამოთხის მთვარე ცხრაკლიტულშიც შემოანათებს.

რაღა თქმა უნდა, მე არა ვარ მისი მიჯნური
და თვით ბესიკის სევდის ბაღთან ვარ გამიჯნული...
მე შენი სიტყვით გოლგოთაზე ღამეს გავათევ.

32.

მე შენი სიტყვით გოლგოთაზე ღამეს გავათევ,
თეთრი, უძილო ღამეები ჩემი ხვედრია,
მე ჯერ ისეთი თანამგზავრი არ შემხვედრია,
რომ ვკითხო რამე და შენს გამო შევეკამათო.

ჩემი ცხოვრების აღმართები ლომის წილია
და ჩემი გზები უფრო მეტად ბეწვის ხიდია,
მე ვხედავ, ჩემი მეგობრები ჩემგან მიდიან,
ვისთვისაც ბევრი შთაგონება შემიწირია.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ ვინმეს ვასალი...
არ შემიძლია დავარიგო, ჭკუა ვასწავლო
და სიყვარულის გაკვეთილი ავხსნა ხელახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი გულისთვის გოლგოთაზე ღამეს გავათევ,
რადგანაც ყველა ავხორცობა ვიცი ამათი...
მე შემიძლია ტკივილების გულში შენახვა.

33.

ქრისტეს ასაკი მომაგონა მე ამ სონეტმა,
მე ამ სონეტმა მომაგონა ქრისტეს მოძღვრება,
ანაფორიდან კაცის ნიღბით გველი მოძვრება,
რომ წავიდეს და დაასმინოს ურჩი პოეტი.

მე ამ სონეტმა გამახსენა ყურანის სურა,
გონიოს მიწა ისრით ჩხვერა და სისხლით ალბო,
ასე მგონია, მუნჯი ვარ და ვერაფერს ვამბობ,
ბატონიშვილის რომ ვუყურებ ჩალმიან სურათს.

ვერ დავემსგავსე თოკზე გასულ ქერა ჯამბაზებს,
ცხოვრება ნერვებს ისე მიშლის, ისე მაბრაზებს,
ექიმო, აწი ვერ მიშველის შენი წამალი.

სამოთხის ვაშლი კვლავ დაგორავს მარჯვნივ თუ მარცხნივ,
ჩვენი წარსული, ჩვენი აწმყო და ჩვენი მარცხი...
ქერუბიმები არ იცავენ ქართლის ტრამალებს.

34.

ქერუბიმებმა მიატოვეს ნიკალას სახლი,
ხატუნების და ხანუმების უკვდავი მექა,
რომელსაც ჩვენი პოეტების პარნასი ერქვა,
ნარკომანების და მკვლელების ბუდეა ახლა.

ქალაქი, სადაც ახლაც დადის აკაკის ლანდი,
ბარათაშვილის მოდუდუნებს მტკვარი ანკარა
და ფიროსმანი „ახლოს არვინ არ მიიკარა“,
მარადიული სინანული, ცრემლი და დარდი.

შუადღის ჩრდილში, რუსთაველზე, ქართველი ქართველს
კალაშნიკოვის ავტომატით სიცოცხლეს ართმევს...
არ გავს გაქცევას იგი, ახლა რისიც მაცნე ვარ:

გალაკტიონმა, იმ სუსხიან მარტის აფრიდან,
უცებ გაშალა ხელები და ცაში აფრინდა...
ჩვენ კი აქ დავრჩით, რომ ვუყუროთ ქვეყნის დაქცევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 35.

აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია!

ილია

მამულო საყვარელო, რაზე მოგიწყენია,
ისევ ხომ არ გაგეხსნა წიწამურის იარა?!
ჩვენმა ლუარსაბობამ ისევ ჩამოგვიარა,
ისეთი დრო მოვიდა, ქართველობა მრცხვენია.

დადის უჩინმაჩინით აჩრდილი უსახური,
რისკ-ფაქტორი ახლოა, სიკვდილს ვეთამაშები,
ეზოში რიკ-ტაფელას თამაშობენ ბავშვები,
ცაზე მთვარე კიდია, ანტიკური საყურე.

ახლა რამ გამახსენა კახეთი და ყვარელი,
ყვარელი, პოეტივით ტკბილი და საყვარელი,
ტანძია და სავანე, მტრისათვის დასამალი?!

ვდგავარ გზაჯვარედინზე ევროპა და აზიის,
შენი გულის მესიტყვე და პირველი ვაზირი...
აქ არის დედამიწის ასავალ-დასავალი.

## 36.

ძუძუს აწოვებს ქართლის დედა ალგეთის ბოკვერს
და ოქროს აკვანს შიშით მალავს ისევ ბაზალეთს.
მთელი ქვეყანა დავამსგავსეთ ღია ლაზარეთს,
აკვნიდან ახალფეხადგმული ბავშვებიც მოკლეს.

ქვეყანა დარჩათ ბაზრის ქურდებს და ვაგზლის ბოზებს,
ეროვნულ დროშას შეახოცეს ბინძური ხელი,
ბევრი გვყოლია წინაპართა საფლავის მხვნელი,
წინ უფსკრულია, თუკი თავს არ ვუშველეთ დროზე.

კარზე მოგვადგა ბაზალეთი და ანაკლია,
კლასიკოსების ქვეყანაში კაცი გვაკლია,
მწამს მოვა იგი და უთუოდ მოვა დაბიდან.

მოვა დაბიდან ღმერთის ნებით, ღმერთის სურვილით,
სულელს ჭკვიანად არ მონათლავს, ჭკვიანს — სულელად,
რკინის ნერვები დაშოშმინდა, დაცხრა, დარბილდა...

## 37.

მწამს მოვა იგი და უთუოდ მოვა დაბიდან,
ძველი დაბიდან, იქნებ სულაც ახალ დაბიდან,
ჩვენი გონება სიძულვილმა ისე დაბინდა,
რომ სიყვარული გაგვერიდა და შორს გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მას მოველი ხერთვისიდან, პეტრას ბურჯიდან,
ხოდაბუნიდან, ხიხანიდან, ხორნაბუჯიდან,
ალავერდიდან, ასპინძიდან, არტანუჯიდან,
ის მოდიოდა მაშინ, როცა მამულს უჭირდა.

ის მოვა ჩვენთან მკერდდაჭრილი გაზაფხულიდან,
ჩვენი ცრემლიდან, წიაღიდან, ჩვენი გულიდან,
პეტერბურგიდან დაბრუნდება დიდი ილია.

ახლა კი, დღეებს ითვლის ჩვენი სასოწარკვეთა,
იქ, ბაიკანურზე, კვლავ აუშვეს ცაში რაკეტა...
ეს ყველაფერი ისტორიის გაკვეთილია.

38.

ამ დაღამებას, რა თქმა უნდა, მე დამაბრალებ,
გათენება კი შენს სურვილში ჩაიღვენთება,
მე შენი თავი დამაბარეს ციდან ღმერთებმა,
რა შუაშია ღამის ბარი, ღამის კაბარე?!

მეცოტავება ეს სერალი და ეს სასახლე,
შემომეტოქა შენი მუნჯი ალენ დელონი,
ძლიერ შორს არი ნაოცნებარ საქართველომდე,
მე ჩემი თავი აქედან შორს გადავასახლე.

ჩემი სახელი არ წერია ქვეყნის დაფაზე,
მე ჩემს პერსონას, რა ხანია, ძვირად ვაფასებ,
ისიც იცოდე, უჟმური ვარ და გულმავიწყი.

ეწევი, ისევ ისე ურტყამ ნაფაზს ნაფაზზე,
ზეწარზე იწვის ისე, როგორც თევზი ტაფაზე,
აისბერგივით სავსე შენი მკერდის ლავიწი.

39.

მე შენს თვალებზე გადავიღებ დეტექტურ ფილმებს
და დავურიგებ უსასყიდლოდ კინოთეატრებს,
ევროპის ყველა სააგენტო გულით ინატრებს,
რომ შენ რეკლამა გაუკეთო პრესტიჟულ ფირმებს.

მე ვიქნებოდი შენი დიდი პროდიუსერი,
ჩემს შთაგონებას შეხედავდი ცივი გონებით,
და ფერხთა შენთა განერთხმოდნენ ლეგიონები...
სხვა არაფერი... ჯერჯერობით მხოლოდ ეს არი.

აენთებოდი ქვეყანაზე სუპერვარსკვლავად,
რომელი ლუვრი, ერმიტაჟი ანდა ლა-სკალა,..
შენ იქნებოდი პანთეონი ძველი მუზების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ დაბრუნდები სასახლეში ძველი რომიდან,
და თუკი ჩემი პოეზია გულთან მოვიდა,
ჩემი სონეტი შენს კარებთან აიტუზება.

40.

ჩემი სონეტი შენს ფიქრებში აიტუზება,
ეგ სიმარტოვე შეირხევა ატმის ტოტივით,
ამოვა მთვარე — სიმარტოვის ცივი მოტივი
და დაფრთხებიან შთაგონების თეთრი მუზები.

ბობოქრობს სულში პოეზიის ავი მაფია,
შენ უკვე იხდი, საკუთარ მკერდს ხელით ეხები,
სარკემ დალანდა მაღალი და სწორი ფეხები,
ზეპირად იცის შენი ტანის ოროგრაფია.

მკერდში ჩაგიკრავს ცისფერი და ცივი საწოლი,
შენ უნდა იყო პოეზიის გრანდის საცოლე,
უფრო დიადი, უფრო მეტი, უფრო მაღალი!

შენ უნდა გეცვას გამჭვირვალე თეთრი სამოსი,..
გთხოვთ „გააჩეროთ დედამიწა და ძირს ჩამომსვათ"...
და დამასვენოთ... ამ ყველაფრით მე დავიღალე!

41.

მე შენი მკერდის ცხელ თონეში ვარ გამომწვარი,
გამომცხვარი ვარ შენი ტანის მხურვალ თონეში,
შენ ჩამიყარე ვარსკვლავები ღია თვალებში
და გამაგრილე თვალანკარა ზაფხულის ცვარით.

მე შემომენთო ტანზე შენი ტანის ხანძარი,
მე ეს გენია გემრიელი ბანგით გამბოლავს,
გახვეული ვარ შენს ბადეში, როგორც კამბალა,
ახსენი ბადე და შუაგულ ზღვაში ჩამძირე.

ანდა ამაგე ცხელ შამფურზე ცხელი კოცნების,
ვიდრე ბათუმის ზღვა მკლავებში შემოგვაცხრება
და ჩემი აფრა შენს ლავიწებს არ მიმოლეწავს.

ეს ყველაფერი სიზმარია თბილი ლოგინის,
გაგეღვიძება და უჟმური ჟინი მოგივლის,
მე შენს თონეში გამომწვარი სხეული მეწვის.

42.

მინდა როგორმე ეს სტრიქონი დაგამახსოვრო,
ახლა რომ გეტყვი და იმედად სახლში გაგატან,
ჩვენი იმედის ტოტისტოტი ქარში გადატყდა
და რა ხანია გატეხილი იმედით ვცხოვრობთ.

ლეჩაგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაგვშორდა ჩვენი ბავშვობა და კაკანათები,
ჭრელი ჩიტები, რომ ვუგებდით ჩალის მახეებს,
სიზმრებში ვხედავ ჩიორების დამფრთხალ სახეებს,
ზამთრის ღამეებს ჯოჯოხეთურ ტანჯვით ვათენებ.

მოდის ზაფხული ყვავილების ჭრელი ამქარით,
მოდის ზაფხული, ჩემი ხსნა და შვება აქ არი,
აქ არი ჩემი ცისფერი და მყუდრო პალატა.

შუაში ვდგავარ, ზამთარსა და გაზაფხულს შორის,
ფორთოხლის ფოთლებს უმოწყალოდ აფეთებს თქორი,
ჭირვეულ ჭორებს ქარებსა და ქორებს გავატან.

43.

კისერში ჩამდის შენი თეთრი სიცილის წვიმა,
თეთრი გედები ბანაობენ უძირო ტბაში,
მე შენს წამწამებს პაწაწინა ქოლგებად გავშლი,
რომლებზეც შენი შავი თმების ფოსფორი ბრწყინავს.

მე შენი სულის უძირო ტბა მსურდა მენახა,
სულ სხვა რაკურსით, სხვა ფოკუსით, სხვა კამარიდან,
თუ მოგვწვდენია საამური ხმა სამარიდან,
მე იმ ხმასავით ისევ ისე მოვალ ხელახლა.

მძულხარ, მიყვარხარ, მეზიზღები, თან მენატრები,
დიდი ქალაქის ორკესტრებით და თეატრებით,
კვლავ თეატრებით, რესტორნებით, კვლავ ორკესტრებით.

უმისამართოდ, უმიზეზოდ მძულხარ, მიყვარხარ
და ჯანდაბაშიც თუ წავედი, იქაც მიმყავხარ...
რადგანაც, ვიცი, ერთ სასწაულს კვლავ მოვესწრები.

44.

მე არასოდეს განმიცდია სიკვდილის შიში,
ზოგი სიკვდილი სამუდამო სიცოცხლეს უდრის,
არ შეულახო საკუთარი ღირსება მუნდირს,
მტერი ბალანსაც ვერ დაგაკლებს მზაკვრული ქიშით.

ტორტმანებს მიწა, ირწევიან კაბადონები,
მე — შენს პალადინს მემუქრება სასოწარკვეთა,
უიმედობამ კუნაპეტი ღამე გაკვეთა,
ენაზებიან მრგვალ სარკეებს ქალბატონები.

შენ ისევ ისე უმოწყალოდ მტანჯავ და მტანჯავ,
შენთა ხელთ არი ახლა ჩემი მხურვალე მაჯა
და ველოდები უკანასკნელ, სასტიკ განაჩენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლო გასროლა... შეკივლება... დამბაჩის ბოლი...
დასრულდა აწი ყველაფერი, დასრულდა მგონი...
ვეღარ მიშველი, ვერ დამიხსნი, ვერ გადამარჩენ.

45.

სპილენძისფერი იყო ცრემლი, იყო სიცივე,
ოსტანკინოშიც მეშვიდე ცის ვიყავ სტუმარი,
მაგრამ ზოგი რამ საკუთარ თავს ვერ დავუმალე.
და ყველაფერი ხელისგულზე მიდევს ფიცივით.

კაჟის ნატეხიც, საფირის ქვაც, პურის მარცვალიც,
ღამის თევანი, ორგიები და მაგიები,
რასაც ყველაფერს ერთმანეთში აიგივებენ
და რომლის გამოც, თუ დაჭირდათ, ჯვარზე გაცვამენ.

კახაბრის ველზე ბალახებში ვწევარ გულაღმა,
ნოეს კიდობანს დაემსგავსა ფიქრის ყულაბა,
ფიქრის, რომელმაც შენს გარშემო შეკრბა ყოველი.

სპილენძისფერი ცა დამყურებს ცივად მაღლიდან,
შენ რომ არ იყო, ვიცი, ეს ცა ისე დამღლიდა,
გამუქდებოდა ჩემი წილი წუთისოფელი.

46.

ახლა ის გოგო მაგონდება წითელპერანგა,
მე რომ ზღაპარში დამეკარგა დიდი ხნის წინათ,
ამიყვავილა იმედები მაისის წვიმამ,
მაგრამ უეცრად ჭორფლიანმა ცამ მივერაგა.

ამიფრენია ხელისგულზე ჭიამაია,
მე დავიკარგე უგზო-უკვლოდ, ის შორს წავიდა,
და ვიმეორებ სუყველაფერს ისევ თავიდან:
— საით წავიდა ის გოგონა, ჩემო მარია?!

ჭიამაიამ მიპასუხა სიზმრის ჩრდილებში:
— იგი წავიდა შვილებსა და შვილთაშვილებში...
და საიდანაც არასოდეს არ დაბრუნდება.

თვალწინ დამიდგა ჩემი სიყრმეც ცისფერპერანგა...
ცა ჭორფლიანი, რომ მიმუხთლა და მივერაგა,
ფრთებით გახაზეს ჩიტებმა და წეროს გუნდებმა.

47.

მივიწევ ცისკენ, აჭარისწყლის ვიწრო ხეობით,
მახუნცეთს ცოტა შევისვენეთ, ჩანჩქერის ახლოს,
ახალდაბაში ღვთისნიერი მოხუცი სახლობს,
რომლის სახელი იცის მთელმა მოსახლეობამ.

აჭარისწყალი მოაგორებს ტალღებს მრისხანეს,
დანდალოს ხიდი ნიშანია ჩვენი სიძველის...
აქ სოფლის ძუძუ გაზაფხულზე მირონს იწველის
და ვენახები თითო კილო ოქროს იხხამენ.

აქ ოქტომბერი უნდა ნახო, ოქროს თვე როა,
ეს ყველაფერი ჩემი ტკბილი საქართველოა,
აქ საქართველოს პატრონი ჰყავს მოუსყიდავი.

ვინც რა უნდა თქვას, ეს ცა ჩემი თვალის ჩინია,
„მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია",
რადგან ამ მიწის მუდამ ღვიძლი შვილი ვიყავი.

48.

ზღაპარს ჰგავს ჩემი კარ-მიდამო და ტყე-ველები,
ჩემი კერიის ლურჯი კვამლი, ღველფიც, ნაცარიც,
სულ დედაჩემის მოვლილია, კარგი რაც არი,
მე რომ ვერაფრით ვერ ვიმეტებ და ვერ ველევი.

დედას ბოსტანი გალერეა იყო მდიდარი,
მის დამჭკნარ ხელებს კერე-კუჩზე ჰქონდა მოვლილი,
თვითონაც გადნა ნოემბერში ახალ თოვლივით,
ჩვენ დაგვიტოვა ჩვენი ცხელი ცრემლის მდინარე.

წვებოდა გვიან, მზესთან ერთად დგებოდა დილით,
ბოსტანს უვლიდა, მას კი სული ეჭირა კბილით,
ქარვა ასხია მისი ხელით ნაფერებ თუთებს.

მას სურდა ყოველ შაბათ-კვირას სახლში ვყოლოდი,
წყინდა, როდესაც არ უჩანდა ბოლო მოლოდინს,
ახლა ჩემს სიზმრებს ფერად-ფერად ღამეებს უთევს.

49.

ამ სონეტს ვუძღვნი პაწაწინა სოფიკოს ჩემსას,
ჩემი სიცოცხლის გაგრძელებას, ჩემი ცის გახსნას,
ჩემი ცხოვრების გაკვეთილის ფრიადზე ახსნას,
სვეტიცხოვლის უმაღლეს და უწმინდეს ფრესკას.

მოსარკულ ცაზე ლილისფერი ჩიტების ფრენას,
ასე მგონია, დედაჩემის ჩაუდგა სული
ღმერთმა და მერე გაუღიმა მის ნათელ სურვილს,
რომ სოფიკომაც მერცხალივით აიდგას ენა.

ჩიტო-ჩიორა, შენს პირსა და ნისკარტს შაქარი,
აქა ვართ ყველა, დედაჩემის სულიც აქ არის,
მისი ლოცვები, მისი კალთა გვფარავს და ხარობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა დედა — გულთან ახლო მოვიდა მიწა,
მოვიდა სოფო — დედაჩემის ხატება ვიცან,
ჩემი მუდმივი სიხარული და საწუხარი.

50.

დასრულდა ჩემი სონეტების პატარა წიგნი,
ცხოვრების, არა ორგიების და მაგიების,
შენ გთხოვ, მკითხველო, შენდობასა და პატიებას,
თუ სასურველი სიხარული ვერ ნახო შიგნით.

პოეტის ბედი ყველა დროში ხიდია ბეწვის,
მეც უსანქციოდ სონეტები შევკარი ტივად,
თუ მტკივა, ჩემი უბედური სამშობლო მტკივა,
თუ მეწვის, ჩემი მკერდდაჭრილი მამული მეწვის.

ჩემი სოფლიდან, ისე, როგორც დაღლილ მამაჩემს,
მე ველოდები შენს მსჯავრსა და მართალ განაჩენს,
ამ მოლოდინში ნარ-ეკალიც ბევრი მომიწევს.

მეტაფორები ფოთლებივით ასხია სტროფებს,
იქნებ წაადგეს ამ ჩემს ყოფას და წუთისოფელს, —
მარადის თქვენი ძმა და შვილი — შოთა ზოიძე.

**1990—1995 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ ბაქრაძე

## მოკრძალებული ნატვრა

სიწყნარეა,
მთვარეს ყველა ისე გაუოცებია...
სიოს სუსტი ხმა სარკმელთან
ღამეული ლოცვებია...
მეჩვენება —
სიწყნარეში სანთელივით
ვქრები, ვდნები
და ნუშივით იფურჩქნება
მთვარის შუქზე სტრიქონები.
მაპატიე,
თუკი, ღმერთო, ქვეყნად ერთი მინატრია:
ხმა ისმოდეს, ხმა ბულბულის,
ჩემი ლექსის „ტია-ტიაც"...

●

ოვაციები, ხანგრძლივი ტაში,
მოგონებანი წარსულის დღეთა...
მკლავმორღვეული შენ გეცვა „პლაში",
იდექ კუთხეში, პოეტი გერქვა.

ცას შესტიროდნენ ხეები ქარში,
ცა ჰგავდა ნისლში ქათქათა მიტკალს...
თუმც ჭუჭყიანი შენ გეცვა „პლაში",
რა სუფთა იყო ის შენი სიტყვა.

ამოსდიოდა სურნელი ჰაშიშს,
თითქოს სატანა დავობდა ღმერთთან,
მკლავმორღვეული შენ გეცვა „პლაში",
იდექ კუთხეში,
პოეტი გერქვა...

## რიკოთი

რა ნაღვლიანი შევყურებ რიკოთს,
გული მეწვის და მტეხავს სახსარი,
ო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ასე იყოს,
ერქვას ამ ადგილს ნამოსახლარი.
ხეცაში შვებას დავეძებ თითქოს
და ვეფერები ღრუბლებს დაწრეტილთ,
მაინც იმედით შევყურებ რიკოთს
და იმედის ძაფს ჯერ არგაწყვეტილს...

●

მე ღამით ვუსმენ ქარების ბოდვებს
და ჩუმად ვფურცლავ ბლოკსა და პუშკინს,
ვკითხულობ პოს და ვკითხულობ ბოდლერს,
რაღაც ღვთიური ჩამესმის ყურში.
ვკითხულობ მურმანს,
ვკითხულობ მუხრანს,
მწარე ტკივილი გამკენწლავს გულში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

აჰა, ვამთავრებ თითქოს სირბილს
და ვერც ვამთავრებ,
ვერ დავთმე, ვერა, ეზო, შუკა,
გრძელი მესერი;

თითქოს აქ ღმერთმა ფანჯარაში
ამინთო მთვარე,
რომ მთვარის შუქზე ჩემს მამულში
მეთხზა ლექსები...

## წერილი ვორკუტაში მცხოვრებ ქართველებს

ძველმა ტკივილმა არ გამიარა,
რას იზამ კაცი,

გული გულია,
დღეს საქართველო თქვენთვის კი არა,
ძმებო, ჩემთვისაც დაკარგულია...

## დიდი საქმე

(კლასიკის ხმაზე)

მთვარეს ვერცხლის სხივები წეროებმა
მოსტაცეს
და მზემ ოქროს სხივებით ამოქარგა ეს
სერი.
დრო დაუდგათ ისეთი ახლა სიტყვის
ოსტატებს —
ფუტკრებივით პლანეტას ამოსწოვონ
ლექსები...
მთებს ჩაუყვა ღრუბელი ქარისაგან
ნაცემი,
გადიწმინდა ბუნება, ჰა, ედემიც აქვეა,
იცრებიან ლექსები წუთისოფლის
საცერში,
ერთი ლექსიც რომ დარჩეს, ესეც
დიდი საქმეა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი მღვდლიაშვილი

# ზ ღ ვ ა

## მოთხრობა

მტრედების ღუღუნმა გამომაღვიძა. ისე ახლოს იყვნენ, მათი მცირეღი ჩქამიც კი მესმოდა. გაფხორილი მამალი რაღაცას უხსნიდა დედალს. სახლის გასწვრივ ჩარიგებულ ლელვის ხეებზე თეთრად ჩამომსხდარიყვნენ დანარჩენები. გუშინდელი საღამო გამახსენდა: სადგური, აფუსფუსებული ხალხი, მატარებლის მოძრავი ხმაური, ვაგონის კიბეზე — თეთრი კაბა...

ოთახის კარი გაიღო; მტრედები ერთი წამით გაყუჩდნენ, შეიფრთხიალეს და ხეებს მიაშურეს.

— დილა მშვიდობისა, ხომ კარგად გეძინათ?

ეს შვიდი წლის ნატაშკაა, სახლის პატრონის უმცროსი გოგონა. დილ-დილობით უყვარს შემოსვლა, განსაკუთრებით ზღაპრების გამო; ჩამოჯდება საწოლის კიდეზე და გაფართოებული თვალებით მიყურებს. მე ვუყვები. ზღვისფერ თვალებში ეხატება გაგონილი.

— გუშინ თქვენი ზღაპარი გენკას და მამას ვუამბე. იმდენი იცინეს, ნაყინი დაუდნათ, კინაღამ ჭამა დაავიწყდათ. სულ მეხვეწებიან, ერთად გვიამბოს ძია მეზღაპრემ ზღაპრებიო.

— აუცილებლად გიამბობთ, აუცილებლად, ძალიან ლამაზ ზღაპრებს.

— შეიძლება კნუტიც მოვიყვანოთ? იმასაც უყვარს ზღაპრების მოსმენა, ხელს არ შეგვიშლის.

— კარგი, მოიყვანეთ.

— ნატაშა! მოდი, პირი დაიბანე, უკვე ცხრა საათია, შენ კი ჯერაც არ გისაუზმია.

ეს ნატაშკას მამაა, სამზარეულოში ფუსფუსებს. გუშინ ოთხი პარტია მოვუგე და ცოტათი ნაწყენია. ისე, არაუშავს კაცია, მაგრამ ჭადრაკში წაგებას ვერ იტანს.

რადიო ჩავრთე:

„მოსკოვის დროით ცხრა საათია. მოისმინეთ ამინდის ბიუროს ცნობა. დღეისათვის, 27 აგვისტოსათვის...."

მზე უკვე კარგად აცხუნებდა, ძალას იკრებდა, თუმცა თავის სტიქიამდე კიდევ რჩებოდა რამდენიმე საათი. ზღვიდან მონაბერ გრილ ნიავს ღია ფანჯარაში საამო სურნელი შემოჰქონდა. სურნელი ლამაზი, ყვითლად აყვავებული ბუჩქებისა. ალბათ, ზის ახლა ალისა ვაგონის კუპეში, გასცქერის თვალუწვდენელ სტეპს და თავისთვის ფილოსოფოსობს...

შორტებიანმა კაცმა აჩქარებული ნაბიჯით ჩაიარა, უკან სირბილით მისდევდა თასმაზე გამობმული ერთი ციდა ძაღლი. ძირს ჩამოფრენილი მტრედები ისევ დაფრთხნენ.

●

უამრავი მოყავისფრო სხეული ირევა ნაპირზე. შორიდან ყველანი ერთმანეთს გვანან. ცდილობენ, რამდენიმე დღის განმავლობაში იმდენი მზის სხივი მიიღონ, რომ შემდეგ მთელი წელიწადი ეყოთ. მზე ყველას თანაბრად უნაწილებს სითბოს, — ჩრდილოელს და სამხრეთელს, აღმოსავლელს და დასავლელს. ზღვაში სეინერები გაყუჩებულან. ნაპირამდე აღწევს თოლიების ყივილი.

აი, ჩემი ადგილიც. თავის დაქნევით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვესალმები ნაცნობებს, ისინიც ღიმილით მპასუხობენ.

— რატომ დაიგვიანეთ? — მეკითხება პატარა გია, — დედიკო უთქვენოდ წყალში არ მიშვებს.

— გაზეთების რიგში ვიდექი.

გაზეთებს შუბლზე ვიფარებ. ირგვლივ თითქმის ყველა ნაცნობია. ჩემთვის ზღვაზე დაუწერელი კანონი არსებობს: ნაპირზე ერთი და იგივე ადგილი მაქვს ამოჩემებული. რამდენჯერმე ვცადე ადგილის შეცვლა, არაფერი გამოვიდა. მაგრამ ეს ყველასათვის ასე არაა. აგერ, თხემით ტერფამდე შავგვრემანი ტიპი, აქეთ გადმობარგებულა. შეფარვით ათვალიერებს ხალხს. ალბათ, სომეხია. ვერ გადაუწყვეტია, ვისთან დაიწყოს საუბარი: საჩრდილობელში შეფარებულ ახალგაზრდა ქალთან, რომელიც ინტერესით კითხულობს „თორმეტ სკამს“, თუ ქვიშაზე გაწოლილ ცხვირზე ქაღალდაწებებულ, გავასქელ ქალიშვილთან. ბოლოს ჭრელი პირსახოცი გაშალა და ზედ მოხერხებულად წამოწვა.

— წავიდეთ რა, ვიცურაოთ, — მეხვეწება გია, თან დედას შესცქერის თვალებში.

— წავიდეთ.

— დიდხანს არ გყავდეთ წყალში, — მადევნებს გიას ბებია.

წყალი სასიამოვნოდ გრილი მომეჩვენა. გია ერთ ამბავშია, შემოსვლას ვერ ბედავს. ბოლოს ხელში ავიყვანე და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. ხელები და ფეხები ისე აასხმარტალა, ერთიანად გავიწუწეთ. ჩვენს ახლოს ერთ უზარმაზარ კაცს აუტატებია ხუთიოდე წლის გოგონა, ცდილობს წყალზე დააწვინოს, თან სერიოზულად რაღაცას უხსნის. ბავშვს გაგონებაც არ უნდა, ბუნჩულა ხელებით კისერზე ეხვევა, ტირილს ცოტაღა უკლია. გია კი გულმოდიგნედ ასრულებს ჩემს დარიგებებს: ცხვირზე ხელს იჭერს და თავს წყალში ჰყოფს. შემდეგ მუცლით ხელებზე ვიწვენ, ვამხნევებ:

— ყოჩაღ, დღეს უკეთ ცურავ. თუ ასე გააგრძელებ, აუცილებლად აჯობებ გოგიას და ვანოს.

მერე გია ამაყად ადის ნაპირზე, იქიდან მანიშნებს, აბა, ახლა შენ გაცურე, მე აქედან გიყურებო. რამდენჯერმე მძლავრად მოვუსვი, ზურგზე გადავტრიალდი, ამკრთალავი ნიშნებისკენ გავცურე. ზურგზე ვწევარ. მხოლოდ სახეზე ვგრძნობ მზის სიმხურვალეს. თვალებს ვხუჭავ, არაფერზე მინდა ვიფიქრო. ზღვის უცნაური ბგერები აღწევს ჩემამდე. თუმცა ამდენს ვინ მაცდის: ორმა ლასტებიანმა მთელი სისწრაფით ჩამიქროლა, აქაფებული წყალი სახეზე მომაწყდა. ნაპირიდან შორს გავსულვარ, ნელა გამოვცურე უკან. დაღლილი მივაბიჯებ მზით გამაძღარ, განებივრებულ ხალხს შორის. ჰაერი გრილად მელამუნება სხეულზე. ქვიშაზე წამოვწექი, სახე ხელებში ჩავრგე, გავყუჩდი. თბილისში, ალბათ, საშინელი ხვატი დგას. ასფალტს ბული ასდის. ლუდის ბარებთან უსაშველოდ მოწყურებული ხალხი ირევა. დაასხმევინებენ, სულს შეუბერავენ და სვამენ ცივ ლუდს. მომწყურდა, მაგრამ ადგომა მეზარება. ისე, თბილისის არ იყოს, ლუდზე აქაც ბევრი ხალხია.

ჩამთვლიმა. რამდენ ხანს ვიწექი, აღარ მახსოვს. როცა წამოვიწიე, მზე უკვე მოსაბეზრებლად აცხუნებდა. პლაჟზე ხალხის ტევა აღარ იყო. ნეტა, ჩვენი ბიჭები სად დაიკარგნენ? არც ერთი არ ჩანს. მივიხედ-მოვიხედე. ის, ალბათ — სომეხი, ცხვირზე ქაღალდმიწებებულ ქალიშვილს მისჯდომია, ქალიშვილი კი რაღაცას მორცხვად უმტკიცებს. ჩემს გვერდით ოთხი სხვადასხვა შესახედაობის და ასაკის კაცი „პრეფერანსს“ თამაშობს. მოშორებით ორი, აფროდიტას აღნაგობის რუსის გოგო საბანაოდ ემზადება. მათ რომ ვუყურებ, ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი მივლის, საოცარი მოხაზულობის ქალური სიმდიდრეები აქვთ. ასეთებზე ჩვენში იტყვიან, მკვდარსაც კი გააცოცხლებსო. ერთი, სარაფანგახდილი, დაიხარა, რაღაცას დასწვდა. თვალი ვერ მოვწყვიტე. სწორი ფეხები ჰქონდა, მუხლს ზემოთ სისავსეში გადასული, უფრო ზემოთ....

— ახალგაზრდავ! თქვენ შორის შესცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთ! ახლავე დაბრუნდით უკან! — ჩემს თავთან რეპროდუქტორი აჟღერდა. ორი კვირაა აქა ვართ, ჯერ ხმა არ ამოუღია. ახლა უცებ მაღალი ხმით ალაპარაკდა. ზღვას გავხედე. ვიღაც ამკრძალავ ნიშნებს გასცდენოდა, — იმას ეძახდა. გუნება გამიფუჭდა.

●

გავიხედე, მერაბი მოდის. მოდის კი არა, მოლასლასებს.

— წუხელ სად ბრძანდებოდი, ახალგაზრდავ?

— ქალთან.

— კარგი იყო ლეღვის მურაბა?

— დიდებული.

— სახეზე გეტყობა. მამაშენმა ხომ გითხრა წამოსვლის წინ, ლეღვის მურაბა ბევრი არ ჭამოო.

— მამაჩემმა ისიც მითხრა, ბევრი წიგნები იკითხეო.

— მერე ასე ასრულებ მამის შეგონებებს?

. . . . . . .

— დღეს პოლიკლინიკაში უნდა წაგიყვანო.

— რატომ?

— კაცის ფერი აღარ გადევს. მგონი, ჰემოგლობინი გაქვს დაწეული.

. . . . . . .

— მიშა და ზაქრო სად არიან?

— საბილიარდოში.

— საბილიარდოში რა უნდათ? არც ერთმა თამაში არ იცის.

— მეც მაგას არ ვეუბნები?

— მერე?

— აგენტურულ ცნობებს ვაგროვებთო.

— ვისზე?

— აი, იმ ორ ჯეირანზე.

— მაგათზე მეც ვაგროვებ ცნობებს. კახელსა და ჯეირანზე ანეკდოტი იცი?

— კახელსა და იმის ვირზე ვიცი, კახელსა და ჯეირანზე არა. მოჰყევი, რა.

— ახლა შენ ის მითხარი, წუხელ ვინ გააბედნიერე.

— მეზარება მოყოლა.

— მიდი, რა, სანამ ბიჭები მოვლენ, მერე თითო ლუდი დავლიოთ.

— ბიჭო, წუხელ შენ რომ კინაღამ მოსკოვის მატარებელს გაჰყევი, ჩვენ, ბიჭებმა კარგად შევუბერეთ. მერე ისინი ცეკვებზე წავიდნენ, მე არ წავყევი, რაღაც ვერ ვიყავი გუნებაზე, მამაჩემის შეგონება უნდა შემესრულებინა: მაინც ზღვაზე ვარ, „მოხუცი და ზღვა“ უნდა წამეკითხა.

— კარგად წაგიკითხავს!

მერაბმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს ირონიას და განაგრძო:

— ხოდა, მივდივარ სახლისკენ, წვიმამ წამოუშინა. აბანოს რომ გავუსწორდი, ვიღაც გადმოხტა და გვერდზე სირბილით ამედევნა. შევხედე, თავზე პირსახოცი აქვს მოხვეული, თვალებიღა უჩანს. ტანზე კიდევ საწვიმრის მსგავსი რაღაც აცვია. მივრბივართ ერთად. მერე მოუხვია მარჯვნივ, მეც მოვუხვიე. ერთ პატარა სახლთან გაჩერდა. მეც გავჩერდი. გასაღებს იღებს, თან მეკითხება:

— Молодой человек, вы ко мне?

— Да, мадам, я к вам.

ავათვალიერე. ოთახში რომ შევედით, მერე მეკითხება:

— Вы кто?

— Я гусар.

თმებით და ულვაშებით კი გავხარ ჰუსარს, მაგრამ რეიტუზი რა უყავიო, — ასე შევყევით. ცოტა გამოვფხიზლდი. მერე ჩამობნელდა. ქალი ადგა, გახდა დაიწყო, მეძინებაო. მეც გავიხადე...

მერაბი გაჩერდა.

— მერე, მერე?

— რა მერე!

— მერე რა მოხდა?

— მერე მთელი ღამე მშობელ დედას ეძახდა. არა, ცირკი დილას იყო: გავახილე თვალი, — სადა ვარ? გამახსენდა. ვფიქრობ: რა ჰქვია, სახელი არ ამერიოს. ქალი პირსაბანთან წახრილიყო, ხელებს იბანდა. კარგად დავაკვირდი, მომეწონა. შემოტრიალდა, სულ გავგიჟდი. შევეჭვდი, — წუხელ ამასთან ვიწექი თუ არა, რომ გამიღიმა, ჩემო ჰუსაროო, მითხრა, მაშინ დავრწმუნდი, ნამდვილად ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის-მეთქი. — მერაბმა სიგარეტი გააბოლა.

— წამო, წყალში ჩავიდეთ.

— არა, თუ ძმა ხარ, არაფრის თავი არა მაქვს.

— მერე ვინ გითხრა, თავი შეაკალიო.

მერაბმა ხმა არ გამცა. სახეზე ჩემი ქუდი წაიფარა და გაყუჩდა.

ცოტა ხანში ზაქრო და მიშა გამოჩნდნენ.

— სად იყავით, ბიჭო? გაგონილა ამდენი სწავლა?

— რისი სწავლა? — წამოეგო ზაქრო.

— რისი და ბილიარდის. ალეკო და ზურა სად არიან?

— ლენინგრადში. — მიშამ ეშმაკურად მოჭუტა თვალები. ჯეირნებისკენ გაიხედა.

— შიგ ლენინგრადში თუ გარეუბანში?

— შიგ ქალაქის ცენტრში.

— ზურა იმდენს ელაპარაკებოდა გუშინ, ვიფიქრე, გადარევს ამ გოგოებს... ცირკი მერე იქნება, დაიწყება ცრემლები და ხატზე დაფიცება, მისამართების გაცვლა...

— წელან შეგვხვდნენ. ორ საათზე სასადილოში მოვალთ, უჩვენოდ არ ისადილოთო.

— წამო, ჩვენ მაინც დავლიოთ თითო ლუდი — გაშრა ყელი.

წამოვიშალეთ ჯინსის შარვლების სწორებით, ფრთხილად ვუვლიდით გვერდს დამსვენებლებს.

ლუდის ბარში უზარმაზარი რიგი დაგვხვდა. მიშამ, მერაბმა და მე ზაქროს გადავხედეთ.

— ჩემო ზარახ ვასილიჩ, ტყუილად იკლავ თავს? ტყუილად ღვრი ოფლს? ხომ უნდა დაგიფასდეს, შენც და შენს მეგობრებსაც! ახლა ამ რიგში დადგომა შეიძლება? — მოუარა მიშამ.

ზაქრომ ერთი გადმოგვხედა, გაიღიმა.

— რამდენი ავიღო?

— თორმეტი. შენთვის თევზიც ექნება ლარისა ივანოვნას.

ზაქრო დახლის გვერდით, კარში გაუჩინარდა, ჩვენ „პოდნოსები“ მოვამზადეთ.

— Молодые люди, ваши двенадцать бокалов готовы, — გადმოგვძახა დახლიდან კულინარიის ტექნიკუმის მოსწავლე გოგონამ, რომელიც დამსხმელს ეხმარებოდა.

— Молодые люди встаньте в очередь! — მოგვესმა რიგიდან.

— У нас служебный, дядя! — ბოხი ხმით შეეპასუხა მიშა.

სავსე „პოდნოსები“ ცარიელ მაგიდასთან მივიტანეთ, რომელზეც მუყაოსაგან გამოჭრილი სამკუთხა წარწერა იდგა:

«Стол для внутренних нужд».

მაგიდასთან სკამები არ იყო. ზაქროც გამოჩნდა. პროფესიონალ პირატს ჰგავდა. კბილებში დანის მაგივრად „ვობლა“ გაერჭო, ორივე ხელით სკამები მოჰქონდა. სწრაფად დავსხედით, ლუდი გადმოვაწყეთ, გემო გავუსინჯეთ. ცოტა სული მოვითქვით. მერაბმა გვერდზე გაიხედა:

— ბიჭებო, ბორია ისევ ვიღაც სომხებთან ზის.

ბორია დიდი თეატრის ყოფილი სოლისტია, ერთ დროს შესანიშნავი ბარიტონი იყო, მერე რაღაცა შეემთხვა, დაიჭირეს. ხუთი წელი იჯდა. ახლა ზის თავგადაპარსული და თითო კათხა ლუდის საფასურად ოპერებიდან არიებს მღერის, ქართველებთან მეგობრობს, ზურაბ ანჯაფარიძეს ვიცნობდიო დიდ თეატრში.

О дайте, дайте мне свободу,
Я свой позор сумею искупить.— მოგვესმა ბორიას ხმა.

— ორი დღეა, ეს სომხები დალაცას ეხვეწებიან, — მეორე კათხაზე გადავიდა მერაბი.

— ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ ეხვეწებოდნენ გუშინ, სომხური ოპერიდან არია იმღერე, ორ კათხას დაგალევინებთო, — სიგარეტი გააბოლა ზაქრომ.

— მერე? ბორიამ უმღერა?

— რანაირად უმღერებდა, არ იცის კაცმა სომხური ოპერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ესე იგი, თუ სომხურად არ უმღერებს, ლუდს არ დაალევინებენ? — გაუკვირდა ზაქროს.

— არა.

— ეგ რანაირი ლოგიკაა?

— რანაირი და სომხური, — ვუპასუხე მე.

— ახლა, მაგ სომხური ლოგიკით, აფხაზებმა საწყალ ბორიას ლუდი არ უნდა დაალევინონ?

— ეგ როგორ?

— როგორ და აფხაზებს სულ არა აქვთ ოპერა.

— ვაცალოთ, ბატონო, და ექნებათ.

ზაქრომ სიგარეტს მოუკიდა, ლუდი მოსვა.

●

ლუდის ბარიდან რომ გამოვედით, ორი საათი ხდებოდა. სასადილოსკენ გავწიეთ. ალეკო და ზურა უკვე იქ დაგვხვდნენ ორ უცნობ ბიჭთან ერთად.

— გაიცანით, „აპალონა“ და „ბელმონდო“, — წარმოგვიდგინა ბიჭები ზურამ.

„აპალონა“ — თხელი, მაღალი, ვაჟკაცურად ლამაზი.

„ბელმონდო“ — ჩაკუნთული, მხრებძლიერი, ცხვირმონგრეული.

— ამის დედა ვატირე, საფიჩხიაზე რომ ყოფილიყო ამდენი რუსი, ხომ ვისწავლიდი რუსულს, — გულდაწყვეტით თქვა „აპალონამ“.

— რაია, ბიჭო, ამგენის გულიზა გინდა ისწავლო რუსული? აგერ, მე ხომ გეხმარები! ჯარში ისეთი რუსული ვისწავლე, ლუბოი ნაშას შევაბამ! — მიეხმარა „ბელმონდო“.

— ძმაო, სულ არ იცი რუსული? — თანაგრძნობით შეეკითხა ალეკო.

— არ ვიცი და მომკალი, — ირონიას ვერ მიუხვდა „აპალონა“.

სასადილო დიდი, მონღოლური კარვის მსგავსი შენობა იყო, ერთის მაგივრად რამდენიმე შესასვლელით, გვერდებლია, ოჩოფეხებზე შემდგარი. იმდენ ხალხს მოეყარა შიგნით თავი, მეშინოდა, რომ წაიქცეს, სუყველას დაიტანს, ერთმანეთში აურევს-მეთქი.

აქ კი აღარ გავიდა ზაქროს დამსახურება. ერთხელ გაგვიბრაზდა:

კარგი, რა ამის დედა ვატირე, აბანოში — ნაცნობი ქალი, ლუდის ბარში — ნაცნობი ქალი, კიოსკებში, ვაგზლის სალაროებში, აეროფლოტში — ნაცნობი ქალები, დავიღალე, აღარ შემიძლია, სულ თქვენს სურვილზე როგორ ვეარშიყო ქალებს, ჩემს სურვილზე როდისდა ვიყოო.

დავდექით მე და ალეკო რიგში „პოდნოსებით“. საფიჩხიელებმა არ დაიშალეს: ჩვენც უნდა დავდგეთ, პატივი უნდა გცეთო. ისინი წინ დგანან, ჩვენ — უკან. ნახევარი საათი რომ ვიდექით და კარგად მოგვშივდა, მაშინ მივუახლოვდით დახლს. მომსახურე, თვრამეტიოდე წლის გოგონები, სწრაფად მუშაობდნენ. ერთხელ ველაპარაკე ერთ მათგანს. კულინარიის ტექნიკუმიდან ვართო. პირველად მომეცა ცხოვრებაში შანსი ზღვაზე წამოსვლის და ამას როგორ გავუშვებდი; მერე რა, რომ მთელი დღე ამ სიცხეში ვმუშაობთ, რვა საათის შემდეგ მაინც შეიძლება პლაჟზე გასვლაო.

ჩვენი რიგი მოახლოვდა. გოგონები ეშმაკურად შესცქეროდნენ „აპალონას“.

— Молодой человек! Вам суп или борщ? — შეეკითხა ცისფერთვალება, პუტკუნა გოგონა.

„აპალონამ“ ვერ გაიგო — რა უნდოდა გოგონას.

— Молодой человек, вы глухонемой?

— у.у.у.у....

— Смотри, Надя, какой красавчик, а немой, — გული დასწყდათ გოგონებს.

ამ დროს „ბელმონდო“ ალაპარაკდა.

— გაიგე, ბიჭო, რა თქვა?

— რა თქვა, რა? — გაფაციცდა „აპალონა“.

— რა ლამაზი ბიჭია და ჩემი არ არისო.

მე და ალეკოს გულიანი სიცილი აგვიტყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სასადილოდან შინ ავედით, ჩვენი ოთახის კარი გავაღეთ და საწოლებზე დავცვივდით. ბიჭებს უცებ ჩაეძინათ. მერე მეც ჩამთვლიმა.

თვალი რომ გავახილე, უკვე ხუთი საათი ხდებოდა.

წამოვდექი. ბიჭები როგორც დავტოვე დაძინებული, ისევე ისე იწვნენ. ზურას საწოლთან მივედი, გაღვიძება ვცადე.

— ზურა, გაიღვიძე! ზურა!

ზურამ ცალი თვალი გაახილა, მერე ისევ დახუჭა.

— ზურა, გაახილე თვალი, მიაფურთხე ეშმაკს!

ზურა უკმაყოფილოდ წამოიწია, ხელებით დაეყრდნო საწოლს, თვალებით სიგარეტს დაუწყო ძებნა.

— ირა, შე საზიზღარო, შე ციგანო, კინაღამ მოგაფურთხე.

●

პლაჟზე ჩვენი ადგილი მოვნახეთ, ტანსაცმელი გავიხადეთ და ზღვაში შევცვივდით. ნაპირზე ალეკო დარჩა, ჩრდილში ვიღაც ჯერ ისევ თეთრკანიან გოგონას მიუჩოჩდა. „გადარევს საწყალს“, — გავიფიქრე.

ერთად როცა ჩავდიოდით ზღვაში, ალბათ, ერთმანეთის იმედით, გალურჯებამდე ვრჩებოდით წყალში. რა თამაშს არ ვიგონებდით, არემარეს ვიკლებდით. ერთხელ მიშამ ყვირილი მორთო, ვიხრჩობიო და წყალში გაუჩინარდა. ჯერ ხუმრობა გვეგონა, მერე, რომ აღარ გამოჩნდა, დავფაცურდით, დავიწყეთ ძებნა. ვცვინთავდით, სახეები მოგვებრიცა, ტუჩები ჩაგვილურჯდა, არაქათი გამოგველია. ვიცოდით, რომ მიშა კარგად ცურავდა, გულში მაინც გვქონდა იმედის ნაპერწკალი. ამ დროს მიშა ნაპირიდან გვეძახის, რა ამბავიაო. სიხარულისგან და ბრაზისგან კინაღამ დავიხრჩვით.

თბილ ქვიშაზე წამოვწექით, ნახევრადსველი თითებით სიგარეტი გავაბოლეთ.

ალეკო თეთრკანიან გოგონას დაჟინებით უხსნიდა რაღაცას. გოგონა ხმას არ იღებდა, სერიოზული სახით ზღვას გაჰყურებდა.

გავიდა ხუთი წუთი, ათი, — ალეკო ისევ ლაპარაკობს.

— Вы, по какой профессии специализируетесь?

გოგონა ხმას არ იღებს.

— Ну, ради вежливости, если можно.

— Я спортсменка, — როგორც იქნა პასუხობს გოგონა.

— Между прочим, в соседнем пляже члена партии украли, — არ დაკარგა მომენტი ალეკომ.

აქ კი გოგონამ თავი ვეღარ შეიკავა და გულიანი სიცილი აუვარდა. თვალები დახუჭული მაქვს, მზე სასიამოვნოდ მიღიტინებს.

— ირა, რას აკეთებ? — მეკითხება ზურა.

— ლექსსა ვწერ.

— მიდი, რა, გვითხარი.

— ჯერ არ შეიძლება, კომპოზიცია დაირღვევა, ქვეტექსტებიც დასალაგებელი მაქვს.

— კაი ახლა, არაფერი დაშავდება, ვისზეა?

— ჩვენს მიშაზე.

— მერაბ, ის შენი ლენინგრადელი მხატვარი სად არის? — კითხულობს ზაქრო.

მერაბმა ერთი ლენინგრადელი მხატვარი გაიცნო. რომ შეხედავდი, ფაკირი გეგონებოდა. დაბალი, თავგადაპარსული, წვერმოშვებული, დაკუნთულ ტანზე მეზღვაურის გაცვეთილი მაისური ეცვა, მხარზე მოლბერტი ეკიდა. მოვიდოდა, ჩამოჯდებოდა და გააბამდნენ ხელოვნებაზე ფილოსოფიურ მსჯელობას. წასვლისას მხატვარი ეტყოდა:

— Мераб, налей мне огненную воду!

მერაბიც მათარის თავსახურში უსხამდა ჭაჭას. მხატვარი გადაჰკრავდა რამდენჯერმე, მხარზე ხელს დარტყამდა და თავის მოლბერტიანად ხალხს შეერეოდა.

— გუშინ წავიდა, მისამართი დატოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინგრადში რომ იქნება, აუცილებლად მნახოსო, — უპასუხა მიშამ.

●

ზღვა იმითაც არის უცნაური და სასიამოვნო, რომ ბევრი მოულოდნელობა ხდება. ახლაც ასეა. ვხედავთ, ფრიდონი მოდის, თავზე სომბრერო ახურავს. ისედაც შავი, უარესად გაშავებულა. ვიღაც ორი იაპონელი ქალი ახლავს.

— ფრიდონ, ეგენი ტაკარაცუკას ქალიშვილებია? — ეკითხება მერაბი.

— არა, ტო, რა ტაკარაცუკას ქალიშვილები, კუსტანაიდან არიან.

კუსტანაელებმა ქვიშაზე დიდი, ლუნღულა პირსახოცი დაუფინეს ფრიდონს და იმპერატორივით მიიწვიეს.

— ფრიდონ, ორ დედალ კატას მეტი ძალა აქვს თუ ერთ მამალს? — არ ეშვება მიშა.

— გააჩნია პოზიციას, — ხურდას უბრუნებს ფრიდონი.

ფრიდონის ქალებმა ასანთი და სიგარეტი ამოიღეს, ჯერ ფრიდონს მიაწოდეს, მერე თვითონ გააბოლეს. ერთმა ასანთის ღერები პირსახოცზე წამოყარა და რაღაც ფიგურის გამოყვანა დაიწყო.

— Придон дорогой, вот девичья фигура из спичек, сделай так, чтоб она стала женщиной! — ეუბნება ერთ-ერთი.

ფრიდონი დაფიქრდა, სომბრერო მოიხადა. კირკიტი დაუწყო ასანთის ღერებს. ჩვენც დავინტერესდით, დავიწყეთ ფიქრი, მსჯელობა, კამათი. ერთი-ორი ღერი ხელებში ჩაგვემტვრა.

— Дорогие парни! Девушка женщиной руками не делается! — გამოაცხადა და ასხმარტალდა მომცრო კუსტანაელი. ბიჭებმა სიცილი დავიწყეთ, მერე ბრაზი მოგვერია.

●

შვიდ საათზე რესტორნის კარებთან შევიკრიბეთ, ჩემი დაბადების დღე უნდა აღგვენიშნა. კვლავ მოხდა მოულოდნელობა. შავ კოსტიუმსა და ფართო პალსტუხში გამოწყობილი იგორი მოგვიახლოვდა.

— ვაჰ, იგორ, საიდან სადაო, როგორ ხარ, ძმაო, შენ ხომ სამეგრელოში დაგტოვეთ? — დავაყარეთ „აჭარულივით“ იგორს.

— გულმა არ მომითმინა, აქეთ გამოვწიე, ზღვა მომენატრა.

— ახლა ვის უნდა შეხვედროდი?

— ერთს, მე რომ მიყვარს, ისეთ ქალს ველოდები, მაგრამ რა დროს ქალია, თქვენ გნახეთ, წამო, შევიდეთ. — მაგიდები შევაერთეთ და შემოვუსხედით. ორკესტრი უკვე ემზადებოდა. ნოტებს შლიდნენ, ინსტრუმენტებს აწესრიგებდნენ. როიალთან მჯდომმა ქერა პიანისტმა ორი საერთო რვეული დააწყო პარტიტურის ადგილზე. მათი მუშაობა ყოველდღე ასე იწყება. გამეცინა: ერთი რვეული სომხური სიმღერებით აქვს სავსე, მეორე — ქართულით.

— ბიჭებო, დღეს მე გეპატიჟებით, — დაიწყო იგორმა.

— არა, იგორ, შენ დღეს ჩვენი სტუმარი ხარ, — შევედავეთ ჩვენ.

ოფიციანტი ქალი ქუდის და წინსაფრის სწორებით მოგვიახლოვდა.

— Что желаете, молодые люди?

— Цепленок жаренный, цепленок варенный! — მეგრული აქცენტით ჩაურუსულა იგორმა.

— Что будете пить?

— А что есть?

— Гурджаани, Карденахи, Напареули, Цинандали... — ჩაარაკრაკა ოფიციანტმა.

— Для начала восемь бутылок Гурджаани, и еще закуску, по менгрельски тоже.

— Все будет, дорогие мои.

დავიწყეთ ქეიფი, სასმისების გამოცლა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ იგორი ცოტა დადარდიანდა.

— რა არის, ძმაო, ვინმემ ხომ არ გაწყენინა? — შეეკითხა ზაქრო.

— გუშინ უბედურება შემემთხვა, თუ არ გავგიჟდებოდი, არ მეგონა, — სიგარეტი გააბოლა იგორმა.

— მოგვიყევი, გულზე მოგეშვება, — გაამხნევა ზურამ.

— ამ ორი დღის წინათ, — დაიწყო იგორმა, — ჩემი მეგობრები შემხვდნენ რაიონიდან. რესტორანში მაგრად შევუბერეთ. სულ ჭერში ვისროდით ქუდს. მთელი ფული, რაც მქონდა, იქ დავტოვე. მეორე დღეს თბილისში მამიდასთან დავრეკე, მშიერი ვკვდები, ფული გამომიგზავნე-მეთქი. წამოვედი ტელეგრაფიდან გადარეული, მშიერი, სიგარეტიც კი სხვას გამოვართვი. მოვდივარ, ჟინჟღლავს. როგორ მოვიქცე, ვფიქრობ. ცუდ გუნებაზე ვარ. ჩემს სახლს რომ მივუახლოვდი, ვხედავ, შადრევანთან ქალი დგას, მე რომ მიყვარს, ისეთი, ფუმფულა; საწვიმარი მოუხურავს, ხელში დასაკეცი ჭიქა უჭირავს — უკვე გაშლილი, მე მიყურებს. თუ შეიძლება, ახალგაზრდავ, წყალი ამიღეთ, გუბეზე ვერ გადავდივარო. შადრევნის ირგვლივ მოზრდილი გუბე იდგა.

— ხოხ! — მე ვუთხარი, — წყალს კი არა, ქალბატონო, ჩემთან შევიდეთ, შამპანსკის დაგალევინებთ.

— ჯერ წყალი დამალევინე, მერე შევიდეთო — მიპასუხა.

წყალი დავალევინე, სახლისკენ წავედით. ვსაუბრობთ, თან „მიდამოს" ვუთვალიერებ.

სახლში შევედით. გამოვალე კარადა. რაც არ შეგინახავს, რას ეძებ! სად არის შამპანური.

ბოდიში მოვუხადე, ვიღაცას დაულევია-მეთქი. რას ვიზამდი. დავჯექით, გავაგრძელეთ ლაპარაკი. ვუყურებ, კაი ქალია, თქვენ კი იცით, ქალი თუ ოთხმოც კილოგრამზე ნაკლებია, არ მიყვარს. მეუბნება: თქვენთან, გამიგია, ბევრი ყვავილებიაო. კი-მეთქი, მე ვუთხარი, მაგრამ ციტრუსების და ჩაის პლანტაციები უფრო მეტია-მეთქი. რა საინტერესოა, თქვენზე ამბობენ, ბევრი ლექსები იციანო, ნიჭიერი ხალხიაო. კი-თქო. რომელიმე ლექსი გადამითარგმნე რუსულადო. რას ვიზამდი, ქალს გულს ხომ არ დავწყვეტდი, ვუთარგმნე.

ბიჭებს სიცილი აგვივარდა.

— რომელი ლექსი უთარგმნე? — შეეკითხა ზაქრო.

— რომელს ვუთარგმნიდი, არ იცით ახლა? დუტუ მეგრელის „მე პატარა ქართველი ვარ".

ბიჭებს ხარხარი აგვიტყდა. წარმოვიდგინეთ, როგორ უთარგმნიდა იგორი დუტუ მეგრელის ლექსს იმ მოსულელო ქალს.

— მოიცათ, ჯერ სადა ხართ, გასაჭირი ახლა იწყება. ბოლოს, შუქი რომ ჩავაქრე, ხელები მოვხვიე, აწევა დავუპირე, ძაან მეძძიმა. ბიჭოს, ეს რა ხდება, მე და ქალი ვერ ავწიო, — ვფიქრობ ჩემთვის. უცებ ქალმა კივილი დაიწყო. ხელი გავუშვი, შუქი ავანთე:

— Где серьги, где мои серьги? — — გააბა ქალმა.

— რა სერგო, რის სერგო, იგორი ვარ, ჯგერენაია! — ვუთხარი მე.

ბიჭები ერთმანეთს მივაწყდით.

— სერგო, თურმე, საყურე ყოფილა, მე კი არ ვიცოდი. დავიწყეთ ძებნა. სკამების ქვეშ, ბალიშის ქვეშ. ბოლოს საწოლის ქვეშ შევძვერი, იქ ვიპოვე საყურეები. ცოტა სული მოვითქვი. ახლა არ გინდა ყველაფრის თავიდან დაწყება? დავიწყე მაინც. ვეფერები, ისიც მეფერება. მეუბნება, რა ლამაზი თმები გაქვსო. დედა, ბიჭო, ასეთი რამე ჩემთვის არავის უთქვამს. ცოტა რომ გავხურდით, მეუბნება, ნაზად მომეფერეო. მე ვუთხარი, კაცი ვარ, რანაირადღა მოგეფეროო. ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოო. რა დროს საიდუმლოა, ვდნები კაცი. უცებ მეუბნება:

— ორსულადა ვარ, შეიძლება ვიმშობიარო.

ბიჭები ჩავბჟირდით.

— კაცს რომ ზამთარში თბილი ოთახიდან გაიყვანენ სიცივეში შიშველს, წელს ქვევით სველ ტილოს შემოახვევენ, ის დამემართა.

გონს რომ მოვედი, შუქი ავანთე. ვეუბნები:

— ქალბატონო! ავტოსაინჟინროზე ვსწავლობ, ამჟამად კარბურატორშიკი ვარ; თუ კარბურატორი გაქვს გასარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონტებელი, გაგირემონტებ, აბა, ახლა ბებია-ქალი საიდან მოგიყვანო?

ბიჭებს ძალა გამოგველია სიცილისაგან, უკვე ცრემლები მოგვდიოდა, რესტორანი და გარშემო ხალხი არავის ახსოვდა. მერე და მერე ცოტა დავწყნარდით, სული მოვითქვით.

●

თვრამეტი-ოცი წლისანი იყვნენ. ლალობდნენ ბიჭები, ქართველები

●

რესტორნიდან რომ გამოვედით, კარგად შელამებულიყო. ცხრა საათს არაფერი აკლდა. მე და ზაქრო ვაგზლისკენ წავედით, თბილისში უნდა დაგვერეკა. გზაში ცოტა გამოვფხიზლდით.

— ზახარ, რამაზი რატომ არ წამოვიდა ჩვენთან ერთად?

— ხომ იცი მაგის ამბავი, ცურვა არ ვიცი, იქ რა გავაკეთოო.

— ზღვაზე ყოფნას რა ცურვის ცოდნა უნდა, რუსული იცის, ჯანზეც მაგრადაა.

— მოდი, დავრეკოთ, გავიგოთ, როგორ არის.

— დავრეკოთ.

საქალაქთაშორისო ტელეფონ-ავტომატებთან გრძელი რიგი იდგა. რუსი გოგონების უკან რიგი დავიკავეთ და გარეთ გამოვედით. სიბნელეში ნაცნობი ფიგურა შევნიშნეთ.

— ვა, თემურს აქ რა უნდა? — გაუკვირდა ზაქროს.

— თემურ, ძმაო! როგორა ხარ? — მივესალმეთ თემურს. გახარებული თემური კისერზე ხელს გვიტყაპუნებდა.

— ბიჭებო, როგორ გამახარეთ, თქვენ გენაცვალეთ, წამოდით, სკამზე ჩამოვსხდეთ.

სადგურის წინ თითო-ოროლა მანქანა თუ გაივლიდა, ასფალტზე აქა-იქ გუბეები იდგა, ცოტა ქარმაც წამოუბერა. მარცხენა მხარეს გაზონი იყო, იმის იქით დაბურული პარკი იწყებოდა. პარკის განაპირას ადგილობრივი ბიჭების ხროვა ირეოდა. სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ, უცნაური ვარცხნილობით, თითქოს ბეწვი აშლიათო; პერანგგახსნილები, მთვრალები.

თემურმა ერთი კი გახედა, ტურებიო, — ჩაილაპარაკა და ჩვენ მოგვიბრუნდა. საუბარი გავაგრძელეთ.

— ბიჭებო, ქართველები ხართ? — მოგვესმა ამ დროს. შევხედეთ, ჩვენი ხნის ბიჭია, სიმპათიური — სახეზე ფერი არ ადევს.

— კი, ქართველები ვართ.

— სიგარეტი გაქვთ?

მივაწოდე. ზაქრომ ასანთი აუნთო.

ბიჭმა მადლობა გადაგვიხადა, ბოლი ბოლქვებად გამოუშვა.

— რამე ხომ არ გიჭირს, ძმაკაც? — შეეკითხა თემური.

— აი, ის რუსები ცემას მიპირებენ. თუ შეიძლება, ცოტა ხანს თქვენთან დავდგები, იქნებ, შეეშინდეთ და ვერ მობედონ.

— თუ გინდა, სულ ჩვენთან იყავი. რას გერჩიან?

— მაგათი გოგო ჩემთან დადის. წელან გაარტყეს. გოგოს ვეუბნები, მე ორი დღე უნდა ვიყო აქ, აბა, რაში გინდივარ-მეთქი, მაინც არ მანებებს თავს.

— შენც ადექი და წადი, გაერიდე აქაურობას.

— მეგობარს ველოდები, თავისი გოგო ჰყავს გაყვანილი სადღაც, აქა გვაქვს შეხვედრა დათქმული.

— სადაურები ხართ?

— ქუთაისელები, ზასტავადან.

ამ საუბარში ვართ, მოხორხოცე ბიჭების ხროვა დაწყნარდა. ერთად შეიკრიბნენ, რაღაცას ბჭობენ, ჩვენკენ იყურებიან.

მაინც ვერ შემოგვბედეს.

ერთი საათი ველოდეთ მეორე ზასტაველს. ისიც გამოჩნდა. ერთი ჩია, გალეული ბიჭია, კაცი იფიქრებს, რომ შევუბერო, წაიქცევაო. ჩვენთან მოვიდა.

— თამაზია, ბიჭო, სად იყავი ამდენ ხანს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად ვიქნებოდი, დამასთან ვიყავი, იმას პატივისცემა ხომ უნდოდა?!

— ამ თბილისელ ბიჭებს რომ უყურებ, ამგენმა გადამარჩინეს, თორემ ცოცხალს ველარ მნახავდი.

— რატომ, ბიჭო?

— აგერ ის შპანა მიპირებდა გადავლას.

თამაზიამ გაიხედა პარკისკენ, კარგა ხანს ათვალიერა ბიჭების ბრბო და უცებ მოსხლიტა:

— ოცდაათი რუსის რაფერ შეგეშინდა, ბიჭო?!

წამიერად სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ხუთივეს ხარხარი აგვივარდა, ერთმანეთს ვეყუდებოდით.

ჩვენი მოწინააღმდეგე ბიჭების გუნდი ნელ-ნელა დაიშალა, აქეთ-იქით გაიფანტნენ, თვალს მიეფარნენ.

●

მეორე დილით ზაქრომ ნაცნობ სალაროში, ნაცნობ მოლარესთან, მატარებლის ბილეთები აიღო. ზღვას ვემშვიდობებოდით, ნაცნობ, უკვე შეჩვეულ ადგილებს. ხურდა ფული გადავყარეთ წყალში, ჩვეულების მიხედვით. მატარებელში რომ ავდიოდი, გული მწყდებოდა. როდის მოვა შემდეგი ზაფხული, როდის ჩამოვალ ისევ!

მატარებელი ნელა დაიძრა, სიჩქარეს მოუმატა. გუნება წამიხდა, სევდა მომეძალა. კუპირებული ვაგონის დერეფანში ვიდექი, ზღვას გავცქეროდი. ზღვა ოდნავ ღელავდა, ნაპირთან ბაცი სიღრმეში მუქდებოდა. ბორბლების ხმაურთან ერთად თამაზიას ნათქვამი ფრაზა ამეკვიატა:

— ოცდაათი რუსის რაფერ შეგეშინდა, ბიჭო...

ამ მოთხრობას ვუძღვნი სამაჩაბლოში და აფხაზეთში დაღუპულ ბიჭებს. ბიჭებს, რომლებსაც სიცოცხლე სწყუროდათ, სიცოცხლით გაუმაძღარნი დაგვშორდნენ.

მაპატიონ მათმა დედებმა, მამებმა... ახლობლებმა, სხვანაირად ვერ შევძელი.

---

ავტორისაგან: გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ საქართველოს თავდაცვის ფონდში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამირან ახობაძე

## იქნებ

გულო, ფიქრებით
ასე დახრული,
დამძიმებულხარ
ამდენ დარდებით,
შიში მიჩნდება
ზოგჯერ, მამულო:
ნაწილ-ნაწილ ხომ
არ მეკარგები.

ისევ და ისევ
ძალობს სიმართლე
და სხვა იერით
მოდის აპრილი, —
იქნებ, გამოკრთეს
მწვანე სინათლე,
იქნებ, გამოჩნდეს
მწვანე ნაპირი!

## სად მემალები?

ისევ ნაცნობი
მთები ფრიალო,
ისევ ნაცნობი
შემოგარენი...
მაგ ნაკვალევზე
ბევრი ვიარე,
მაგრამ შენ მაინც
ვერ მოგაგენი.

კმარა ამდენი
მალვა, ხუმრობა.
შემოვიარე
ტყე და ველები.
ჩემო პატარა
გულუბრყვილობავ,
სად გადიხვეწე,
სად მემალები?

## გასაუბრება მშობლების აჩრდილთან

ხან თავს ველური
ქარი მაბეზრებს,
ხან კი წვიმა და თქეში.
ამ წუთისოფლად
ვიდრე ვარსებობ, —
თქვენც იარსებებთ ჩემში.

ყველას თავისი
ბედი აწუხებს,
ბედი მკაცრი და მძიმე.
მე რომ გიგონებთ,
ასე, ამ გულით
თუ მომიგონებს ვინმე?

ზოგჯერ ისეთი
მიდგას წუთები,
ყველაზე ნაკლებს ვდარდობ;
ზოგჯერ იმედთან
უიმედობაც
თავისებურად მაკრთობს.

ძალიან ხშირად
თქვენი საფლავი
ჩემი ცრემლებით დალბა.
მეც წავალ... მერე
თქვენი ხსოვნის მზეც
ჩაესვენება ალბათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხან თავს ველური
ქარი მაბეზრებს,
ხან კი წვიმა და თქეში.

ამ წუთისოფლად
ვიდრე ვარსებობ, —
თქვენც იარსებებთ ჩემში.

## მეგობარს

თუ სიხარული
გზადაგზა მოდის,
დარდებიც ასე მოვლენ...
კაცმა არ იცის,
რა დროს გვიმუხთლებს
ბედის ვარსკვლავი ხოლმე.

ვაი, რომ ზოგჯერ
სულ ნორჩ სიცოცხლეს
სიკვდილი უღვთოდ კვნეტავს, —

ეს აწყვეტილი
ბედის ბორბალი
სად შეჩერდება ნეტავ?

ხან ალმაფრენა,
ხან მწუხარება
მოაქვს აისს თუ დაისს.
მთებსაც რომ ვძრავდეთ,
ჩვენს ბედისწერას
ველარ ავცდებით მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარინე ტურავა

●

ჩემი ცისფერი თვალების მიღმა,
უმიზეზო ცრემლების წილ,
შენი ნეკნიდან
ამოზრდილი სხეულით,
სულთმოფენიდან სულთმოფენამდე
მიტოვებული
პაპის საფლავით,
ყველა გარდაცვლილი
ოცნებით,
მოგონებიდან გადმოსული
ზღაპრის პერსონაჟივით
ალუბლის ხეზე აგებული
სამყაროთი,
უშენოდ გალეული
ყოველი დღის უაზრობით,
ჩემი ნაღვლიანი გამოხედვის მიღმა
და ყველა დავიწყებული
საფლავის წილ
იწყება ჩემი ავტოპორტრეტი
და ზღვას უერთდება,
შენივე ერთგულების
დასათრგუნავად.

●

მიტოვებული ოლთისიდან
და ბაზალეთიდან
იწყება ჩემი გამოღვიძება
და არც მთავრდება,
რადგან ახლა ხორნაბუჯია
უკაცრიელი და
ახალი ბაზალეთიც ატბორებულა.

●

რაკი ქეთევანობა უკვე რეტროა
და არც თავგანწირვაა ჩემი
ბედისწერა,
ყაყაჩოებზე გაშლილ მანდილად
მაინც მაქცია ან
ჭრილობაზე დაფენილ მინდვრის
ყვავილად.

●

დიდი ხნის წინათ
გათავებული ჩემი ბავშვობა,
რომელიც ხანგრძლივი და
უსასრულოდ ზღაპრული არც ყოფილა,
ცისფერთვალება თოჯინებით
მიბრუნდება უკან,
რომ ჩემი სხივნაკლული
მოგონება ამოავსოს და იქ,
წარსულში მაინც,
მოიძიოს პაპაჩემების ღიმილში
მოყვავილე ენძელები.
იქიდან იწყება
ჩემი უსაშველო მოლოდინი...
რომელიც შენს შემდეგაც
გრძელდება და
არც არასოდეს დასრულდება,
რადგან ვინმეს მაინც
ხომ უნდა ჰქონდეს
ღიმილში მოყვავილე ენძელები
და ველის შროშნები
თაიგულების გამოსაწნავად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ისეთი გამოგონილი
სიმშვიდით ვხვდებით ერთმანეთს,
თითქოს არასოდეს გვქონია
ედელვაისად ქცეული სხეულები
და სულები ცამდე აწვდილი.

●

ფეხუცა ტყემლების რიგი,
აყვავებული ნუშების რიგი,
ოქროსფერი ატმების რიგი,..
იქვე დისონანსი:
ყოველთა კეთილთაგან
განძარცული ბებერი კიპარისი.

●

დიდი ხნის მერე,
როცა მე არ ვიქნები,
არც შენ იქნები.
ისევ იწვიმებს გადაუღებლად
და უსასრულოდ
გაიწელება ზამთარი,
ისევ დაათოვს
ჩვენს მაგნოლიებს და აკაციებს.
მერე, აპრილში,
თეთრყვავილები ამოხეთქავენ
სველი მიწიდან
და წეროები დაბრუნდებიან.
დიდი ხნის მერე,
როცა არც მე ვიქნები,
არც შენ იქნები.

●

ჩემი სათქმელი საკენკივით მევე მიყრია. ჯვარი სწერიათ — ყველას თავისი აქვს საფიქრალი. წარმართივით შრავალვსიტყვაობ. ჩემი ცოდვებიც, საკუთარ მხრებზე უფრო მძიმე და მომქანცველი, ყველაზე უფრო მაშორებს 'შენგან.

სადღაც, სივრცეში იკვეთებიან გველივით ბრძენი და მტრედივით უმანკო ქალნი. ყოველ ცისმარე უკანასკნელად გადიან მზეში და საკუთარი ცრემლის წილ სიკვდილს იმკიან.

ათიათასჯერ გათვლილი სვლებით ვცილდები მათ ლანდს, მაგრამ არსებობს გაუთვლელი ულოგიკობაც — შენამდე ისე დიდი გზაა, მზეს |უსიკვდილოდ ვერ გამოვივლი.

ღმერთებს თავისი წილი მიაქვთ, კეისრებს თვისი, ქალები — უხმოდ ელოდებიან მსხვერპლად შეწირვას. მკერდში რძის ნაცვლად დაგროვებიათ ველური თაფლი და ანათემაც სხვანაირი იქნება უკვე.

ყრუ საჩივარი ბელზებელთან ვერავის მიაქვს; დამღალავია უკანასკნელ სადგურზე ფიქრი. ხეებს დუმილი უნდა ვასწავლო, თორემ გადამრევს ღამის წყვდიადში ჩურჩული მათი.

ქარის მოტანილს, რაკიღა ქარი წაიღებს უკან და ყველა ფიქრის დასასრული არის გათვლილი, ხელისგულებზე ამოქარგულ ბედის ობობას ბოლომდე უნდა შეასვა სისხლი.

თავისი წილი სამოთხე რომ შემოელობათ და თმების ნაცვლად ამოსვლოდათ გეორგინები, საკუთარ ცოდვებს გამოჰფენდნენ მაინც ჰაერზე, მერე კი... მშვიდად შევიდოდნენ ხეთა დუმილში გველივით ბრძენი და მტრედივით უმანკო ქალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

წეროებივით გადაგვიფრინეს უგრძელესმა დღეებმა და დარღვეული ეთიკეტივით დაგვიტოვეს ივლისის ნატეხი — ჩემი და შენი უსუსურობის სიმბოლო.

მოდას აყოლილნი გაუთავებლად ვწუხდით აღსასრულზე და გვავიწყდებოდა სიკვდილზე უფრო საზარელი სიკვდილი — ტაოს ბებერი ტანი სიყვარულისთვის გამოხრული ოშკითა და ხახულით.

ქარვისფერ ნისლებს მიჰქონდათ წარსულზე ფიქრი და თევდორეს დაღლილი სისხლიც სოდომის წვიმისაგან იცავდა ქალაქს.

ჩვენს გაბათაზე სხვა პილატე დასვეს დღეიდან და ჩემი და შენი სიკვდილის ნატეხი — იფიგენიას ერთგულება სჭირდება ტაოს.

●

შენ შენი გიჟმაჟი ფიქრიდან მოდიხარ და იმ ტკივილიდან, მთვარეს რომ უხილავი ძაფებით მიგაბა და სამუდამო სიხელე დაგიკანონა.

შენი ცოდვიანი დღეები შენივე უცოდველობის პრელუდიაა, ეს სიმარტოვეც სასჯელი კი არა, დედის საშოდან გამოყოლილი ბედისწერაა, ურომლისოდაც შენი თვალები მარტო თვალები იქნებოდა და არა ზეცას გამოკრული ორი ვედრება.

აისიდან მწუხრამდე აყვავებული სევდა გასაძლისი რომ გაიხადო, მისხალ-მისხალ აგროვებ მოთმინებას და გლიცინიებს ჩუქნი, რადგან მარტო მათთვის არ გენანება სითბო.

მებადურივით ზიხარ ერთადერთ მდინარესთან და ყასიდად ნასროლ ბადეს ოქროსფერი თევზი თუ ამოაყოლე, მუხლმოყრილი შეევედრები კიდევ ერთ სიყვარულს, რადგან მარტო მისგან არ იცი დაღლა.

შურით აგავსებს მითებიდან გადმოსული ევრიდიკე, მაგრამ არც უხილავი ძაფების გაწყვეტა შეგიძლია და მთვარესაც, ამირანის დაკორტნილი ღვიძლივით, ვერ მოიშორებ.

# რევაზ ლორია

## მადლიერების ცრემლი

ვუძღვნი ელდარ კერძევაძის ხსოვნას.

მომკალით და, ვერ წარმომედგინა, თუ ამ დილაუთენია ვინმე ჭიშკარს მოადგებოდა. ჩემს წარმოდგენა-არწარმოდგენას ვინ უყურა, ვხედავ, ჭიშკართან დგას მაღალი, თავზე ყაბალახწაკრული, ულვაშგაფარჩხული კაცი და საცოდავად წვალობს: ხან მესერს ჩამოადებს თავს, ხან მესერში აძვრენს თითებს, ხან კიდევ მთელი ძალით აწვება ჭიშკარს. საბოლოოდ, რომ ვერაფერი გააწყო, იკადრა დაძახება.

—მასპინძელო!

სწრაფად წამოვდექი ლოგინიდან. ტანთ ჩავიცვი და კარში გამოვვარდი:

— მობრძანდი, ბატონო! — შიგნიდან საგულდაგულოდ დაკეტილი ჭიშკარი ფართოდ გავაღე.

— მობრძანდი, ბატონო! — ისევ გავუმეორე.

უცნობი ჭიშკარში შემოვიდა.

— აქა მშვიდობა! გამარჯობათ, ბატონო! აქ ცხოვრობს ელდარ ბოლქვაძე? — თან მომესალმა და თანაც მორიდებით იკითხა.

— დიახ, ცხოვრობდა...

ძლივს მომიბრუნდა ენა, ელდარის უეცარი გახსენებით ყელში მოწოლილი ბურთი ძლივს გადავყლაპე და ოდა-სახლისკენ გამექცა მზერა.

უცნობმაც ჰკიდა თვალი ზემო სართულის ფანჯარაში გამოფენილ ფოტოსურათს და, შევატყვე, ფერი ეცვალა....

— მაშინ... ვერ მიმასწავლით, სად არის სასაფლაო? — ძლივს მოაბრუნა ენა.

—როგორ არა, — ვუპასუხე მე, — აქვეა, ახლოს... თვითონ გამოგყვებით...

— კარგი იქნება...

უცებ გამახსენდა, შინაურები რომ უნდა გამეფრთხილებინა და სტუმარს მოვუბოდიშე: თუ შეიძლება, ორი წუთით შევირბენ სახლში და ახლავე წამოვალ-მეთქი.

მალე ორივენი სასაფლაოსკენ მიმავალ გზას ვადექით. ახლა კი ვიკადრე მეკითხა მისი ვინაობა.

— მე, — თქვა უცნობმა, — თურქეთში მცხოვრები ქართველი ვარ. სახელად ნაზიმი მქვია, გვარად... (ცოტა ხანს იყუჩა, ალბათ, იფიქრა, ღირდა თუ არა ეთქვა თავისი გვარი, მერე უთუოდ დადებითად გადაწყვიტა და განაგრძო) გვარად ბოლქვაძე. ხოფაში ვცხოვრობ, ჩემი ოჯახი მაქვს, ჩემი ჯალაბი მყავს — მეუღლე და ოთხი ქალ-ვაჟი...

— მერე, აქ საიდან? — მისი უეცარი სტუმრობით გამოწვეული გაკვირვება ვერ დავმალე.

ნაზიმმა ჯიბიდან ფერადყდიანი, საშუალო ზომის წიგნი ამოიღო და მაჩვენა. თვალებს ვერ დავუჯერე — ელდარ ბოლქვაძის საბავშვო ლექსების წიგნი იყო. „ელდარ ბოლქვაძე — ბავშვს გაუმარჯოს, ბავშვს!“ — ეწერა ყდაზე. მესიამოვნა, გამიხარდა, თანაც გამიკვირდა.

— კი, ეს წიგნი ნამდვილად ჩემი ძმისაა, — ვუთხარი ნაზიმს. — მაგრამ თქვენს ხელში საიდან, როგორ მოხვდა?

— ნახე, წაიკითხე წიგნის წარწერა და გაიგებ! — მიპასუხა და იქვე დაუმატა: — თქვენი სახელი, ბატონო?

— ლევან ბოლქვაძე, — მივუგე მაშინვე და წიგნზე მიწერილი ჩემი ძმის ავტოგრაფის კითხვას შევუდექი. ვკითხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულობ ელდარის ლამაზი ხელით დაწერილ სტრიქონებს და მთელ სხეულში ჟრჟოლა მივლის, თითქოს ჩემი ძმა მიცოცხლდება... როგორ ნდომებია საბრალოს თურქეთში მცხოვრები ბავშვების მონაზულება... მათი მოფერება, მათთან საუბარი... რა დიდებული ძმა მყავდა, რა გულხალასი ადამიანი. მარტო პოეტი კი არ იყო, სულითაც და არსებითაც შემოქმედი გახლდათ. განსაკუთრებით მიმნდობი, თბილი, უანგარო... როგორ წერს? „ჩემს უცნობ, პაწია მეგობარს, დიდ თურქეთში ქართული ენის დამცველსა და შემნახავს, — უდიდესი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით, მალე შეხვედრის სურვილით. აბა, ვნახოთ, რომელ ლექსს მოიწონებ და დაისწავლი. შენი უფროსი მეგობარი, შენი სისხლი და ხორცი, ამ წიგნის ავტორი ელდარ ბოლქვაძე. 19... წელი, 12 მაისი, თბილისი, საქართველო".

გული ამომიჯდა, ცრემლი ვერ შევიკავე და ასე, თვალცრემლიანი, ოცნებას გავყევი...

— ჩემი ძმა თურქეთში საერთოდ არ ყოფილა, — ვთქვი ჩემთვის ცოტა ხნის შემდეგ, — ოცნებობდა კი... მახსოვს, ერთხელ მისი მეგობარი პოეტი გიორგი ხოტივარი გაემგზავრა თურქეთს... ჰოდა, მაშინ გაატანა თავისი ახალგამოცემული წიგნის ოცამდე ეგზემპლარი და რამდენჯერმე სთხოვა, ეს წიგნები თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის ყოველგვარი საფასურის გარეშე დაერიგებინა...

— დახ, — თქვა ნიზამმა, — სწორედ ის, მისი მეგობარი გიორგი გახლდათ, ალბათ, მე რომ მაშინ ვნახე ხოფაში, უბრალოდ ვისაუბრეთ, გზა გავასწავლე და დამშვიდობებისას თქვენი ძმის წიგნი მისახსოვრა. ყველამ რამდენჯერმე წავიკითხეთ, მაგრამ ჩემმა შვილებმა — გოჩამ, ხვიჩამ, ნინომ და ქეთევანმა ამ წიგნის ყველა ლექსი ზეპირად იციან... დღეს ჩამოვედი, რომ ბატონი ელდარისათვის ჩემი ოჯახის დიდი, გულითადი მადლობა მეთქვა, მაგრამ ბედი არ გინდა კაცს?..

ნაზიმს თვალები აუწყლიანდა, ქურთუკი ხელის კანკალით შეიხსნა და შიდა ჯიბიდან რაღაც, გაზეთში შეხვეული ამოაძვრინა.

— ეს ჩემი გოგონების ნამუშევრებია, აბრეშუმის ქსოვილზე ელდარ ბოლქვაძის ლექსების სტრიქონებია ამოქარგული ნახატებით... რვა-ათი წლის ბავშვებმა, როგორც მოახერხეს, ისე ამოქარგეს. — მითხრა და ნორჩების საჩუქარი გადმომცა.

უკვე სასაფლაოზე ვიდექით. შავი ღობურის მიღმა იწვა ჩემი ძმა ელდარ ბოლქვაძე და თავთან აღმართულ ვეება მარმარილოდან იმზირებოდა ახოვანი, თმახუჭუჭა, თვალებცეცხლიანი ჭაბუკი, ხელში გაშლილი თავისივე წიგნით...

ბატონი ნიზამი მუხლმოყრილი იდგა საფლავთან და იცრემლებოდა....

## დედა

დედაჩემი...

— დედა! დედიკო! — ვიყვირე და კისერზე ჩამოვეკიდე.

ვკოცნე, ვეხვიე, ვეფერე, ვესიყვარულე.

როდის-როდის მოვეგე გონს, თავი ავწიე და თვალებში ჩავაცქერდი. თვალები დაწვრილებოდა, ფოსოებში ჩავარდნოდა, საიდანაც უკვე ღამე უფრო იყურებოდა, ვიდრე მზეძლიერი საღამო.

სიტყვის თქმა გამიჭირდა.

ისევ დედამ გაბედა მძიმე სიჩუმის დარღვევა:

— რას შვრები, როგორ ხარ, ბიჭო?!

— რა ვქნა, დედა, ვარ ასე...

— ვხედავ, კარგად ხარ... შეცვლილხარ, ამაღლებულხარ, გალამაზებულხარ, ჭაღარა შეგპარვია... ასე უნდა, ბიჭო?!

— კარგი, დედა, არ მითხრა არაფერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უნდა გითხრა, შვილო! ღმერთმა ყველაფერი იცის... დაილოცოს მისი სახელი! იგი ყველაფერს ხედავს, რა საჭიროა ჩემი ენად გაკრეფა... ისე, ადამიანები ძალიან შეიცვალეთ, ბიჭო! რაღაცნაირად გულგრილები, ცივები გავხდით ერთმანეთის მიმართ, შევეჩვიეთ ჩვენივე ბაკნებში შეკუჭვას, არც დედა გვინდა, არც ცოლი, არც შვილი...

— რას ამბობ, დედა! როგორ არ გვინდა...

— ეს არის ნდომება? რამდენი ხანია არ გინახივარ, შვილო! რამდენი ხანია მზიას და თამუნას არ მივფერებივარ... არ გეცოდებით, ბიჭო?!

— როგორ არ გვეცოდები, დედა! გვეცოდებით და მეტი არა? ექვსი წელია გეძებთ... რა მილიცია არ შევაწუხეთ, რა ხალხი არ შევაწრიალეთ, რა ბავშვები არ შევასახელეთ, მაგრამ შენი ასავალ-დასავალი ვერ გავიგეთ, ცამ ჩაგყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გვითხრა...

— ადამიანს სიკვდილი ყლაპავს, შვილო!

— ცოცხალი რომ ყოფილხარ?..

— გული ხომ არ გწყდება... ადამიანი ყოველთვის დაემალება ადამიანს... ერთადერთი გულია, შვილო, გული, მეორე გულს რომ ვერ ემალება... თქვენც რომ გულით გეძებნეთ, უსათუოდ მნახავდით, არ გაგიჭირდებოდათ...

— გულით გეძებეთ, დედა, გულით, შენ თავს ვფიცავ...

— ჩემს თავს ნუ იფიცებ, შვილო...

— რატომ, არ გიყვარვარ?..

— როგორ არა, მიყვარხარ! დედას შვილების სიყვარულს ვერავინ აუკრძალავს, რომც აუკრძალონ, დედები არ ვიზამთ... შვილები ხომ ჩვენი სისხლი და ხორცია... სისხლი ყოველთვის უყივის სისხლს, ხორცი ყოველთვის დაეძებს ხორცს...

— მაშინ რატომ ერთხელაც არ გაგახსენდით, დედა?

— არ გამახსენდიო? რას ამბობ, შვილო... მე თქვენ ყოველთვის გულთან მყავხართ... გახსოვს, ერთხელ მაგიდაზე მარილი რომ დაგებნა?.. სულ უბრალო რამეზე შეყევით ერთმანეთს შენ და ვარვარა. არც იგი თმობდა, არც შენ იხევდი უკან, ლანძღავდით და მიწასთან ასწორებდით ერთმანეთს... ინგრეოდა ოჯახი... ვარვარა იქამდე მივიდა, სილაც კი გაგაწნა... შენ პურის საჭრელ დანას წამოავლე ხელი... საშინელება უნდა დატრიალებულიყო... და აი, მაშინ მოვედი შენთან, მაშინ გამოგეცხადე ჩემდა უნებურად... შენ შეგეშინდა, ვარვარაც არ გაქცეულიყო სახლიდან... და გონს მოეგე.

გახსოვს, შენი თამუნა სიცხით რომ იწვოდა?.. რა ექიმებს, რა წამლებს, რა ოფლდენას არ მიმართეთ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, სიკვდილ-სიცოცხლე ებრძოდა ერთმანეთს და ძნელი იყო მათი გათიშვა... მაშინაც მე ჩავერიე საქმეში... რაფერ თქვი დილას? წუხელ დედა გამომეცხადა; თუ ცოცხალია, ბავშვი გადაგვირჩებაო.. დიახ, ცოცხალი ვიყავი და მერე როგორ! მთელი ღამე ვიბრძოლე, ვიფხიზლე და არ დავანებე თამუნა სიკვდილს...

გახსოვს, ზაფხულში ავარიაში რომ მოჰყევი?.. ისე მძიმედ დაშავდი, შენს გადარჩენას არავინ ფიქრობდა.. სულ მე გაბოდებდი.. შენი ვარვარა წყევლით მიკლებდა, ჩემს დედამთილს მიჰყავსო, იძახდა.. სინამდვილეში პირიქით კი იყო, თეთრი ხალათით ვტრიალებდი შენს პალატაში, წამალს გასმევდი, საბანს გახურავდი, სიცხეს გისინჯავდი, გათბობდი, განაყრებდი, ძალ-ღონეს გაძლევდი, აზრს გიბრუნებდი... დედა ვიყავი და იმიტომ.. შენს გადარჩენასაც მე უნდა მიმადლოდე, შვილო!..

— ნუ გამაგიჟე, დედა, შენ რაღაცას ურევ, რაფერ იყავი ჩვენთან, როცა თვალითაც არ გვინახიხარ, საიდან იცი შენ ყოველივე ეს?!

— დედამ ყველაფერი იცის, შვილო! შენ კი, გატყობ, სიბერე გემალება და სიბრძნე არა. მე ყოველთვის შენთან ვარ, ჩემო ბიჭო! ჭირშიც და ლხინშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენთანა ვარ, სხვანაირად არც შეიძლება და არც შემიძლია... ჩემი სული ძველ კერაზე ტრიალებს, შენს ოჯახში ბრუნავს, შენს სხეულში ჩემი სისხლი, ჩემი ძარღვი, ჩემი ჯილაგია და შენ სხვა გგონია? არა, ბიჭო, მე ვარ, მე, შენი შემწე და მფარველი...

— შე თუ ასეთი კაი ხარ, დედა, მაშინ დაბრუნდი ჩვენთან, რა გინდა აქ, რას მათხოვრობ... რა გვჭირს ჩვენ საამისო...

— რაო, რაო, მათხოვრობო? არა, ჩემო ბიჭო, მე არ ვმათხოვრობ, მე მოწყალებას ვთხოვ ადამიანებს... მეც ხომ ადამიანი ვარ, ჰოდა, ჩემდამი პატივისცემას, გულისხმიერებას, ჩემს ბედზე ყურადღების წამიერ შეჩერებას და დაფიქრებას ვთხოვ ამქვეყნად აჩქარებულ ადამიანებს... როგორ ფიქრობ, — განა ყოველთვის ასე ვდგავარ ამ ტაძართან და ვმათხოვრობ; არა, შვილო, არა! მე პენსია მაქვს, მეზობლები მყავანან... კეთილ ხალხს რა გამოლევს დედამიწაზე... უბრალოდ, ჩემთვისაც გასაკვირად მივლის ხოლმე ასე ხანდახან... და მეც არ შემიძლია სხვანაირად მოვიქცე... ნათელმოსილ ღმერთის აღქმა მივეცი და ვერ ვღალატობ... ახლაც ცოტა ხანს გავჩერდები და მერე წავალ... მაინცდამაინც ახლა მომისწარი შენ... სხვისი ჭირი, — ღობეს ჩხირიო, არ უნდა ვთქვათ... სინამდვილეში კი ვამბობთ და მერე რა მკაცრად, რა ხშირად, რა უტიფრად და უტეხად...

ძმას ძმა არ ახსოვს, დას — და, შვილს — დედა და მამა... აღარავინ, გვახსოვს, შვილო, აღარავინ, ჩვენი თავი გვინდა მარტო...

— მე მადანაშაულებ, დედა? ჩემი რა ბრალია, როცა შენ თვითონ გაიქეცი სახლიდან...

— ჰო, შენი რა ბრალია... შენ შენი ოჯახი გაქვს, შენი საზრუნავი გაგაჩნია, მტერი გყავს, მოყვარე გყავს, ხომ უნდა მიხედო მათ... შენ გაიქეციო, მეუბნები და არც დაფიქრებულხარ — საძირკვლის ჩამყრელნი როდის გარბიან თავიანთი სახლიდან...

— როდის, დედა?

— კარგად იცი, შვილო, ზედმეტად ნუ მალაპარაკებ...

— წამოდი, დედა, შინ...

— მომეშვი, შვილო, ხელს ნუ მიშლი, ადამიანებთან ყოფნა მინდა!

— რა მაგალითს აძლევ სხვებს, გინდა შენსავით იმათხოვროს ყველა დედამ?

— ღმერთმა ნუ ქნას, შვილო, ეს! მაგრამ ღმერთმა ისიც ნუ ქნას, ყველა დედას ერთნაირი შვილი ჰყავდეს...

ეს თქვა დედამ და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჩემგან განცალკევდა, სიყვითლეშეპარული, შემჭკნარი ხელი წინ გაიშვირა...

უეცრად გამომეღვიძა. საშინელ ტკივილს ვგრძნობდი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ამირან მიქაუტაძე

## აფხაზეთი

„აფხაზეთო, აფხაზეთო,
სულზე უფრო საყვარელო"...

გალაკტიონი.

აფხაზეთი... ირევა ცხადი და სიზმარეთი...
აქ მე რომ არ მიცნობდეს, ხეც არა დგას არც ერთი,
აფხაზეთი, აფხაზეთი...
ცხუმი და აფხაზეთი!
ტანზე მეცვა მზის ქსოვილი, ზღვის ტალღის ანასხლეტი,
ფეხთ — წითელი საცვეთები, სულ ლხინში გასაცვეთი;
თავს მეხურა მზის შუქური, ციაგებით სავსეთი...
აფხაზეთი, აფხაზეთი...
ცხუმი და აფხაზეთი!
მშობლიური სანახები როცა მომენატრება,
მკათათვეში ეშერისკენ წავალ შინდის საკრეფად,
სად გუმისთის ტალღებზე ლურჯი ცა ისარკება,
მზე ხელს დამრევს ღვთიური სილამაზის საქებად.
სულს სიმშვიდედ დაივანებს ზღვის სილურჯე, სავსე მზით
ალბათ, აქ თუ მოიგონეს ზღაპარი „ათას ერთის"...

ნაბიჯ-ნაბიჯ დამივლია ზღვიდან მთათა წვერომდე,
აქ სულ უნდა მღეროდე,
ანუ სულ მზეგრძელობდე.

შორს, მთებში თავს ამოყოფს ცისკარი (უჰ, როგორი!)
თითქოს მწვანე ბუჩქებში ღვივის ვარდის კოკორი.

გინდ მაწამონ, დამადონ საშინელი სასჯელი,
მაინც ვიტყვი: ჩემია ტამიში და ტყვარჩელი!
აჟარა და საკენი, თეთრ ღრუბლებში ნარწევი,
აზანთის ტბა, კამკამა — ლურჯი რიწის და მრწემი.
ამღვრეული მოღელავს, ბრაზობს, როგორც ავი ძმა,
რა ვქნა, მაინც ჩემია ღელის კიდე — ღალიძგა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსოუ, ბზიფი, კოდორი, ბესლეთი და მაჭარა,
მთებზე უნაგირივით ჩამოდგმული სანჭარო,
ჩემი არის, ჩემი მზის რწმენის ბაირაღები:
ათარა და ათონი,
ბაღმარანი, ბარღები,
გაგრა, ლიხნი, ლიძავა, განთიადი, კოლხიდა...
ანგელოზი აქ ტაძრად ზეციდან ჩამოფრინდა.
ჩემიც არის ნათესავი ენა მკვიდრთა აფსართა...
ამ მზემ დამავაჟკაცა,
ამ ბუნებამ გამზარდა.
ასე რატომ მიყვარხართ, ასე რად მენატრებით
დრანდის, მოქვის, ბიჭვინთის შუქმფინარი ტაძრები?!

...გამობრწყინდა აფხაზეთის მატიანე ძველ დროში —
ეს ჰიმნი მზემაღალი დიდი საქართველოსი;
აქ აღმოხდა ივერიის ოქროს ხანის აისი, —
ერთიანი დაეხურა მამულს ცა ქუთაისით.
აფხაზეთი — ასო ანი სამეუფო ანბანის,
მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი;
ქართული,
ძვალმაგარი, როგორიც კუს ბაკანი.

...მიწყივ გვდევდა იმპერიის ძალა დამანგრეველი:
ბერძნის დროშამ გაგვიბერძნა ხალიბ-ტიბარენები,
გაქრა მათი ქართველობა, კვალიც ტომთა ხსენების.
მზეს გვიქრობდა თურქის მთვარე:
მუდამ რისხვად მომდგარმა
დიდი ტაო-კლარჯეთი გადაყლაპა ხონთქარმა.

დღეს ჩრდილოით იმპერია გვეტანება, ხელსა გვყოფს,
როგორც ხარბი მდიდარი — ბრილიანტს ან ბაჯაღლოს
(და ეცემა შავი ჩრდილი აფხაზეთ-სამაჩაბლოს...)
ფარულ [illegible]ხვით თვალს ავად უბრიალებს ზღვისპირეთს,
გულში რა აქვს, ვინ იცის,
რა ულვთობას გვიპირებს!

თუნდ მაწამონ, დამსაჯონ საშინელი სასჯელით,
მაინც ვიტყვი: ჩემია ტამიში და ტყვარჩელი!..

აფხაზეთი... ირევა ცხადი და სიზმარეთი...
ჩემი კვნესა არ ესმენოდეს, აქ ხეც არ დგას არც ერთი,
გადვიარე მეც გოლგოთა, მწუხარებით სავსეთი...
აფხაზეთი...
უმწარესი ცრემლები...
აფხაზეთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ღმერთო, მალე მომასწარ!

ციდან ავად ჩამორეკეს ბინდისფერმა სულებმა...
ღმერთო, შენ მომასწარი ამ ომის დასრულებას!
მტერი გვერტყმის, მტერი გვიტევს მეტი გაბოროტებით, —
საქართველოს დაასხიპეს მარადმწვანე ტოტები.
აფხაზეთში აღარ დარჩა გოჯი მიწაც უზაფროდ,
აფხაზეთში დავრჩით ყველა უსახლკაროდ, უსაფროდ.
რა ვაჟკაცნი!... — მამულის მზეს შეეწირნენ ზვარაკად —
გმირებს ლოცავს განჯის კარი, ბასიანი, მარაბდა...
გვეყო, გვეყო მწარე ცრემლი, უძირო მწუხარება,
ჩამორეკონ, ჩამორეკონ სიხარულის ზარებმა.
ღმერთო, რუსი აგვარიდე, — ავაზაკი, მეკობრე,
ჭკვიანი და კეთილი რუსი დაგვიმეგობრე.

...თურმე ცხუმზე გადიარეს ნათლისფერმა სულებმა,
ღმერთო, იქნებ გველირსოს ხიზნებს შინ დაბრუნება?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მანანა კანდელაკი

## დღემდე

დედის საშოდან გაიხსნა კარი
და დაინახე მიწაც და ზეცაც...
გამოჩნდა სულ სხვა სიცოცხლის
ზღვარი
და საოცარი სურნელი გეცა....
შენ განიცდიდი სამყაროს ისე,
როგორც განიცდის სუყველა ბავშვი,
ათამაშებდი პაწია თითებს
უმანკოების უხილავ გარსში;
მერე დღეებმა გზარდეს და გზარდეს,
მერე ერთმანეთს წაეწყო წლები;
მერე ისურვე მიღწევა ცამდე,
მაგრამ მიხვდი, რომ მიწას ვერ
სძლევდი...

მერე შენს გზაზე სიკეთე შეგხვდა
და მოითხოვა არსება შენი,
მერე ბოროტიც მოვიდა შენთან
და შეგაჩვია სიავის სენი...
მერე ვიღაცამ გაგაწნა სილა,
მერე დაკარგვაც იგრძენი რწმენის
ვიღაცამ გარგო ტკივილი წილად,
რაღაცამ გული მოგიკლა წყენით,
როგორც ბევრს, ჩრდილად ცოდვები
გდევდნენ,
მერე ხსოვნაში სინდისიც დაწვი;
და ასე ჩქარა მოხვედი დღემდე —
არც ბოროტი და არც სათნო კაცი!

## ჩემო პოეტო...

ჩემო პოეტო, პოეზიის შეგვრჩა აღარა...
სადღაც დავტოვეთ უზღაპრესი საბრძანებელი...
ჩვენ გვირგვინები დაგვრჩა ალბათ მზიან მირაჟში
და აღარ გვახსოვს, ცის თავანზე რომ დავდიოდით...
აქ სულ სხვაგვარი, ნაცრისფერი რეალობაა...
ყოველ ნაბიჯზე გვისაფრდება ჯოჯო ნიღბები
და გულგრილობა ეჩადრება ყველას სახეზე...
ჩვენ თეთრი ფრთები დაგვაგლიჯა მიწიერებამ;
მაგრამ ვაი, რომ აღარც გვტკივა ნაიარევი,
რადგან ფეხებით მყარად ვდგავართ მშიერ მიწაზე...
და არ გვაფხიზლებს ტყვედქცეული სულის ძახილი...
აქ სულ სხვაგვარი, ნაცრისფერი რეალობაა
და შენც ხომ ხვდები, საკუთარ თავს როგორ დაშორდი?
და შენც ხომ ამჩნევ, როგორ გცივა ზამთრის საღამოს,
როცა მუზები შენს სულს აღარ ეფერებიან
და რა ძნელია ამოავსო სიცარიელე,
ჩართულ ეკრანთან როცა ზიხარ გაშტერებული..
აქ სულ სხვაგვარი, ნაცრისფერი რეალობაა...
გახსოვს, ოდესღაც ვიცინოდით, როგორც ბავშვები
და სიმწვანეში სათნოების სხივებს ვბოჭავდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრება ნისლებში ოცნებათა ჰორიზონტები...
სიყვარულისთვის დრო არ გრჩება — უნდა მოასწრო
და მგლადქცეულმა მოუგრიხო სხვა მგლებს კისრები
და გამოღადრო ყელი იმას, ვისაც დაასწრებ,
რადგან ჩვენ ყველა გადავსახლდით უკვე სამგლეთში...
აქ სულ სხვაგვარი, ნაცრისფერი რეალობაა...
არვინ ეხება ღამღამობით სიზმრის როიალს,
ჯადო-ბგერებსაც გარიჟრაჟზე არვინ აჟღერებს...
გიჭირს, გამოტყდე — შენში კაცი გარდაიცვალა
და შენც ერგები შენი ნიღბით ამ ჭრელ სამხეცეს...
და შენც დასცინი შთაგონების ჯიუტ მოხარკეს,
შენც უნებურად იდღვიბები მღვრიე მორევში
და არც კი გესმის, საცოდავო, როგორ ტირიან
და გეძახიან შენი ხელით ქმნილი ლექსები,
დღეს რომ კუთხეში აბუზულან მათხოვრებივით
და თრთიან, როგორც გაგდებული სუსხში ბავშვები...
ჩემო პოეტო, მათი კვნესაც კი აღარ გესმის,
რადგან ყველანი გადავსახლდით უკვე სამგლეთში...
აქ სულ სხვაგვარი, ულმობელი რეალობაა,
სადღაც დავტოვეთ უზღაპრესი საბრძანებელი...
აქ კი სულ მალე ძლიერები გადარჩებიან
და მწარე მოთქმით სულს დალევენ, ვაგლახ, სუსტები...
შენ კი მოცლილი, დაგლეჯილი ფრთების ადგილას
პირწამახული კაუჭები ამოგეზრდება,
რათა შენს ირგვლივ უფრო კარგად დაებღაუჭო
საგნებს, რომლებიც ცისკენ აღარ გაგახედებენ...

## ასეთი...

ასეთი მაინც უნდა გიყვარდე,
რადგან შენით ვარ მხოლოდ ასეთი...
სულის საგანძურს სხვას ვერ მივართმევ,
ვერ შევიყვარებ სხვას მე ამ სევდით...

ასეთი მაინც უნდა დამინდო,
თორემ ჩემს ტანჯვას დავემსგავსები...
ეს ცეცხლი ვისმა მზერამ ამინთო?!
ვინ დამეუფლა შენი არსებით?!

ასეთი მაინც უნდა მიმიღო,
არ ჩამიკეტო დაღლილს კარები...
ვიდრე სიკვდილი მასთან მიმიხმობს,
სხვის სუნთქვას მე არ გავეკარები...

სევდის ფიფქებმა სული მიბარდნეს,
სადა ხარ, როცა რწმენა ასე თრთის?!
ასეთი მაინც უნდა გიყვარდე,
მარტო შენთან ვარ რადგან ასეთი!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ბეზარაშვილი

# ვაზის ღიმილი

მოთხრობა

დაღამდა.

სიბნელემ მოიცვა თელავ-ქალაქის ზასახლეები. აღარ ჩანდა თვალუწვდენელი ვერხვები გალავნის გასწვრივ. ბნელმა ჩაყლაპა გოდოლები და ვიწრო ქუჩები, ერთმანეთზე მიბმული სახლები. სიბნელეში გაეხვია ქონგურები, ზარზმის ზურგს რომ ამსგავსებდნენ ქალაქს დღისით; მეფის სრა-სასახლე და მშვენიერი ბაღები. მიწყდა ხმაური და სიჩუმემ დაისადგურა.

ქალაქის განაპირას, ვახვახიაანთ ციხეში, მცველებს შორიდანვე ჩაესმათ ცხენის ფლოქვების მჭახე თქარათქური. ვერაფერს ხედავდნენ, მაგრამ მიხვდნენ, მათი ბატონი იქნებოდა და ბოლომდე გახსნეს ალაყაფის კარი.

ქალაქის სიჩუმეში ორ მცველთან ერთად მოაჭენებდა ცხენს დიდი ბატონი ზაალი. ნასიამოვნები ბრუნდებოდა მეფის სასახლიდან, რადგან ერეკლემ ბრძოლაში თანადგომისათვის თელავის დასავლეთით, ალაზნის პირას, ციხე-გალავანი და მისი მიდამოები უბოძა რამდენიმე სოფლითურთ. თუმცა არაფერი ეტყობოდა ფართო, მოუხეშავ სახეზე, რომელზედაც მუდამ დაღლილობა და უგუნებობა ეხატებოდა. სასახლეს რომ მიუახლოვდა, პირდაპირ შეაგდო ცხენი გალავანში, ჩამოქვეითდა, სადავეები მოახლოებულ მსახურს მიუგდო, პირდაპირ კიბისაკენ წავიდა და, როცა საფეხურზე შედგა ფეხი, დათვივით ტორი აუქნია უკან მოჰყოლებს, რათა ჩამოსცლოდნენ. ძირს სთრევდა გრძელი ნაბადი და წელზე შემორტყმული ხმალი. მძიმედ აათავა კიბე და თაღიან კარში შეიტანა მხრები.

სანთლები აენთოთ ბნელ ტალანში და კირით შედუღაბებულ ქვებზე მკრთალი შუქი ეფინა. გვერდი აუარა მეუღლის საძინებელს, ტალანის ბოლოს, დარბაზისაკენ წავიდა. — ბექავ! — დაიბუხუნა, როცა ჩაათავა ხუთიოდე საფეხური და ბუხრის წინ მძიმედ ჩაესვენა მამაპაპურ უშველებელ საკარცხულში.

დარბაზის საფეხურებზე მაშინვე გამოჩნდა ჩოხისკალთებაკარწახებული ბერიკაცი და უსიტყვოდ მიაშტერდა ბატონს.

— ცეცხლი დამინთე!...

მსახურმა გასაოცარი სისწრაფით შეყარა შეშა ბუხარში, ცეცხლი შეუნთო და გვერდით მიდგა.

თავადი საკარცხულიდან არც ამდგარა, ხვნეშით შემოიხსნა იარაღი და იქვე, ფერხთით, ქვის იატაკზე დაყარა.

— ვამეყი სად არის? —ცეცხლს ჩააშტერდა და ბანჯგვლიანი თათები ალს მიუფიცხა.

—საჯინიბოშია, ეხლახანს მობრუნდა ნადირობიდან.

— უთხარი, ამოვიდეს!

— ეხლავე. ფეხისთვის წყალი ხომ არ გაგიცხელოთ?

— არა, — ხმადაბლა მიუგო ზაალმა.

სვიმონ მაყაშვილის ნაჩუქარ თეთრ იაბოს ეფერებოდა ვამეყი. ხელს უთათუნებდა გრძელ კანჭებსა და ჩაზნექილ წელზე. როცა მამის დანაბარები უთხრეს, ფაფარზე გადაუსვა ხელი და მოსცილდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამეყი ზაალის უმცროსი ძე გახლდათ. მაღალი და მხხვილკისერა იყო· ჭროლა თვალები და შუბლიჯვარი ლამაზი მოუჩანდა. ტუჩის კიდეები ჩამოსწეოდა და ნიკაპი ოდნავ უფრო მეტად გამოსვლოდა წინ. ამბობდნენ, პაპაილააო, მაგრამ, ალბათ, აღნაგობას გულისხმობდნენ, რადგან ზნე არ უგავდა ვახვახიაანთ შთამომავალს. ბავშვობიდანვე მამლაყინწობა სჩვეოდა და ახლა, უკვე ოცდაექვსი წლის ჭაბუკი, მსახურებს თვალის დასანახად ეჯავრებოდათ. თავისი ქედმაღლობითა და ეჭვიანობით ყველას აბეზრებდა თავს·

სულ სხვა იყო გიგო, ზაალის უფროსი ვაჟი. მსახურები მის მიმართ ყოველთვის მეტ სიყვარულსა და მორჩილებას იჩენდნენ და ვამეყს ამით უფრო ევსებოდა გული შურით·

ახლაც ჩვეული არხეინობით შევიდა დარბაზში და მხიარულად იკითხა:

— რა გნებავს, მამი?

— ახლოს მოდი! — მძიმედ შემოაბრუნა ვეებერთელა ტანი ზაალმა. ვამეყი მამისგან ხუთიოდე ნაბიჯზე მდგარ დაბალ სკამზე ჩამოჯდა და სახეში შეაშტერდა·

— გიგო ჭავჭავაანთაა ისევ? — დაიბუხუნა ზაალმა·

— ჰო, იქ არის. ამ დილით კაცი გამოეგზავნა წინანდლიდან, ხვალ ჩამოვა.

— მეფემ ყარალაანთ გვერდითა მიწები გვიბოძა, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაიწყო ზაალმა და საკარცხულის საზურგეს მიეყრდნო. — შენ უმცროსი ძმა ხარ, იმ ადგილებს შენ გაძლევ· გიგო აქ დარჩება. ზეგ მეფე საალლუმოდ თბილისში მიდის და უნდა გავყვე: თათარი წამოსულა, ომის სამზადისში შევეშველები, გიგოსაც თან წავიყვან. შენ მიხედე ყველაფერს, განაღა ბავშვი ხარ. ხვალვე ათიოდე ურემი გაამართვინე. დარბაზების გასაწყობ ავეჯს დედაშენი მოგცემს. მოურავს უთხარი, ღვინო და ხორბალი ბლომად გაგატანოს, ოცი მეცხოვნე წაიყვა, ხუროთმოძღვარიც გაიყოლე, დროით გაარიგე იქაური საქმეები, მცველები ჩააყენე და გამობრუნდი. დედაშენი ცოდოა მარტო. მოურავად ვინ გინდა?

ვამეყს ლამის ელრიალა სიხარულისაგან, როცა ამ სიტყვებს ისმენდა, მაგრამ იცოდა მამის ხასიათი, არ უნდა შეტყობოდა სიხარული.

— თაყა! — იცოდა, ზაალს გულის სიღრმეში გაუხარდებოდა მისი მოურავად არჩევა.

— ეგრე იყოს, — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა ზაალმა. — აჰა, გამომართვი და დაისვენე, ხვალ ადრიანად ხარ ასადგომი.

ვამეყმა გულის ფანცქალით წაავლო ხელი გრაგნილს და დაემშვიდობა· საძინებელი ოთახისკენ მიმავალმა ერთი წუთით ტალანიდან აივანზე გაყო თავი და ეზოს გადაღმა მეჯინიბე ღვთისოს გასძახა, ქიტა მომიხმეო.

ქოშინით გადაჭრა ციხის ეზო ქიტამ, რადგან ცხენი ალაყაფთან დაატოვებინეს, ფლოქვებით ღამის მყუდროება რომ არ დაერღვია თავადის ოჯახისათვის. აზნაურიშვილი იყო და ერთგული მეგობარი გახლდათ ვამეყ ვახვახიშვილისა. ვამეყს ყველგან დაჰყავდა და სულაც არ თაკილობდა მასთან ერთად გამოჩენას· ქიტა მისთვის მსახურიც იყო და მეგობარიც, ვისთანაც დაფარული არაფერი ჰქონდა· ახლაც თამამად აირბინა კიბე, ფართო ტალანიდან ვიწრო გასასვლელში გაუხვია და ვამეყს საძინებელი ოთახის კარზე მიუკაკუნა.

ტახტზე ტანსაცმლით წამოგორებულმა ვამეყმა ოდნავ წამოსწია თავი და ქიტა რომ დაინახა, ისევ მუთაქაზე მიესვენა.

— სადა ხარ ამდენ ხანს?

ქიტამ შეატყო, გახარებული რომ იყო ვამეყი.

— მამაჩემმა ერეკლეს ნაბოძები მიწები მე მაჩუქა, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაიწყო ვამეყმა. — ხვალ წასასვლელად უნდა გავემზადო, არ მეცლება. ჩემი ცხენი წაიყვა და ყველა გააფრთხილე, ზეგ ციხესთან დაგველოდონ. სადმე ადგილი დაუთქვი. ფრთხილად, ქვეყანას ნუ მოსდებ.

ქიტა თავის ქნევით წამოდგა და სასწრაფოდ გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეზოში რომ ჩახვალ, თაყას დაუძახე, ამოვიდეს! — მიაძახა ვამეყმა.

— მეძახდი, ვამეყ? — კარის გახსნასთან ერთად დაირხა თაყას ხმა.

თაყა ვამეყზე მხოლოდ ხუთიოდე წლით თუ იქნებოდა უფროსი, ვახვახიშვილებთან ამ ორიოდე წლის წინათ მოსულიყო მსახურად.

— გითხრეს, რომ ჩემი მოურავი იქნები?

— კი! — წყნარად მიუგო თაყამ.

— დილით ყველანი გაამზადე და სალამოთი გაემგზავრე, მე ზეგ ჩამოვალ.

— კარგი, — მიუგო თაყამ და მერე ერთ წუთს კიდევ იდგა გარინდული, თითქოს უსიტყვოდ ეკითხებოდა, კიდევ გაქვს რაიმე სათქმელი თუ სულ ეს იყოო. ბოლოს მიხვდა, რომ სულ ეს იყო და გამოემშვიდობა. თაყას ფეხის ხმაც მიწყდა. მიჩუმდა ვახვახიაანთ სახლის ტალანები. ეზოშიც სიჩუმე ჩამოწვა. აღარ ისმოდა უბელო ცხენის ფლოქვების ხმა ან მსახურთა გადაძახილი.

მზე ჯერ არ ამოწვერილიყო, როცა ვამეყმა, ქიტასთან და ორ მცველთან ერთად, თელავ-ქალაქის დასავლეთის კარიბჭე გაიარა და ლაფშურით გაჰყვა გზაშარას, მინდვრებსა და ნაყანებში რომ მიიკლაკნებოდა. შორს, ქვევით, ალაზნის ველი გაშლილიყო თავისი უსიერი ტყეებით, რომელთა შუაგულშიც ალავერდი სარკესავით კაშკაშებდა. გადაღმა კი კავკასიონის ხეობების ჭრილები ტეხილი ხაზებივით მიიწევდნენ ზემოთ, დათოვლილი მწვერვალებისაკენ, ხოლო მარცხნივ, გომბორის ფერდობზე, ვენახებში ოქროსფრად ელავდა ყურძნის მტევნები და დაშაქრული ატმები.

თავადიშვილის დანახვაზე გლეხები ურმებს აჩერებდნენ, ქედითდებოდნენ და მოკრძალებით ესალმებოდნენ. ზვრებსა და ბაღებში გაშლილი ხალხიც მოისწრაფოდა გზისაკენ. თუმცა აქაური სოფლები ზაალს არ ეკუთვნოდა, თელავთან სიახლოვის გამო ყველა სცნობდა მას, როგორც მეფესთან დაახლოებული დიდი თავადის ოჯახის წევრს.

ვამეყი ცდილობდა, რაც შეიძლებოდა მალე გასცლოდა იქაურობას. დეზი ჰკრა ქათქათა იაბოს და ციხე-გალავნისაკენ გააჭენა.

ალაყაფთან და გოდოლზე თაყას უკვე ჩაეყენებინა მცველები. დარბაზები ლამაზად გაეწყოთ ავეჯით, ნოხები დაეფინათ, ხოლო ტალანებში შანდლები ჩაემწკრივებინათ.

ვამეყმა დაათვალიერა ციხე-ქალაქი, და, მისი სილამაზით მოხიბლულმა, თაყას უთხრა, დაეტოვებინა რამდენიმე მსახური, თვითონ კი უკან გაბრუნებულიყო.

თაყას წასვლას გამაყრუებელი ღრიანცელი მოჰყვა. იმ წუთიდან მოყოლებული ღრეობისა და დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდნენ ციხეში გამოკეტილნი. ვინ ღვინოს სვამდა გონდაკარგვამდე, ვინ ლამაზ დარბაზებში ქალებთან ალერსით ერთობოდა. ორ-სამ დღეში ყველაფერი თავდაყირა დადგა, გაწკრიალებული და სათუთად დალაგებული დარბაზები აირია. ყველაფერი იატაკზე ეყარა.

მიდიოდა დღეები და ღრეობა ერთი წუთით არ ცხრებოდა. ბოლო ხანს სანადიროდ დაიწყეს სიარული და ციხეში მათი ნანადირევით დაბრუნება ახალ ძალასა და ელფერს მატებდა დარბაზობებს.

მხოლოდ ვამეყს მობეზრდა ყველაფერი თანდათან. ერთხანს თავსაც არ უტყდებოდა, რადგან ეგონა, ვტყუვდებიო, მაგრამ როცა დარწმუნდა, მსახიობობა დაიწყო, არ უნდოდა სტუმრებისათვის ეგრძნობინებინა რაიმე. და ერთხელ, როცა ყველაფერი მართლა ყელში ამოუვიდა, თავის დარბაზში განმარტოვდა. მსახურს დაავალა, წასულიყო, თეთრი იაბო შეეკაზმა და ქიტასთვისაც ეხმო.

— ცოტაოდენი თრიაქი წამოიღე და გამომყევი, — უთხრა დარბაზში შემოსულ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულ მეგობარს. ქიტას, რა თქმა უნდა, გაუკვირდა ვამეყის გაუცინარი თვალების დანახვა, ნამდვილ მიზეზს ვერ მიხვდა, მაგრამ ვერც შებედა რაიმე ეკითხა.

ციხიდან სოფლის მხარეს, მუხრანისკენ გაემართნენ. მის გასწვრივ დაცემულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრებს ალაზნის კლდოვანი ნაპირები ემიჯნებოდა. ერთ ადგილას ცხენები შეაყენეს. წყაროსთან, მყუდრო ადგილას დაქვეითდნენ, ხის ძირში მისხდნენ და ვამეყმა შვებით ამოისუნთქა. ქიტამ ანთებული ყალიონი მიაწოდა და ცოტა მოშორებით, ბალახზე წამოგორდა. კარგა ხანს ისხდნენ უჩუმრად. ირგვლივ საამური სიწყნარე გამეფებულიყო.

— მელანდება თუ ნამდვილია?! — უცებ განცვიფრებით წამოიძახა ქიტამ და წამოხტა.

— რა იყო? — ვამეყის თვალებში უმალ გაიფანტა თრიაქის ბურუსი.

— იქით გაიხედე!

ვამეყმა თვალი ტყის იმ მხარეს გაადევნა, საითაც ქიტამ მიანიშნა და საოცარი რამ დაინახა: ვიღაც ქალწული უშველებელ რუხ მგელს ეთამაშებოდა, თან ნელ-ნელა მათკენ მოიწევდა. თითქოს ცხელი ქვა სდებოდეს პირში, ისე მოისროლა ვამეყმა ყალიონი, ხეს ამოეფარა და ჩუმად თქვა:

— ცხენები გაყარე, არ აჭიხვინდნენ.

ქიტა მალულად მივიდა ცხენებთან, ხელი აუქნია და კარგა შორს გარეკა.

ხეს ამოფარებულმა ვამეყმა კარგად დაინახა, მგელმა როგორ ცქვიტა ყურები, ალბათ, სუნი იკრა და ყრუდაც წაიყმუვლა. ქალწულიც მიხვდა, ახლოს ვიღაც ტრიალებდა და ტყე მოათვალიერა. უეცრად მისი თვალი მშვილდ-ისარს წააწყდა, შეკრთა და უნებურად მგელს გადაუდგა წინ. შემდეგ, ეტყობა, რაღაც უთხრა და მგელი რამდენიმე ნახტომით გაუჩინარდა ტყის სიღრმეში.

ვამეყს აღარაფერი ჰქონდა დასამალი და ხეს მოშორდა. ქალწულმა, რა თქმა უნდა, დაინახა, მაგრამ გაკვირვება არ შეიმჩნია და, ვითომც აქ არაფერიო, გამოუყვა ერთადერთ ბილიკს, ვამეყის ახლოს რომ გადიოდა. სახეზე სიმტკიცე ემჩნია. გაკვრით შეავლო თვალი და გული დაუწყნარდა, რადგან დაინახა, ქართველი იდგა მის წინ, თანაც, ჩაცმულობით, დიდებული უნდა ყოფილიყო.

ვამეყი ჯიქურ უყურებდა მშვენიერ ასულს. მოახლოებისას უფრო კარგად გაარჩია მისი ლამაზი სახე. გრძელი, თეთრი ყელი ამაყად მოეღერებინა და წარბებიც ყინჩად აეზიდა.

ვამეყმა შეატყო, ქალწული მათკენ გამოხედვას არ აპირებდა და ზედ ბილიკზე გადაუდგა. ქალიშვილი შედგა და მედიდურად გაუყარა თვალი თვალში ვამეყს. ქიტაც გამოვიდა სამალავიდან და მშვილდ-ისარი დაბლა დაუშვა.

ვამეყმა თვალით ანიშნა და იმანაც წამში იშიშვლა ხანჯალი.

— თუ სატანა ხარ, ეხლავე გაქრი, თორემ ასო-ასო ავაკუწინებ შენს თავს!

ქალწულს შიშისაგან თვალები გაუფართოვდა. ტყისკენ გაიხედა და კანკალით პირჯვარი გადაისახა.

ამის დანახვამ დააწყნარა ვამეყი, ქიტამაც ხანჯალი ქარქაშში ჩააგო და გაიღიმა.

— მგელს რანაირად ეთამაშებოდი? — ერთობ დაიდაბლა ხმა ვამეყმა.

ქალწულმა კი პირიქით, ხმას აუწია:

— გამატარებ თუ არა!

— ვინა ხარ, საით მიდიხარ?

— შინ.

— ამ სოფელში ცხოვრობ?

— რა თქვენი საქმეა?

ვამეყმა წყენის ნიშნად წარბები შეიკრა.

— ეს ადგილები ჩემია, მე თქვენი ბატონი ვარ! — მუქარის ნიშნად მათრახის ტარს ხელი ჩასჭიდა.

— ჩემი ბატონი ღმერთი და ერეკლეა.

— გეტყობა, გლეხის გოგო არ უნდა იყო! — ტანსაცმელზე თვალი შეავლო ვამეყმა.— აზნაურის ქალი ხარ?

ქალმა ამჯერად თავი დაუქნია. იცოდა, რომ მის წინ ვამეყ ვახვახიშვილი იდგა.

ვამეყს ჩაეცინა და სახელი ჰკითხა:

— თვალთა.

— ლამაზი სახელია! — უთხრა და ქიტას ანიშნა, ცხენი მომგვარეო.

სანამ ქიტა მივიდოდა და იაბოს მიუყვანდა, ისინი ისევ პირისპირ იდგნენ.

ვამეყი ქიტას მიუბრუნდა და უთხრა:

— შენიც დამიტოვე, ფეხით ჩადი ციხეში.

ქიტამ თავი დაუქნია, სადავეს ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუშვა, მშვილდი მხარზე გაიდო და ბილიკს გაუყვა.

ვამეყმა იაზო ახლოს მიუყვანა ქალწულს.

— მე თავად ჩაგიყვან სოფელში.

თვალთას არაფერი უთქვამს, მაგრამ სახეზე ყოყმანი დაეტყო.

— შეჯექი, არც ისე ახლოა.

— მე თვითონ...

მაგრამ ვამეყმა ყურადღება არ მიაქცია, რაც შეეძლო ნაზად შეავლო ხელი ვიწრო წელზე და უნაგირზე ასვლა უშველა.

სახე აუკიაფდა თვალთას, კრთომით შეიშმუშნა, ჯავრით მოავლო თვალი მოღიმარ ჭაბუკს და ნაწყენმა გამოართვა მათრახი.

— შენსავით ვარსკვლავებს ეთამაშება, — ყელზე ჩამოუსვა ხელი იაზოს ვამეყმა, — ქარს მისდევს, ადიდებულ ალაზანში რომ შეაგდო, კისერსაც არ მოხრის.

თვალთას აღარაფერი უთქვამს, ისე დაიძრა და ვამეყიც ქიტას ულაყით მიჰყვა.

ვამეყი გაახარა ამ უცნაურმა შეხვედრამ.

— თვალთა, რა ჰქვია იმ მგელს? — ჰკითხა.

— ღურჯო.

— ყოველდღე ნახულობ? ალბათ, საჭმელიც ამოგაქვს, არა?

— დიახ.

— რამ დაგამეგობრათ ეგრე?

— პატარაობისას სიკვდილს გადამარჩინა.

— ჰყვარებიხარ, მაგრამ მგელთან მეგობრობას ჩემთან მეგობრობა გერჩიოს.

თვალთას არაფერი უთქვამს, მხოლოდ წამით მოავლო მზერა ბატონის ეშმაკურად მოციმციმე თვალებს.

ტყიდან გავიდნენ. მარცხნივ, ფერდობზე, სოფელი გამოჩნდა, მარჯვნივ, ბორცვზე კი ციხე-გალავანი.

—სად ცხოვრობ, თვალთა?

— სოფლის თავში, —თვალით მიანიშნა თვალთამ.

— საღამოს ნანადირევზე გეპატიჟები.

— არა, ვერ წამოვალ, — გაეღიმა თვალთას.

— რათა, რაო?

შეაყენეს ცხენები. თვალთამ კვლავ დუმილი არჩია. ისევ ვამეყმა დაარღვია სიჩუმე.

— კარგი, მაშინ ხვალ ამ დროს აქ ამოდი და ცხენი ამოიყვა, მგელთანაც ხომ უნდა წახვიდე.

— არ მინდა, ეხლავე წაიყვანეთ.

ვამეყს ყურადღება არ მიუქცევია ნათქვამისთვის, დეზი ჰკრა ცხენს და ციხისაკენ გააჭენა.

თავის თავზე ბრაზობდა, ამაყად რომ ვერ მოექცა და ასე, უბრალოდ დაშორდა, მაგრამ შეეძლო კი? ქალის მშვენიერებამ შებოჭა და ახლაღა მოდიოდა გონს. ერთხანს იფიქრა კიდეც, მოდი, მივბრუნდები და, თუ ნებით არა, ძალით წამოვიყვანო, მაგრამ, რატომღაც, თავი შეიკავა.

მცველებმა დროზე გააღეს ალაყაფის კარი. სასახლის შესასვლელთან მემაზხლე ეახლა და უკან გაჰყვა ჩაბნელებულ გასასვლელში.

ვამეყმა გვერდი აუქცია იმ დარბაზს, სადაც მთელი ორი კვირის განმავლობაში ქეიფი გრძელდებოდა და თავის სამყოფელოსკენ გაემართა.

— ქიტა მობრუნდა? — დარბაზის კართან სიტყვა გადაუგდო უკან მომყოლ მსახურს.

— დიახ, ბატონო!

— დაუძახე! — კარი შეხსნა, მოსასხამი იქვე მიაგდო და ტახტზე გაგორდა.

ცოტა ხნის შემდეგ მოურიდებლად შემოვიდა ქიტა და იქვე დადგა.

— ვინ გაჩუქა? — გადაიხარხარა ვამეყმა ქიტას დანახვაზე, რომელიც თეთრ ჩოხაში გამოწყობილიყო.

— ჯანდიერმა. ყანწი ვერ დაცალა, ნაძლევიც წააგო და ჩოხაც დამითმო, — გაიღიმა ქიტამაც, რადგან პირმცინარი დაინახა ბატონი.

ვამეყი მძიმედ წამოდგა, სამზერთან მივიდა, სოფელს გადახედა და მხიარული ხმით განაგრძო:

— ცოტა ხნით ეგ ჩოხა გაიხადე, გლეხურად ჩაიცვი, სოფელში ჩადი და იმ გოგოს ავანჩავანი გაიგე!

— ეხლავე წავიდე?

— არა, კარგად რომ შეღამდება.

— კარგი.

— კიდევ ღრეობენ თუ დასწყდათ კისრები? — მცირე ხნის დუმილის შემდეგ იკითხა ვამეყმა.

— კიდე, მაშა!...

— წადი, უთხარი, თავადი მოდის-თქო.

— ეხლავე.

ცოტა ხნის შემდეგ ვამეყიც შევიდა სანადიმო დარბაზში, სუფრის თავში დაჯდა და პირთამდე სავსე თასი ერთბაშად მოიყუდა.

გვიანი ღამე იყო, როცა კარგა მთვრალი დაბრუნდა თავის საძინებელ ოთახში. ის იყო საწოლზე წამოწვა, რომ კარზე მოუკაკუნეს.

— ქიტა ხარ?

— მე ვარ, ვამეყ! — თქვა და კარი შემოაღო ქიტამ.

— იყავი?

— ჰო.

— მოდი, დაჯე და მომიყე, რა გაიგე.

ქიტა ახლოს მიუჯდა.

— აზნაურის ქალია. მამამისი ერეკლეს გაუწვევია ომში და იქ დაღუპულა. დედაც იმაზე დარდს გადაჰყოლია, ოღონდ ეს ძალიან ადრე მომხდარა. მარტო ცხოვრობს, ერთი მსახური ქალი ჰყავს. მეფეს ხელშეუხებლობის წიგნი მიუცია, იმიტომაც იყო ეგრე დიდ გულზე.

— კარგი კია, ხო იცი, — ხვნეშით გაიზმორა ბატონი.

— მოგიყვანო?

— როგორ მომიყვან?

— ერთი-ორი მსახური გამაყოლე, იგრე მოვიტაცებ, ეშმაკიც ვერ გაიგებს კვალსა!

— ეგრე არ მინდა. ერეკლეს ყურამდე რომ მივიდეს, მიწების ჩამორთმევა და დილეგი არ ამცდება.

— ფულით ყიდვა კიდევ, ტყუილია.

— კარგი, წადი, მეძინება.

ქიტა გავიდა, ვამეყსაც უმალ ჩაეძინა.

მეორე დღეს დილიდან შუადღემდე ინადირეს და ბლომად ნანადირევით დაბრუნდნენ ციხეში, ქეიფის გუნებაზე მოვიდნენ და დიდ დარბაზში შეიკრიბნენ.

კარგად რომ შეზარხოშდა ვამეყი, მაშინღა გაახსენდა, მზის ჩასვლისას თვალთას რომ უნდა შეხვედროდა. წამსვე გასცილდა მოინახეებს, ეზოში ჩავიდა, ცხენი შეაკაზმინა და დათქმული ადგილისკენ გაუჩინარდა.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, მალე გამოჩნდა თვალთა და მოსვლისთანავე დაქვეითდა.

— გმადლობთ. მართლაც კარგი ცხენი გყოლიათ, — წამით გაჩერდა, მერე კი დაემშვიდობა და ტყისკენ იბრუნა პირი.

— გამაცანი შენი მგელი, თვალთა, — მისკენ გადადგა ნაბიჯი ვამეყმა.

— თქვენ რომ დაგინახავთ, მეც აღარ მომეკარება, — თავი ოდნავ მოაბრუნა თვალთამ.

—ესეთი რა ვარ, მგელს რო ვაშინებ?!

— ადამიანი! — ჩუმი ხმით უთხრა თვალთამ და ტყისკენ წავიდა.

ვამეყიც უკან მიჰყვა, დაეწია და მხრებზე გადახვია ხელი.

თვალთა შედგა, ცივად მიხედა და მკაცრად უთხრა:

— თავს ნუ იგდებთ, თავადო!..

ვამეყი არ მოელოდა ასეთ დამცირებას ვიღაც აზნაურის ქალისაგან. ამიტომაც, გამშრალმა, ხელი გაუშვა, სახე გაუმეხდა, კარგა ხანს უყურა წარბშეკრულმა, მერე კი სწრაფად გაბრუნდა, ცხენს შემოახტა, მწარედ უსუსხა მათრახი და ციხისკენ გააგელვა. გულში უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა და იმუქრებოდა.

მცველებმა ალაყაფის გაღება ცოტა დააგვიანეს. გაცოფებულმა, შესვლისთანავე თითო მათრახი მათაც გადააწნა.

— გამომყე!— მიუგდო მერე ქიტას.

ქიტა უხმოდ გაჰყვა დარბაზისკენ მიმავალს. ხვდებოდა, რაღაც რომ მოხდა,

— კარი ჩარაზე! — დარბაზში შესვლისას უთხრა ვამეყმა და ლანძღვა-გინებით მივიდა სამზერთან.

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— ხმა გაკმინდე და დაეგდე!

ქიტას შეაკანკალა.

— იმ გოგოს სახლი ხომ იცი?

— ჰო.

— ჰოდა, ხვალ, ღამით უნდა გადაუწვა.

— რათა, კაცო?

— მარტო შენ, სხვამ არავინ გაიგოს!— დაიღრიალა გაცოფებულმა. — სახლი რომ არ ექნება, სად წავა?! სათხოვრად მოსული, მუხლის ჩოქებზე უნდა დავაყენო,—დამუშტული ხელი დაიქნია. მერე სარეცელზე ჩამოჯდა, თითქოს დაწყნარდაო, ხმადაბლა განაგრძო: — ხვალ, საღამოსკენ, მგლის სანახავად წავა ტყეში, იმ დროს უნდა მიხვიდე, გაიგე?

—გავიგე, მაგრამ მსახური ქალი?..

— თავს უშველის.

— რო ვერ უშველოს?

— დედა უტირე, თუ ვერ უშველის; გააკეთე, რასაც გავალებ!

— გასაგებია. ყველაფერს ისე გავაკეთებ, კაციშვილი ვერ მიაგნებს კვალს. როდის მიდის ხოლმე მგელთან?

— ამ დროს იქ იქნება.

— ესე იგი, ხვალ ამ დროს...

ვამეყმა თავი დაუქნია და მოსასხამი მოიხსნა.

დროსტარებაში გათენდა შემდგომი დღეც და დროსტარებაშივე შესაღამოვდა. მზის ჩასვლისას თავის დარბაზში შევიდა ვამეყი, რათა სამზერიდან ეცქირა ხანძრისთვის.

დიდხანს არ დასჭირვებია ლოდინი. სახეზე ღიმილმა გადაურბინა, როდესაც შორს, სოფლის განაპირას, ცაში ავარდნილი ალი დაინახა. ყრუდ მოესმა კივილის ხმაც, მაგრამ ამ ხმამ გულში მაინც ვერ ჩაუკლა სიამოვნების გრძნობა.

კარზე დააკაკუნეს. ვამეყი სწრაფად მოსცილდა სამზერს. ქიტა არ იქნებოდა: ის, კვალის დასაფარავად, სხვა მხარეს უნდა გაქცეულიყო. ტახტზე წამოგორდა და დინჯად გასძახა:

— მოდი!

კარი თედომ შემოაღო.

— სოფელში ხანძარია, ბატონო, აზნაურის სახლი იწვის! — სწრაფად წარმოთქვა აქოშინებულმა მსახურმა.

ვითომ ძალიან მოხვდა გულზე, ისე წამოიმართა „აღელვებული“ ვამეყი.

—სწრაფად გაგზავნე მცველები, მსახურებიც თან გააყოლე!

თედომ მისი სიტყვების დამთავრებას აღარ დაუცადა, ისე გაიქცა.

ვამეყმა კარი დახურა და ისევ ტახტზე წამოწვა.

არ გასულა ცოტა ხანი და თედომ ისევ შემოაღო კარი:

— სოფლიდან კაცი მოვიდა.

— შემოიყვა.

ოთახში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ვიღაც ბიჭი. მიუახლოვდა თავადს, დაჩოქება დააპირა, მაგრამ ვამეყმა არ დაანება, თითქოს გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხების დიდი პატივისმცემელი ყოფილიყო.

— ნამდვილად ლეკები არიან, ბატონო! გუშინაც შეშინებული მოვიდა შინ. ეტყობა, მოტაცებას უპირებდნენ, მაგრამ თავი დააღწია. წუხელ სახლთან ვდარაჯობდით. ამ დილით გვითხრა, წადითო და ჩვენც წამოვედით. ალბათ, ჩაეძინა ღამენათევს. დღეს ტყეში წასული არავის უნახავს. ანდა, ლეკებისაგან შეშინებული, იქით ფეხს როგორ გადადგამდა?!

— რა სთქვი? — ალმური წაეკიდა ვამეყს.—ჩქარა უშველეთ, ჩქარა გამოიყვანეთ!— შეამცივნა შეშინებულს და უაზროდ გაიქც-გამოიქცა დარბაზში.—აქ რაღას უდგახართ?! — დაიღრიალა გამწარებულმა.

—ახლა ეშმაკიც ვეღარ უშველის. ი მსახური დედაკაცი ხო შიგ დაიწვა და თუ აზნაურის ქალის გატაცება ვერ მოახერხეს, ცხადია, იმასაც ის ბედი ეწვია.—

კუთხეში მდგარ ვამეყს თავი ჩაექინდრა და დამუშტული ხელი მყარად მიედო შუბლზე, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

—მდევრები, — უცბად ასწია თავი. — ჩქარა, ყოველ მხარეს! ცოცხლები არ მობრუნდნენ, თუ ვერ იპოვნიან! — ქიტაზე გაბრაზებულს ლამის დორბლი გადმოუვიდა პირიდან.

მდევრებმა სწრაფად შეკაზმეს ცხენები და გაუჩინარდნენ.

კარგა ხანს იარა დარბაზში რეტდასხმულმა ვამეყმა, მერე, თითქოს რაღაც მოიფიქრაო, კართან შედგა და გასძახა:

— თედო!

ბიბლიოთეკა

— აქა ვარ, ბატონო.

— სოფელში მივდივართ!

შეღამებული იყო, როცა თავადი ექვსიოდე მხლებლითურთ უკვე დამწვარ-დაბუგულ სახლს მიუახლოვდა. მთელ სოფელს იქ მოეყარა თავი. ხალხი რაღაცას ჯიჯღინებდა, ეტყობოდა, ბატონზე იყვნენ გამწყრალი. ზოგი მოთქვამდა, ლეკებს არ გაუტაცნიათ, ჩასაქრობად რომ მივედით, შიგნიდან ქალების კივილი გვესმოდაო. ზოგს აღარც მოთქმის თავი ჰქონდა, გულამომჯდარი ტიროდა.

ვამეყს ყოველი სიტყვა მწარედ ხვდებოდა გულზე, მაგრამ მაინც არაფერს იმჩნევდა და ამაყად იდგა.

დამწვარი სახლის განაპირას სწრაფად დაქვეითდა. სოფლელები უმალ შემოერტყნენ გარშემო.

— მდევრები გაუშვით? — მიუბრუნდა მხლებლებს.

ხალხი შეჩოჩქოლდა.

— დაწყნარდით!— მათრახი დაჰკრა მიწას თედომ.

— რაღა დავწყნარდეთ, შე კაი კაცო, შენა! მაშ, მზირები არ უნდა ჩაგეყენებინათ სოფლის თავში და ბოლოში?! — წყრომით თქვა ერთმა მოხუცმა.

— მაგათ არც მზირების ჩაყენების დარდი აქვთ და არც ხალხისა! — გაისმა ვიღაც შაოსანი ქალის ხმა.

— გააჩუმე ეგ ძაღლისები!—ჩუმად უთხრა დანახშირებული სახლისაკენ წასულმა ვამეყმა გვერდით მიმყოლ თედოს და წარბები ზიზღით ასწია.

— გაჩერდით, ხალხო! — დაიყვირა თედომ.

კარგა ხანს იდგა გაოგნებული ვამეყი დამწვარი სახლის წინ. ღრმა სუნთქვაზე ეტყობოდა, რომ ღელავდა, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა. მერე რაღაც ამოიჩურჩულა და უკან გაბრუნდა.

— სად მიდიხარ, კაცო, გვითხარი რამე! — ისევ იმ მოხუცის ხმა მოისმა აჩოჩქოლებული ხალხიდან.

— ლეკთა თარეში ერეკლე მეფეს ვერ მოუსპია, მე რა უნდა გიშველოთ? — არწივისებრი მზერა მოავლო ბატონმა ხალხს.

— ორიოდე მეციხოვნე ჩვენც მოგვე, ნიშანს მაინც მოგვცემენ.

— მეციხოვნეები კი არა... ენა ჩაიგდეთ! — შეუბღვირა ხალხს თედომ, რადგან ბატონს სახეზე უკმაყოფილება დაატყო.

ამ ჩოჩქოლში ერთი შაოსანი ახალგაზრდა ქალი, ხელში ძუძუმწოვარა ბავშვი რომ ეჭირა, წინ გადაუდგა ვამეყს და ხმადაბლა სთხოვა:

— ბატონო, ცხრა ბიჭი და ორი გოგო მყავს, ქმარი ომში დამეღუპა, ჭერი თავზე გვენგრევა, დამეხმარე, გთხოვ, შეგეწევა ყველაწმინდის მადლი. — და დაუჩოქა. ვამეყმა ხელი აუქნია, გვერდი აუარა და ცხენზე შეჯდა.

ამის დამნახველი ხალხი ერთბაშად აყაყანდა. რას აღარ იძახდნენ აქეთ-იქიდან, ერთმა ისიც კი დაიძახა, ციხეში ხართ გამოკეტილები და გარეთ არ იხედებითო, მაგრამ ვამეყმა წაუყრუა, რადგან არ უნდოდა უბედურებისათვის უბედურება დაემატებინა და ხუთიოდე ენაგრძელი ხალხის თვალწინ გაემათრახებინა. დეზი ჰკრა ქორიას და ციხე-გალავნისაკენ გააჭენა.

— რით დავაშოშმინოთ ხალხი? — ალაყაფთან ჰკითხა თედომ.

ვამეყი ვერაფერს ამბობდა, ენას ვერ აბრუნებდა.

როგორც იქნა, ის ღამეც გაილია ქიტას ლოდინში; მხოლოდ იმას შეეძლო ეთქვა ზუსტი პასუხი: არსებობდა ამქვეყნად ლამაზი თვალთა თუ არა. გამთენიის ხანს ღრმად ჩაეძინა და როცა გამოეღვიძა, შუადღე იქნებოდა. მაშინვე ქიტა იკითხა. არ მოსულაო, უთხრა დამწუხრებულმა თედომ. ვამეყს გუნება წაუხდა. თედო დაითხოვა, ზოზინით წამოდგა, მივიდა სამზერთან და გახედა ამწვანებულ ტყეს. იმ ტყეს, სადაც თვალთა გაიცნო და დაკარგა.

ქიტას გაუჩინარებამ კიდევ უფრო დაადარდიანა ვამეყი. ახლა უკვე თანდათან რწმუნდებოდა, რომ თვალთა აღარ არსებობდა ამქვეყნად.

— თედო! — დაღონებულმა გასძახა ხმადაბლა. — მდევრები რო მობრუნდნენ, აქ ამომიყვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო ხანში ალაყაფის კართან თავისი ჯაფარა ცხენი მოაგდო მდევარმა. თედომ მაშინვე აიყვანა დარბაზში, მარტო მჯდარ ბატონთან.

ვამეყმა დაწვრილებით გამოჰკითხა დევნის ამბავი, შემდეგ ცოტაოდენი ვერცხლის ფული აჩუქა და სოფელში გაგზავნა. ცოტა ხნის შემდეგ კი დარბაზში ჩავიდა, მეგობრებს მოუბოდიშა და სასმელს მიეძალა.

მეორე დღეს, დილით, მარტომ ისურვა ციხიდან გასვლა. ქორია შეაკაზმვინა და სოფლისაკენ მთის ფერდობს აუყვა. ტყის პირთან მისული დაქვეითდა, ცხენი ნებაზე მიუშვა, თავად კი იმ ადგილზე ჩამოჯდა, საიდანაც კარგად ჩანდა თვალთას გადამწვარი სახლ-კარი. მოუსვენრობა ეტყობოდა, მაგრამ გულის სიღრმეში კიდევ უჭიატებდა პატარა იმედი, რადგან თვალთას დაღუპვის მნახველი არავინ იყო. მოწყენილი ეჩვენა არემარე, თითქოს ყველაფერი გლოვობდა. მწვანეზე წამოწვა და თვალი მიაპყრო თაკარა მზით განათებულ უკიდეგანო ცას. ფიქრით მოთენთილსა და დაღლილს ჩაეძინა.

მზე უკვე კარგა ხნის ჩასული იყო, როცა გამოეღვიძა. ისევ ციხეში დაბრუნდა. დიდხანს იბორიალა გულჩათხრობილმა დარბაზში. მერე ბუხარში დანთებულ ცეცხლს მიხედა. ჩააკვირდა, ჩააკვირდა და თვალთას თაფლისფერ თვალებს წააწყდა. გველნაცემივით შეირხა.

— თედო!

მაშინვე გაიღო კარი.

— ეს რა არის, ცეცხლი რად დაანთე?!

— რა ვიცი, ბატონო, ცოტა აგრილდა და...

— ეხლავე ჩააქრე! — ბრაზიანად თქვა და სარკმელთან მივიდა.

თედომ სწრაფად ჩააქრო ცეცხლი.

— რამდენი მეციხოვნე გყავს?

— ექვსი. ოთხი თითო გოდოლზე და ორიც ალაყაფთან, — სწრაფადვე უპასუხა თედომ.

— ორი მოპირდაპირე გოდლის მცველი ჩამოიყვა. ცხენი შეკაზმე, სოფელში ჩადი, ი მოხუცი იმ ქვრივთან მიიყვა და იქ დამელოდე.

თედოსთვის გასაგები იყო, რომელ მოხუცზე და რომელ ქვრივზე უთხრა.

ცოტა ხნის შემდეგ ვამეყი ორ მცველთან ერთად სოფლისკენ გაემართა. უკვე გვიანი იყო, გარეთ სიჩუმე გამეფებულიყო, მხოლოდ ძაღლების ყეფა მოისმოდა ორღობეებში.

თედო ქვრივის სახლის კართან შეეგება ვამეყს.

ვიწრო ფანჯრიდან დაინახეს მოხუცმა და ქვრივმა, ორ მცველთან ერთად მათ რომ ეწვია ბატონი. შიშისაგან გული აუკანკალდათ.

მცველები კართან დააყენა ვამეყმა, თავად კი ფიცრულ ქოხში შევიდა. მიესალმა იქ მყოფთ და სკამზე ჩამოჯდა.

მასპინძლები ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ამბავი იყო მათ თავს.

— დასხედით, რას დგახართ? — ყველას მოავლო თვალი ვამეყმა.

კანკალით დასხდნენ.

— ძიაკაცო, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მიხედა მოხუცს. — გახსოვს, მეციხოვნეებს რომ მთხოვდი მზირებადა?

— მახსოვს, შენი კვნესამე, როგორ არ მახსოვს!

— ჰოდა, ორი მოგიყვანე, წაიყვა და, საცა გინდა, იქ დაუყენე სოფელსა!

ფერი ეცვალა ბერიკაცს. ცხადში იყო თუ სიზმარში, ვერ მიმხვდარიყო, უკვირდა ბატონისგან ასეთი გულმოწყალება.

— ჰა, რაღას უცდი, კაცო, წაიყვა! — ღიმილით უთხრა თედომ მონუსხულივით მჯდარ მოხუცს.

როგორც იქნა, წამოდგა ბერიკაცი, ვამეყთან მივიდა, დაიხარა, დაჩოქვით უნდოდა მადლობა გამოეხატა, მაგრამ ვამეყმა შეაჩერა.

გახარებული მოხუცი მზირებს წინ გაუძღვა.

— რა გქვია, ქალო? — ახლა ქვრივ ქალს მიუბრუნდა ვამეყი.

— ნინო, ბატონო.

ისევ შეიშმუშნა ვამეყი, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და თავი ვერ მოაბაო.

— თქვენს მეზობლად აზნაურის ქალს უცხოვრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, ბატონო, კარგი გოგო იყო ის უბედური. ისე უყვარდა ჩემი შვილები, ბავშვივით სულ ამათთან თამაშობდა ხოლმე. იმაზე კეთილი ადამიანის მნახველი არა ვარ. ობლობაში გაზრდილს წართმეული ჰქონდა ხალისი. სოფლის განაპირა ტყეში სიარულით ირთობდა თავს. არ უყვარდა ხალხმრავლობა, სულ მარტო დადიოდა საწყალი! — თვალზე მომდგარი ცრემლი ხელისგულებით მოიწმინდა ქვრივმა.

ცრემლის დანახვამ შეაკრთო ვამეყი. ვერ გაუძლო ქალის ჩუმ ქვითინს, ადგა, ქამრიდან ფულის ქისა ამოიღო და ქალს მაგიდაზე დაუდო.

კართან მისულმა ოთახს მოავლო თვალი, მერე თედოს მიუბრუნდა:

— ხვალ ორი მსახური გამოგზავნე, ამ ქალს შეშა მოუტანონ საზამთროდ და სახლიც გვარიანად შეუკეთონ!

ხმა არ ამოუღია, ისე მივიდა ციხემდე. დარბაზში ყოფნა ისურვა და ჩაიკეტა. მარტო დარჩენა უნდოდა.

დღეები ნადირობაში გაჰყავდა, ხოლო ღამეები — დარბაზში განმარტოებულს. უძილობაშეყრილს არ შეეძლო ეფიქრა ჩადენილ ბოროტებაზე. ბნელეთის მარწუხები გონებას უფორიაქებდა. ერთი გზა ჰქონდა, — მხოლოდ ცეცხლზე და მის მხვერპლზე უნდა ეფიქრა, რადგან ბნელი დარბაზი მხოლოდ თაფლისფერ თვალებსა და უცნაურ ღიმილს ბადებდა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ძლიერდებოდა სინანულის გრძნობა.

თვით ის ძილი, თავს რომ მისცემდა ხოლმე ფიქრით დაქანცული, გამთენიიდან შუადღემდე, ავსავსე იყო საზარელი სიზმრებით და, შფოთვით ჩაძინებულს, უფრო დაღლილს ეღვიძებოდა. ეს ყოველივე თანდათან ძალას ართმევდა და შეიძლება თვითონ ვერა, მაგრამ სხვები ამჩნევდნენ, როგორ იცვლებოდა დღითი დღე ბატონი.

ქეიფობდა, იცინოდა, მღეროდა, მხიარულობდა, მაგრამ დარდს თითქოს თავისი შავი ბრჭყალები ჩაევლო ზურგში და უკან, თავისკენ ეწეოდა. ის კი ნაძალადევი მხიარულობით ცდილობდა, როგორმე გონებიდან ამოეგდო წარსულის საზარელი ხილვები, მაგრამ მხოლოდ ცდილობდა, სინამდვილეში კი იქით მიუწევდა გული, რადგან იმ დარდს თვალთას ლამაზი სახე და საოცრად ნაღვლიანი ღიმილი ახლდა.

ერთხელ, გვიან ღამით, თედომ ფრთხილად შეხსნა დარბაზის კარი, უნდოდა გაეგო, ვამეყს ეძინა თუ არა. ეჭვი გაუმართლდა. ის ჩამქრალ ბუხარს მისჯდომოდა და გაყუჩებულიყო.

— გუშინდელს აქეთ არაფერი გიჭამია, ბატონო, მოგიტან რამესა...

ვამეყმა ფერმკრთალი სახე მძიმედ მოაბრუნა და თანხმობის ნიშნად ოდნავ დაუქნია თავი. უღიმღამოდ დაუწყო ძიძგნა ხოხბის ფრთას, ყელში არ გადასდიოდა არაფერი. მცირედი წაილუკმა და თვალით ანიშნა თედოს, გაიტანეო. ბოლმა ახრჩობდა.

გაკვირვებული დადიოდა თედო. იმ სახლის გადაწვა ვამეყის ბრალი რომ იყო, ფიქრადაც არ მოსდიოდა.

ოთახში ციოდა. ვამეყი ტახტზე წამოწვა, ცხვრის უშველებელი ტყავი გადაიფარა შემცივნებულ ტანზე და თავი მუთაქაზე მიდო. დიდხანს იტრიალა; როგორც იქნა, თვალი მილულა და ბურანში წავიდა. გვიან დილით გამოეღვიძა. გაოგნებული თვალები კარს მიაშტერა. კვლავ გველივით შეტოკდნენ მიძინებული ფიქრები.

თედოს დაუძახა, შემოიყვანა, ახლოს დაისვა და ჰკითხა, წუხელ ხომ არაფერი მომხდარაო, — ქიტას ამბავი უნდოდა გაეგო.

—არა, ბატონო, ეგეთი არაფერი. სოფელში ვიყავ ჩასული, მინდოდა გამეგო, რა ალაგას ჩააყენა ი მოხუცმა დარაჯები.

— მერე!

— ვნახე, თავში და ბოლოში ჩაუყენებია, ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და უკან ამოვბრუნდი.

—რაო, რაზე ილაპარაკეთ?

— მგლებზე, შენი კვნესამე.

— რა?

— აი, ი მოხუცმა თქვა, რომა, რაც ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლი გადაწვეს, ჩვენს ტყეებში მგელს აღარ დაუყმუვლიაო.

მართლაც, იმ დღიდან აღარავის გაუგონია მგლის ყმუილი მგლით სავსე ტყიდან, — ეს ადრევე შეამჩნია ვამეყმაც.

მოწყენილობამ დაისადგურა დარბაზში. ისევ თედომ დაარღვია სიჩუმე:

— წავიდეთ, ჩემო ბატონო, თელავში.

— არა, თედო, ქალაქში ვერ გავძლებ, ისევ აქ მირჩევნია.

— როგორც გენებოს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ცხენი შემიკაზმეთ, ცოტას გავივლი.

ცოტა ხნის შემდეგ ვამეყმა დეზი ჰკრა ქორიას და ტყისკენ გააჭენა. როცა ტყეში შევიდა, ცხენიდან ჩამოხტა და ფეხით გაჰყვა ბილიკს. ახსენდებოდა თვალთასთან შეყრის პირველი დღე. აი, ის ბილიკი, აი, ის ხეც, სადაც თვალთა იდგა და მოღიმარ თვალებს კრთომით ავლებდა იქაურობას. ყურში ჩაესმა მისი ნარნარა ხმაც. მაგრამ აი, საოცრება: იმ ადგილზე მგელი წამომჯდარიყო და ჯიქურ შემოჰყურებდა. თვალები გაუფართოვდა გაოცებულ ვამეყს. უმალ მიხვდა, ღურჯო იყო. კარგა ხანს უყურა. მერე მკაფიოდ დაინახა მგლის თვალებზე მსხვილი ცრემლები. ამან მთლად განაცვიფრა, არასოდეს ენახა ასეთი ნაღვლიანი თვალები.

ტიროდა მგელი, ტიროდა... ცოტა ხნის შემდეგ კი წამოხტა და ტყისკენ გაძუნძულდა.

მხოლოდ ახლაღა მოახერხა წამოდგომა ვამეყმა. გაოგნებული მიშტერებოდა მგელს და გონზე ვერ მოსულიყო. დიდხანს იდგა ასე მოჯადოებული, მერე კი ნელი ნაბიჯით გაბრუნდა, ცხენს შემოახტა და შინისაკენ წავიდა.

ალაყაფთან მისულს სიმღერა და შეძახილები შემოესმა.

— რა ამბავია? — ხმადაბლა ჰკითხა ცხენის ჩამოსართმევად მისულ მსახურს და თვალით დარბაზისკენ მიანიშნა.

— ქეიფია, თავადო, როგორც ყოველთვის, ნადირობიდან დაბრუნდნენ თქვენი სტუმრები.

ვამეყმა კბილები დააღრჭიალა და ნელა წავიდა დარბაზისაკენ. კარში შესვლისას ყველამ ერთდროულად შესძახა, ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო, მაგრამ ვამეყს მათკენ არც გაუხედავს.

სტუმრებს, რა თქმა უნდა, ეწყინათ მასპინძლის ასეთი შეხვედრა და თითოოროლა უკმეხი სიტყვა გააგონეს.

განრისხდა ვამეყი, წარბები აზიდა.

— თედო!

— რა გნებავს, ბატონო? — უმალ მიუხვდა მსახური.

— ამათ ყველას თავ-თავიანთი ცხენები შეუკაზმე და გააცილე!

ყველანი გაშეშდნენ, გაოცდნენ, მასპინძელი კი მეორე კარისაკენ წავიდა, საიდანაც ვიწრო გასასვლელს თავის დარბაზში გაჰყავდა. შესვლისთანავე ტახტზე წამოწვა.

ცოტა ხნის შემდეგ თედომაც შემოაღო კარი.

— გააცილე?

— დიახ, ბატონო.

— ცეცხლი დაანთე!

გაოცდა თედო: როცა ნისლი ჩამოწვება ხოლმე, მაქრობინებს, მზეში კი მანთებინებსო, მაგრამ ვეღარ გაბედა კითხვა და ბუხარში შეშა შეყარა.

— ეხლა სოფელში ჩადი და ხუთიოდე მონადირე ამოიყვა.

შებინდებისას დარბაზში ხუთი მონადირე შემოვიდა. იმათგან ერთი ჭაღარა იყო, დანარჩენი კი ვამეყის ტოლი ბიჭები იყვნენ.

მკაცრად მიხედა ბუხართან მჯდარმა ვამეყმა შემოსულ მონადირეებს.

— წადით და რაც ამ ტყეში მგლები ბუდობენ, ყველა ცოცხლად მომიყვანეთ!

არც ერთი არ განძრეულა.

ვამეყს გაუკვირდა.

— წადით-მეთქი, ვერ გაიგეთ?

— აღარ არი მგელი, შენი კვნესამე, ჩვენს ტყეში, კარგა ხანია იმათი ყმუილი არავის გაუგონია, — უთხრა ჭაღარა მონადირემ.

— წადით-მეთქი! — განრისხდა ვამეყი.

ყველანი ჩუმად გაერიდნენ.

ორი დღე და ღამე იარეს მონადირეებმა. ბოლოს ერთი გაძვალტყავებული ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერი მგელი ძლივს დიჭირეს, გალიაში ჩასვეს და წამოვიდნენ.

თედომ მოახსენა ბატონს, მგელი მოიყვანესო.

ბუხრის პირას მჯდარი ვამეყი სწრაფად წამოხტა, კიბეზე დაეშვა, მგელს დახედა და სახეზე გაცოფება დაეტყო.

— ცეცხლისთვალება მგელი მომიყვანეთ, ცეცხლისთვალება! — დაიღრიალა, ყველას მოავლო თვალი და გაბრაზებულმა მწარედ გაატყლაშუნა მათრახი.

გაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს მგლის ძებნაში გადაღლილმა მონადირეებმა და დარბაზში შებრუნებულ ვამეყს თვალი გააყოლეს.

დღის ნათელი და ღამის სიბნელე ცვლიდა ერთმანეთს, ვამეყისთვის კი ორივე ბნელი გახდა. ციხიდან გარეთ იშვიათად თუ გამოდიოდა. მადადაკარგული და უჟმურ გუნებაზე მყოფი, ორიოდ ლუკმას თუ გადაყლაპავდა. ერთიანად ჩამოხმა და ფერი დაკარგა. აღარ უნდოდა იმის გაგება, თუ რა ხდებოდა კედლებს იქით. ბუხარში ცეცხლს აღარ აქრობინებდა თედოს. ზოგჯერ განთიადიდან განთიადამდე იჯდა ცეცხლის წინ მწარედ ჩაფიქრებული, ჩაჰყურებდა ნაკვერჩხლებს და მათ ლაპლაპში ხედავდა ხან თვალთას და ხან ღურჯოს.

ერთ საღამოს, დაღლილს, გაუხდელად მიეძინა ტახტზე. სიზმრად იხილა ბნელი ღამე, უმთვარო და უვარსკვლავებო. ტყეში დაბორიალებდა, შემდეგ ველზე გავიდა, ბოლოს კი კლდის თავზე ამოჩნდა. ეცნო იქაურობა, მდინარეც ეცნო, — ალაზანი იყო. ხტომა-ხტომით, რბილად გავიდა მაღალ კლდეზე, ალაზნის პირას დადგა, მოიხედა და კლდესააყოლა თვალი; გაოცდა, როცა დაინახა — კლდე წეღანდელთან შედარებით უფრო ამაღლებულიყო. ვერ გაბედა თვალუწვდენელ კლდისკენ წასვლა და ისევ ალაზნისკენ მიიხედა. წყლის ფერი დაეკარგა ალაზანს, გაშავებულიყო. გაოგნებულმა კარგა ხანს უყურა, მერე გაღმა მხარეს გაიხედა და თვალი გაუშტერა იქით მყოფ ნათელს.

იქ მზეც ანათებდა, ბალახიც ბიბინებდა, ტყეც ჩანდა სადღაც, შორს. ყველაფერს თავისი ფერი და სილამაზე ჰქონდა.

ვამეყი ხედავდა, რომ მის მხარეს ბნელი წყვდიადი იდგა, იქით კი სინათლე, სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა.

მოულოდნელად ცეცხლისთვალება რუხი მგელი დაინახა, რომელიც მისკენ იყურებოდა; თითქოს იღიმებოდა, თითქოს უხაროდა მისი ბნელში ყოფნა... უცბად ბორცვზე თვალთა ამოვიდა, ნაღვლიანად მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, თითქოს რაღაცას ეძებსო. აგერ, იპოვა კიდეც: ღურჯოს დაუძახა, მიიხმო, თავზე ხელი გადაუსვა და გაუღიმა.

გაბრუებულმა ვამეყმა ვერც კი შეამჩნია, სად გაუჩინარდა თვალთა თავის ღურჯოსთან ერთად, როცა გონს მოვიდა, ტყისკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ფეხქვეშ მიწა ცხელდებოდა. წყლისკენ გადადგა ნაბიჯი, გავგრილდებიო, მაგრამ ალაზანიც დუღდა...

შეძრწუნებულს ძლივს გაეღვიძა, წამოჯდა, მიმოიხედა და სარკმლისკენ წავიდა. — ეს რაღა უბედურება იყო?! — ღრმად ამოისუნთქა.

მაგრად ჩასჭიდა თითები სარკმელს, შუბლი მინას მიადო და საზარელი სიზმრის ხილვით გაფართოებული თვალები სიბნელეს გაუშტერა.

კარგა ხანს იდგა ასე, მერე მოსცილდა სარკმელს, ისევ საწოლზე ჩამოჯდა, თავი ჩახარა.

შიშისაგან გული უხტოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც საშინელება გუდავდა.

ახლა მოაგონდა, სადღაც ომი რომ იყო. იქ იბრძოდნენ მამამისი და უფროსი ძმა. იქ, ომში, ხალხს ხოცავდნენ. იმათ ადგილზე წარმოიდგინა თავი და საყვირლად გახსნა პირი, მაგრამ გონს მოეგო და დროზე აიფარა სახეზე ხელი.

— თედო! — დაიძახა ელდანაცემმა.

— რა მოხდა, ბატონო? — ცოტა დაუგვიანდა შემოსვლა მსახურს.

— ცეცხლი ჩააქრე და არ დავინახო, ვინმემ დაანთოს!

თედო დააბნია ბატონის სიტყვებმა. ცეცხლი ჩააქრო და გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამეყი მთელი დღე მომაკვდავივით ეგდო ტახტზე. საღამოს თედო მოიხმო.

— მონადირეები ხომ არ მოსულან?

— არა, ბატონო, არ დაბრუნებულან.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვამეყმა კედლისკენ მიაბრუნა თავი, თედო კი არ განძრეულა, იქვე იდგა.

— ციხეში ვინ არის, ჩვენს გარდა?

— ოთხი მცველი, ერთი მეჯინიბე, ერთი მზარეული და ერთიც ხუროთმოძღვარი.

— ხუროთმოძღვარი?

— დიახ, ბატონო, მათე, მამათქვენის სასახლეში ქვებს რო აქანდაკებდა, აღარ გახსოვთ?

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს...

— ჰოდა, ისა.

— სად არის, რო არ დამინახია?!

— ციხის უკანა კედელზე აქვს სახელოსნო მიდგმული. აბა, თქვენ იქით არ გაივლიდით.

— კარგი, წადი...

თედომ თავი დაუკრა და გავიდა.

შეღამებისას ვამეყი დაბლა დაეშვა. სახელოსნოსკენ გაემართა, ნელა გადაიარა ეზო. კართან შედგა, მერე ფრთხილად შევიდა. ზღურბლიდანვე შეავლო თვალი კედელზე მწკრივად მიწყობილ ქვებს. ზოგზე რა იყო გამოქანდაკებული და ზოგზე რა. ერთ-ერთს შავი ფარდა ჰქონდა გადაფარებული. კუთხეში ხუროთმოძღვარი სუფთა ქვას მისჯდომოდა და რაღაცას ჩორკნიდა.

მოიხედა და, რა დაინახა თავისი ახალგაზრდა ბატონი, წამოდგა.

— გამარჯობა, ძია მათე! — დაბალი, წყნარი ხმით უთხრა ვამეყმა.

— გამარჯვებული იყავ, შვილო! — მიუგო მათემ, თან თვალები დააცეცა: უკვირდა ბატონის მოულოდნელი სტუმრობა.

— ხელი ხომ არ შეგიშალე?

— რა ბრძანებაა, გენაცვალე, მობრძანდით! — საჭრეთელი იქვე დადო, თასში ხელები ამოიბანა, სკამი გადაწმინდა და გვერდით დაუდგა. — დაბრძანდით!

— თვითონ დაბრძანდი, დაისვენე. მე დავათვალიერებ, — ქვებისკენ წავიდა ვამეყი.

პირველივე ქანდაკების ნახვისას კმაყოფილება დაეტყო სახეზე.

— კარგი ხელი გქონია, ძია მათე.

— გმადლობთ, — საჭრეთელი აიღო მათემ და ისევ თავის საქმეს მიუჯდა.

— ხუროთმოძღვრობა ძნელია? — მეორე ქვისკენ გადაინაცვლა პატარა სახელოსნოს დიდმა სტუმარმა.

— აბა, როგორ გითხრა, — გამოხედა მასპინძელმა. — რასაც ყაირათიანად მიუდგები, ძნელი არაფერია.

— სად გძინავს ხოლმე?

— კარის გოდოლში, ჩემთვის ერთი პატარა ოთახი მაქვს.

— საჭმელ-სასმელი დროზე მოაქვთ?

— ჰო, გენაცვალე.

— სხვა თუ რამე გინდოდეს, პირდაპირ მე მითხარი, ნუ მოგერიდება.

— არა, შენი კვნესამე, სხვა რა უნდა მინდოდეს...

სიწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ საჭრეთლის ყრუ ხმაღა ისმოდა. ვამეყი მალმალ იცვლიდა ფეხს და უფრო და უფრო მკაფიოდ ეხატებოდა სახეზე გაკვირვება.

— ლამაზად გიქანდაკია, ძია მათე, ლამაზად! სხვა თუ გაქვს რამე ამათ გარდა?

მათე წამოდგა, მიუახლოვდა და ჩუმი ხმით უთხრა:

— რახან ეგრე მოგეწონა ჩემი ხელი, წამო, ერთსაც განახებ, — და ოთახის კუთხისაკენ წაიყვანა.

იმ ქვასთან შედგა, შავი ფარდა რომ ჰქონდა ჩამოფარებული. ფარდა ჩამოხსნა, ოდნავ გაეღიმა და თავის ადგილზე დაბრუნდა.

რაღაც გაურკვეველი ძალებით თანდათან ინუსხებოდა ვამეყი. ამ ქვაზე საოცარი სიმშვენიერით იყო ამოკვეთილი მტევნებით დახუნძლული ვაზი, რომელსაც მხოლოდ ძირი ჰქონდა დაუსრულებელი. ქვასთან მდგარი ვამეყი გაქვავებული იყო. „ნუთუ ვაზსაც შეუძლია ღიმილი? რა საოცრად ჰგავს თვალთას ღიმილს“, — ფიქრობდა იგი.

გაკვირვებული მათე მხოლოდ გვერდულად გახედავდა ხოლმე გახევებულ ვამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეყს და გრძნობდა, რომ რაღაც სიდიადე გამოკვეთა მისმა ხელმა. გრძნობდა, რომ მშვენიერებას უმღერა. ბოლოს მივიდა და გვერდით დაუდგა ჭაბუკს.

— მითხარი, ძია მათე, ხომ ბევრი რამეა ამოცნობილი, მაგრამ ყველაფერი რად არის მაინც ამოუცნობი? — იკითხა ვამეყმა, თან ვაზს არ აცილებდა თვალს.

— ყველაფრის იქითა, შვილო, არის სიბნელე, იმ სიბნელის იქით არის რაღაც და ის რაღაც ყველაფრის ზუსტი პასუხია. ჩვენ, ადამიანები, სიბნელის აქეთ ვტრიალებთ, აქეთა ვცდილობთ ყველაფრის ამოცნობას. იმ სიბნელის დასაწყისი სიკვდილია, დასასრული კი ცდა.

— ბედნიერება რაღაა, ძია მათე?

— ბედნიერება ადამიანს მაშინ ეძლევა, როცა ის ირგვლივ დანახულს, ყველაფერს მშვენიერებად აღიქვამს. ბედნიერება კიდევ ოფლითა და შრომით მოეპოვება შთამომავლობას. ზოგჯერ დამალობანას გვეთამაშება და თუ ვიპოვეთ, ბავშვივით გაგვიღიმებს ხოლმე.

ვამეყი გააოცა მოხუცი ხუროთმოძღვრის სიბრძნემ. ბევრი ესაუბრა კიდევ და ბოლოს მივიდა იქამდე, რის შეკითხვასაც ფიქრობდა.

— თუ სიყვარული დაგეუფლა და იცი, რომ სატანჯველში ჩაგაგდებს, როგორ უნდა განაგდო შენგან?

— რაგინდ სატანჯველი გელოდეს, ყველაფრის ანგარიშგაუწევლად უნდა მიენდო, რადგან მას შენი სიკეთე და მშვენიერება მოაქვს.

მხოლოდ გვიან ღამით გამოემშვიდობა ხუროთმოძღვარს ვამეყი და დარბაზში დაბრუნდა.

შუაღამისას, როცა ყველას ეძინა, შანდალს მოავლო ხელი და უხმაუროდ ჩავიდა დაბლა. თითქოს ვინმე, სულზე უტკბესი ელოდებოდა სახელოსნოში, — ხწრაფი ნაბიჯით მივიდა, შეხსნა სახელოსნოს კარი და ქვასთან მიირბინა აღელვებულმა. გაანათა რა სანთლის ცეცხლმა ვაზი, ღიმილი ერთბაშად გამოიფრქვა და დაუწყნარა გული აფორიაქებულ ვამეყს. სკამი მიიჩოჩა, ჩამოჯდა, შანდალიც იქვე დადგა და გაირინდა. მერე დაიხარა ქვისკენ, კოცნიდა, ეფერებოდა. თვალცრემლიანი უყურებდა სანატრელ ღიმილს. მხოლოდ ის, მხოლოდ ის იყო უძვირფასესი ამქვეყნად და სხვას ყველაფერს ფასი ჰქონდა დაკარგული.

გათენებამდე ცვიოდა ცრემლები ქვაზე, მერე კი, გონს მოსული, გარეთ გამოვიდა. არავინ მომისწროსო და თავის ოთახში შეიკეტა.

დარდისა და უჭმელობისაგან ჩამომხმარ-გაყვითლებული მთელი დღე დამბლადაცემულივით იჯდა ბუხრის პირას და საღამო ხანს, როცა ვაზის ნახვის წყურვილმა მოთმინების ყველა საზღვარი დაანგრია, ისევ დაბლა ჩავიდა. მიდიოდა ისევ სახელოსნოში, ისევ ქვისკენ, ისევ — უტკბესი ღიმილისაკენ.

შეაღო თუ არა კარი, მათე დაინახა იმ ქვის პირდაპირ. ჩაფიქრებული იჯდა. ვამეყიც გვერდით მიუჯდა, მახავით ჩახარა თავი და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— რატომ არ ამთავრებ, ძია მათე?

ხუროთმოძღვარმა თავი ასწია, მაჯები მუხლებზე დაიწყო. დანაოჭებული, ძარღვებდაბერილი ხელის მტევნები გადმოაბრუნა და თითქოს ტირილს იწყებსო, უთხრა:

— არ ვიცი, რა მომდის: როცა ვაზის დასამთავრებლად ამ ქვას მივუახლოვდები, ხელები მიკანკალებს, ფეხები მერევა, თვალები მიჭრელდება და ვეღარაფერს ვაკეთებ, — მერე ჭერს მიაპყრო თვალი და ღრმად ამოიხუნთქა. — ეჰ, ნეტა კი ინებო, ბატონო, და საერთოდ გამათავისუფლო. მოვხუცდი, განა ბევრიღა შემიძლია. ჩემს სოფელში წავალ, მამაჩემისეულ სახლში დავლევ სულსა.

ჩაფიქრებულ ვამეყს არაფერი უთქვამს, ჯიბიდან ოქროთი სავსე ქისა ამოიღო და გვერდით, დაბალ ქვის მაგიდაზე დაუდო.

— გათავისუფლებ...

— ოქრო უკან ინებე, გენაცვალე, რა თავში სახლელად მინდა, გაჭირვებულებსა და ქვრივ-ობლებს დაურიგე.

ვამეყი მიხვდა, რომ ვეღარ გადაათქმევინებდა უარს და ერთი-ორჯერ დაუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია თავი, მერე კარში თედოს გასძახა და მოუხმო.

— კარგი ცხენი და მდიდრული საკმაზი ხუროთმოძღვარს! თავისუფალია ყმობიდან! — თვალი შეავლო გაქვავებულ თედოს.

როგორც იქნა, გამოფხიზლდა მსახური და სწრაფად გავიდა სახელოსნოდან.

— ცოტა ხნით კიდევ დარჩენილიყავ, სანამ ომი დამთავრდებოდა.

— კარგი, გენაცვალე, კარგი, — მცირე ხნის დუმილის შემდეგ უთხრა მათემ.

ვამეყი შეიშმუშნა, რაღაცის თქმა უნდოდა, ბოლოს გაბედა:

— ამ ქვასა, ძია მათე, თუ ნებას მომცემ, ჩემს დარბაზში ავატანინებ.

— რა ნება, შვილო, მაშ ვისთვის ვაკეთებ ამ ყველაფერს?!

— გმადლობთ, ძია მათე! — სწრაფად დატოვა იქაურობა ვამეყმა.

მიდიოდნენ დღეები. ერთ ღამეს, როცა ჭექა-ქუხილი არღვევდა ცას და სადაცაა ცრემლს დააფრქვევდა დედამიწას, როცა მეხი აპობდა ალაზნის მუხნარს და ბნელი ღამის ბატონები მათრახს წნავდნენ, ვამეყი შორეთიდან მოსულმა მგლის ყმუილმა გააღვიძა. წამოხტა, სარკმელს მივარდა და გაისუსა, ხომ არ მეჩვენება. კიდევ იყმუვლა მგელმა სადღაც, შორს.

— ღურჯო! — ღრმა ამოსუნთქვას ამოჰყვა ბგერები.

სწრაფად მოისხა მოსასხამი, საჯინიბოში ჩავიდა, შეუკაზმავ ქორიას შემოახტა და გამოფრინდა ციხის კარიბჭიდან. თქეში დასდიოდა ციდან მიწას. ვამეყი ფაფარში ჩაეკრა ცხენს და იქით გააჭენა, საიდანაც ყმუილი შემოესმა.

ძლივს გადაჭრა ტყე კუნაპეტ ღამეში და როდესაც გაივაკა, დაინახა რუხი მგლის ცეცხლოვანი თვალები. ცხენი არც კი შენძრეულა მგლის დანახვისას. ღურჯო გაიქცა, ვამეყმაც უსუსხა დეზები ქორიას და გაედევნა.

თავსხმა-ღვარცოფში მგლის ლანდის გარდა ვეღარაფერს ხედავდა. ცალი ხელი ღურჯოსკენ გაეშვირა, მკერდით ფაფარს ეკვროდა... აი, სადაცაა დაეწევა, ცხენიდან გადმოხტება და დაიჭერს თვალთას საყვარელ ღურჯოს... დაუახლოვდა კიდეც, სულ რაღაც ხუთიოდე ნაბიჯიღა დარჩა და წინ გაშვერილი ხელით მისწვდება... მაგრამ წამში გაქრა ღურჯო. ვეღარ იაზრა — რა მოხდა და, უფსკრულში გადაფრინდა ქორია.

ის დღე იყო და ის ღამე, იმის შემდეგ არც ერთ მგელთაგანს არ უნახავს ღურჯო და აღარავის, კაცთაგანს, — ვამეყი.

მოხუცი მათე სამი დღე ელოდა გაუჩინარებულ ბატონს. ბოლოს, გული რომ გადაელია, ღონემიხდილი ბაჯბაჯით შევიდა სახელოსნოში, ბეჭზე მოიდო ის ქვა. ბებერმა მუხლებმა მაინც შეძლეს ამ მძიმე ტვირთის ატანა ვამეყის დარბაზში. ბუხრის კედელთან დადო, ქუდი მოიხადა, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი უცნაურ ღიმილს, ვაზის ღიმილს.

მერე კი გაბრუნდა და ალავერდისკენ გაუყვა გზას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სვეტლანა ალილუევა

# წიგნი შვილიშვილთათვის

### საქართველოსთან გამოთხოვება

და ჩვენ ისევ ჩვენს ბინაში ვართ, თბილისის გარეუბანში. ოლგა ისევ რუსული და ქართული ენების გაკვეთილებს უზის, ისევ დადის მანეჟზე ცხენებით და პიანინოს აკომპანიმენტით მღერის ლეილასთან ერთად. მე გული მაწუხებს, წონაში მოვიმატე (ამდენ მიპატიჟებას, აბა, რა მოჰყვებოდა!) და მიმძიმს ლოდინი, მით უფრო, რომ ჯერჯერობით იმედის სხივს ვერ ვხედავ. იმ წინადადებაზე დათანხმება, რომ ოლიამ ისწავლოს ინგლისში, მაგრამ არდადეგებზე „დაბრუნდეს ხოლმე სსრკ-ში", სადაც მას უნდა დაველოდო, — თანაც მოსკოვში, — არ შემიძლია.

იმ დღეს, როცა სამოცმა წელმა მომიკაკუნა, დამწუხრებული ვიჯექი სახლში და თავს ვიწყევლიდი წინდაუხედავად „სამშობლოში დაბრუნების" გამო. დაბადების დღის ზეიმით აღნიშვნა არ მინდოდა, მგრამ ქართველმა მეგობრებმა დამირეკეს და თავიანთსა მიმიწვიეს. რა შეიძლება სჯობდეს ქართულ თავშეყრას შენი დაბადების დღეს, თანაც მოქუფრულ საღამოს?

იქ სუფრა ყოველთვის გაშლილია. მასპინძლებმა, და-ძმამ (ორივე თეატრალია, პედაგოგი და რეჟისორი) მეგობრები მოიწვიეს: კინოვარსკვლავი, მისი ქმარი და ოლიას ქართული ენის მასწავლებლები, — ცოლ-ქმარი. როგორც ყოველთვის, ყველაფერი რჩეული, ჩინებული იყო — მწვანილი, ხორცი, წვენები, საუზმეული, სალათები — ყველაფერი ეს თხელი, ოქროსფერი ღვინით იყო შეზავებული.

შემდეგ დაიწყეს მღერა გიტარისა და პიანინოს თანხლებით — გაუთავებლად გადმოიღვარა მელანქოლიური სიმღერები სიყვარულზე, განშორებაზე, სიკვდილზე, დარდზე, მშვენიერ თვალებზე... მარადიული თემები, მარადიული სილამაზე. ნაღვლიანი, მელანქოლიური ქართული ჰანგები ნაკადულებივით მორაკრაკე ძველებურ მელოდიებად იღვრება. ოლგაც უკრავდა პიანინოზე და მათთან ერთად ძალიან ლამაზად, დიდი შთაგონებით მღეროდა. არასოდეს დავივიწყებ ამ დაბადების დღეს, მეგობრებისგან მოძღვნილ ამ მოულოდნელ საჩუქარს. ასეთ დროს ყველაფერი გავიწყდება, არაფერზე არ გინდა იფიქრო. ჩვენ მეგობრები ვართ, ხომ მართალია? ჰოდა, დანარჩენის ორი საათით დავიწყება შეიძლება. ცხოვრებაში ასეთ სიმღერებზე, ასეთ საღამოებზე უფრო მნიშვნელოვანი რა შეიძლება იყოს?

ჩემს მეგობრებს არაფერს ვეუბნებოდი იმის შესახებ, რაც მოხდა მოსკოვში. არც გორბაჩოვისადმი მიწერილ თხოვნაზე მითქვამს რამე. რატომ ვაქციო ისინი „თანამონაწილეებად?" მხოლოდ იღელვებენ, შეშფოთდებიან. დაე, კიდევ იყოს დღევანდელივით მშვენიერი საღამოები, როცა, უბრალოდ, შეიძ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 1993 ;. № 1 1994 წ. № 1-2, 3-4, 5-6, 7-8, 1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება ყოველი წუთით ტკბობა. ვიდრე ჯერ კიდევ არსებობს ასეთი წუთები... გარდუვალობა — თუმცა ჯერ ისევ გაურკვეველი — უკვე ტრიალებს ჰაერში. მათ ეს არ იციან.

რაღაც სასწაულებრივად, ამ დღეებში შევძელი ინგლისსა და აშშ-ში დარეკვა — ეს იყო ჩვენთვის ორი, უაღრესად მნიშვნელოვანი საუბარი. ტელეფონისტ ქალს ვკითხე კიდეც, როგორ ხერხდებოდა ასე იოლად საერთაშორისო ტელეფონით დალაპარაკება. თბილისში საძაგელი ტელეფონებია, ხშირად მეზობელ ქუჩასთანაც კი შეუძლებელია დაკავშირება. „ჩვენთან კაპიტალისტურ ქვეყნებში ძალზე იშვიათად რეკავენ, — მხიარულად მიპასუხა მან, — განსაკუთრებით ამერიკაში!“

ინგლისში სკოლის დირექტორმა დამიდასტურა, რომ ოლიას ისევ მიიღებდნენ ყოველგვარი წინაპირობების გარეშე, ნებისმიერ დროს. „ოლია ჩვენია! — თქვა მან (როგორც ოდესლაც ამბობდნენ მასზე პრინსტონში, სტიუარტის კათოლიკურ სკოლაშიც). — გამომიგზავნეთ წერილი ჩამოსვლის შემდეგ, სკოლაში მისი დაბრუნების შესახებ, დანარჩენს კი ჩვენ გავაკეთებთ“. ეს პირდაპირ საოცრება იყო. მას შინ დავურეკე და ეს მისი რეაქცია გულწრფელი და დაუყოვნებელი აღმოჩნდა. „16 აპრილს არ გადააცილოს. ეს ახალი ტრიმესტრის დასაწყისია“. მაშ, ასე, საჭირო იქნება ოლგას გამზადება და საქმის ისე მოწყობა, რომ ამ თარიღს არ გადააცდინოს.

ოლგას ერთი ძიაკაცი, სენატორი სემ ხაიაკავა, ჩემი ხმის გაგონებას არ გაუოცებია. იღბალი მქონია, რომ შინ დამხვდა. სწრაფად ავუხსენი, რომ ჩვენ ვერ შევძელით კონსულთან შეღწევა, მაგრამ რომ ჩემს პასპორტს ვადა გასული აქვს და ახალი პასპორტი უნდა მივიღო, და რომ ყველა ღონეს ვხმარობ იმისთვის, რომ გამოვემგზავრო, ოლია კი ბრუნდება ინგლისში, თავის სკოლაში — მას ამის ნებართვა უკვე მიცემული აქვს. ხაიაკავამ ამ სიახლეებით ძალიან გაიხარა და თქვა, რომ დაუყოვნებლივ დაუკავშირდება სახელმწიფო დეპარტამენტს და გადასცემს მათ, რომ კონსულმა სცადოს მოსკოვში ჩემი ნახვა. „ეჰ, სემ! — ვუთხარი მე. — წარმოიდგინეთ, რა ხათაბალაში გავები!“ მან რბილად გაიცინა და მიპასუხა: „არაფერია. ყველაფერი კარგად იქნება“.

ყურმილი დავდე და ვიფიქრე, რომ ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელი რამ იყო. მოსკოვში ჩვენ ვერ შევძელით კონსულთან შეღწევა, თბილისიდან კი სულ იოლად ვურეკავ სენატორს შინ, კალიფორნიის შტატში! — ოლიას ბიძა და ბიცოლა ხაიაკავები, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ოლიას ბედ-იღბალმა შეაწრიალა. და ცნობას იმის შესახებ, რომ ის ინგლისში თავის სკოლას დაუბრუნდებოდა, აღტაცებით შეხვდნენ. მე კი გადავწყვიტე, რომ საჭირო იყო ეს ახალი ამბავი მათთვის რაც შეიძლება ჩქარა მეცნობებინა, რადგან ამის შედეგად, შესაძლოა, ეს ცნობა გაზეთებში მოხვედრილიყო, — მაშინ საბჭოთა ხელისუფალთ თავიანთი სიტყვის გადათქმა ძალიან გაუჭირდებოდათ.

ამ მანუგეშებელი მოვლენების მიუხედავად, ფიზიკურად თავს საძაგლად ვგრძნობდი ძალ-ღონის მეტისმეტად დაძაბვის, ნერვიულობის და, რაც მთავარია, საკუთარი თავით დიდად უკმაყოფილების გამო. როგორ მოვხვდი ასეთ ალიაქოთში, როგორ!.. წნევამ ამიწია, გული მიკანკალებდა და რიტმიდან ვარდებოდა, თანაც, მომატებული წონაც მხოლოდ ხელს მიშლიდა — ქალაქის ქუჩებში გასეირნებაც კი მიჭირდა. არავითარი დიეტა, არავითარი „მოძრაობა ჯანმრთელობისა და სალი დიეტისთვის“ აქ არ იყო; ხორცი, კარაქი, ყავა, ღვინო, შაქარი, მარილი, — ყველაფერი განუზომელი ოდენობით ინთქმებოდა. სსრკ-ში არასოდეს არ ყოფილა მიღებული გამორჩევით, ყველასგან განსხვავებულად ცხოვრება. ამ ბარაქიანი, უხვი საკვებისგან საშველი არ იყო. მე და ოლია ვცდილობდით უფრო ხშირად გვევლო ძალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ძვირ ბაზარში, სადაც აურაცხელი ქორფა მწვანილი და ხილი იყო. მაგრამ ჩვენ მაინც გვიწვევდნენ, გვმასპინძლობდნენ, მეზობლებს საჭმელი ჩვენთან შინ მოჰქონდათ. უარის თქმა არ შეიძლებოდა. აწყენინებდი იმ ადამიანებს.

რამდენჯერმე ვეცადე დამერეკა X-ის კაბინეტში, მაგრამ იქიდან არასოდეს არავინ მპასუხობდა. საგარეო საქმეთა სამინისტროდან ჩვენი მეურვეები ვერაფერს გვეუბნებოდნენ ჩემი გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე, თანაც, ისინი ამ საკითხს არ წყვეტდნენ. მე ვიცოდი, რომ X-მა ამ საკითხზე მათზე მეტი იცოდა და სუკისგან ამგვარი დამოკიდებულება ყველაფერზე მეტად მტანჯავდა... ღორძინდებოდა ძველი, საძაგელი დღეები, მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრება კრემლში — ყველაფერი, რაც დიდი ხანია დავიწყებული მქონდა. არაფერი შეცვლილა — აი, ის საშინელი დასკვნა, რომელიც გავაკეთე ჩემთვის. — არაფერი. მხოლოდ აზრები, ლოზუნგები, სახელები, როგორც ოდესღაც სავსებით გენიალურად თქვა ევტუშენკომ:

Пришли другие времена,
Взошли иные имена.

მაგრამ არსებითად არაფერი, არაფერი შეცვლილა.

შუა მარტში, გულშეღონებული, ისევ მოსკოვისკენ წასასვლელად ვემზადებოდით, რათა იქ საბოლოოდ გაგვერკვია, წვრილმანები სსრკ-იდან ჩემი გასვლის შესახებ, აგრეთვე ისიც, როგორ გამემგზავრებინა ოლია ინგლისში 16 აპრილისთვის. ჩემთვის აუცილებელი იყო შევხვედროდი ვინმეს აშშ-ის საკონსულოდან, რათა ვადაგასული ამერიკული პასპორტის ნაცვლად ახალი პასპორტი მიმეღო. 14 მარტს გორბაჩოვს მივწერე მეორე წერილი, იქ ჩავდე ჩვენი განცხადებები უმაღლესი საბჭოს სახელზე, სსრკ-ის მოქალაქეობაზე უარის თქმის შესახებ, და ყველაფერი ეს გავგზავნე მოსკოვში საქართველოს ცკ-ის მეშვეობით — რადგან მათ არ იცოდნენ, რა იდო წერილში...

მალე დარეკა ჩვენმა მეურვემ საგარეო საქმეთა სამინისტროდან და თქვა, რომ „ოლგა უნდა გაფორმდეს ინგლისში წასასვლელად". თქვენ ამის გაკეთებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკები დაგეხმარებიანო, — გვითხრა. ჩემზე კრინტიც არ დაუძრავს.

ოლიასთვის საჭირო ყველა ქაღალდის გაფორმების შემდეგ (ის ინგლისში საბჭოთა პასპორტით მიდიოდა, მაგრამ გადავწყვიტე, ამაზე არ მედავა), შევუდექი მისი ჩემოდნების ჩალაგებას და უცებ ვიგრძენი, რომ ცუდად ვიყავი. პოლიკლინიკაში მორიგე ექიმმა ქალმა გამსინჯა და რაკი წნევა აწეული მქონდა, აბები მომცა. ასეთი აბები აქამდე არ მიმეღო, მაგრამ ახლა მივიღე დილით და საღამოს, როცა უკვე ჩემოდნებს ვალაგებდი.

შემდეგ ვიგრძენი, რომ სუნთქვა მიჭირდა და ადრე ჩავწექი ლოგინში. შუაღამით გულ-მკერდის არეში ტკივილმა გამაღვიძა, ვერ ვსუნთქავდი და კარგა მაგრად შემეშინდა: ავადმყოფობის დრო არ იყო, ჩვენ მოსკოვში, სასტუმრო „სოვეტსკაიაში" უნდა ვყოფილიყავით 20 მარტს — მე სწორედ ეს რიცხვი დავუსახელე ოლიას ბიცოლა მარჯს, რათა საკონსულოს თანამშრომლებს ჩვენი მონახვა შეძლებოდათ. ოლიას გაღვიძება მომიხდა. ის მეზობლებთან გაიქცა „სასწრაფოს" გამოსაძახებლად: ქართულად ლაპარაკი იყო საჭირო, რადგან აქ რუსებს მაინცდამაინც არ უსმენენ. ოლია დიდხანს არ მობრუნებულა, ჯერ კარს არ უღებდნენ, შემდეგ კი დარეკვა გაძნელდა... ვფიქრობდი, რომ მორჩა, ვიგუდებოდი.

როგორც იქნა, მობრუნდა ოლია მეზობლითურთ, ცოტა ხნის შემდეგ კი ორი მსუქანი ექიმი ქალი მოვიდა. მომცეს რაღაც, რამაც არავითარი ეფექტი არ მოახდინა. უარესად და უარესად ვხდებოდი, გული მერეოდა და გრძნობის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგვისა მეშინოდა: მაშინ — მორჩა! კიდევ რაღაც „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახეს და როდის-როდის ორი ახალგაზრდა ბიჭი — ახალგაზრდა ექიმები — მოვიდა. მათ ჩქარა დაადგინეს, რომ მაჯისცემა უკვე არ იგრძნობოდა, წნევა კი ნულამდე დაეცა. იმ წუთებში ვფიქრობდი: ა გ ე რ ი ს ი ც. მ ი ჯ ნ ა. რ ა ა დ ვ ი ლ ი ა მ ი ს ი გ ა დ ა ბ ი ჯ ე ბ ა.

ნემსით სწრაფად შემიშხაპუნეს კოფეინი რაღაცითურთ, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ახალგაზრდა ექიმი შეძრწუნებული მიყურებდა, ჩემთვის უკვე ყველაფერი რაღაცნაირად სულ ერთი ხდებოდა... კიდევ ერთი ჩხვლეტა... როგორც იქნა, შევძელი სულის მოთქმა...

იატაკზე ვიჯექი საწოლის ახლოს, რადგან ლოგინში ჩაწოლისა მეშინოდა. მეჩვენებოდა, რომ იქ მაშინვე მოვკვდებოდი. სიკვდილი კი სულაც არ მინდოდა. უნდა გამეღწია აქედან. „ჩვენ ხვალის ბილეთები გვაქვს...“ — წამოვიკნავლე.

ახალგაზრდა ექიმს ჩემს სისულელეზე გაეღიმა. ირგვლივ ყველანი მაგრად დაფეთებულნი ისხდნენ. რა ადვილია ეს — მიჯნის გადაბიჯება... მე თითქმის ვიყავი იქ. რა უბრალო რამეა. რაღაც კოფეინმა ყველაფერი შეცვალა. ვულგარული მატერიალიზმია. და არავითარი ხმამაღალი სიტყვები ან ემოციები.

ნორმალურად სუნთქვა რომ დავიწყე, ვიგრძენი, რომ არა მხოლოდ „ხვალვე გაფრენა“, არამედ ახლა ოთახში გავლაც კი არ შემეძლო. განთიადისას საავადმყოფოში წამიყვანეს, სადაც დაადგინეს, რომ გულის სერიოზული სპაზმი მქონდა, მაგრამ მეტი არაფერი. მეორე დღეს გვიანამდე ვიძინე და როცა ყველა მიღებული წამლის მოქმედებას თავი დავაღწიე, გამაოცა ჩემი შიშისგან დაფეთებული მეგობრების, და განსაკუთრებით ოლიას დანახვამ. „მთლად გალურჯებული იყავი, — მეუბნებოდა ის. — რა საშინელება იყო! მეგონა, რომ კვდებოდი“. იმ წუთებში მეც ასე მეგონა, მაგრამ გადავწყვიტე, ოლგა არ შემეშინებინა და ამაზე არ მელაპარაკა. მეგობრებს ექიმები მოჰყვნენ, შემდეგ კი ადგილობრივი ხელმძღვანელობა მოვიდა. თურმე, მოსკოვისთვის მოუხსენებიათ ყველაფერი და იქიდან მკაცრად ბრძანეს, ჩემი იქ ჩასვლა გადაედოთ და საავადმყოფოში დავეყოვნებინეთ. და აი, უკვე მთავაზობენ „სრულ და სერიოზულ გამოკვლევას“. ამას ასე, ორი-სამი კვირა დასჭირდება...“ არა, რას ბრძანებთ! ჩვენ უნდა წავიდეთ“, — ვფართხალებ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ისე გავები, როგორც ბუზი აბლაბუდაში, საიდანაც თავის დაღწევა არც ის იოლია.

ჩვენ უკვე გადავაცილეთ 20 მარტს, იმ დღეს, როცა მოსკოვში უნდა ვყოფილიყავი, რათა აშშ-ის საკონსულოდან ვინმესთან შეხვედრა მომეხერხებინა. ახლა უკვე არ ვიცი, როდის მოვხვდებით იქ. ექიმები აზვიადებენ ჩემს ავადმყოფობას, რადგან ნაბრძანები აქვთ, რომ აქ დ ა მ ა კ ა ვ ო ნ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი პირდაპირ საავადმყოფოს მთავარ ექიმს ურეკავს, აუწყებს მას, თუ რას ფიქრობენ მოსკოვში. მათი ზრუნვის საგანი ჩემი ჯანმრთელობა სულაც არაა: მათ უნდათ, რომ მოსკოვში არ გავემგზავრო!

მაგრამ ჩემი კარგი მეგობარი საიდუმლოდ მამცნობს, რომ გამოჰკითხა თავის მეგობარს, საავადმყოფოს მთავარ კარდიოლოგს, და მისგან გაიგო, რომ სერიოზული არაფერი მჭირს. უბრალო სპაზმია. ეს ნერვული დაძაბულობისგანაა. ამის შემდეგ, ჩვეულებრივ, მეორე დღეს შინ მიდიან. გმადლობ, მეგობარო! აქ ისეთი მეგობრები არიან, შიში ნუ გაქვს, არ დაიკარგები!

უცებ პალატაში ტელეფონის ზარის ხმა გაისმის — ჩემი ვაჟიშვილი რეკავს. მისი ხმა წელიწადზე მეტია არ გამიგონია. მაშასადამე, მოახსენეს, რომ მისი დედიკო სიკვდილის პირას იყო... უცებ საშინლად გავბრაზდი უფროსებთან მისი ასეთი სიახლოვის გამო და ვეკითხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი: „შენა, რა, ჩემს დასამარხად გაემზადე? ამის დრო ჯერ არ დამდგარა“. ის დუმს. ჩვენი საუბარი ამით მთავრდება. მე უკვე მისი არც ერთი სიტყვა არ მჯერა. რას ფიქრობს, რა აწუხებს? ახლა მასაც შემომიჩნენ, რათა აქედან გამგზავრება გადამივადონ... მაგრამ არა, ერთხელ ის უკვე გამოიყენეს იმისთვის, რომ აქეთ გადმოვეხვეწეთ, თუმცა ეს მეტად აღარ გამოუვათ. ეს მასაც ესმის — და უკვე არ რეკავს.

რაკი კარგად ვიცი, სსრკ-ში ჯანმრთელობის დაცვა რასაც ნიშნავს, და როგორ შეუძლიათ თქვენი „მკურნალობა“ და „ბოლომდე მორჩენა“, — უკვე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ გავაღწიო ამ საავადმყოფოდან. წარმოუდგენლად ბევრ წამალს მაძლევენ, მათგან თავი მისკდება და დამატებით ყოველგვარ გამოკვლევასა და ცდებს მთავაზობენ — ყველაფერი ხომ ზედმიწევნით უნდა დავადიგნოთო. მე წინაღმდეგობას ვუწევ, მაგრამ მხარდაჭერა მაკლია. მათ ვპირდები, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ აქ მოვალ გამოკვლევაზე... არავინ მიჯერებს, და ძალა არ მყოფნის, რომ ისინი დავარწმუნო.

არადა, თბილისში უკვე გაზაფხულია. ჩემს მაგიდაზეა მუქ-იისფერი იების თაიგულები, რომლებიც ქუჩებში იყიდება. როგორ უყვართ საქართველოში ყვავილები! ქალიშვილებს, ჭაბუკებს, მოწიფულთ, ხანდაზმულთ ყოველთვის ყვავილები უჭირავთ ხელთ. მე ვიცი, რომ ქუჩებში ახლა გაზაფხულია, და ძალიან მინდა აქედან, საავადმყოფოდან გასვლა.

...კვირას ექიმები, მორიგეების გარდა, არ არიან. მე ხალათჩაცმული გამოვდივარ დერეფანში სასეირნოდ და აქეთ-იქით ვიყურები.. მედდები ცოტანი არიან. მწიფდება უგუნური აზრი... თქვენ დამაცათ. ჩემი გული ჯერ მუშაობს!

ღიმილს ამ ქვეყანაში მთების დაძვრა შეუძლია. კაბას და პალტოს ვიცვამ, ჩემს ჩანთას ვიღებ და დერეფანში ისე გავდივარ, ვითომ არც არაფერი. შინ მივდივარ და ყველას ჰგონია, რომ ა ს ე ა ს ა ჭ ი რ ო. მთავარია, იღიმებოდე, და მეც ვიღიმები. არავინ არაფერს მეკითხება, პასუხად მიღიმიან ყველანი — მედდები, მომვლელები, ხალათიანი პაციენტები. განსაკუთრებული არაფერი ხდება. ადამიანი შინ გაუშვეს.

ქვევით, შემოსასვლელთან, მოხუცმა შემომხედა. საუკეთესოზე საუკეთესო ღიმილი შევაგებე. პასუხად მის თეთრ ულვაშსაც ღიმილი დაეფინა და ფართოდ გამომიღო კარი. ისე გამოვიდა, რომ სიხარულისგან ყველაფერი დამავიწყდა. არავინ მომდევს. ყველაფერი რიგზეა. მშვიდად უნდა ვიარო, თითქოს ყველაფერი ასე უნდა იყოს. ასეც მოვიქეცი, გაზაფხულის სურნელის მფრქვეველი ხეებიანი ეზო გადავჭერი. მღელვარებისგან, ყოველივე იმისგან, რაც გადავიტანე და დამბანგველი, გამაბრუებელი წამლებისგან მუხლები მეკვეთებოდა. არაფერია, ამ კუთხის უკან ტროლეიბუსი დგას, — და აი, მე უკვე სალონში ვზივარ და ჩვენი გარეუბნის მიმართულებით მივეშურები...

მალე, ტოროლასავით ბედნიერი, შინა ვარ, და ვურეკავ ოლიას, რომელიც თავის მეგობრებთან — მასწავლებლებთანაა. მათ ვერაფერი გაუგიათ, იცინიან და მილოცავენ საავადმყოფოდან თავის გამოხსნას.

შემდეგ ერთ ჩემს დაქალს, თეატრალური ინსტიტუტის მასწავლებელს, ვურეკავ და მისხალ-მისხალ ვუსურათხატებ, როგორ გამოვაღწიე იქიდან.. მას სიცილი აუტყდება, დიდხანს, დიდხანს იცინის, შემდეგ ამბობს: „ყო-ო-ჩაღ!“ ეს კი საქართველოში კაი ყმის საუკეთესო შექებაა. და მე სიამაყისგან ვიფუყები.

●

ოლიას ბიცოლა მარჯ ხაიაკავამ დამირეკა იმის გასაგებად, თუ რა მოხდა: დათქმულ 20 მარტს მოსკოვში ამერიკის საკონსულოს თანამშრომლებმა სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ ვერ გვიპოვნეს. მათ ავუხსენი, რაც მოხდა და აღვუთქვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იქ ვიქნებით ერთი კვირით გვიან, 27 მარტს.

ახლა ჩვენი შეჩერება უკვე არაფერს შეეძლო. ინგლისში ოლიას გასამგზავრებლად საჭირო დოკუმენტები უკვე გაფორმდა და მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა. ის მიემგზავრება როგორც „საბჭოთა მოსწავლე", ლონდონში დახვდებიან საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები და მეორე დღეს მიიყვანენ სკოლაში, საფრონ უოლდენში — ესექსში. ის მიემგზავრება როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პიროვნება.

ჩემი საქმისა კი არაფერი ვიცით. თავად უნდა ჩავიდე მოსკოვში და სსრკ-დან ჩემი გასვლის უფლების მოსაპოვებლად ყველა ბარიერი იქ უნდა გადავლახო. მადლობა ღმერთს, ამხანაგი X სუკიდან უკვე არ მირეკავს: შესაძლოა, ჩემი საკითხი გორბაჩოვის მიერ ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილია და ამხანაგი X, იქნებ, ამიტომ არ მირეკავს?

სსრკ-ში, სამწუხაროდ, ჯერ არ არსებობს ქონების გადაზიდვისა და შენახვის სააგენტოები. ვერ გამოიძახებ, მისამართს ვერ მისცემ, ვერ ეტყვი, რა როდის და საით წაიღონ. ყველაფერი თვითონ უნდა გააკეთო. ამიტომ თბილისში ჩვენ ზუსტად მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ოლგა წავიდოდა და, როგორც ჩვენ ვგეგმავდით, სსრკ-ში უკვე აღარ დაბრუნდებოდა, ზაფხულში კი არდადეგებზე აშშ-ში, ვისკონსინში გაემგზავრებოდა, საითაც მინდოდა გადამეგზავნა ჩემი რაღაცებიც, თუკი, რასაკვირველია, სსრკ-დან გაღწევას შევძლებდი. მაგრამ არ ვიცოდი, ერთად შემეკრა თუ არა სხვა ყველაფერიც: ქაღალდები, წიგნები, უამრავი ძველი საოჯახო ფოტოსურათი, რომლებიც ჩემმა ბიძაშვილებმა მომცეს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ყველაზე აუცილებელ რაღაცებს მოვუყარე თავი, მაგრამ ბევრი რამ თბილისში დარჩა. ვიმედოვნებდი, იქნებ მომავალში მომეხერხებინა ყველა ჩემი პირადი ქაღალდისა და წიგნის გადაგზავნა. (ეს დიდი შეცდომა აღმოჩნდა: ჩვენ ჯერჯერობით ვერა და ვერ შევძელით სსრკ-დან ჩვენი პარადი ქაღალდებისა და წიგნების მიღება, თუმცა საბჭოთა საკონსულო მხოლოდ ამას წინათ შეგვპირდა, „ამ საქმეს ხელს მოვკიდებთო").

მაშ ასე, თბილისში ჩვენი ბინა ისეთივე სახითაა დატოვებული, როგორიც იყო მაშინ, როცა იქ ვცხოვრობდით. რაიმეს გადაწყვეტა შეუძლებელია, ვიდრე სსრკ-დან ჩემს გასვლაზე ზუსტი პასუხი არ მოუციათ; რასაკვირველია, მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლას—როგორც ეს X-მა მირჩია, — ქვეყნიდან გასვლაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი არ ვაპირებდი. კონფლიქტი მთავრობასთან? ან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან? ეს მეორე გაცილებით უფრო საშიში იყო. „გახსოვდეს შენი ძმა", გაიხსენე ის და მისი ხვედრი. არა, არა, მოითხოვე, „ირეკდე — და განგელოს!" და, ვიდრე გონს მოსულან, გააღწიე აქედან, მიჰყევი ოლიას. მე ხომ აქედან მას გავყავარ, ის მერეკება.

ოლია კი ახლა თავის უამრავ მეგობარს ეთხოვება და ტირის. სკოლის გარდა, რომელიც მის თავზე იმ ნაჯახივით ეკიდა, რომელიც მზად იყო ჩამოსავარდნად, მთელი მისი ცხოვრება აქ, საქართველოში, მისთვის მეგობრობისა და სიყვარულის ზეიმი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ის, როცა ხელები შემოხვეული აქვს პატარა პეკინეზე (ინგლ. — პეკინელი, პეკინური; პატარა მოკლეფეხებიანი და ცხვირაპრეხილი ძაღლი, აქვს ნაზი ბეწვი — მთარგმნ.), ჯერ კიდევ ლეკვზე, რომელიც აჩუქა ქართული ენის მასწავლებელმა, ვინც ახლა მასავით ტირის. ისევე, როგორც თარჯიმანი ნატაშა, ისევე, როგორც ცხენოსნობაში მისი მწვრთნელი ზურაბი, ისევე, როგორც ლეილა, ლევანი, კოტე, გიორგი და ყველა დანარჩენიც...

მათ არ იციან, როგორ მეფლითება გული იმით, რომ ამ მიწას ვტოვებ. გაზაფხულის უკანასკნელ დღეებში ბევრს დავდიოდი ქალაქში, ავდიოდი მამადავითის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთაზე, სადაც დაკრძალულია ჩემი დიდედა, ვიჯექი მისი საფლავის ახლოს, სადაც ასეთი სიმყუდროვე და სიჩუმეა... დიდედაჩემმა შეძლო თავისი საცოდავი ცხოვრება ბოლომდე ღირსეულად გაელია. მე კი რატომ არ შემიძლია ჩემი გზის პოვნა? რწმენის გზისა, მისი — მაშვრალი ქალის, ქვრივის, დედის, მოკრძალებული დედაბრის—გზა რომ იყო, ისეთისა. როგორ მშურს მისი, როცა ვდგავარ აქ, მთაზე და ვიყურები ძირს, ქალაქისკენ, რომელთანაც დაკავშირებულია ბედი მთელი ჩემი ოჯახისა, ახლა კი ჩემი უმცროსი ამერიკელი ქალიშვილისაც... რა წრეებს გავდივართ ჩვენ, როგორც პიერ გიუნტი, უკან, სიყვარულისკენ დაბრუნებისას... ჰოდა, რატომ გავრბივართ აქედან?

. პოეზიაში ყველაფრის პასუხს იპოვი, და კარგი პოეტი, ჩემი მეგობარი, წერდა:

Аленушка! Попомни братца!
Не возвращайся, никогда.

მე არაფერს ვეუბნები პატრიარქს, რათა გული არ ვატკინო. ის ყველაზე ბრძენი იყო, რადგან იცოდა თუ როგორ უნდა მეცხოვრა. „ხელი მოჰკიდეთ უბრალო სამუშაოს, ოღონდ სულიერი მნიშვნელობით. მიდით საავადმყოფოში, ბედკრულებთან, რომლებსაც ყურადღება და სიყვარული სჭირდებათ. შესწირეთ მათ თქვენი თავი, მიეცით სიყვარული. ეს თქვენ შეგიძლიათ. ახლა ყველაფრის აზრი ესაა. თქვენ ვერც ერთ სხვა სარბიელზე წარმატებას ვერ მიაღწევთ იმიტომ, რომ სხვა ყველაფერი ამაოებაა და ის სხვაც თქვენ არ გჭირდებათ. თქვენ იმდენი ამაოება გამოიარეთ. ახლა სულიერად იცხოვრეთ!“

მე ვფიქრობ, რომ ეს იყო ჩემთვის მრავალი წლის მანძილზე მოცემული საუკეთესო რჩევა. არ ვიცი, შესაძლებელი იყო თუ არა ამის განხორციელება როგორც საქართველოს, ისე მოსკოვის პარტიული ორგანოების, და ამას დამატებული, სუკის ზედამხედველობის ვითარებაში, მაგრამ ეს იდეა კი შესანიშნავი იყო და იქნებ სადმე, როდესმე შევძლო კიდეც ჩემი ამ დიდი ხნის ოცნების ხორცშესხმა. შესაძლოა, შევძლო ერისკაცური ცხოვრებისგან მთლიანად განდგომა, ნიადაგ ლოცვა, სნეულთა და მომაკვდავთა დახმარება და სიცოცხლის მიწურულს მაინც ისე ცხოვრება, რომ ჩემი თავისა არ მრცხვენოდეს. შესაძლოა, სწორედ „კავკასიის კედლის იქით“ მქონდა ამის წუთიერი შესაძლებლობა, მაგრამ თუ რამდენად შეიძლებოდა მისი განხორციელება პრაქტიკაში — საბჭოთა პრაქტიკაში, — ძნელი სათქმელია.

ალბათ, მისი განხორციელების შესაძლებლობა ნაკლებ სარწმუნო იქნებოდა პატრიარქის მხრიდან პირდაპირი მხარდაჭერის შემთხვევაშიც კი.

მე არ მინდოდა ის მექცია ჩემი გამგზავრების „თანამონაწილედ“, ამიტომ მისთვის არაფერი გვითქვამს. მხოლოდ უკანასკნელად წავედით ლოცვაზე სიონში, სამი საათი ვიდექით ლიტურგიაზე, შემდეგ მივედით მასთან — ნელა მოძრავ მასასთან ერთად — ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ვემთხვიეთ ჯვარს, მირონი გვცხეს, შემდეგ კი, წესისამებრ, ნაკურთხი წყალი გვასხურეს. პატრიარქმა ოლია იცნო და ქართულად ჰკითხა, როგორაა საქმეებიო, და ოლიამ ქართულად უპასუხა, რის შემდეგაც პატრიარქმა მას ალერსით გადაუსვა თავზე ხელი.

არ გვეწერა, არ გვეწერა როგორც საჭიროა, ისე ცხოვრება. ვის უწერია ეს ხვედრად? რამდენი ახერხებს ამას? მხოლოდ რჩეულთა მცირე ნაწილი. და მე მათ რიცხვში არა ვარ.

## მოსკოვი წყვეტს

და, აი, ჩვენ ისევ ლენინგრადის პროსპექტზე, სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ ვართ. თვრამეტი თვე გავიდა იმ დღიდან, რაც აქ მოვედით აეროპორტ „შერემეტიევოდან“. მაშინ აღსავსე ვიყავი „ოჯახთან შეერთების“ იმედებით, ოლია კი, პირიქით, შიშით ფიქრობდა იმაზე, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველოდა. ახლა მე შეძრწუნებული ვფიქრობ და ვფიქრობ, როგორ გავაღწიო აქედან რაც შეიძლება ჩქარა, ის კი ჯერ კიდევ თვალცრემლიანია თავის ქართველ მეგობრებთან დამშვიდობების შემდეგ... და ა რ ა ფ ე რ ს, რასაც ვიმედოვნებდი, რასაც ვგეგმავდი, ხორცი არ შესხმია.

სასტუმროში ორი ჩვენი ძველი ნაცნობი დაგვხვდა. კართან შვეიცარი სახეგაბადრული გველოდა, რეგისტრატორმა ქალმაც ღიმილი შემოგვაგება. მაშინ უფასო ოროთახიანი ლუქსი გვქონდა. ახლა წინასწარ გადავიხადეთ ერთოთახიანი ორსაწოლიანი ნომრის საფასური. მაგრამ, როგორც ძველ ნაცნობებს, ნება დაგვრთეს, ოთახში გვყოლოდა ჩვენი პეკინეზი მაკუ — ეს იყო გაუგონარი დარღვევა კანონისა, რომელიც ღაღადებს: „უცხოველებოდ". ყველას უნდოდა მაკუს მოფერებოდა, ერთი ციცქნა იყო — ცინდლისხელა. ჩვენს ნომერში მოტანილი საჭმლის ნარჩენებით ვკვებავდით, სეირნობით კი აბაზანის კაფელის გაზეთდაფენილ იატაკზე სეირნობდა. ასე ვიცხოვრეთ აქ კიდევ ოცი ხანგრძლივი და მძიმე დღე-ღამე.

მე ჩამოსვლისთანავე ჩავედი ქვევით, ფოსტაში და გორბაჩოვს გავუგზავნე დეპეშა ჩაბარებაზე შეტყობინებით. ვეკითხებოდი, მიიღო თუ არა ჩემი წერილები და როგორია პასუხი.

მალე მივიღე შეტყობინება: „დეპეშა ჩაბარდა ადრესატს". არა უშავს, ერთი ბარიერი აღებულია. ვნახოთ, ამის შემდეგ რა იქნება.

მეორე დღეს კარზე მოგვიკაკუნეს და ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე წარმოგვიდგა ელეგანტური, ახალგაზრდა, საქმიანი ამერიკელი ქალი — აშშ-ის საკონსულოს წარმომადგენელი. მან სიცილ-სიცილით გვაუწყა, რომ ახლა სასტუმროში იმყოფებოდა რამდენიმე ამერიკელი „მშვიდობისთვის მებრძოლი" და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მათთან მიდიოდა, თანაც, ის უნდა მ ი ხ ვ ე დ რ ი ლ ი ყ ო, თუ სად იყო ჩვენი ნომერი, და ეს შეძლო! ჩვენ ვიცნობდით, ის მაკუს ეფერებოდა, ამბობდა, ცხოველები მიყვარსო, — და უცებ ისე კარგად ვიგრძენით თავი, როგორც შ ი ნ...

ჩამოვსხედით, რათა გაგვერკვია ყველა ფორმალობა, რაც საჭირო იყო იმისთვის, რომ ერთი წლის წინათ ვადაგასული პასპორტის ნაცვლად ახალი პასპორტი მიმეღო. და ის გაოცა იმან, რომ ხელთ აღმომაჩნდა ყველა უმნიშვნელოვანესი ქაღალდი: ნიუ-ჯერსის ფედერალური სასამართლოს მოწმობა, რომელშიც ფაქტი ჩემი ნატურალიზაციისა აღნიშნული იყო ნომრებით, თარიღებითა და ფორმალობებითურთ. აუცილებელი ფორმები შევავსეთ.

ჭოჭმანით ვკითხე, შესაძლებლად თვლიდა თუ არა ჩემს დაბრუნებას აშშ-ში, თუკი გაითვალისწინებდა საშინელ პრესას, რომელიც შარშან ჩემზე მონაჩმახებს აქვეყნებდა. განსაკუთრებით გამოყავი ჩემი ძველი არაკეთილისმყოფელის პატრიცია ბლეიკის სტატია ჟურნალ „თაიმში". მაგრამ გაიცინა და შენიშნა, რომ ჩვენი დაბრუნება იქ სულ სხვა, კარგ პრესას შექმნიდა და მე ნამდვილად არ უნდა დავეჭვებულიყავი იმაში, რომ აშშ-ში დავბრუნდებოდი.

მაინც ვკითხე, იყო თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ დავრჩენილიყავი შვეიცარიის ფრანგულ ნაწილში, სადაც სტუმრად ვიყავი 1967 წელს და ვერა და ვერ ვივიწყებდი წ მ ი დ ა წ ვ ე ვ ი ს მონასტერს ქალაქ ფრიბურგში. ო, როგორ ვისურვებდი იქ სამუდამოდ დარჩენას და აშშ-ში პრესასთან და გამომცემლებთან ახალი შეხვედრების თავიდან აცილებას... მან თქვა, რომ შეუძლია ეს ჰკითხოს მოსკოვში შვეიცარიის საელჩოს. გავაფრთხილე, რომ მე ჯერ არ მქონდა სსრკ-დან გასვლის ნებართვა. „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ დაგეხმაროთ, — გულთბილად მითხრა წასვლისას. — გაამზადეთ ახალი ფოტოსურათი თქვენი პასპორტისთვის".

როცა ის წავიდა, მე ჩუმად ვიჯექი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერ ამას ვერ ვიჯერებდი. ოლია კი ამ შეხვედრამ შესამჩნევად გაამხიარულა: რამდენიმე ამერიკულმა ხუმრობამ ძალიან გაამხნევა. და მეც უცებ ვიგრძენი რაღაც თბილი სიო იქიდან, ოკეანის გაღმიდან, სადაც თითქმის ოცი წელი ვიცხოვრე... ჩვენმა სტუმარმა ოთახში კარგი სუნამოს სუნი და ის უჩინარი ატმოსფერო დატოვა, რომელიც თან სდევთ მ ხ ო ლ ო დ გარკვეული სოციალური დონის ამერიკელ ქალებს: მდიდრებს, კარგად და ლამაზად ჩაცმულთ, საუკეთესო კოლეჯებში განათლებამიღებულთ, — ასეთ დაბანილთ, ასეთ ხალისიანთ, ასეთ თადარიგიანთ და ს ა ქ მ ი ა ნ თ. რახანია არ შევხვედრივართ მათ! მე და ოლია ვისხედით და ორივენი ერთსა და იმავეზე ვფიქრობდით.

მოსკოვში არის ფოტოატელიეები, რომლებიც პასპორტებისთვის მომენტურ ფოტოსურათებს იღებენ, მაგრამ მე არ მინდოდა გასვლა ცენტრალურ რაიონებში, სადაც ის ფოტოატელიეებია. პატარა ფოტოატელიეებში, სადაც ჩემი გვარ-სახელი არავის აინტერესებდა (მათ გამოგონილი გვარ-სახელი ვუთხარი), შემპირდნენ, ექვს პატარა შავ-თეთრ ფოტოსურათს „ერთ კვირაში“ მიიღებთო. ისღა დამრჩენოდა, დავლოდებოდი.

●

შემდეგ მოულოდნელად დამირეკა ჩვენმა მეურვემ საგარეო საქმეთა სამინისტროდან. მან ყინულივით ცივი ხმით განმიცხადა, რომ ჩემი თხოვნა „დაკმაყოფილებულ იქნა“, და მე შემეძლო „საზღვარგარეთ გამგზავრებისთვის“ გამზადება.

„როდის აპირებთ გასვლას? — მკითხა მან. — გაფორმებას გარკვეული დრო დასჭირდება“.

„გმადლობთ, მაგრამ მე ჩემი ამერიკული პასპორტით მინდა გავიდე“.

პასუხად — სამარისებური სიჩუმე.

„მე მინდოდა მეორე დღესვე გავსულიყავი, როგორც ჩემი ქალიშვილი გაემგზავრებოდა“, — ვიჩქარე დამეზუსტებინა, რადგან მომეჩვენა, რომ ის ახლა ყურმილს დამიკიდებდა.

დასასრულ, პაუზის შემდეგ მითხრა: „კეთილი. ოღონდ მანამდე თქვენ ცენტრალურ კომიტეტში მიგიღებენ“.

●

ვვარაუდობდი, რომ ბოლოს და ბოლოს შევხვდებოდი გორბაჩოვს. მას იმ დროს თავი ჯერ არ ჰქონდა გამოჩენილი, როგორც საბჭოთა საზოგადოების პროგრესულ რეფორმატორს, მაგრამ მაინც „დიდი იმედების მომცემ“ ლიბერალად ითვლებოდა. ოღონდ, რამდენადაც პარტია, ეტყობა, მე ისევ მამაჩემის წარმომადგენლად მთვლიდა (მისი ცხოვრებისგან ჩემი სავსებით გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ცხოვრების მიუხედავად), მხოლოდ კონსერვატორთა ლიდერმა, ამხანაგმა ლიგაჩოვმა მიმიღო.

მძღოლმა გამიყვანა სტარაია პლოშჩადზე, როგორც ოდესღაც, როცა დიდი ხნის წინათ, ინდოეთში გამგზავრების წინ, აქ მიმიღო კონსერვატორთა სხვა ლიდერმა — სუსლოვმა. ღმერთო, ა რ ა ფ ე რ ი, ა რ ა ფ ე რ ი შეცვლილა! მაგრამ რატომ არასოდეს მწყალობს ბედი და რატომ უფრო პროგრესულ ლიდერებთან არ მიხდება საუბარი? რატომ და მხოლოდ იმიტომ, რატომაც მილოვან ჯილასს მე მხოლოდ პრინსტონში შევხვდი...

ისევე, როგორც ოცი წლის წინათ (1966-ში), უსიხარულო სიტუაცია იყო, ყველაზე ცუდ რამეზე ჰქონდათ ჩემზე ეჭვი, მე კი ისევ ცუდად მხდიდა ეს კედლები, ეს „კრემლის სტილის“ ხალიჩებდაფენილი უსულგულო დერეფნები. ეჰ, ეს ბავშვობიდან ნაცნობი „ხელისუფლების დერეფნები“... და როგორც მაშინ — ოცი წლის წინათ — ყოველ წუთში მიღვივდებოდა აქ სირბილის სურვილი და სულ უფრო და უფრო მიძლიერდე-

ბოდა იმის წადილი, რომ არაფერი ეს ამის იქით აღარ მენახა...

რომელ ცუდ ფილმში, რომელ მოწაფურ პიესაში შეიძლებოდა ყველა ფაქტისა და მოვლენის ისე შეწყობა, მიმარჯვება ერთმანეთთან, რომ ბოლო აქტში ზუსტად ისე განვითარებულიყვნენ. როგორც პირველში კრიტიკოსები იტყოდნენ: ასე არ ხდებაო! მაგრამ ჩემს ცხოვრებაში რომელიღაც ხუმარა დრამატურგმა ყველაფერი ისე ჩააწყო, რომ სცენაზე ისე მევლო, თითქოს ცარცით დახაზულ ხაზებს მივუყვებოდი. რა გაეწყობა, დიდი ხანია ჩემი როლი ვიცი. მათ კი თავიანთი იციან. არაფერი შეცვლილა.

ამხანაგი ლიგაჩოვი ჯმუხი კაცი იყო, მდაბიური სახე და ნაცრისფერი, ეშმაკური ტეტიური თვალები ჰქონდა, რაც ადამიანურ გრძნობათა მთელი შესაძლებელი გამიდან გამოხატავს მხოლოდ პიროვნების სიმტკიცეს. როგორც მიხაილ სუსლოვს მაშინ, ისე მასაც უჭირდა ჩემთან საუბარი, უჭირდა აშკარად არ ამოეთქვა თავისი რწმენა, რომ „სსრკ-დან გასვლა“ საბჭოთა ადამიანს მხოლოდ მაშინ შეეძლო, თუ ჭკუაზე შერყეული იყო. მისი წრის ადამიანები სწორედ ასე ფიქრობენ. მას უნდოდა ჩემგან გაეგო — რატომ. მე ახლაც ვიმეორებდი ყველაფერს, რაც გორბაჩოვს მივწერე, მდივანი კი სტენოგრაფულად იწერდა ჩვენს საუბარს.

„რა გაეწყობა, — თქვა მან, როცა მომისმინა. — სამშობლო უთქვენოდ გაძლებს. მაგრამ თქვენ როგორ გაძლებთ უსამშობლოოდ?“

ლიგაჩოვი ციმბირელი იყო და მე ძალიან მინდოდა მეკითხა მისთვის, რატომ მიატოვა თავისი მშობლიური ციმბირი და რატომ ზის მოსკოვში. მაგრამ ახლა უტაქტობებისთვის არც დრო იყო და არც ადგილი. გადავწყვიტე, მასთან არ მეკამათნა და ყველაფერი გადავყლაპე.

„მაინც, საით მიემგზავრებით აქედან?“ — მკითხა, თითქოს მათ ეს არ იცოდნენ. რაც შეიძლებოდა გულგრილად და სასხვათაშორისოდ მივუგე: „შეერთებულ შტატებში მივდივარ. მე იქ მრავალი წლის მანძილზე ვცხოვრობდი“. უსიტყვოდ მომაშტერდა. მეც გავჩუმდი.

„თქვენი საკითხი გენერალურმა მდივანმა გადაწყვიტა, — თქვა მან ერთხანს დუმილის შემდეგ. — წუხს, რომ პირადად ვერ შეძლო თქვენი მიღება“.

„მაგრამ თავი კარგად გეჭიროთ!“ — უცებ ზევით ასწია თითი. ეს სერიოზული კილოთი ითქვა, მუქარაგარეული ხმითაც კი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩუმად უნდა ვყოფილიყავი, ენაზე კბილი დამეჭირა, წიგნები არ უნდა მეწერა, ინტერვიუები არ უნდა მიმეცა... ასე ვთქვათ, უნდა გავუჩინარებულიყავი. წიგნებისა ყველაფერზე მეტად ეშინიათ. ეს მათთვის ყუმბარებზე უარესი რამაა. არაფერი შეცვლილა, არაფერი...

●

შინისკენ რომ მივყავდი, მძღოლს ვუთხარი, გერცენის ქუჩაზე ჩამოვესვი, და ფეხით გავუყევი გზას. ეს ჩემი უნივერსიტეტის ქუჩა იყო, რომელიც დაკავშირებულია ჩემი ახალგაზრდობისდროინდელ მოგონებებთან, როცა მეცადინეობების შემდეგ მივდიოდით კონსერვატორიაში — ის უნივერსიტეტის ძველი, მშვენიერი კაზაკოვისეული შენობიდან სულ რამდენიმე კვარტლითაა დაცილებული. ახლა ამ ქუჩასაც კი ვერ იცნობს ადამიანი: ყველაფერს ცვლიან, ანადგურებენ ძველი კლასიკური მოსკოვის ისტორიაზე მღაღადებელ მშვენიერ ნაგებობებს, აშენებენ რაღაც სისაძაგლეებს... სახეს უცვლიან ფასადებს, თითხნიან და ღებავენ, რათა „წესიერად“ გამოიყურებოდნენ. მაგრამ, არსებითად, ყოველი მხრიდან გამოშვერილი პარტიისა ლა უშიშროების კომიტეტის ვირის ყურების დამალვას ვერც კოკა-კოლა შეძლებს, ვერც ლურჯი ჯინსები, ვერც სპორტული ტანსაცმელი და ვერც ქურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკები. ტურისტებს უჩვენებენ „XVIII საუკუნის თვალწარმტაც პატარა ეკლესიებს“, კრემლში კი ტაძრები დუმან. მკვდარი, პარალიზებული, თავიანთი დუმილით ს ა შ ი ნ ე ლ ი ტაძრები... ეს დუმილი გაცილებით უფრო ხმამაღლა სდებს მსჯავრს, ვისაც და რასაც ჯერ არს, ვიდრე ყველასა და ყველაფრის „გარდაქმნის“ შესახებ ყველაზე მგზნებარე სიტყვები...

მე აქედან წასვლა მინდოდა, არაფერი მაკავებდა. არც სკოლისა და უნივერსიტეტის წლების ძველი ქუჩები, არც თვით კრემლი, სადაც ბავშვობა გავატარე. იქ ერთხელაც კი არ შემივლია. აქ სასიამოვნო არაფერი მაგონდებოდა. ამ უცნაურ, „თანადროულად“ შ ე ფ ე რ ა დ ე ბ უ ლ ქალაქში, მისი ძ ვ ე ლ ი არბატის ნაცვლად, შემაძრწუნებელი ახალი არბატითა და გადაკეთებული, დამახინჯებული კრემლითურთ, ჩემთვის მშობლიური არაფერი იყო.

„გადახნული სასაფლაო“, — თქვა ვიაჩესლავ ივანოვმა. „ძვირფას საფლავებს ვეღარ ვნახავ გადახნულ სასაფლაოზე“, ეს სიტყვები კვლავ მიტრიალებდა თავში მოსკოვში — დედაქალაქში, საჩვენებლად გამიზნულ ქალაქში, ქალაქში, სადაც უცხოელ დამთვალიერებლებს ასულელებენ, უსულო, უსიყვარულო ქალაქში და მეტიც — ქალაქში, სადაც სილამაზე არაა. ძველი მოსკოვის სილამაზის მოსპობისთვის ძალ-ღონე არ დაუზოგავთ — კრემლში ჩუდის მონასტრისა და მაცხოვრის ტაძრის აფეთქებით დაიწყეს, შემდეგ კი მიჰყვნენ და მიჰყვნენ... ახლა ახალი „მ ხ ა ტ ი ც“ კი ააშენეს — რაღაც სავსებით უაზრო პალაცოა, სადაც არც ჩეხოვის ჭაჭანებაა და არც სტანისლავსკისა... როგორ შეიძლება, „მ ხ ა ტ ი ს“ გადაკეთება? აქ ყველაფრის გ ა დ ა კ ე თ ე ბ ა შეიძლება, გ ა დ ა კ ე თ ე ბ ი თ შეპყრობილობას სამოცდაათი წლის მანძილზე წერტილი არ დაესვა... ვის მოუვა აზრად პარიზის „გადაკეთება?“ ან ლონდონისა? რაღაც სასწაულით, არჩევნებში კომუნისტების პარტიამ რომც გაიმარჯვოს და მთავრობა შეადგინოს, განა იქ ნოტრ-დამს ან ვესტმინსტერის სააბატოს ააფეთქებენ? მადლობა ღმერთს, მალე გავემგზავრებით.

## უკანასკნელი ბრძოლები

ამ რამდენიმე ბოლო დღეს კიდევ ბევრ წინააღმდეგობას წავაწყდით, მაგრამ ეს უკვე წვრილმანები იყო: ყველა ძირითადი საკითხი გადაწყვეტილი გახლდათ. ჩემი ფოტოსურათები ძლივს გადავეცი საკონსულოდან მოსულ მანდილოსანს — ახლა უკვე მას არ უშვებდნენ ჩვენს ოთახში. სხვა რა გზა იყო, მის ავტომობილს ქუჩაში დავხვდი და მასთან ერთად ქალაქში კარგა ხანს ვარტყით წრეები, რათა გვესაუბრა. რისთვისაა საჭირო ამ ბარიერების აღმართვა? უბრალოდ, იმისთვის, რომ ადამიანებს საძაგლობები გაუკეთონ, ნერვები დააწყვიტონ.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა: „ჩვენი პრინციპული პოზიცია ისაა, რომ თქვენს აშშ-ის პასპორტს არ ვცნობთ“. ამგვარად, მე ვერ მივიღებ ქვეყნიდან გასვლის ვიზას. როგორ გავაფორმებ ბილეთს? როგორ ჩავჯდები თვითმფრინავში? როგორ გავგზავნი ჩემს ბარგს?

ისევ საკონსულოს იმ თანამშრომელი მანდილოსნისთვის დარეკვა დამჭირდა. ის მეხმარება, რომ მივიღო კომპანია „სვისს ეირის“ ბილეთი ჯერ ციურიხში, იქიდან კი ჩიკაგოში ჩასაფრენად. ლონდონის გავლით ვერ გავფრინდები, რადგან ფინია მყავს ხელთ... დიდ ბრიტანეთში ცხოველების შეყვანის ნებას არ იძლევიან. მე სიამოვნებას მანიჭებს კვლავ, ისევე, როგორც 1967 წელს, შვეიცარიის კომპანიით ვისარგებლო ჩემი საბედისწერო გადაფრენისთვის — ყველა კვანძს ერთად ისევ ის ხუმარა დრამატურგი აკოწიწებს... ყველაფერი თითქოს მისი გეგმით ხდება. ისევ „სვისს ეირ“. ვახერხებ მოსკოვში ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპანიის დირექტორის ტელეფონის ნომრის მიღებას და ვურეკავ, ველაპარაკები. მას ესმის, რა ძნელია ფინიითურთ ფრენა — „მე თვითონაც ყოველთვის ჩემი შპიცითურთ (შპიცი — ფინია ძაღლის ჯიში — მ თ ა რ გ მ.) დავფრინავ“. კომპანია „სვისს ეირ“ მაუწყებს, რომ მე ფინია მუხლზე მეჯდომება, მაგრამ მუყაოს ყუთში უნდა ჩავსვა. მუყაოს ყუთს ფირმა მომცემს.

ყველაფერთან ერთად, ახლა იმაზე წუხილი მაკლდა, როგორ წავიყვანო ძაღლი! მაგრამ ოლია მე მიტოვებს და, რასაკვირველია, „მე უნდა“... მასთან კამათის თავი არა მაქვს. ყველაფერზე თანახმა ვარ — სისუსტისა და დაქანცულობის, აქედან მალე გაღწევის წადილის გამო, ამისთვის თუნდაც გველებით სავსე ხელჩანთიანადაც რომ მომიხდეს ფრენა.

ოლგა ვალოდიასა და სვეტასთან ერთად მიდის ვეტერინართან, რათა ჩვენს მაკუს სსრკ-დან გამგზავრებისთვის ყველა მოწმობა გამოუწერონ. მაკუ სავსებით ლეგალურად მიფრინავს. მისი ქაღალდები სამ ენაზეა შედგენილი: ქართულად, რუსულად და ინგლისურად — სსრკ-დან მისი გასვლა და ამერიკაში შესვლა აშშ-ის საკონსულოში „გააფორმეს“. მე კი ჯერ ისევ ვცდილობ გავარკვიო ჩვენს მფარველთან საგარეო საქმეთა სამინისტროდან, — რა უნდა ვქნა უვიზოდ, და ის, უკვე მთლად მოთმინებადაკარგული, იღრინება, ჩვენ ამაზე ვიზრუნებთო.

მე, როგორც კი ოლგა გაემგზავრება, მეორე დღესვე გავფრინდები. ეს გადაწყვეტილია.

საგარეო ვაჭრობის ბანკში, სადაც ვიყავი ერთი წლის წინათ, როცა აქ გადმორიცხეს ჩვენი ფული ინგლისიდან, ვხვდები ისევ იმ ქალს, მაშინ რომ მომემსახურა. მეგობრულად მეკითხება რაღაცებს და თავს აქნევს: „მწყინს, რომ ასეთ დღეში ჩავარდით. ახლა შვილები, გაიზრდებიან თუ არა, მშობლებს ზურგს აქცევენ. იმათგან დახმარებას არ უნდა ელოდო. ასეთი დროა“. ამას გულწრფელად და ალერსიანად ამბობს.

ესეც საბჭოთა მომუშავე ქალის ახალი ტიპია. კარგად აცვია, კოხტადაა დავარცხნილი, სწრაფად და საქმიანად აძლევს მითითებებს თავის ხელქვეითებს, ამავე დროს, სავსებით სანდომიანი და ქალურია. „ჩვენ სულ ინგლისის ბანკებთან ვმუშაობთ, — მეუბნება ის. — აი, ამერიკასთან ჯერ არავითარი ურთიერთობა არა გვაქვს. დარწმუნებული ხართ, რომ იქ კარგად მოგექცევიან?“ „ყველაფერი კარგად იქნება“. — ვპასუხობ მე, თუმცა სულაც არა ვარ დარწმუნებული ამაში. ვიცი, რომ ამერიკაში არახელსაყრელ პრესას ადამიანის მოსპობა შეუძლია, მე კი, ეტყობა, იქ ჩვენი არყოფნის დროს ძალზე ცუდი პრესა მქონდა. ჩვენი ფული გადავრიცხეთ ესექსში ოლიას სკოლის ანგარიშზე, და კემბრიჯში, ჩვენს უწინდელ ბანკში. ეს ბანკის თანამშრომელი ქალის გაკვირვებას არ იწვევს და ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს. რა კარგია ასეთ საქმიან, ცრურწმენებისგან თავისუფალ ქალთან ურთიერთობა! უსაზღვროდ მსიამოვნებს ჩემდამი მისი სიმპათია. გამომშვიდობებისას ხელს მართმევს და ყველა სიკეთეს მისურვებს. არც მანჭვები ყოფილა, არც გზის დალოცვები, არც სულელური პატრიოტული ლოზუნგები. გმადლობთ, ძვირფასო.

●

ამასობაში მე და ოლია ბოლო დღეებს ჩემს ბიძაშვილებთან — ალილუევებთან ვატარებდით. გრიშა მეტად არ გამოჩენილა. და არც მე ვეუბნებოდი რამეს ჩვენს სამზადისზე. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენს გამგზავრებას არ მოიწონებს. ამაზე არც იმ ჩემს ძველ მეგობრებს ვეუბნებოდი, ვისთვისაც ეს მხოლოდ ახალი შოკი იქნებოდა.

მაგრამ ერთი მათგანი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. რვა წლის ასაკიდან ერთ სკოლაში ვსწავლობდით და იმ დროი-

ბიბლიოთეკა

დან მეგობრები ვიყავით. შემდეგ ტრაგედია განიცადა, რომელიც ბევრს დაატყდა თავს: მისი მშობლები, დიდი გამომცემლობის მუშაკები, დააპატიმრეს. ის დეიდას ხელში დარჩა. სკოლაში სხვა კლასში გადაიყვანეს. შემდეგ ომი დაიწყო. ჩვენ მხოლოდ უკანასკნელ, მეათე კლასში შევხვდით ერთმანეთს. გარეგნულად ძნელად ვცნობდით, მაგრამ მაინც ისევ ისეთი ალერსიანი, ნაკითხი, ღრმად ინტელიგენტური ჭაბუკი იყო. მასში არასოდეს ყოფილა რაიმე ნეგატიური გრძნობები ჩემდამი იმის გამო, რაც მის ოჯახს დაემართა. მოსკოვში ჩემი მეგობრები როგორღაც მმიჯნავდნენ პ ო ლ ი ტ ი კ ი ს გ ა ნ: პოლიტიკას მე არ ვქმნიდი.

გადიოდა წლები და ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, როცა უკვე ოცდაათ წელზე მეტისანი ვიყავით. ის ცოლშვილიანი იყო, ორი შვილი ჰყავდა, მეც ორი შვილი მყავდა და მარტო ვცხოვრობდი. ის მოდიოდა და თავის შვილებზე მელაპარაკებოდა. ჩემთან მოვიდა 1968 წლის დეკემბერშიც, ინდოეთში წასვლის წინ. ბევრ რამეზე ყოველთვის, როგორც ერთმანეთს ძალიან მინდობილი მეგობრები, ისე ვლაპარაკობდით. როცა აქ ერთი წლის წინათ ჩამოვედით, სასტუმროში მოვიდა. ახლა უნდოდა სცოდნოდა, როგორ მიდიოდა ჩვენი საქმეები.

მე ყველაფერს ვეუბნებოდი. ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც მითხრა: „შენ ყოველთვის გონიერი ქალი იყავი. არ ვიცი, როგორ შეძლებდი აქ ცხოვრებას იმის შემდეგ, რაც უკვე შეეჩვიე ი ქ ა უ რ ყოფას... ძალიან მიხარია, რომ ნება დაგრთეს“. ძალიან გამახარა მისმა გულითადმა შექებამ. ხომ ვიცოდი, რომ სწორად ვიქცეოდი, მაგრამ აქ ეს ს ხ ვ ე ბ ს ვერ გაეგოთ.

„ჩემი კატია შვედს გაჰყვა, — მითხრა მან. — ახლა ინგლისურიდან და შვედურიდან თარგმნის. კარგი მთარგმნელია. გამომართვი მისი მისამართი და წერილი მისწერე — ისიც ხომ, ისევე როგორც შენი გოგო, კატიაა“.

მისამართი გამოვართვი და უკვე ორი წელია მიმოწერა მაქვს კატიასთან, რომელიც „ჩემი გოგო არაა“. რა კარგი და როგორი ძმური რამაა ეს. რამდენი ძმა მყავს! ყველა მეგობრობა, არსებითად, ძმობაა.

ის ახლა, ჩემსავით, სამოცი წლისა იქნებოდა. მაშინ კი, ბიჭობისას, ჩემსავით წითური და ჭორფლიანი იყო და ტყუპებს ვგავდით.

კატიას ინდოეთით გატაცება ოცი წლის წინათ დაიწყო. შემდეგ კარგად შეისწავლა ინგლისური და შვედური ენები და ახლა დიდ წარმატებებს აღწევს მისთვის უცნობ დასავლეთ ევროპის სამყაროში — მოგზაურობათა აგენტად მუშაობს. ახალი თაობა! ჩვენი თაობა ჩაკეტილი იყო. კატიას მამა საზღვარგარეთ არასოდეს ყოფილა. ის „გაუსვლელი“ იყო უშიშროების კომიტეტის თვალთახედვით, რადგან მისი მშობლები ოდესღაც დაპატიმრებულნი იყვნენ... არაფერი, არაფერი შეცვლილა. ამ საბჭოთა გ ე ს ტ ა პ ო ს, უდავოა, მხოლოდ მაშინ მიუჩენენ თავის ადგილს, — ან მას საერთოდ გააუქმებენ, — როცა შესაძლებელი იქნება საუბარი მთელი საბჭოთა ცხოვრების გ ა რ დ ა ქ მ ნ ა ზ ე. მხოლოდ მაშინ ვირწმუნებთ გარდაქმნას ჩვენ, ვინც ყოველგვარ დაპირებათა ვითარებაში და თითქმის ციხეში გავიზარდეთ. დ ი ა ო ბ ი ს დაპირებებით ჩემი მეგობრის გაბრიყვება არც ისე იოლი საქმეა. ცხოვრების ისეთი სკოლა გამოიარა, რომ მხოლოდ საქმეებს ერწმუნება და არა სიტყვებს.

როგორც ყოველთვის, დაძმურად გადავკოცნეთ ერთმანეთი, და დიდხანს ვაყოლებდი თვალს, ვიდრე ის — მაღალი, გამხდარი, ჭაღარა — სასტუმროს გრძელ დერეფანს მიუყვებოდა. მისი მ ო წ ო ნ ე ბ ა ჩემთვის დიდ რამეს ნიშნავდა.

გამოსათხოვარი წერილები მივწერე რამდენიმე მეგობარს თბილისსა და მოსკოვში... მათთან შეხვედრა არ მინდოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან დამიწყებდნენ დაყოლიებას არ წახვიდეო... მათ არ ესმით, არ იციან, რომ სავსებით სხვა სამყაროში ცხოვრებას ერთხელ თუ იგემებ, მორჩა, თვალს ველარ დაიბრმავებ. აქ მათი ცხოვრება ახლა, დილეგში რომაა, ისეთ ულიმღამო, შეზღუდულ რამედ მეჩვენებოდა.

...იური ანდრეის ძე ჟდანოვის ძველი მეგობრების დიდმა ჯგუფმა შარშან, ნოემბერში, სადილად მიმიწვია. მე მათ — ყველას — იმ დროიდან ვიცნობდი, რაც მეორედ გავთხოვდი. როგორც თვითონ იური ანდრეის ძე, ისინიც დიდად განათლებული ადამიანები იყვნენ — ინჟინრები, ფილოსოფოსები, მუსიკოსები, თეატრმცოდნეები, ფიზიკოსები, დიპლომატები და თავიანთ ქვეყანას წრფელად და ერთგულად ემსახურებოდნენ. სათავეში მყოფი პრივილეგირებული პიროვნებები კი არა, სერიოზულად მომუშავე ადამიანები იყვნენ. იმათგანნი, ვინც ცხოვრების სარჩოს შრომით შოულობს, და არა კარიერით საბჭოთა საზოგადოებაში, რომელიც ბევრწილად დიდ პროტექციებზეა დაფუძნებული. მათთვის გაუგებარი იყო ჩემი ცხოვრება, ჩემი ნებაყოფლობითი „ემიგრაცია". მათთვის, ვგონებ, მხოლოდ ჩემი დაბრუნება იყო გასაგები. და ისინი — ყველანი — მიესალმებოდნენ ჩემს დაბრუნებას, მოელოდნენ ამით ჩემს გახარებას, მუშაობაში ჩემს ახალ გეგმებს. რომელ მუშაობაში? განა ჩემს წიგნებს სსრკ-ში დაბეჭდავენ? ზოგიერთმა საფუძვლიანად განათლებულმა პარტიელმა წაიკითხა ჩემი „ოცი წერილი მეგობარს" და იმასაც კი მეუბნებოდნენ, რომ ისინი მას დაბეჭდავდნენ, გამოსცემდნენ სსრკ-ში. ისინი მაშინ მეკამათებოდნენ კიდეც, ცდილობდნენ გაეგოთ, რატომ მოვინათლე და რატომ მწამდა ღმერთი... ეს მათთვის მხოლოდ ინტელექტუალური განხილვა, დისკუსია იყო. სალამო მათთან გავატარე და წამოვედი მთლად ქანცგაწყვეტილი იმ უხილავი ბარიერებით, ჩვენს შორის რომ იყო აღმართული: ეს ბარიერები ყოველ წუთს, ყოველი ფრაზით უნდა გადამელახა. საბჭოთა ლოიალური ინტელიგენცია. რატომ არ იყო ბარიერები ჩემსა და ჩემს მეგობარ თანაკლასელს შორის? ძველ რუს ინტელიგენტ ფიოდორ ფიოდორის ძე ვოლკენშტაინს და მის წრესა და ჩემს შორის? მე მთელი ჩემი ცხოვრება უფრო ვიცხოვრე „სხვა მედოლის" ცხოვრებით, ვიდრე ამ დიდად წარმატებულმა საბჭოთა ინტელიგენტებმა. მაგრამ ჩემი ქალიშვილი კატია და ჩემი ვაჟიშვილი იოსიფი ახლა მათ რიცხვში არიან: ამიტომ აღიმართა ბარიერი ჩვენს შორის. მთელი საქმეც ესაა. არავითარი საიდუმლოება აქ არაა. დედაჩემი საფეიქრო მრეწველობის ინჟინერი არ გახდა, როგორც გახდნენ მისი ამხანაგები — მარია კაგანოვიჩი, ეკატერინა ვოროშილოვა, მარია ანდრეევა. არც მე მეწერა საბჭოთა სარბიელზე გაფურჩქვნა. „ალიონუშკა, გახსოვდეს ძმა. არ დაბრუნდე არასოდეს".

●

მოულოდნელად დარეკა ოლგას მამამ. თქვა, რომ სიქა გააცალეს რეპორტიორებმა, რომლებმაც უკვე იციან, რომ ოლია ინგლისში თავის სკოლას დაუბრუნდა. თან გამაფრთხილა, რომ იქ, აეროპორტში, მას ტელეკამერებიანი ბრბო დახვდებოდა. ახლა უჩვეულოდ გულისყურიანი იყო ოლიასადმი — და ეს მსიამოვნებდა. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ვიცოდი, რომ მისსის რაიტი შარშან, შემოდგომაზე გარდაიცვალა, და ვვარაუდობდი, რომ ახლა ვესს შეეძლო ისე ეცხოვრა, როგორც ნებავდა, ოლგასადმი მუდმივი, დესპოტური ძალდატანების გარეშე. ახლა, ეტყობა, გაცილებით უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს თავისი ქალიშვილის და საზოგადოების წინაშეც კი, როცა ამ თავის ქალიშვილზე ზრუნავდა. ეს კი მისთვის მნიშვნელოვანი რამ იყო, რადგან ამერიკაში ყველაფერი საზოგადოების თვალწინ კეთდება, და „სახე", რომელიც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებისთვის იქმნება, ცოტას არც ბიზნესის საქმეებში ნიშნავს. თუ შენს კარგ ხატს ვერ შექმნი — შენი კარგი ბიზნესის იმედიც ნუ გექნება. ესეც შტატებში ცხოვრების წლებში გავიცნობიერე.

მაშასადამე, ჩემს ოლიასაც მოუწევს ტელეკამერების წინ გარჯა. ეს მას მშვენივრად გამოუვა! ბუნებით მსახიობია და საზოგადოება უყვარს. მასში ეს ამერიკული, კალიფორნიულია.

ამ დარეკვის შემდეგ უეცრად დამაყარეს და დამაყარეს კითხვები მოსკოვში აკრედიტებულმა საზღვარგარეთელმა კორესპონდენტებმა: „ალბათ, „ნოვოსტის“ სააგენტომ აუწყა მათ, რომ ჩვენ ჩამოვედით“, — ვიფიქრე ჩემთვის. პრესისგან დაფარულ საბჭოთა საზოგადოებას მსოფლიო პრესის გამოყენების საწინააღმდეგო არაფერი აქვს — ოღონდ მაშინ, როცა სჭირდება და ეს, რასაკვირველია, „პროგრესია“. ახლა — გორბაჩოვის დროს — ქუჩაში გამვლელებისგან იღებენ ინტერვიუებს, მთლად ისე, როგორც ლოს-ანჟელესში ან ნიუ-იორკში.

დავადასტურე, რომ ოლია ინგლისში მიდიოდა, მე კი — აშშ-ში. მაგრამ არ მითქვამს — როდის. ამდენი ორომტრიალი ისედაც თავს გადამდიოდა. მათ კი ყველაზე მეტად ოლგა აინტერესებდათ: როგორ გადაიტანა მთელი ეს ფათერაკები „ჩვენმა ამერიკელმა გოგონამ?“

დავურეკე ჩემს ძველ ნაცნობს ვისკონსინში, სწორედ იმ სპრინგ-გრინში, სადაც გათხოვილი ვიყავი ამ თექვსმეტი წლის წინათ და სადაც მოგვიანებით ასე შეუყვარდა ყოფნა ოლგას. ის ჩემი მეგობარი ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მთავაზობდა იმ მხარეში ძველი, დანგრევის პირამდე მისული ფერმის გვერდით პატარა სახლის დაქირავებას. მას ვუთხარი, რომ აშშ-ში ვბრუნდებოდი და ვკითხე, შეიძლებოდა თუ არა იმ სახლის დაქირავება საზაფხულოდ, თუნდაც ზაფხულის პირველ თვეებში. ეს არც ძალიან გაჰკვირვებია: ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა უფრო ხშირად ვყოფილიყავით ვისკონსინში და, იქნებ, საერთოდ გადავსულიყავით იქ. ეს ძალზე ძლიერი იდეა იყო ინგლისში გადასვლის ჩვენეული არჩევანის წინ... მან დამარწმუნა, რომ ჩიკაგოს აეროპორტში დამხვდებოდნენ და მე და ოლგას შეგვეძლო ზაფხული ფერმაში გაგვეტარებინა. „შემდეგ კი თქვენ თვითონ გაერკვევით, რა უფრო მოგცემთ ხელს“. განსაჯა მისთვის ჩვეული მშვიდი პრაქტიკულობით. ოდესღაც, მაშინ, როცა მე და ვესს ვისკონსინში პატარა ფერმა გვქონდა, ეს კაცი წარუმატებლად ცდილობდა ფერმებიდან დაგვხმარებოდა. ჩემმა ქმარმა და გერმა მაშინ უარყვეს მისი კარგი, არაავანტიურული, საქმიანი წინადადებები, რის შედეგადაც ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წამოწყებები ჩაფლავდა... მაგრამ ის ჩვენს ერთგულ მეგობრად დარჩა და კვლავ ვარაუდობდა, რომ მე და ოლია ამ მხარეში ცხოვრებას განვაგრძობდით.

ჰოდა, მგონი, შეიქმნა ამ ცდისთვის შესაფერისი ვითარება. თანაც, ფინანსური თვალსაზრისით ჩემს თავს ვერც პრინსტონში, ვერც კალიფორნიაში ჩასვლის უფლებას ვერ მივცემდი. აქ, აშშ-ის შუა დასავლეთში, თანაც იმ რაიონში, სადაც ბევრს ვიცნობდით, ჩვენთვის საუკეთესო ადგილი იყო ცხოვრებისა და ბოლო წლების მანძილზე მოყენებული ტკივილების მოსარჩენად. მასთან საუბრის შემდეგ უცებ ვიგრძენი, რომ თითქმის არავითარი სიძნელე არ რჩებოდა.

„გაზაფხული ხომ ახლა იწყება,—თქვა მან. — არადა, თქვენ ამ მხარეში გაზაფხული ხომ არასოდეს გინახავთ?“ ხედავთ, თურმე რაზე ფიქრობს! რა დიდებული რამაა, რომ ადამიანები ფიქრობენ ბუნებაზე, მისით სულდგმულობენ წლიდან წლამდე... ფერმერი კი არა, ბიზნესმენი, მენეჯერი და ლანდშაფტთა დაგეგმვის არქიტექტორიც კი იყო. მამამისი ოდესღაც აქ ფერმერი გახლდათ. ოთხმოცი წლის დედამისი, დაქვრივების შემდეგ, ოჯახის უფროსი გახდა. ისინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველანი — ჯანმრთელი, ძვალმსხვილი, ძალზე გულღია ადამიანები არიან. ყოველთვის კარგად ექცეოდნენ ვესს, მის პირველ ოჯახს, შემდეგ კი მეც. „იყიდეთ მიწა! იყიდეთ მიწა!" — სულ ამას მირჩევდა, როცა ჯერ კიდევ შეეძლო რაღაცის ყიდვა. მაგრამ ჩემი პრინსტონელი ბანკირები და მრჩევლები ვისკონსინს უყურებდნენ როგორც „ყველისმკეთებელ ყრუ პროვინციას", სადაც ჩვენ არაფერი გვესაქმებოდა... როგორ შეტრიალდა ყველაფერი! როგორ შეიცვალა ფასეულობები! როგორ გვჭირდება ჩვენ ახლა სახელდობრ ეს — თავდავიწყება და სიმშვიდე ბუნებაში!

●

უცნაურია, უცნაურია ყოველივე ამაზე ფიქრობდე მოსკოვის სასტუმროს ნომერში, დივანზე წამოწოლილი, როცა ფინია მაკუ გყავს ჩახუტებული. მაგრამ ჩემს ცხოვრებაში უკვე ვ ე რ ა ფ ე რ ს უწოდებ უცნაურს. ცხოვრების ახალი ფურცლები წინ იყო. ახალი მოსახვევი— რისთვის? საით? როგორ მოხდება ის? და საერთოდ, ხომ არ დავკარგავ თავგზას?

ოლგა მხარს მიჭერს ოპტიმისტური განწყობილების შენარჩუნებაში. ის უკვე მზადაა გზაზე დასადგომად, ყველაფერი ჩალაგებული აქვს და ბედნიერია. წარმომადგენლობიდან ქართველმა მეგობრებმა მიხაკების უშველებელი თაიგული მოართვეს. მის აეროფლოტის ბილეთზე აღნიშნულია: „მისის ოლგა პიტერსს" და ის ამის გამო სიცილით ბჟირდება. ეჰ, სულ ერთია. მისის პიტერსი, საბჭოთა მოქალაქე, მიემგზავრება ინგლისში, მიდის ესენკეს კვაკერთა სკოლაში. როგორც კი გადაკვეთს საზღვარს, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა ეს სისულელე მნიშვნელობას დაკარგავს და ის ამერიკელ მოსწავლედ გადაიქცევა.

ოლგას აეროპორტში აცილებენ „შესანიშნავი რაინდები" — ბიძიკო ალილუევები. ყველანი ერთად მივდივართ და ველოდებით მას, ვიდრე თვითმფრინავში ჩასვამენ. როცა ის აფრინდება, ცუდ გუნებაზე ვდგებით, განსაკუთრებით მე. აქ უმისობა სავსებით არაბუნებრივი რამაა და ეს ჩემს ისედაც ქანცგაცლილ ძალებს აღემატება.

ჩემს დეიდაშვილებს ჩემთან, სასტუმროს ნომერში ვეპატიჟები და უკანასკნელად ვახშმობთ ერთად... ყველანი როგორღაც მძიმე დღეში ვართ. მე ვეხვეწები მათ, რომ ხვალ არ მოვიდნენ ჩემს გასაცილებლად — უარესად გავხდები. ხუმრობით ვეუბნები, მთლად მარშაკისებურად ვეუბნები:

„სურათი, გოდორი, კოლოფი და ფინია". ვცდილობდით გაგვეცინა, მაგრამ ვერ ვახერხებდით.

ჩემი დეიდაშვილები ძალიან კარგები არიან, ისინი მაგონებენ დეიდაჩემ ანას — და ძია პავლუშას, მის ძმას... მ ე მ ა თ თ ა ნ ე რ თ ა დ ვ ა რ ო ჯ ა ხ შ ი — ისე, როგორც ბავშვობაშიც არ ვყოფილვარ. ისინი გულისყურით გვექცეოდნენ, ჩემთვის ძველი ფოტოსურათების მთელი დასტა ამოქექეს, იშვიათად გულთბილნი იყვნენ ოლიასადმი, მაგრამ, ჩემი აზრით, ესმოდათ, რომ ჩვენ აქ ვერ ვიცხოვრებდით. ტაქტიანად დუმან და „მწვავე კითხვებს" არ სვამენ. ვცდილობ დავუსურათო მათ ცხოვრება, რომელიც მელის ვისკონსინის სოფლურ დასახლებაში. ყველანი გაოცებით მისმენენ... ამერიკა აქ უცნაური ცათამბჯენების ქვეყნად ესახებათ, მეც ასე ვფიქრობდი, სანამ ოცი წლის წინათ ნიუიორკში ჩავიდოდი. ჩემი დეიდაშვილები სასიამოვნონი, ლამაზნი, მომხიბვლელნი არიან. და მათ ველარასოდეს ვნახავ. მაგრამ ერთად გატარებული ამ ბოლო დღეების ხ ს ო ვ ნ ა ს შევინახავ.

რუსულიდან თარგმნა
**ჯუმბერ თითმერია**

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია სულაბერიძე

# ლია სტურუას შემოქმედების ზოგიერთი მხატვრული თავისებურება

სამოცდაათიანი წლების ქართული პოეზია შემოქმედებითი ძიებებით ხასიათდება. ქართული სალიტერატურო კრიტიკის წარმომადგენლები ამ პერიოდს უკავშირებენ ქართულ პოეზიაში ვერლიბრის დამკვიდრებას. ადამიანი და, მით უმეტეს, პოეტი არ არის მხოლოდ ინდივიდი, რომელიც საკუთარი ცხოვრებით იფარგლება. ის თავისი ეპოქისა და თანამედროვე საზოგადოების სულისკვეთებით ცხოვრობს. სწორედ თავისუფალი ლექსის განვითარების თავისებურმა მდგომარეობამ მოუმზადა ნიადაგი თავისუფალი ლექსის გაჩენას.

„პოეტური სიტყვის განახლების, ესთეტიკური იდეალის დახვეწის მიზნით მოსული თაობის სულისკვეთებას კარგად გამოხატავს მათი შეხედულებები თავისუფალი ლექსის შესახებ, — წერს გერონტი ქიქოძე. — ამ პოეტური გავლენის მიმართ ისინი, უპირველეს ყოვლისა, ბანალობისგან, შაბლონისგან თავის დასაღწევად აღიქვამენ, მშვენიერებისათვის ახალი რაკურსით შეხედვას უტოლებენ“.

პოეტმა ლია სტურუამ რეალურ გარემოში დაფარული აზრის ძიება თავისუფალი ლექსის საშუალებით მიიჩნია მიზანშეწონილად და შესაძლებლად. პოეტი თავისთავად მივიდა თავისუფალ ლექსამდე. აქვე უნდა მივუთითოთ მისი შემოქმედების შინაარსობრივ ასპექტზე, მის იდეურ-ემოციურ სისავსესა და მრავალფეროვნებაზე. ბუნებრივია, ლია სტურუაზე რამდენადმე შთაბეჭდილება მოახდინეს ეპოქის ლიტერატურულმა ნორმებმა. მისი ვერლიბრისათვის ნიშანდობლივია სულიერი ცხოვრებისა და მარადიული მოვლენების გაანალიზება, ფილოსოფიური დასკვნების გამოტანა. ლია სტურუას, როგორც პოეტის ინდივიდუალობა მჟღავნდება პოეტური ფრაზეოლოგიის განვითარებასა და განახლებაში. მისი პოეტური ფრაზა ნაკლებად ეგუება პასიურსა და ნორმირებულ ლექსიკურ ელემენტს, რადგან მას დამაჯერებლობას სწორედ აქტიური ლექსიკური ელემენტი ანიჭებს.

როგორც ცნობილია, თავისუფალი ლექსის დეფინიციაში დიდი ყურადღება ეთმობა სინტაქსურ პარალელიზმს. რითმის უარყოფით ვერლიბრი სინტაქსურ პარალელიზმს უბრუნდება, რაც მომიჯნავე ტაეპებში წინადადებათა ერთნაირი სტრუქტურის დაცვას გულისხმობს. ლია სტურუას პოეზიაში მსგავსი სინტაქსური წინადადებების განმეორებას არა აქვს სისტემური ხასიათი, თუმცა მაინც შეინიშნება:

მე ხშირად ვცვლი დროშებს
ჩემს სახელმწიფოში,
ხან ცხენის ქალას,
ხან ქალის თმებს,
ხან ხმელ ტოტებს
ვამაგრებ კედელზე.

(„შიში“).

მისი ვერლიბრის გარითმვა ზოგჯერ შემთხვევით, ბგერითი განმეორებებით ხდება. ამ შემთხვევაში რითმა ამძაფრებს სხვადასხვა აზრობრივ შეუსაბამობას ბგერითი მსგავსების ხაზგასმით.

ერთ-ერთი ძირითადი მაორგანიზებელი თავისუფალი ლექსისა არის გრაფიკული დანაწევრება. ლია სტურუას პოეზიაში გრაფიკული დანაწევრება ნებისმიერია, ანუ სტრიქონში არ არის მკაცრად განსაზღვრული მარცვალთა რაოდენობა. მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ვერლიბრის სტრუქტურაში რიტმს ენიჭება: აკ. გაწერელიას აზრით, თავისუფალ ლექსში საზომს სწორედ რიტმული იმპულსი ცვლის.

ლია სტურუას ლექსი ხშირად ცალკეულ, დაუნაწევრებელ ფრაზებზეა აგებული. ზოგ შემთხვევაში წინადადება გაწყვეტილია, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხატავს მისი პოეზიისათვის ნიშანდობლივ შინაგან დისჰარმონიას, ქაოსს. სუნთქვაშეკრულ სამყაროში უეცრად ერთდროულად ამოძრავდება ყველაფერი: ფიქრი, აზრი, ჰაერი, სული და წარმოიქმნება პირველყოფილი ქაოსი. სამყაროს ქაოსმა ადამიანის სულშიც დაისადგურა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პოეზიას ქაოტურობითაც ახასიათებენ. განცდათა ნაკადის შინაარსი, რაც გამოწვეულია მრავალნაირ ასოციაციაზე მისი შიდა რეაქციით, თითქოს გარეთ გამოდის, ფიქსირებულია ლექსში. პოეტის შემოქმედებითი წარმოსახვა არის წარმოდგენის გარდასახვა და სწორედ ეს წარმოსახვა აძლევს მას საშუალებას გავიდეს ტრადიციული თეორიების ჩარჩოებიდან, უზრუნველყოფს აზროვნების სიფართოვეს.

ლია სტურუას პოეზია სავსეა სიმბოლოებით — ზოგჯერ ბუნდოვანი, შეუცნობელი მინიშნებებით, მოწყვეტილი, მრავალნიშნა ფრაზებით; არის სქემატური სახეებიც, სადაც უდიდესი როლი ენიჭება ფილოსოფიურ სენტენციას. დინამიზს ქმნის რიტმი, მელოდია. არა მხოლოდ ახლოს დგომის ინტიმი, არამედ სწორედ გარედან ჭვრეტა წარმოაჩენს პოეტისეული ხილვების მონაცვლეობასა და სტილის ინდივიდუალობას.

სიმბოლური წარმოსახვები ლია სტურუას ვერლიბრს მიმზიდველსა და ჰაეროვანს ხდის. ჰუგო ფრიდრიხი აღნიშნავდა, რომ პოეტის სულის უფსკრულში ჩაღრმავების საშუალებას ის სიტყვები იძლევიან, რომლებიც ყველაზე მეტად გვხვდება მის შემოქმედებაში. ლია სტურუას პოეზიაში ასეთი სიტყვებია:პური, რძე, ხორბალი, წყალი, თაფლი, ღვინო, რომლებიც ადამიანური არსებობის საწყისს წარმოადგენენ. მის პოეტურ სამყაროში პური მხოლოდ სხეულის საზრდო არ არის. პოეტს პური ადამიანთა ურთიერთობების საშუალებად მიაჩნია. ადამიანთა ურთიერთობა უფრო ღრმავდება „იმ პურის წყალობით, რომელიც საერთო სუფრაზე ტყდება. ჩვენ პურში შრომის სიდიადის სიმბოლოს ვხედავთ იმიტომ, რომ იგი ოფლითაა მოპოვებული. ჩვენ პურს თანაგრძნობის წინამძღვრად ვთვლით იმ პურის წყალობით, რომელსაც გაჭირვების დროს გვაწვდიან. გაზიარებული პურის სიტკბოს არაფერი შეედრება ქვეყნად... და ახლა საფრთხეშია ამ სულიერი საზრდოს, ამ სულიერი პურის ძალა... ხვალ პურმა იქნებ ველარ აანთოს ასეთივე სინათლე თანამეინახეთა თვალში. პური ხომ იგივეა, რაც ზეთი კანდელში. იგი სინათლედ უნდა იქცეს“, — წერდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი.

ლექსში „ქვრივები“ პური სწორედ ადამიანთა თანაგრძნობის სიმბოლოდ არის წარმოდგენილი.

იქნება პური და ღვინო ბევრი,
და მზე იდგება ცაზე მკვდრისფერი,
ქმარს წაიღებენ შავი ცხენებით...

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ პურის სიმბოლური მნიშვნელობა, ისევე როგორც ღვინისა, ქრისტიანულ მსოფლმხედველობას უკავშირდება. პური სიმბოლოა ქრისტეს მიწიერი არსებობისა, აქედან გამომდინარე, ღვინო და პური სიმბოლურად უმაღლეს უნივერსალურ სუბსტანციასთან მიახლოების მანიშნებელია. სწორედ ამიტომ წერს პოეტი: „იქნება პური და ღვინო ბევრი“ და შემდეგ განაგრძობს: „და მერე სულში ბზის ტყეებივით ჩადგება რწმენა“, რწმენის დაბადება კი თავისთავად ღმერთთან მიახლოებას, სულიერი ჰარმონიის აღდგენის იდეას ემსახურება.

სხვა სიმბოლური დატვირთვა აქვს ლია სტურუას პოეზიაში წყალს. წყალი უმაღლეს მადლად, სპეტაკი ზნეობის სიმბოლოდ არის წარმოდგენილი:

მაგრამ წყლიანი შუშის ფსკერივით
იწმინდება ჩემი ზნეობა.
(„სახლი“).

„კამკამა წყალსა“ და „შავ პურს“ ადამიანის სულიერების გადარჩენის მისიაც ეკისრება. „იმსხვრევა ახალგაზრდობა“ და მას „შავი პურით და კამკამა წყლით კურნავენ“.

საინტერესოა „რძის“ სიმბოლური დატვირთვა. საყურადღებო ფაქტია, რომ მეგრულ დიალექტში „მზესა“და „რძეს“ ერთი შესატყვისი აქვს — „ბუა“. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ცნობიერებაში არსებობდა ღრმა და შინაგანი ნათესაობა ამ ორი სიტყვის მნიშვნელობებს შორის და სიმბოლურად ორივე სიკეთის, სინათლის, სისპეტაკის გამომხატველია. მეგრულმა დიალექტმა დააფიქსირა ქართული ცნობიერების, მისი მსოფლაღქმის ეს მნიშვნელოვანი ასპექტი. სწორედ ასეთი სიმბოლური დატვირთვა აქვს ლია სტურუას შემოქმედებაშიც „რძესა“ და „მზეს“, ანუ ორივე სიტყვა მის ლექსში დადებითი ემოციური მუხტის გამძაფრებას ემსახურება.

საყურადღებოა ლია სტურუას ფერთა სიმბოლიკაც. ფერი აბსტრაქტული ობიექტია და მის პოეტურ სამყაროში ამა თუ იმ მოვლენასა თუ საგანთან ასოცირდება. მ გ.მწვანე ფერი მიუთითებს ადამიანისა და ბუნების ჰარმონიულ კავშირზე და პოეტის ლექსებშიც ეს ფერი მეტაფორულად სამყაროს მთლიანობის იდეის წარმოჩენას ემსახურება. ქათქათა თეთრი თავისთავად სიწმინდისა და სისპეტაკის სიმბოლოდ არის მიჩნეული და, ასევე, ადამიანის შინაგანი ჰარმონიის აღდგენის შესაძლებლობისაკენ მიუთითებს. მის პოეზიაში ლურჯი ფერი არაამქვეყნიური საწყისის, მიუწვდომელი სიმაღლის და სილამაზის სიმბოლოა და არ არის გასაკვირი, რომ ამქვეყნიური ამაოებისაგან განსარიდებლად ლია სტურუა რომანტიკული ლურჯი ფერისაკენ მიილტვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტს სწორედ ფერის საშუალებით შემოაქვს ლექსში განსაკუთრებული სიმდიდრე და ფანტაზია. ფერს ლია სტურუა იშველიებს საკუთარ ხილვათა გადმოცემის დროს, რითაც თითქოს ხაზს უსვამს იმას, რომ ყველაფერი ამქვეყნიური ზეციურის მკრთალი ანარეკლია.

„მეტაფორა აზროვნების აუცილებელი იარაღია, — წერდა ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, — მეტაფორა ემსახურება აზროვნებას. ის საჭიროა იმისთვის, რომ ობიექტი ჩვენი აზრისთვის მისაწვდომი გახდეს. მეტაფორა არა მხოლოდ გამოხატვის საშუალებაა, არამედ აზროვნების მნიშვნელოვანი იარაღი“.

მეტაფორა ლია სტურუას პოეზიის საფუძველია. მისი შემოქმედება — ეს არის მეტაფორული აზროვნების მწვერვალი. პოეტს მეტაფორა აძლევს საშუალებას, განაკერძოოს აზრისთვის ძნელად მისაწვდომი ობიექტი და მას თვითმყოფადობა მი ნიჭოს.

ლია სტურუას პოეზიის ამოსავალი სახეთა კონტრასტულობა და დაუკავშირებლობაა. ამ შემთხვევაში, მით უფრო აუცილებელია მეტაფორა, როგორც საკუთარი აზრისა და ჩვეულებრივი ცხოვრების კონკრეტულ საგანთან დამაკავშირებელი საშუალება. აზრის სირთულის, ფრაზის სიღრმისეული წვდომის აუცილებლობა, ალბათ, ლია სტურუასეულ მეტაფორაშია საძიებელი.

პოეტის სტილური ორიგინალობა განპირობებულია დრამატიზმით, რაც ჰიპერბოლიზაციით მიიღწევა. მისი ჰიპერბოლა თითქმის მუდამ პოეტურ ჩარჩოებშია მოქცეული, დახვეწილია ფორმით და არავითარი დისონანსი არ შეაქვს ტექსტის მუსიკალურ ჟღერადობაში. ლია სტურუას ლექსებში ვხვდებით არა მხოლოდ ადამიანის რომელიმე თვისების გადაჭარბებულად წარმოდგენას, არამედ საგნის ან მოვლენის მხატვრულად გაზვიადებას და თითქმის ყველა წარმოდგენილი შედარების ჰიპერბოლიზებას.

ლია სტურუას პოეზია მდიდარია გამოსახვის მხატვრული ხერხებით. საგნებისა და მოვლენების თვისებათა ემოციური წარმოსახვა აქ უმთავრესად ეპითეტის საშუალებით ხორციელდება, ხოლო შედარება, როგორც გამოსახვის სტილისტიკური ხერხი, მისი ლექსის თავისებური ატრიბუტიც არის. მაგ., „პეპლებივით მშვენიერი და შემთხვევითი სტუმრები“, „ტირილი დამეკარგა ქინძისთავივით“, „ცაზე ბასრი ნაჯახივით კიდია წვიმა“... და მრავალი სხვა.

საყურადღებო ფაქტია და, ერთი შეხედვით, ერთგვარ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ლია სტურუა, ვერლიბრის ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, სონეტის ფორმის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს, რადგან სონეტი თავისი წესრიგითა და სიმეტრიულობით უთუოდ აპოლონურ ფორმას მიეკუთვნება, ხოლო ვერლიბრის ამორფულობა დიონისურ იმპულსებს უკავშირდება. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოეტმა შეძლო ადამიანური მღელვარების სურათი სონეტის თოთხმეტ სტრიქონში გადმოეცა, მისი მკაცრი ზღუდეები საკუთარი აზრის თავისუფალი მდინარებისთვის დაემორჩილებინა და შეექმნა ქართული სონეტის მნიშვნელოვანი ნიმუშები. „ადამიანს აქვს სულიერი მოთხოვნილებები, — წერდა გერონტი ქიქოძე, — რომელთა შორის ერთ-ერთი პირველია ლტოლვა სინამდვილის ფილოსოფიური გააზრებისაკენ“. ლია სტურუას სონეტებიც თანამედროვე პიროვნების ფილოსოფიური ფიქრებია. სულიერი შეშფოთება, განცდების სიღრმე და დაძაბულობა პოეტის თითოეული სონეტის თანამგზავრიც გამხდარა, რადგანაც ეპოქის სულმა, კულტურული, ფილოლოგიური ფაქტორების რაობამ თავისებური გავლენა მოახდინა XX საუკუნის 70-იანი წლების ლიტერატურაზე. ამ პერიოდში მოღვაწეთა ლიტერატურულ-ესთეტიკურ იდეალზე. სწორედ ამით არის განპირობებული ლია სტურუას ესოდენ დიდი ინტერესი პიროვნების შინაგანი სამყაროსადმი, რაც გამოიხატა არა მხოლოდ მის ლირიკაში, არამედ მძაფრად გამოიკვეთა პოეტის სონეტებსა და პოემებში.

ლია სტურუა საკუთარი პოეტური სამყაროს შექმნისას თავისივე აზრიდან გამომდინარე კანონებს ქმნის და მათვე ემორჩილება. რეალურისა და ირეალურის დამოკიდებულება, სინამდვილისა და წარმოსახულის საზღვრების დადგენა მისი პოეტური ფიქრების უმთავრესი საგანია. ადამიანის ყოფიერების წვდომისათვის მისთვის მთავარი და აუცილებელია ზნეობრივი პრობლემა, გულისმიერი შემეცნება. ამიტომაც ტრაგიკულ ჟღერადობას იძენენ შემდეგი სიტყვები:

როგორც ვკარგავდით ცხვირსახოცებს და
ხელთათმანებს,
მთელი სიცოცხლე, დამეკარგა სადღაც
გული.

(„სონეტი გულზე“).

შემოქმედებითი პროცესი, რა თქმა უნდა, ძნელად ემორჩილება მკაცრ ფორმალისტურ კანონებს. ხშირად აზრობრივი პროცესები დაფარულია არა მხოლოდ მკითხველისათვის, თვით შემოქმედსაც არა აქვს იგი შეცნობილი, საგნებისა და მოვლენების თვისებათა ერთობლიობის ასახვა შესაძლებელი ხდება შეგრძნებათა საფუძველზე. ამ თვისებების გაცნობიერებას პოეტი ამა თუ იმ აზრამდე მიჰყავს, საკუთარი აზრების გადმოცემა კი სიტყვებთან არის დაკავშირებული. სიტყვები ადამიანის გრძნობების გამომხატველია; ამიტომაც წერს ლია სტურუა:

მე მიყვარს იგი, გაცვეთილი და
ხელუხლები,
დროებით პირის დაბუჟება, ენაზე ხუნდი,
მუსიკას მძაფრს და აზრს ბუნდოვანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამბობს გუნდი.
(„სონეტი სიტყვაზე“).

ინგლისელი პოეტი ქალი ელიზაბეთ ბრაუნინგი ამბობდა: „პოეტი არის ის, ვინც ლაპარაკობს მთავარზე“, მთავარი კი ლია სტურუას ლექსში მიიღწევა მხატვრული სახის მთლიანობით, ფსიქოლოგიურისა და მონუმენტურის სინთეზით და, რაც მთავარია, შემოქმედებითი პროცესის შინაგანი უწყვეტობით.

ლია სტურუასთვის ძვირფასია ადამიანური საწყისის უკვდავების იდეა. პოეტს ლირიკული გმირის სახე სიღრმეების გახსნაზე, ნიუანსების მიმოხილვასა და სულიერ ექსპრესიაზე აქვს აწყობილი. მისი ძიებები მუდამ გულისხმობს იმ მარადიულ ღირებულებებს, რის გარეშეც შეუძლებელია არა მხოლოდ პოეზიის, არამედ ხელოვნების შექმნაც. მის სონეტებს, ისევე როგორც მთელ მის შემოქმედებას, ანათებს ფსიქოლოგიური სიმართლე, ადამიანურ განცდათა სიღრმე. „ვერ გავაკეთე ვერაფერი ტანჯვის გარეშე, რა სისხლი მერგო მე ასეთი, ან რა გენები“, — ამბობს პოეტი, რითაც ხაზს უსვამს იმ ზოგადსაკაცობრიო ტკივილით გამოწვეულ სევდას, მისი შემოქმედების „ერთგული თანამგზავრია“ რომ არის.

ლ. სტურუა ესწრაფვის შექმნას ყოფითი დეტალების პოეტურად ამაღლებული სახეები. მის სონეტებში მუდამ ცოცხლობს ჩუმი, ფაქიზი ჰარმონია, მშვიდი მუსიკა.

ადამიანის მიკროკოსმოსი უზარმაზარ ვნებათაღელვას მოიცავს. „ჩამოვემხობი მიწას ცივსა და უყვავილოს“, — წერს პოეტი, რადგანაც „ცივი“ და უნაყოფო მიწა სიმბოლურად უფრო მძაფრად წარმოაჩენს ადამიანის გაძარცვულ სულს, სამყაროს დისჰარმონიას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლია სტურუას ორიგინალური აზროვნება, მხატვრული ხედვა, რიტმი, სამყაროს მისეული განცდა, უპირველესად, ეროვნული ტრადიციებიდან მომდინარეობენ.

მან საკუთარ სულში მოაქცია უცხოური ნაკადები, გარდაქმნა, განაახლა და ახლებურად აალორძინა თვითმყოფადი საწყისები.

ლია სტურუას ენა ჭეშმარიტების სრულყოფილად გადმოცემას მიელტვის. თითოეულ მის სონეტში ჩანს ემოციებით სავსე მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც დიდად აღელვებს სამყაროსთან შეხების ყველა წერტილი. მან შეძლო სონეტის მკაცრ და კლასიკურ ფორმაში იგივე პოეტური აზროვნების თავისუფლების შენარჩუნება, რითაც ხასიათდება მისი ვერლიბრი. „კაცის ტვინი ის ადგილია, რომელსაც გამუდმებით ჩხვლეტს და ჩქმეტს სამყარო, რათა დარწმუნდეს თავისსავე არსებობაში, — წერდა პოლ ვალერი. — კაცი აზროვნებს, მაშასადამე, მე ვარსებობ — ამბობს სამყარო.

ლია სტურუას სონეტებში სწორედ ადამიანისა და სამყაროს ურთიერთჭიდილით გამოწვეული განცდებია გადმოცემული. პოლ ვალერის ზემოთ აღნიშნული სიტყვებით თუ ვიხელმძღვანელებთ, პოეტმა სწორედ საკუთარი აზროვნების ფართო მასშტაბის წყალობით მიაღწია სამყაროს და ადამიანის ჰარმონიული თანაარსებობის შესაძლებლობის წარმოჩენა-დასაბუთებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლია სტურუას ლექსიკა ინდივიდუალიზებულია ხალხური ენის საფუძველზე. რაოდენ დიდებულიც უნდა ყოფილიყო ხალხური ეპოსი, მისი განვითარება სადღაც მაინც წყდებოდა და ლიტერატურამ ამიტომაც მიიჩნია მიზანშეწონილად მისი ტრადიციის გაგრძელება ახალ გარემოში. ლია სტურუას პოეტური სახე მოძრაობის, ძიების, შინაგანი მღელვარების ერთიანობაა. პოეტი ყველგან და ყველაფერში ეძიებს ეროვნულ საწყისებს, რათა მისი პოეზია არ მოწყდეს ეროვნულ ნიადაგს. თუ, საერთოდ, ლიტერატურულ ნაწარმოებსა და ხალხურ შემოქმედებას შორის კავშირზე შეიძლება ლაპარაკი, თუ პოეტის შემოქმედებითი თვისებების კვლევისას ამ კონკრეტულ ფორმებზე შეიძლება მინიშნება, ეს ლექსის სათაურშიცაა გაცნობიერებული. მაგალითისათვის დავასახელებთ ლექსს „ხომ შეიძლება“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნაწყვეტი ხალხური ბალადიდან „მოყმე და ვეფხი“: „ეგება ვეფხის დედაი ჩემზედ მწარედა ტირისა“. ლია სტურუას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მას შესწევს უნარი პოეტური ნათელხილვით გამოასხივოს ის ღრმა, ბუნებრივი ჰანგები, რომელთაც ხალხურ პოეზიაში ვხვდებით.

ლექსი „ბალადა მოჭრილ მარჯვენაზე“ ხალხური მოტივებისა და პოეტისეული წარმოსახვების შერწყმის ორიგინალური ცდაა. ფაქტოლოგიური მასალის ჩართვით ლექსში ყალიბდება კომპოზიციური ნახატი. ამ ლექსში (და არა მხოლოდ აქ, პოეტი ლოგიკურ კავშირებს საკუთარ გრძნობებს უპირისპირებს და წარმოგვიდგენს ისტორიული, ფოლკლორული და პირწმინდა შემოქმედებითი რეალიების ურთიერთმონაცვლეობას.

სიტყვები, რომლებიც ხელთ აქვს პოეტს, მის სრულ განკარგულებაში არიან. იგი კარგად იცნობს თავის სიტყვებს, რადგან არსებობს რაღაც, რასაც შეიძლება სიტყვათა ავტორისეული შეკავშირება ვუწოდოთ. მისთვის, როგორც პოეტისათვის, ზნეობრივი პრობლემა აუცილებელია ადამიანის ყოფიერების წვდომისათვის და, საერთოდ, მხატვრული ნაწარმოების გასამართავად. ფილოსოფიურია ლია სტურუას სააზროვნო სისტემა, მისი მსოფლგანცდა. მისი ლექსების მეტაფორებსა და სიმბოლოებში, მუსიკალურ რიტმებსა და არქიტექტონიკაში ზოგჯერ მხოლოდ მუსიკალური ბგერები გვესმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგრძნობთ სტრიქონთა რიტმულ მელოდიას, მათ უცნაურ მონაცვლეობას. პოეტისათვის ყველაფერი ადამიანის სულის სიღრმეშია დაფარული, იქ მიმდინარეობს რთული ფსიქოლოგიური პროცესები. ადამიანთა ხასიათში ცხოვრების მრავალი სპექტრი იკვეთება, ზოგჯერ კი რამდენიმე ტენდენცია მოქმედებს ერთდროულად და პარალელურად.

პიროვნების გაორების, გადაფასების ტენდენცია, პლასტიკური ხედვა, მეტაფორული აზროვნება, უბრალო ადამიანის სულში წვდომის პოეტიკა, სულიერი მარტოობის მოძალეობისა და მასთან ბრძოლის, იმედის და მოთმინების ფილოსოფია — აი, ყველაფერი, რაც წითელ ხაზად გასდევს ლია სტურუას პოემას „ზღვის მოქცევა“. რა თქმა უნდა, თითოეული ეს საკითხი ცალკე პრობლემაა, ერთად კი რთული სინთეზი. პოეტი იცქირება ადამიანის სულში და ცდილობს უცნაურად რთული და მრავალპლანიანი კომპლექსის ამოხსნას. აქ ამაოდ დავუწყებთ ძიებას არაბუნებრივ ინტონაციებს, ანალიტიკოსის მშრალი გონებით შეთხზულ კონცეფციას. ყველაფერი ემორჩილება ლირიკული გმირის სახის ანალიზს, განცდათა ბუნებას. დამატყვევებელია მისი ლირიზმი, რომელიც ტრაგიკულ განცდას ერწყმის, მათი მონაცვლეობა კი ქმნის ფერთა და გრძნობათა სიუხვეს. მის შემოქმედებაში ლურჯი ფერის სიჭარბე, როგორც აღვნიშნეთ, ზეციური სიწმინდის სიმბოლოდ არის მიჩნეული, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ პოეტი საკუთარი სულის მოძრაობას ლურჯი ფერის გარემოცვაში ხედავს.

ლია სტურუას ლირიკული გმირი ამაღლებული სულის, ფაქიზი განცდების ადამიანია, რომელიც მიისწრაფის მოყვასთა შორის ჰარმონიის აღდგენისაკენ. პოეტი თითქოს შორიდან ამოწმებს თავისი გმირის ქცევას, ქმნის რა საკუთარ ორეულს.

ერთ ასეთ ზაფხულს მე ის შევქმენი
ჩემივე ხორცის, ჭრელი კაბის
და ბათქაშის ნაკუწებისგან.

პოემაში „ზღვის მოქცევა“ ლია სტურუამ გაუცხოების პრობლემა ახლებურად დასვა, რამაც ახალი ცნებების წარმოქმნა განაპირობა. ზღვაზე ადამიანის მზერა სიღრმისკენაა მიმართული და სრულიად მშვიდია. აქედან გამომდინარე, სიტყვები: „ზღვა მივლიდეს გარშემო, როგორც ხმელეთს“ — თავისთავად უკავშირდება სულიერი სიმშვიდისაკენ ქვეცნობიერ ლტოლვას. პოემაში წინა პლანზეა წამოწეული ავტორის გაორებული სულიერი სამყარო, ორი „მე“-ს, მაღალისა და მდაბალის ურთიერთჭიდილი. აქ ვაწყდებით ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს. ერთი მხრივ, პოეტი აცხადებს: „ის ერთადერთია, ვის გამოც შეიძლება შემრცხვევს“, „ის ერთადერთი“ არის პოეტის მდაბალი „მე“, თუმცა იქვე ისმის მისი განწირული ხმა: — „დამიბრუნეთ ჩემი ალისფერი და!“ აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: ორივე „მე“, მდაბალიცა და ამაღლებულიც, ერთ მთლიანს ქმნიან და მათი ერთიმეორის გარეშე არსებობა შეუძლებელია. ერთ-ერთი მათგანის არარსებობის შემთხვევაში შინაგანი ბრძოლის შესაძლებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რაც შემოქმედებითი პროცესის კვდომის მომასწავებელია.

ლია სტურუას მეორე პოემა, „დევები“, სამყაროს ორი საწყისის — დიონისური და აპოლონურის ურთიერთდაპირისპირების მხატვრული გააზრებაა.

ისევ ღრეობდა კაცის სულში
　　　　　　ჯოგი დევების...
ისინი ჭამდნენ, ხვრეპდნენ არაყს,
　　　　　　ერთმანეთს კლავდნენ.

აქ „ღრეობა“, თრობა — დიონისურისაკენ გადახრის მანიშნებელია, ხოლო „დევების ქალი“ წარმოდგენილია, როგორც ცნობიერებისთვის ყველაზე მიუწვდომელი საიდუმლო, დედამიწაზე პირველი ცოდვის დამამკვიდრებელი ეროტიკული სიმბოლო, რადგან, ბიბლიური წარმოდგენით, ამქვეყნად ნებისმიერი ცოდვის სათავე სწორედ აკრძალული ხილის ჭამიდან მომდინარეობს და სიკვდილიც, ფაქტობრივად, პირველ ცოდვასთან ერთად დამკვიდრდა დედამიწაზე.

დევის ზღაპრული სახე პოემაში აღმოსავლური სიმბოლიკით გადმოიცემა:

მათ ჰქონდათ რქები, მეჩეთების
　　　　　　ნახევარმთვარე,
მათ ჰქონდათ ძალა და არ ჰქონდათ
　　　　　　სიკეთე ხარის.

ამ შემთხვევაში ხარის სიმბოლო ადამიანის საუკეთესო სულიერ ზრახვებს და იდეალებს უკავშირდება.

პოემაში ხორციელი და სულიერი ცხოვრების ურთიერთჭიდილის ჩვენება სახარებისეული სიტყვების „არა კლათ და არა იმრუშოთ“ — ფონზე ხდება. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ლია სტურუას მსოფლმხედველობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიბლიურ მსოფლშემეცნებას. მის შემოქმედებით სამყაროში ბიბლია, ქრისტეს ხატი მოხმობილია ადამიანის ორიენტირად. პოეტი ირჩევს აპოლონურ გზას, ღმერთთან დაბრუნებით სულიერების გადარჩენას. საჭიროა თმენა, გაძლება და მაშინ:

თუ გაუძლებდა და ამ ზღაპარს დაიტევდა,
უზარმაზარი მოვიდოდა ქვეყნად სიკეთე,
რადგანაც კაცი დროშასავით სიმაღლეს
　　　　　　შერჩა.

„სიმაღლე“ აქ სულიერი ამაღლებულობის მიმანიშნებელია, ხოლო „ჭრელი ულმობელი ზღაპარი“ თავისთავად მირაჟია, რომელიც ადამიანთა მხოლოდ ხორციელი ტკბობის ასპარეზად ქცეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ლია სტურუას მსოფლშემეცნება სამყაროს ქაოსში გაუცხოებული ადამიანის სულიერი ფასეულობების აღდგენის პრინციპებს ემყარება. იცვლება სამყარო, ვითარდება კაცობრიობა, მაგრამ ყოველთვის მარადიულ ღირებულებად რჩება ისეთი მცნება, როგორიც არის სულიერი რწმენა. სწორედ რწმენაა ის მყარი ფუნდამენტი, რომელზეც აღმოცენდა ლია სტურუას შემოქმედება. ადამიანის საქციელი რწმენით რომ იყოს გამსჭვალული, აუცილებელია, ამ საქციელს აზრი ჰქონდეს — აი, მოკლედ ის დედააზრი, რომელიც წითელ ხაზად გასდევს ლია სტურუას მრავალპლანოვან პოემას „წრეში". პოემაში რიტმისა და ენობრივი სტილის მიგნება, გარდა ნიჭიერებისა და განათლებისა, ხანგრძლივი ჯაფის ნაყოფია. ხაზი უნდა გაესვას პოეტის ემოციათა სისრულეს, უწყვეტ ცვალებადობას, რაც ხილვების მონაცვლეობით არის მიღწეული. ორიგინალობა პოემისა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მძაფრი დრამატიზმით, რაც მიიღწევა ჰიპერბოლიზაციით. მეტაფორა, შედარებების არსენალი თითქმის ყოველთვის რეალურ სახეებს ემყარება. ყურადღებას იმსახურებს რელიგიური ფრაზეოლოგიის სიუხვეც, რაც თავისთავად მიუთითებს პოეტის მისწრაფებაზე — განავითაროს ეს მოტივი და პირად გრძნობებს საყოველთაო ხასიათი მიანიჭოს.

პოემაში საყურადღებოა სიზმრის სიმბოლიკაც. საერთოდ, ძველბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში სიზმარი გმირის სულიერი სამყაროს აუცილებელი კომპონენტი იყო. ლია სტურუას შემოქმედებაში სიზმარი ხილვის უმაღლესი ფორმაა. „სიზმარი, — წერს პოლ ვალერი, — ესაა შინაგანი სამყაროს ხილვა თუ შემეცნება, გარეგანი სამყაროს მოგონებით დეფორმირებული, ესაა შინაგანი თარგმნა გარეგანის ენაზე".

პოემა „წრეში" გამსჭვალულია მძაფრი პირადი და საზოგადო ინტერესებით, წესრიგისკენ სწრაფვით, ქაოსის სიძულვილით. პოეტის გონება ისეა ფიქსირებული ობიექტზე, რომ გონება და ობიექტი უწყვეტ ერთიანობას ქმნიან. ინდივიდუუმთან მორალში სისპეტაკის, კონცენტრაციის და ჩაღრმავების განვითარება სამივე კომპონენტის კომპლექსური ურთიერთმოქმედებით ხდება, ხოლო ადამიანის ტრაგედია პოეტის თვალში ახალი ელფერით იხატება. ადამიანის არსებობას საფუძვლად სულიერი ძალა ედო. მისი არსებობის არსი კეთილია და მხოლოდ სულიერი ცდომილების შედეგად გაშორდა იგი სიკეთის გზას. სულიერების დაბრუნების იდეაა მთავარი წარმმართველი ძალა ლია სტურუას შემოქმედებისა;

> ადამიანის ბუნება დაწდეს და დაიწმინდოს
> და დაუბრუნდეს თავის პირველსახის —
> უსაზღვრო რწმენას და სათნოებას.

ეს სიტყვები შეიძლება პოეტის შემოქმედების რეზიუმედ გამოდგეს. ლია სტურუას პოეზიაში მხატვრული სახე განფენილია დროში; ადამიანს ვერასოდეს ვერ აღიქვამ კონკრეტული დრო-სივრცის გარეშე. პოეტის შთაბეჭდილება სამიზნე სხივივით იჭერს ადამიანს წარსულისა და მომავლის მოუხელთებელ მიჯნაზე. ხშირია მის შემოქმედებაში ყოვლისმომცველი სიტყვები და ფრაზები. ისინი მრავალმნიშვნელოვანნი არიან, ამიტომ ზოგჯერ არაფერს ნიშნავენ, მაგრამ კერძო მიმართებით უცებ რაღაც მნიშვნელობით იჟღინთებიან. ეს სწორედ ის ბრწყინვალე განუსაზღვრელობაა, რომელიც ასე ეფექტურად მოქმედებს მკითხველზე. პოეტის ხედვის მანერაში, განცდათა ორიგინალობასა და მისეულ ინტერპრეტაციებში საკმაოდ დიდია თავისუფლების ხარისხის რიცხვი. პოეტის „მე" ცხოვრობს მრავლობით „ჩვენში". აქ მეტაფორულ მნიშვნელობას იძენენ ის კონკრეტული მოვლენები, ადამიანის შინაგანი დისჰარმონიის გამომწვევი მიზეზები, რომლებიც პოეტის სხვადასხვა შეგრძნებებს ექვემდებარებიან. ამიტომაცაა, რომ ლია სტურუას ლექსი გამოირჩევა მეტაფორების სიუხვით და მისი ვერლიბრი მეტაფორული აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

ლია სტურუას დამსახურება, როგორც ვერლიბრისტისა, ისაა, რომ მან თავისუფალ ლექსში ფილოსოფიური ელემენტი შეიტანა, პოეტური თვალსაზრისით გადაამუშავა, გაიაზრა, „ფორმულებივით ჩამოსხმულ მეტაფორებში" მოაქცია და ამ სახით მიიტანა მკითხველის სამსჯავროზე — პოეტმა ჩამოაყალიბა საკუთარი, ინდივიდუალური სტილი, წერის მანერა, რითაც გაემიჯნა 70-იან წლებში მიმდინარე ზოგად-ლიტერატურულ პროცესებს და შექმნა შემოქმედება, რომელმაც თავისი ორიგინალობით განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ღლონტი

# მწერლის ქართული

გრიგოლ აბაშიძე ქართველი ერის მძიმე წარსულის მემატიანეა, იგი წარსულს დღევანდელობიდან უცქერის. გრიგოლ აბაშიძემ სამი რომანი, პოემები და ჩინებული ლექსები უძღვნა ისტორიულ თემებს. გარდასულ დროთა ქრონიკებში ეძებდა სხვათაგან უძებნელს, კითხულობდა სხვათაგან წაუკითხავს. მის ისტორიულ რომანებში წარმოსახულია რწმენა და საქმე, რწმენაში გაცხადებული საქმე და საქმეში გაცხადებული რწმენა. მწერალი აცოცხლებს წარმოსახულ აჩრდილებს, უვლის და ეალერსება სიკეთისათვის ბრძოლაში წაფორხილებულსა და დაცემულ ადამიანებს, ცხოვრობს მათი ცხოვრებით. „პირველი პროზაული ნაწარმოები „ლაშარელა" საქართველოს ისტორიამ შთამაგონა, — ამბობს იგი, — „ლაშარელას" მოჰყვა „დიდი ღამე" და აი, წარსულში ჩემი მოგზაურობა ჯერჯერობით მთავრდება მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის უკანასკნელი, მესამე წიგნით, რომელსაც „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება" ვუწოდე". ამ თხზულებებში ბევრი რამაა წარმოსახული, ნანახიცა და უნახავიც, შეფასებულიცა და შეუფასებელიც; ამჯერად მხოლოდ ორ საკითხზე შევჩერდები. ერთია რწმენა და საქმე, ე. ი. ის, თუ რაა გადმოცემული, დანახულ-შეფასებული, მეორეა ის, თუ როგორაა ყოველივე ხორცშესხმული, როგორია მათი სამოსელი, ენობრივი არსი.

მწერლის ისტორიული რომანების უზენაესი იდეა არის მშვიდობის მარადისობის მხატვრული გააზრება და სიკეთის წარმოსახვა მარკირებულ სახეებში. აქ მარადიული მშვიდობა გაცხადებულია, როგორც სიკეთე. გრიგოლ აბაშიძე სიკეთისეულ საქმეთა მემატიანეა და არა ცალკე პიროვნებების ვნებათაღელვის ინტერპოლატორი. სიცოცხლე ისევე მარადიული კატეგორიაა, როგორც სიკვდილი, მაგრამ ერთიცა და მეორეც წუთისოფლის პარადიგმებია. კვდება ის, რაც იბადება, უკვდავია მარადიული სიცოცხლე. მწერალი მარადიულობას სიყვარულში პოულობს. ბრძენი კანტი შემთხვევით როდი ქადაგებდა მარადიულ მშვიდობას. ჭეშმარიტების წვდომის გზა მშვიდობის მარადიულობისაკენ მიემართება. გრიგოლ აბაშიძე მშვიდობის მარადიულობის იდეას ემსახურება. მან შექმნა მეცამეტე საუკუნის შავბნელი ისტორიის მხატვრული მატიანე, შეურჩია ენა და სტილი, იცხოვრა თავისი გმირების ცხოვრებით. გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანები ეყრდნობა უმდიდრეს ისტორიულსა და ლიტერატურულ წყაროებს, რომელთა შორის ძირითადია „ქართლის ცხოვრება", ქართული ცივილიზაციის უბრწყინვალესი მატიანე. მწერალმა ისტორიულ რომანებს შეურჩია არაჩვეულებრივად კოლორიტული ენა, რომელშიაც ფენებადაა დალაგებული წარსული, წარსულის მოვლენები შეფარდებულია თანამედროვეობის ვნებათაღელვასთან. აქ გამიჯნული არაა ძველი და ახალი, სინქრონია —მოწყვეტილი დიაქრონიისაგან. იკვანძება წარსული თანამედროვეობასთან და თანამედროვეობა — წარსულში.

ისტორიული მოვლენა და პერსონაჟის თავგადასავლის ენობრივი გარსი ეპოქის სულიერ ფასეულობათა საზომებს უნდა ექვემდებარებოდეს. გრიგოლ აბაშიძე სამართლიანად ამბობს: „ახლა რომ ფრანგმა მწერალმა პროვანსელი ტრუბადურების ცხოვრების რომანი დაწეროს, არავის გაუკვირდება, მაგრამ ეს რომანი რომ ძველი ფრანგულით დაწეროს, მას არავითარი გამართლება არ ექნება და არც მკითხველი ეყოლება".

ამ უდავო ჭეშმარიტებას ჩვენი ავტორი იცავს თეორიულადაც და ახორციელებს პრაქტიკულადაც. მისი ისტორიული რომანების ენა ღრმად თანამედროვეა. თანამედროვე გრამატიკა საკვირველი სინატიფით ასახავს გარდასული ეპოქების ენობრივ სამოსელს.

გრ. აბაშიძის დასკვნა: „ძველ ან მკვდარ ენაზე წერა რომ ისტორიული რომანის ავტორისათვის სავალდებულო ყოფილიყო, როგორ დაეწერა თავის ენაზე ფლობერს კართაგენელი გმირის ცხოვრება, ან ჰენრიხ მანს საფრანგეთის მეფის ჰანრი მეოთხის რომანი, ან თუნდაც თომას მანს ბიბლიური პატრიარქის იოსების ეპოპეა?"

პირველ რიგში ეს თავად გრიგოლ აბაში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძის ისტორიულ რომანებზე შეგვეძლო გვეთქვა. ჩვენი ავტორი ერთგული გახლავთ საკუთარი პრინციპული პოზიციისა, რომლის საყრდენი თვალსაზრისია თემის სხვადასხვაობა — ენის (თანამედროვე ენის) ერთობა. ამ ჭეშმარიტების ერთ-ერთ მყარ არგუმენტად ავტორს თხზულების სხვა ენაზე თარგმანი მიაჩნია. მართლაც, თარგმანი ხომ მხოლოდ თანამედროვე და არა ძველ (ან მკვდარ) ენაზე ხორციელდება! გვჭირდება კი თარგმანი მკვდარ ენაზე?

კარგა ხანია თვალყურს ვადევნებ და ვუკვირდები გრიგოლ აბაშიძის მხატვრულ თხზულებათა ენას და ვთვლი, ესაა ჭეშმარიტი ქართული, სალიტერატურო ენა ცხოვრებაში, გრამატიკა პრაქტიკაში. მწერალი არა მარტო იმორჩილებს სიტყვას, როგორც ენის უპირველეს ერთეულსა და საშენ მასალას, არამედ მას უძებნის ოპტიმალურ პოზიციას გამონათქვამთა უსასრულო იერარქიაში, მისი გამომსახველობის საშუალებათა ყველა ნიუანსი გამოაქვს სამზეოზე. მწერლის ენა პრაქტიკული გრამატიკის ზეიმია, ხატოვნად თუ ვიტყვით, გრამატიკაა ცხოვრებაში.

გრიგოლ აბაშიძის ქართული ერთიანი და განუყოფელია წყობილსიტყვაობასა და სადასიტყვაობაშიც, დრამატურგიასა და პუბლიკაციაშიც. ძნელად იპოვის კაცი ამისთანა მრავალმხრივ შემოქმედს. რა განაპირობებს ამას, რა არის ამის უმთავრესი წყარო? რა უწყობს ხელს მწერლის ენის ხალხურ მიმზიდველობას? გალაკტიონს თუ დავესესხებით, „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“ გრიგოლ აბაშიძეს მამაზეციერმა დაანათლა სწორედ ეს ნიჭი. მწერლის თხზულებებიდან თვალნათლივ ჩანს ზღვარი სიტყვასა და წინადადებას შორის, მეტყველების ამ ორი განუყოფელი ელემენტის სეგმენტური სტრუქტურა, ერთობა, სხვაობა და მთლიანობა. სიტყვა აქ ენის ნომინატიური ერთეულია, წინადადება კი წართქმითი და უკუთქმითი მოდალობის პრედიკატული სისტემა. მწერლის ლექსებში, პოემებში, რომანებში, დრამატულსა და პუბლიცისტურ ნაწერებში წინადადება მტკიცედაა შეკრული, შეიცავს მტკიცების, პრედიკატულობის დახრას და სიტყვას, როგორც ენის საკომუნიკაციო ნიშანთა სისტემას, უძებნის მისი სემანტიკის გამომჟღავნების ყოველგვარ საშუალებას. სიტყვა აქ იმ შეუცვლელი აგურის ტოლფარდია, რომელიც ხუროთმოძღვრულ დეტალშია ჩაშენებული, როგორც ჩუქურთმის განუყოფელი ელემენტი, რისი გადაადგილებაც არღვევს არქიტექტურულ მთლიანობასა და სიმყარეს, იწვევს შინაარსის მოდიფიკაციას; მისი ამორიდება დეტალიდან არღვევს განპირობებულ შინაარსსა და მთელ ნაგებობასაც დამსხვრევით ემუქრება.

„დიდ ღამეში“ ერთი ამისთანა გამონათქვამია: „მამუკა ოქრომჭედელს უფლისწულის დაბადებამ ბევრი საჩქარო და გადაუდებელი საქმე გაუჩინა“. ეს ავტორისეული შერწყმული წინადადების ტიპობრივი ნიმუშია და ქართული შერწყმული წინადადების სტრუქტურული მერიდიანების საზომადაც გამოდგება.

„ცოტნეში“ ასეთი ფრაზაა: „სასურველი იყო ფრიად, მოძღვარო, შენი საუბარი“. აქ კითხვას ბადებს „ფრიად“ სიტყვის პოზიცია. არის კი ის ნახმარი იმ ადგილას, რასაც თანამედროვე ქართული სადასიტყვაობის ნორმა მოითხოვს? განა არ აჯობებდა მისი წინ წამოწევა? გვექნებოდა: „ფრიად სასურველი იყო“. სწორედ ამას მოითხოვს დღევანდელი ქართულის ჩამოყალიბებული სტილი, რასაც ჩვენი ავტორიც, ჩვეულებრივ, მტკიცედ იცავს. სხვა ადგილას ეს დაცულიცაა: „იოდასაფი ფრიად შეაწუხა იმის გაგებამ, რომ ყველა ადამიანის ბოლო სიკვდილია“... მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სემანტიკური მთლიანობა არ დარღვეულა, მაგრამ ბზარი კი გაჩნდა. „საუბარი ფრიად სასურველი იყო“ და „საუბარი სასურველი იყო ფრიად“ — ორი შესაძლებლობაა; პირველი ოპტიმალურია, მეორე — გამონაკლისი. მწერლის ენა ორივეს იცნობს, მაგრამ უპირატესად აქ ადვერბული ელემენტები წინაა წამოწეული და კანონზომიერად დომინანტობს, „ასე ჰყვებოდა“, „ჩქარა მიდიოდა“, „უზომოდ ანებივრებდა“ და მათი ტიპის სიტყვათშეერთებანი. ნიმუშები: „დიდმა თამარმა ჯეროვნად დააფასა ერთგული ათაბაგის სამსახური“, „კისკისა გოგონამ სახე კუშტად შეიკრა“, „ლაშა ყოველნაირად ცდილობდა ამ საშინელი აჩრდილის მოშორებას“ („ლაშარელა“); „საქართველოს სარდლობა წინდახედულად მოქმედებდა“, „ვაჩემ ფაციფუცით ჩაიცვა“, „ცეცხლმოდებულმა საპყარმა უცებ თავს ძალა დაატანა, ტკივილისაგან თუ ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვისაგან პირველად თავის სიცოცხლეში წამოიწია, ფეხზე დადგა, რამდენადაც ზედმიკრული სკამი ნებას აძლევდა, და ბოხი, საამო ხმით სიმღერა დააგუგუნა“ („დიდი ღამე“); „დილას გვიან გაეღვიძა ცოტნეს“, „გრიგოლ სურამელს ნაშუაღამევს ძლივს ჩაეძინა“, „ბადრადინი ლერწმოვნიდან გამოვიდა და ბექობზე დაეშვა“ („ცოტნე“); „შინ ფეხაკრეფით შევიდა ლევანი“, „ციცოს თავის დღეში დედისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია“, „დილაადრიახ ჩიტივით წამოფრინდა ლოგინიდან ვენერა“ („ყორნალი“). ჩვეულებრივია უბრალო დამატებისა და გარემოებათა მიმართება შემასმენელთან „მიწისკენ იხედებოდა“, „ღრუბლებზე მიმავალი მამალმერთი“, „ტანჯვით ტკბება“, „სახარება ზეპირად ვიცოდი“, „ხმაურზე წამოხტა“, „შესახვედრად ემზადებოდა“ და მისთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესიტყვებებში, თუმცა, როგორც ითქვა, არაიშვიათია „იღებს ყურად“, „იღებს ვალად“, „ჰყავს მოყვრად“ და მისთ. ტიპის წყვილებიც.

გრამატიკული წესების ცოდნა მწერალს ეხმარება, სიტყვათა ორგანიზებულ შენაერთებში მართებულად განალაგოს სახელური, ზმნური და უდეტრული სეგმენტები, რათა ნათელი და შთამბეჭდავი გახადოს ჩანაფიქრის სიტყვობრივი დეფინიციები, გრამატიკისა და მისი წესებისა თუ კანონების სწავლა კი მოკლე დროში შეუძლებელია, მათ შემოქმედი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეუფლება, რადგან ამას პრაქტიკა განაპირობებს. გრამატიკა კი სწორედ პრაქტიკაა, პრაქტიკა მეტყველებისა. ძველინდური სიბრძნის წიგნის — „პანჩატანტრას“ შესავალში მისი შემდგენელი კიშნუშარმანი მკითხველს ეუბნება, გრამატიკას თორმეტ წელიწადს სწავლობენ, დიდი დრო სჭირდება მეტყველების მეცნიერების შესწავლასო. ამ ძველი შეგონების დავიწყება არ შეიძლება.

გრ. აბაშიძე ყოველ სიტყვას ურჩევს ოპტიმალურ პოზიციას იმ მიზნით, რომ ჩანაფიქრი მიმზიდველი და გასაგები გახადოს მკითხველისათვის. ამ მიზნის მისაღწევად მას ხელთა აქვს იგივე მასალა, რაც ყველა მწერალსა და ქართულად მოლაპარაკე მკითხველს. მასალის გამოყენებაში მწერალი და მკითხველი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ ერთიანი მასალის განწესრიგება გამონათქვამთა იერარქიაში მათ სხვადასხვა პოლუსზე აყენებს. სიტყვათა კომბინირებულ განფენილობაში ჩნდება მწერლის ტალანტი. ნიჭიერი მწერალი წარმოაჩენს სიტყვის რეალურსა და პოტენციურ სემანტიკას, საჭიროების შემთხვევაში, სუბსტანტივს გააზმნავებს, ზმნას გაასუბსტანტივებს ან გაადიექტივებს, ყოველი მეტყველების ნაწილს ჩააყენებს მხატვრული გამომსახველობის ოპტიმალურ მწყობრში.

ამ თვალსაზრისით შევამოწმე ავტორის თხზულებანი მთლიანად, ხოლო აქ საილუსტრაციოდ მოვიხმობ მისი ისტორიული რომანების მხოლოდ თითო გვერდის მასალას („ლაშარელა“ და „დიდი ღამე“, თბ., 1963, „ცოტნე“, 1976).

„ლაშარელას“ 66-ე გვერდზე სულ 199 სიტყვაა. აქედან ბრუნებადი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი) — 125, უღლებადი (ზმნა) — 24, ზმნიზედა — 18, კავშირი—19 (და კავშირი მეორდება 12-ჯერ), ნაწილაკი — 3. დომინანტობს ბრუნებადი სიტყვა. პროდუქტულია სამი ბრუნვა: სახელობითი (16 შემთხვევა), მიცემითი (27 შემთხვევა), ნათესაობითი (23 შემთხვევა). ნახმარია ჩვეულებრივი საყოველდღეო სახელები: მეფე, ომი, თავი, ჩხუბი, ხელი, ხიფათი, უფლისწული, ქვეყანა, ყურანი, დედანი, ხმა, იმპერატორი, მიზგითი, ამბავი, კათალიკოსი, სიბრძნე, მიმინო, რწმენა, იხარე, კითხვა, ლაშქრობა, აღდგენა, მობრუნება, ნადირობა, ყურადღება და მისთ. ზმნები: არჩევდა, დაიპყრო, დაუკავშირდა, ერჩია, იზიდავდა, იღებდა, მდგარა, მიდიოდა, მოზიდა, მოაყოლა, უყურებდა, უჯდა, შეუდგა, წარმოადგინა, წარმოუდგა, ჰქონდა და მისთ. სიტყვათა ეს ლაშქარი განლაგებულია 6 აბზაცში 14 წინადადებად, საიდანაც მარტივია 2, შერწყმული —11, ჰიპოტექსი —1. დომინანტობს შერწყმული წინადადება.

„დიდი ღამის“ იმავე 66-ე გვერდზე სულ 167 სიტყვა დასტურდება. მათ შორის ბრუნებადი — 111, ზმნა —28, ზმნიზედა —11, კავშირი—13, ნაწილაკი—4. დომინანტობს ბრუნებადი სიტყვა. აქაც ყველაზე პროდუქტიულია სამი ბრუნვა: სახელობითი (16 შემთხვევა), მიცემითი (18 შემთხვევა), ნათესაობითი (24 შემთხვევა). აქტუალიზებულია ასევე პოპულარული სახელები: ადგილი, დედოფალი, დრო, გვერდი, ეკლესია, თვალი, თახაშემწე, კარი, კედელი, მარჯვენა, მეფე, მუსულმანი, მხატვრობა, ნიჭი, ოსტატობა, სალოცავი, საყდარი, სახელი, სამშობლო, სახლი, წელი, ქვეყანა, ხატი, ხელოვანი, ხუროთმოძღვარი და მისთ. ზმნები: აფრინა, აშინებდა, ახარებდა, გაითქვა, გარბოდნენ, გასულიყო, დააჯილდოვა, დაესრულებინათ, ენახა, იცის, იცნობდა, მოდიოდნენ, მოხდა, მოჰყვებოდა, უვლიდხენ. უცქეროდნენ, ფიქრობდა, შეიცვალა, ჩამოვიდა. ჰქონდათ და მისთ. ჩამოთვლილი ლექსემები განლაგებულია 7 აბზაცში 14 წინადადებად, საიდანაც მარტივია 3, შერწყმული — 6, პარტაქსი — 2, ჰიპოტაქსი —4. დომინანტობს რთული წინადადება.

„ცოტნეს“ 66-ე გვერდზე დამოწმებულია სულ 271 ლექსიკური ერთეული, მათ შორის ბრუნებადი — 162 (ზოგი სიტყვა მეორდება, მაგ., **ეშმაკ** 14-ჯერ მეორდება!), ზმნა — 52, ზმნიზედა — 12, კავშირი — 36 (და კავშირი მეორდება 23-ჯერ, **მაგრამ** კავშირი — 3-ჯერ, მაქვემდებარებელი **რომ** კავშირი — 3-ჯერ). დომინანტობს სახელები. დამოწმებულია უპოპულარესი სიტყვები: ადამ, ადამიანი, ანგელოსი, ბედი, ბიძა, ბუნება, გამოცხადება, ევა, ეშმაკი, ეშხი, კაცი, მოქმედება, მიბაძვა, ნაკლი, რწმენა, სამყარო, სიცოცხლე, უკვდავება, უფალი, ქვა, ქვეყანა, ღმერთი, ცდუნება, ცოდვა, ცხოვრება, ძვალი, ძია და მისთ. ზმნები: აკლდა, აღმოჩნდა, აცთუნა, არის, გააჯიბრა, გაულვიძა, გინახავს, გააჩინა, დაჰყვებოდა, დაივიწყებდა, დგას, დააყოლა, ემორჩილება, ებრძვის, ვემიჯნები, ვინანიებდი, ვიხედებოდი, ითმენს, იქნება, იგემა, მიანიჭა, იცოდა, მოაკლდებოდა, მოაწყო, მოიგონა, მონდომებდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქონდა, სჯეროდა, უნდა, შეუძლია, ჩააგონა, ხატავენ და მისთ. მთელი ეს მასალა გაფანტულია სამ აბზაცში 18 წინადადებად, რომელთაგან მარტივია 3, შერწყმული —3, რთული— 12, დომინანტობს ჰიპოტაქსური კონსტრუქციები.

როგორც ვხედავთ, რომანებში აქტუალიზებულია საყოველთაოდ გავრცელებული სიტყვები, რომელთაც მეტ-ნაკლებად ვხვდებით ყველა მწერლის თხზულებებში, არაფერია ორიგინალური და გამოგონებული. ნაცნობით გამოკვეთილია უცნობი. პოპულარულ სიტყვებს მწერალმა ახალი სული ჩაუდგა და გამოხატა მანამდის გამოუხატავი მხატვრული აზრი. მწერალმა კარგად იცის სიტყვის ძალა. მისთვის სიტყვა ნიშანია არა მარტო აზრისა, არამედ საგნისაც. ჯერ კიდევ ლაიბნიცი ამბობდა: „ენის გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ სიტყვები არის არა მარტო აზრების ნიშნები, არამედ საგნის ნიშნებიც; ჩვენ გვიხდა ნიშნები არა მარტო იმისათვის, რომ ჩვენი აზრი გავაგებინოთ სხვას, არამედ დავალაგოთ ისინი".

ყოველი მხატვრული ტექსტი არის იმის ადეკვატური თარგმანი, რაც შემოქმედის ცნობიერებაში იბადება და ცოცხლობს. ყოველგვარი ზეპირნააზრევი ენობრივ გამოსახულებას გულისხმობს, მწერალი ძერწავს მხატვრულ სახეს, ენობრივი საშუალებებით აღწერს პერსონაჟის პორტრეტს, წარმოგვიჩენს მისი, როგორც პიროვნების, შინაგან და გარეგან მახასიათებლებს, მოქმედების მიზანსა და არეალებს, გონების თვალით სჯის და აფასებს ამ პერსონაჟთა იდეებს, წადილებს, მისწრაფებებს — ყოველივე იმას, რითაც პიროვნება უპირისპირდება საზოგადოებას ან მის პროგრესში მონაწილეობს. ამით ის აღგენს ტექსტს, ანუ საწარმოთქმო ერთეულთა სისტემას, რომელშიც ალაგებს სიტყვათა და შესიტყვებათა ისეთ კომბინაციებს, ოპტიმალურად რომ ამჟღავნებს მის ტალანტს. აქ ნივთდება და დასაბუთებას პოულობს აზრი ვაჟას ცნობილი ფორმულისა, ყოველ მწერალს თავისი საკუთარი ენა უნდა ჰქონდესო. მართლაცდა, როგორც აღინიშნა, არც ერთ მწერალს ნამდვილი შემოქმედის სახელი არ მოუხვეჭავს უთავისენოდ. ამ ვითარებამ გამონაკლისი არ იცის. გრიგოლ აბაშიძის მხატვრული მემკვიდრეობა ამის ცოცხალი ნიმუშია.

მონოლოგური და დიალოგური მეტყველება გულისხმობს ისეთი სასაუბრო შაბლონის მოდელირებას, რომელშიც გაერთიანებულია საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი კონსტრუქციული და სემანტიკური ერთეულები. წარმოუთქმელი ტექსტი არის ენის არა რეალური ფაქტი, არამედ მხოლოდ მიზეზი ამა თუ იმ ამბის წარმოშობისა. ამიტომ რეალურ ენად მიიჩნევა მხოლოდ ის სიტყვა ან სიტყვათა კომბინაცია, რომელიც წარმოითქმება, წარმოუთქმელი ან დაუწერელი ტექსტი, ლ. შჩერბას მტკიცებით, მხოლოდ უშუალო აზრობრივი ასოციაციაა და არა სალიტერატურო ენის ფაქტი. ამიტომ მწერლის ტექსტი მკითხველისათვის გასაგები რომ გახდეს, უნდა ითარგმნოს წარმოსათქმელ ენაზე. მწერლის ჩანაფიქრის გაგება, ცხადია, იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა გამოიხატება ენობრივი საშუალებებით და წარმოითქმება. წარმოუთქმელი ამბავი მხოლოდ იმის სურვილია, რომ გახდეს ტექსტი და არა ენობრივი ფაქტი.

მწერლის ენის ფორმისეული ელემენტების აღწერისას წარმოჩნდება მისი ერთგულება ტრადიციისადმი და ნოვატორობაც. გრიგოლ აბაშიძის მხატვრული ენა ორივე მათგანის მაჩვენებელია. ნაცნობი მასალითა და საშუალებებით მას უცნობ სამყაროში შევყავართ, სადაც იშლება ენობრივ გამოხატულებათა არსებითად თავისებური და თვითმყოფი მოდელების შეუზღუდავი მოქმედების ასპარეზი. აქ პირველ რიგში ჩანს თავისებურად გააზრებული მიმართებანი სახელსა და ზმნას შორის, ზმნური ფორმების მიმართებანი სუბსტანტიურ, ადიექტურ თუ ადვერბულ ელემენტებთან, მისამართ თუ მიუმართავ ერთეულებთან, სინტაგმური კვანძების იმ სტრუქტურებთან, რაც პროდუქტიულია ავტორის მონოლოგებისა და დიალოგების სისტემაში. სამწუხაროდ, ეს აქტუალური საკითხები ქართულ ენათმეცნიერებაში ცალკე მწერლის ენასთან დაკავშირებით არათუ არ გაშუქებულა, არც კი დასმულა. ჩვენი ენათმეცნიერება განვითარდა და გახუზომლად დიდ წარმატებებსაც მიაღწია ისე, რომ, გამონაკლისს გარდა, თავი აარიდა მწერლის ენის თავსამტვრევ პრობლემებზე მსჯელობას, გვაქვს გაუბედავი ცდები ზოგი მწერლის ენისა და სტილის შესწავლისაც, მაგრამ ზოგადი თეორია მწერლის ენისა და სტილის შესახებ ჩვენში არ დამუშავებულა, შეიძლება ითქვას, ჩასახვის პროცესშია.

პროზა შედგენილი შემასმენლის გახუსაზღვრელი და შემოუზღუდავი სარბიელია. მისი ყველა რეალური ვარიაციაა აქტუალიზებული წინადადებათა კონსტრუქციებში. შემასმენლის პოზიცია სინტაქსურ სტრუქტურებში ტრადიციულ ადგილს იჭერს. მოდელირებულია როგორც შეკუმშული, ისე გაშლილი კვახძები. ორივე მათგანი პროდუქტიულია გრიგოლ აბაშიძის რომანებში. შემასმენლისად აქ გვევლინება სახელის ყველა სემანტიკური ერთეული (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, მიმღეობა, საწყისი). „ეგ გრძელი **ამბავია** და თანაც ძველი" („ყორნალი", I), „ბიძაშენი მორწმუნე **კაცია?**" (იქვე). ხაზგასმულ შედგენილ შემასმენლებში **ამბავ, კაც**

შემასმენლისები სახელობითი ბრუნვითაა გაფორმებული. „მეფეთაგან უკეთესი **იგია,** ვინც ბერძენთა შორის ცხოვრობს“ („ლაშარელა“), „ბერძენთაგან უარესი **ის არი,** ვინც სულ მეფის კარზე ტრიალებს ერთთავად“ (იქვე). ამ წინადადებებში შემასმენლისებად ნაცვალსახელები გვხვდება: იგი, ის. „სული კაცისა **ლამაზია**“ (იქვე) — აქ ადიექტივი; „მე უკვე **უძლური ვარ** ეგოდენ დიდი ტვირთის ზიდვად“ („ცოტნე“) — აქაც ადიექტივი; „**არ გამოჩენილა** მაგ არ დასარჩენი“ („ყორნალი“, 1), „ნამდვილად **გადარჩენილია?** ალარაფერი გაუჭირდება?“ (იქვე) — შემასმენლისებად მიმღეობებია: გამოჩენილი, გადარჩენილი. ამავე ფუნქციას არაიშვიათად ასრულებენ: რიცხვითი სახელი, საწყისი, გასუბსტანტივებული ზმნიზედა — ყველა ბრუნებადი სიტყვა. კვანძში შევსებულია ყველა ღია უჯრა. ღია უჯრებს, ჩვეულებრივ, ავსებენ და კვანძში შემასმენლისას ფუნქციას ასრულებენ მიმღეობიანი ერთეულები და მათი ფარდი ბრუნებადი სიტყვები, რომელთა მიმართება ზმნასთან გრამატიკულად მოტივირებული არაა და ზმნასთან ერთად ერთ სინტაქსურ ერთეულს —შედგენილ შემასმენელს ქმნიან, ატრიბუტივიანი შემასმენლის სახელით რომაა ცნობილი. „ლილე **სულგანაბული შესცქეროდა** მკურნალის სახის ყოველ მოძრაობას“ („ლაშარელა“), „ვაჟმა წიგნი დახურა და **მოჯადოებული** მიაჩერდა“ („დიდი ღამე“), „გახელებული ძაღლები **თავგადაკლული** ჰყეფდნენ და გალავნის მაღალ კედელს ახტებოდნენ“: („ცოტნე“), **გაბრუებული** წამოვდექი და გასასვლელისაკენ წავედი“ („ყორნალი“, I), „ლევანი **გატაცებული** უყურებდა მეგობრის ნამუშევარს“ („ყორნალი“, II)... რა ფუნქციას ასრულებენ ამ სტრუქტურებში მიმღეობური სეგმენტები? რომელ ზმნურ ელემენტებს მიემართებიან ისინი? მათი ფუნქცია იგივეა, რასაც **ცოცხალია** სტრუქტურაში **ცოცხალ** მორფემა ასრულებს. თავისთავად ცხადია, რომ შემასმენლისის ღია უჯრას ავსებენ, ზმნებს ეკედლებიან, ოღონდ მიმართებას ვერ გამოხატავენ, წინადადების დამოუკიდებელი წევრის ფუნქციას ვერ ასრულებენ, შემასმენლისებად გვევლინებიან და ზმნებთან ერთად შედგენილი შემასმენლის კვანძებს კრავენ.

წყვილში **განმტკიცებული ჩანდა** („დიდი ღამე“: „ბუნებრივადაც გამაგრებული ქალაქი ხელოვნურად მაღალი კედლებითა და საბრძოლო გოდლებით **განმტკიცებული ჩანდა**“) გვაქვს მიმღეობა და ზმნა. სიტყვათა ამისთანა შეხამება ენისათვის მოულოდნელია. მიმღეობა, ადიექტივის ტიპის ნაზმნარი სახელი, სინტაქსურად მიემართება მხოლოდ სახელს და არა ზმნას. მიმღეობა მხოლოდ იმისთანა შემთხვევაში მოგვევლინება სინტაქსური წყვილის სეგმანტად, თუ გასუბსტანტივდება. მოცემულ სიტყვათშეერთებაში („განმტკიცებული ჩანდა“) მიმღეობა დაკავშირებულია არა სახელთან, არამედ ზმნასთან და შესაბამისად სათანადო (მიმღეობისათვის დამახასიათებელ) კითხვას მოითხოვს: როგორი? ზმნასთან შეწყვილებული სახელი კი შეეწყობა მის პირს და უპასუხებს კითხვებს: ვინ? რა? ვის? რას? ან: ვისზე? რაზე? რაში? და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში არ შეიგუებს კითხვას — როგორი? მიმღეობა წინადადებაში, ჩვეულებრივ, განსაზღვრებაა სახელით გადმოცემული წევრისა და არა პირის სახელი ან გარემოება (თუ უბრალო დამატება). ეს საყოველთაო მოვლენაა უნივერსალური ხასიათისა. სინტაქსურ წყვილში განსაზღვრებისა და შემასმენლის შეთავსება ანაქრონიზმად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში რეალური ფაქტია. ხელთა გვაქვს გრამატიკულად დაუკავშირებელი წყვილი. იბადება კითხვა: არის კი ეს სინტაგმა წინადადების ორი დამოუკიდებელი წევრი? მიმღეობა და ზმნა — განსაზღვრება და შემასმენელი — განა შექმნის სინტაქსურ წყვილს? ვერა. აქ წყვილის კომპონენტებს შორის გრამატიკული დამოკიდებულება — შეთანხმება და მართვა — მოჩვენებითია. მიმღეობა და ზმნა შეიძლება გადადგხენ მრავლობით რიცხვშიც, მაგრამ ეს განა მიმღეობური სახელის მეშვეობით მოხდება? ზმნის მრავლობითობა ხომ, გრამატიკული წესის თანახმად, სახელის მრავლობითობით არის განპირობებული. გრამატიკული კანონზომიერებაა **ქალაქნი განმტკიცებულნი ჩანდნენ** და არა სახელის ჩავარდნით დარჩენილი **განმტკიცებულნი ჩანდნენ. — ნენ** ელემენტი სუბიექტისეული მორფემაა მხოლოდ, სუბიექტი კი **ქალაქნია** და არა **განმტკიცებულნი.** მიმღეობა აქ ატრიბუტივია, გადაადგილებული, სახელს დაშორებული და ზმნას მიკედლებული. ამიტომ ის წინადადების წევრად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ზმნას (შემასმენელს) ეკვრის, კრავს შედგენილი შემასმენლის კვანძს, ავსებს გადაადგილებით გამოწვეულ ცარიელ უჯრას, ე. ი. შემასმენლისია და არა პრედიკატის განსაზღვრება. უხერხული ტერმინია პრედიკატული განსაზღვრება, რასაც ზოგიერთ უცხოელ მეცნიერთან ერთად ქართველი გრამატიკოსებიც ხმარობენ. განსაზღვრება პრედიკატთან?! განსაზღვრება, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, სუბსტანტივის მხლებელია და არა პრედიკატისა. თუ ამ ცნებას მივიღებთ, მაშინ რანაირი დეფინიცია უნდა მიეცეს განსაზღვრებას, როგორც წინადადების წევრს? აკაკი შანიძის სიტყვებით, „განსაზღვრება ჰქვია წინადადების წევრს, რომელიც

ქვემდებარეს, დამატებას ან სახელით გადმოცემულ გარემოებას რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს, განსაზღვრავს". ე. ი. მეცნიერი გასაგებად გვეუბნება, რომ განსაზღვრება მხოლოდ სუბსტანტიური დამოკიდებულების წყვილის ცალია და არა ზმნისა, შედის წყვილში მხოლოდ სახელთან და არა ზმნასთან. პრედიკატს განსაზღვრება, ამ სიტყვის ლინგვისტური მნიშვნელობით, არ ახლავს. პრედიკატის „განსაზღვრება" გარემოების სიტყვაა. უფრო ადრე ამასვე ამბობდა ცნობილი გრამატიკოსი ს. ხუნდაძეც: „განსაზღვრება არის სიტყვა, რომელიც საზღვრავს, განმარტავს უმეტესად ქვემდებარესა და დამატებას". არც აქაა რაიმე მინიშნება შემასმენელთან (პრედიკატთან) განსაზღვრების მიმართებაზე; ლ. კვაჭაძის დეფინიციაც ამის დაზუსტებაა: „განსაზღვრება არის წინადადების არამთავარი წევრი, რომელიც ახლავს არსებითი სახელით ან მასთან გათანაბრებული სიტყვით გადმოცემულ წევრს და ახასიათებს ანუ განსაზღვრავს მას რაიმე ნიშნის მიხედვით". არც ერთი სიტყვა განსაზღვრების მიმართებაზე პრედიკატთან! ეს ციტატა ამოწერილია იმ წიგნიდან, რომელშიაც მთელი გვერდები ეთმობა მსჯელობას ე. წ. პრედიკატული განსაზღვრების შესახებ. მოხმობილია მიმღეობური ერთეულების ბევრი საინტერესო მაგალითი, მათ შორის უნიკალურნიც, რომლებიც ჩინებულადაა გაანალიზებული, მაგრამ ჩემთვის დამაჯერებელი არაა ავტორის დასკვნა ე. წ. პრედიკატული განსაზღვრების წინადადების წევრად მიჩნევის შესახებ. გრიგოლ აბაშიძის პროზაში გვაქვს არა „პრედიკატული განსაზღვრება", როგორც ზოგი გრამატიკოსი ფიქრობს, არამედ ატრიბუტივიანი შემასმენელი — ერთ-ერთი სახეობა შედგენილი შემასმენლისა. აქ ზმნასთან მიკედლებული მიმღეობური ერთეულები სწორედ შემასმენლისის ფუნქციას ასრულებენ და წინადადების წევრებთან არა ესაქმებათ რა.

პროზა მონოლოგისა და დიალოგის უკიდეგანო ასპარეზია. აქ ავტორი ესაუბრება ან თავის თავს (ეს უფრო მონოლოგში ხდება), ანდა — სხვას (ეს კი დიალოგში!). მონოლოგად წარმოიდგინება გაბმული მეტყველება თავისთავად, სურათისა თუ მოვლენის აღწერა, პერსონაჟთა დახასიათება, ავტორის დამოუკიდებელი მსჯელობა. ერთი სიტყვით, ყოველგვარი პროზაიზმი. აქ ავტორი საგანსა და მოვლენას უცქერის უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად, ტონი ამაღლებულიცაა და დაშვებულიც, ინტონაცია — ზომიერი. მონოლოგებით სავსეა „ლაშარელა", „დიდი ღამე", „ცოტნე", „ყორნალი". ბევრი მწერლის პროზაული თხზულება ერთიან მონოლოგს შეიცავს. მონოლოგებით განსაკუთრებით მდიდარია ნოველა, მოთხრობა, რომანი, დრამა. გრიგოლ აბაშიძის რომანებში მონოლოგებს ზოგჯერ მთელი გვერდები უჭირავს.

მონოლოგებში დალაგებულია ავტორის ან პერსონაჟების თვალით დანახული საგნები და მოვლენები, შეფასებულია მათი გარეგანი და შინაგანი ნიშან-თვისებები, გამოკვეთილია ავტორის ინდივიდუალური სახე. ყოველივე ეს კი მკითხველს ამზადებს დიალოგთან შესახვედრად. დიალოგი, როგორც თხრობის უშუალო შემადგენელი, რაღა თქმა უნდა, უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე მონოლოგი, გამოიყოფა იმდენი დიალოგური სტრუქტურა, რამდენიც ურთიერთსაუბარს სჭირდება. არც მონოლოგია ერთფეროვანი, რადგან პირად შთაბეჭდილებებს განაზოგადებს. მონოლოგი უპირისპირდება დიალოგს, რომელიც უპირატესად კითხვა-პასუხს გულისხმობს და ორი მოსაუბრის შეხედულებათა პოზიციას ან ოპოზიციას ალაგებს ენობრივი საშუალებებით. თვალშისაცემი ხდება სტრუქტურული მოდელების განუსაზღვრელობა, კითხვითი, ემოციური და თხრობითი კომპონენტების ჰარმონიული შეხამებანი.

გრიგოლ აბაშიძეს თავისი წვლილი შეაქვს სალიტერატურო ქართულის შემდგომ მხატვრულ სრულყოფაში. უწინარეს ყოვლისა, იგი კომბინირებული დიალოგის ერთი ბრწყინვალე ოსტატია.

ავტორისეული დიალოგებიდან გამოიყოფა სამი ძირითადი ტიპი — პრედიკატული, კითხვაპასუხიანი და მიმართვიანი. თითოეულ მათგანს საკუთარი სპეციფიკა აქვს. **ა) პრედიკატული დიალოგი.** აქ რეგულატორია პრედიკატი, რომელიც უპირატესად გამონათქვამის ბოლო პოზიციას იკავებს, სუბიექტი წინაა წამოწეული. ამისთანა კომბინაციები ტექსტში გაბატონებულია და ირკვევა, ის ქართული დიალოგის უაღრესად მნიშვნელოვანი სტილური ნიუანსია. აი, ტიპობრივი ნიმუშები: „— ეს რას **ნიშნავს?** — ქალაქში ჭირი **გაჩნდა,** მეფეო ბატონო, — შეწუხებული სახით მოახსენა მანდატურთუხუცესმა — რ ო დ ი ს? რატომ ადრე არ **მომხსენდა?** — ხუთი დღის ამბავია, ჯერ რამდენიმეს **შეეყარა,** ექიმები მოტყუვდნენ, იოლი **ეგონათ.** უკანასკნელ დღეებში მთელ ქალაქს **მოედო,** სასნეულოები **აივსო.** სწორედ დღეს უნდა მოგვეხსენებინა" („ლაშარელა").

**ბ) კითხვაპასუხიანი** დიალოგი. ესაა ნამდვილი დიალოგი, განპირობებული კომუნიკაციის მოთხოვნებით. ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, რის უპირველესი საშუალება ენაა, მთლიანად დიალოგზეა აგებული, კითხვა-პასუხს გულისხმობს. მონოლოგი სტატისტიკაა, დიალოგი — დინამიკა. ორატორის მონოლოგი მსმენელთან ურთიერთობას ვარაუდობს. ინდივიდი, ვთქვათ, ტყეში წასული მონადირე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრობს და ამ ფიქრს ენობრივი გამოსახულება აქვს. ფიქრი ყოველთვის გულისხმობს საგანს, დამოკიდებულებას საფიქრალთან. ამიტომ ფიქრი უფრო დიალოგია, ვიდრე მონოლოგი, რადგან საფიქრალ სუბიექტს ითვალისწინებს. ფიქრი და ოცნება ენობრივი გამოსახულების გარეშე წარმოუდგენელია. ფიქრი და ოცნება შეიცავს ყველა იმ კომპონენტს, რასაც სამეტყველო აქტი იტევს. კითხვითი წინადადება ტექსტში მეტყველების (წერისაც) დესიგნატია — მისი განუყოფელი კომპონენტი. გრიგოლ აბაშიძის თხზულებებში დიალოგური კითხვითი წინადადება ორი სახისაა. ერთია კითხვითსიტყვიანი („რა მოხდა? მონგოლები ხომ არ გამოჩნდნენ?“ ტიპისა), მეორე — უკითხვითსიტყვაო („მოგწონს?“ ტიპისა). „— ლუხუმი **სად** არი? — კალოზე გახლავთ, ორი დღეა შინ არ მობრუნებულა — ჯანზე ხ ო მ კარგად არი, ნაჭრილობევი **ხომ არ** აწუხებს? — მეფე **როდის** წაბრძანდა სანადიროდ? — ამ დილით ინება — ამალა დიდი ახლავს? — არა, უცებ გადაწყვიტა წასვლა... — ახლა **სად** მიბრძანდება ხელმწიფე? ღამის გათევას **სად** აპირებს? — ღამეს, ალბათ, მინდორში გაათევს. — მინდორში?“ („ლაშარელა“); „— ჩალხია, გძინავს? — გასტეხა სიჩუმე ახალციხელმა, — არა, არ მძინავს, ფიქრს რასმე ვფიქრობ. — მაინც რას ფიქრობ? — **რამლი** ვყარე და ვარსკვლავი ვჩხრიკე, შფოთიანი მეფობა ელის ჩვენს ხელმწიფეს“ (იქვე)...

**გ) მიმართვიანი დიალოგი.** მიმართვას დიალოგში განკერძოებული ადგილი უჭირავს, წინადადების წევრებს გრამატიკულად ვერ უკავშირდება და სინტაქსურ მიმართებას მხოლოდ მისსავე მსაზღვრელთან ამყარებს. ამიტომ მისი პოზიცია მყარი არაა, ან უსწრებს გამონათქვამს, ან მოსდევს, ან მოქცეულია მასში. სამივე სტრუქტურა ბუნებრივად ჟღერს მწერლის თხზულებებში,

გრიგოლ აბაშიძისთან ხშირად გაიელვებს ხოლმე ტრადიციის რემინისცენციები, რაც ტექსტს მხატვრულ სილაღეს მატებს და ადვილსამახსოვროდ აქცევს. ისინი ჩუქურთმებივითაა ჩართული აქა-იქ და თხრობას ბუნებრიობის ელფერს აძლევენ. „ცოტნეში“ საუბარია სამამაცო ზნეთა და ნიჭთა მნიშვნელობაზე უფლისწულის აღზრდაში. მოძღვარი შეგირდს ჩააგონებს სამამაცო ზნეთა შეთვისების საჭიროებას. „მეტი ზრუნვა გვმართებს იმისათვის, რათა ცოტნემ **სამამაცო ზნე** უკეთ შეითვისოს“, „რაკი მე თვითონ აღარ შემიძლია, ამაზე შენ უწინამძღვრე ბატონიშვილს, ვიცი, **სამამაცო ზნეთა** მეცნიერიც ხარ და თუ დაგჭირდა, ვაჟკაცობაშიც ტოლს არავის დაუდებ“. მწერლის მსჯელობა სამამაცო ზნეთა თაობაზე ჩვენს წარმოდგენაში გააცოცხლებს შეჭირვებული როსტევანის წუხილს „ვეფხისტყაოსნიდან“: „კაცი არ არის, სიდგანცა საბრძანებელი ჩვენია, რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცენი ზნენია“. მწერლის სიტყვები ეხმაურება ეპოქას, როცა სამამაცო ზნენი ისწავლებოდა. ავტორი იმავე რომანში ერთგან აღწერს ცხენოსნობასა და ბურთაობას: „კიდევ ერთი წუთი და მოედანზე ცხენოსნები გამოვიდნენ. ჰაერში ბურთი ავარდა და კახელები ცხენდაცხენ მიეტივნენ. **ხელმარჯვედ სცემდნენ ჩოგანს**, ცხენიდან ხტებოდნენ. უზანგებზე ეკიდებოდნენ“. ამ ადგილის კითხვისას კაცის ცნობიერებაში გაცოცხლდება რუსთაველის სიტყვები: **„ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა**, იხმაროს დიდი გმირობა“. ასევე საუბარი კარვის კალთასა (**„კარვის კალთა** ასწია“, **„კარვის კალთა** დაეშვა და უმალვე დაფარა ტანბრგე ვაჟკაცის ლანდებიო“) და ნარდის მღერაზე („ომი **ნარდის მღერას ჰგავსო**“), რასაც „დიდ ღამეში“ ვეცნობით, შოთას პოემის სათანადო ადგილებს გაგვახსენებს. ავტორი ერთგან აღწერს უთვისტომო მხატვრის ხარაჩოდან გადმოვარდნის მძიმე სცენას და გადმოგვცემს: „მკურნალი მთავარს ჩურჩულით რაღაცას ეუბნებოდა. იმ ჩურჩულიდან კანტიკუნტად ესმოდა ცოტნეს: „წამალს რაღა შეუძლია... შიგანი **ჩაქცეული აქვსო**“. ამ ადგილის გაცნობისას მკითხველის წარმოდგენაში გაიელვებს ილიას მიერ „ოთარაანთ ქვრივში“ აღწერილი ეპიზოდი ზვინიდან გიორგის ჩამოვარდნის შესახებ: „ტყუილი წამება-ღა იქნება უბედურისა, სჯობია უწვალებლად მიაბაროს სული, — მიუგო დემეტრემ, — ამაღამ დიდი საქმეა, თუ გაატანა, **შიგანური სულ შენგრეული აქვს**“.

ავტორის ერთ მონოლოგში ლაპარაკია ხაშხაშით დათრობაზე: „ცოტა ხაშხაში მომერია. ალბათ, გახსოვს, ადრეც ვეტანებოდი. ჩვენ, ისმაილიტები, ხაშხაშით ვთვრებით და ამიტომ ხაშხაშიანებსაც გვიწოდებენ“. ეს სიტყვები წარმოშობს აკაკის „ბაში-აჩუკის“ სათანადო პასაჟის რემინისცენციებს. „ცოტნეში“ ხალხური ამირანიანის მოტივების გახსენება მკითხველში აცოცხლებს ცნობილ ამბებს: „კავკასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვული ცოტნე თავჩაქინდრული თვლემს“, „კავკასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვული გმირი ახლა იმას ფიქრობს, სულ გაილევა თუ არა ეს ჯაჭვი“, „გაწყვეტამდე კიდევ ბევრი უკლია ჯაჭვს. ამასობაში დიდი ხუთშაბათიც დადგება, მჭედლები გრდემლზე უროს დასცხებენ და ჯაჭვი ისევ გაივსება, გამსხვილდება და გამთელდება“; „კლდეზე მიჯაჭვული მიხვდა, არწივი მოფრენილა მისი ღვიძლის საკორტნად“.

ამისთანა რემინისცენციები ავტორის სხვა თხზულებებშიაც გვხვდება, რითაც უფრო შთამბეჭდავად განიცდება აღწერილი პასაჟები. ავტორის თხრობა არის დინჯი, ზომიერი, არ იგრძნობა პანეგირიკული ზედმეტობა, არც მოჭარბებული ქება ან ძაგება, თუმცა მწერალი არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთისა და არც მეორისათვის, საჭიროებისამებრ, სალებავებს არ იშურებს.

მწერლის ენის ერთ-ერთი ძირითადი მაცოცხლებელი არტერია ლექსიკაა. ნოვატორობა ლექსიკაში ძნელია, მაგრამ ახალ სიტყვათა პირველხმარება და დამკვიდრება ნოვატორობას უტოლდება. ნეოლოგიზმთა აქტუალიზება ოთხი გზით ხორციელდება: ა) ენის პასიური ინვენტარიდან დავიწყებული ლექსიკური ერთეულების გაცოცხლებით, ბ) დიალექტური წიაღიდან სალიტერატურო ენასთან შეგუებული, კუთხური ფონდის ზომიერი შემოშვებით, გ) დესიგნატთა კვლავწარმოების საშუალებებით წარმოქმნილ ფუძეთა დეტერმინაციითა და დ) უცხოურ მორფემათა კომპოზიციით. ავტორი ამ ოთხივე საშუალებას შემოქმედებითად იყენებს და მნიშვნელოვნად ავსებს სალიტერატურო ენის ლექსიკურ საგანძურს. გრიგოლ აბაშიძის თხზულებებში განსაკუთრებით მდიდრულადაა აღბეჭდილი მორფემათა კომბინაციით შედგენილი სიტყვები. აქ იგი ჭეშმარიტი ნოვატორია. ჩვენში ცოტაა მწერალი, რომელსაც იმდენი ნეოლოგიზმი დაემკვიდრებინოს პრაქტიკაში, რაც გრიგოლ აბაშიძემ შეძლო. ეს ახალწარმოქმნი ფართოდ გავრცელდა სალიტერატურო ენაში, მაგრამ, სავალალოდ, მათი მხოლოდ უმცირესი ნაწილია აღბეჭდილი განმარტებით ლექსიკონებში. შედგენილს ვეძახით იმისთანა კომპოზიტებს, რომლებიც დერივატიზებულია ტრადიციული ძირეული და აფიქსური მორფემების კომბინაციებით. მწერალი ჯაჭვურად კინძავს როგორც ერთ-, ისე ორ- და მეტფუძიან წარმონაქმნებს და მათ, როგორც დამოუკიდებელ ერთეულებს, ადგილს უძებნის ტექსტში. თავ-თავის ადგილასაა ლოკალიზებული: ადრეგამოტანილი, ალყაშემორტყმული, ახლადმოლოგინებული, გონდაკარგული, გულამომჯდარი, გულისშემღონებელი, გულმამაცი, გულმშვიდი, გულჩამკვდარი, გამიწისფერება...

ამ კომპოზიტურ ერთეულთა დესიგნატები: ადრე, ალყა, ლოგინი (მოლოგინება), გონი, გული; მშვილდი; მკვდარი, დარაბა, დროშა, ზარი, თავი, თაფლი; თმა, კანი, კარი; მიწა... საყოველთაო ხმარების სიტყვებია და ყველა მწერლის თხზულებებში ხშირად მონაწილეობენ. გრიგოლ აბაშიძემ ნაცნობსა და ფართო ხმარების სიტყვებს ახალი სული ჩაუდგა და მათგან მშვენიერი კომბინირებული ნეოლოგიზმები გამოკვეთა. ასობით ავტორისეული ნეოლოგიზმი, როგორც ითქვა, ასახული არ არის განმარტებით ლექსიკონებში. ამ რიგისაა: ადრეგამოტანილი, ბაწარშემოჭერილი, ბეწვგრძელი, გადამხდელუნარიანობა, გონებაალმატებული, გულდაარხეინებული, გულმამაცი, გულისძილი, გაქედმაღლებული, გემოსმიმყოლი, გალავანშემორტყმული...

„ლაშარელას“ ტექსტიდან შეიძლება დავიმოწმოთ კიდევ ათობით ამისთანა ცინცხალი ერთ, ორ- ან სამფუძიანი ნეოლოგიზმი: ემცხეთა, ნადობი, გემოთმიმყოლი, სახეგამკაცრებული, მონაყოფილი, გულმტკიცე, თანამოასაკე, პირგამეხებული (რუსთაველიდან), სიმღერადქცეული, უხანობა, სირცხვილეული, ბორკილგაყრილი, ლოყებაწითლებული, სიმკაცრეგამოცდილი, ოქროსწინწკლებიანი, მხეცქმნილი, ლოყებღაჟღაჟობა...

ყველა სიტყვა დეტერმინიზებულია, შედგენილია ბუნებრივი მორფემული ელემენტებისაგან. სასურველია მწერლის თხზულებებში აქტუალიზებულ იშვიათ სიტყვათა ლექსიკონის შედგენა.

უნდა აღინიშნოს გრიგოლ აბაშიძის თხზულებათა ლექსიკის კიდევ ერთი თავისებურება, რაც მას თვითმყოფობის იერსახეს უმტკიცებს. ისტორიულ რომანებში გაცოცხლებულია წარმართული და ხალხის ხსოვნაში შემორჩენილი იშვიათი ანთროპონიმები. აქ ოსტატურადაა გამოკვეთილი თითოეული პერსონაჟის ინდივიდუალური სახე და ხასიათი. მოქმედებებთან ერთად ისინი სახელებითაც გამოირჩევიან. მწერალმა აღადგინა არაერთი დავიწყებული საკუთარი სახელი და გვერდში ამოუყენა თანამედროვე სახელებს. ისტორიულ პირთა (დავით, თამარ, გიორგი, ლაშა, რუსუდან, იოანე) პარალელურად პერსონაჟთა საკუთარ სახელებად რომანებში გვხვდება: „ლაშარელაში“ — ავაგ, ბაკურ, ბექა, ბიბლა; ბოცო; გოჩი, დემეტრე, ეგარსლან, ვარამ; ვაჩე, თამთა, თორღვა, თურმან, ლილე, ლუხუმი, მამუკა, საბა, უთურგა, ქეთევან, შიო, ცაგო, ციცინო, ხოსიტა; „დიდ ღამეში“ — ავაგ, გოჩი, დემეტრე, ეგარსლან, ვარამ, ვაჩე, თამთა, თურმან, ლელა, მათე, მამუკა, მემნი, პავლია, შანშე, შიო; „ცოტნეში“ — აბიათარ, ავაგ, ასპანსია, ბადრადინ, ბადრი, ბათო (ყაენი), ბექა, ბეწინა, ბიჩუ (ნოინი), გოგუტა, გრიგოლ, ეგარსლან, ეფემია, ვარამ, ვარდან; ვატა, თორღვა, ივლიანე, კახაბერ, კირიონი, კრავაი; ნათელა, ოტია, სარგის, ტოტია, უჩა, ყვარყვარე, შანშე, შერგილ, ჩაღატა (ნოინი), ცაბო, ციცინო, ცოტნე, ძუკუ, ხვიჩა, ჯიქური... რაც შეეხება თანამედროვე თემაზე დაწერილ „ყორნალს“, მასში წარმართული ანთროპონიმები აღარაა, ყველა პერსონაჟი თანამედროვე სახელს ატარებს.

ქართული ენის უპირველესი მეტყველების ნაწილი რომ ზმნაა, ეს კარგად იცოდნენ გრამატიკოსებმაც, მწერლებმაც, მეცნიერებმაც, ორატორებმაც. ზმნა ყოველგვარი ენობრივი სტრუქტურის ფოკუსია. ერთნაირადაა ჩართული მონოლოგებსა და დიალოგებში, პერსონაჟის მეტყველებასა თუ ავტორის რემარკებში. პრედიკატული შესიტყვებანი გამომსახველობის უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა და მწერალიც მათ ოსტატურად იყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზმნა-შემასმენლის პოზიცია ქართულ სტრუქტურულ ერთეულებში შედარებით თავისუფალია, მაგრამ მთავარ და არამთავარ წევრთა გადაადგილება ყოველთვის ლოგიკური მახვილითაა განპირობებული. ატრიბუტული განსაზღვრება თუ უპირატესად უსწრებს სუბსტანტივს, ხოლო იშვიათად მოსდევს მას, მართული განსაზღვრება, პირიქით, მუდამ წინაა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიცვლის პოზიციას. სუბიექტთან მიმართებაში პრედიკატი უპირატესად მარჯვნითაა ხოლმე გადახრილი და მეორე ადგილს იკავებს. გვაქვს ორი წყობა: სუბიექტი-პრედიკატი და პრედიკატი-სუბიექტი. ჩვენი გამოთვლით, პირველი სტრუქტურა (სუბიექტი-პრედიკატი) ძირითადია და ამით გრიგოლ აბაშიძის პროზა ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ ქართულ წინადადებაში სუბიექტს (ქვემდებარეს), ჩვეულებრივ, წინა პოზიცია უკავია პრედიკატთან (შემასმენელთან) მიმართებაში. ეს სტილური ნორმა აქ გაბატონებულია. მაგრამ ხშირია შებრუნებული რიგიც. ჩვენი გამოთვლით კანონზომიერად გამოიყოფა სტრუქტურები: სუბიექტი-პრედიკატი, ობიექტი-პრედიკატი, პრედიკატი-სუბიექტი, პრედიკატი-ობიექტი, პრედიკატი-უბრალო დამატება, უბრალო დამატება-პრედიკატი, პრედიკატი-გარემოება, გარემოება-პრედიკატი. ასე რომ წევრთა პოზიციური განლაგება წინადადებაში თავისუფალია, მეტნაკლებად რყევადია, შეზღუდვაც საგრძნობია. პრედიკატის მომდევნო პოზიცია სუბიექტთან მიმართებაში უფრო ბუნებრივიცაა და, ჩვეულებრივ, გავრცელებულიც. ამ დებულებას ცხადყოფს გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანების ტექსტიც.

აღვნიშნავ კიდევ შემასმენლის თავისებურ მიმართებას ქვემდებარის ბრუნვებთან, რაც დამახასიათებელია მწერლის ენისათვის. მაგ. ამისთანა კონსტრუქციის წინადადება: „ჩაიცვა თუ არა, თამარი ოთახიდან შურდულივით გავარდა". („ცოტნე"). უეჭველად აჯობებდა: თამარმა ჩაიცვა თუ არა, ოთახიდან გავარდა. თამარმა თუ თამარი? ქვემდებარისა და შემასმენლის გადაადგილება აქ კონსტრუქციას უფრო გასაგებს გახდიდა, ქვემდებარე ერგატივში გადადგებოდა და შეეწყობოდა შემასმენელს, მეორე შემასმენელთან კავშირს ნომინატივის ფორმით აღადგენდა. ამისთანა შემთხვევები ტექსტში ბლომად მოიპოვება.

ზმნა — გვირგვინი წინადადებისა — აწესრიგებს მეტყველების ნაწილებისა და წინადადების წევრთა მორფოლოგიურსა და სინტაქსურ მიმართებებს, მწერლის თხზულებებში ნათლადაა წარმოჩენილი ქართული ზმნის რთული შინაგანი სტრუქტურა. წინადადება აქ გვევლინება აქტანტთა მწყობრ ერთობლიობად, რომლის მწვერვალი ზმნაა.

მწერლის ენა მაჩვენებელია წინადადებათა ხალხური სიმსუბუქისა და სინატიფისა, აზრის სინათლისა. აქ გეგმაზომიერადაა განლაგებული სუბსტანტიური და პრედიკატული ერთეულები, ანუ ატრიბუტული და მართული სიტყვათშეერთებანი, ასე ბუნებრივად რომ აღიქმება როგორც მონოლოგებში, ისე დიალოგებში, და კონსტრუირებულია მწერლის ენის ინდივიდუალური მოდელი. არ მოიძებნება ქართული წინადადების იმისთანა სტრუქტურული სახეობა, რომლის ექვივალენტები რეალიზებული არ იყოს გრიგოლ აბაშიძის თხზულებებში. მარტო ამ ნაწარმოებთა ენის მასალაზე შეიძლება შედგეს მთელი თანამედროვე ქართულის პრაგმატული გრამატიკა თავისი ყველა განზომილებით. შეიძლება კაცი დაეჭვდეს თითო-ოროლა წინადადების ავთენტიკურობაში, მაგრამ ეს მწერლის ენას ოდნავადაც კი ჩრდილს ვერ მიაყენებს. მის მხატვრულ მემკვიდრეობაში სალიტერატურო ქართულის მთელი სიტურფე და სრული შესაძლებლობაა წარმოსახული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა მჭედლიშვილი

# „შემოვა სულში რაღაც დიადი...“

მინდა, მოგითხროთ პოეტ შალვა ფორჩხიძის შემოქმედებაზე. მე ხელთა მაქვს მისი ნახევარსაუკუნეზე მეტი ხნის ნამოღვაწარი — ლექსებისა და პოემების ერთტომეული. გოეთეს უთქვამს: „ვისაც მგოსნის გაცნობა უნდა, წავიდეს მის მშობლიურ მხარეში, მის მშობლიურ გარემოში“ — მეც წიგნის განხილვა მინდა დავიწყო შალვა ფორჩხიძის ლექსის შემდეგი სტრიქონებით:

ჩემს ნაზ მხარეში გაზაფხულზე უნდა
მეწვიო,
უნდა წავიდეთ ფეხშიშველი უსიერ ტყეში,
შელამებისას ულრანებში უნდა გეძიო
გაავებული ნადირის გეშით.
ჩემს ნაზ მხარეში ტყით დაფარულ უდაბურ
ბორცვებს
შემორჩენიათ თოვლზე თეთრი ეკლესიები,
იქ ბინდბუნდისას ფრინველები ამბობენ
ლოცვებს
და შესევიან ჟამით დახრულ კედლებს
იები.
ჩემს ნაზ მხარეში სიწმინდეა და სიმარტოვე
ყვითელ ფოთლების და ბელურების,
დიდი ხანია ხილვას ნატრობენ
ღვთისმშობლის ნაზი ნაფეხურების..

რაოდენი სიწმინდე და სინაზეა ამ სტრიქონებში. თუნდაც ეს ერთი რითმა რად ღირს: „ეკლესიები — კედლებს იები“ ან იმავე ციკლიდან ასეთი სტრიქონები:

ო, რა თეთრია შენი ხელები,
რა ყვითლად ჰყვავის ტოტი იელის,
ქარს მოაქვს ჟრჟოლვა შორი ვერხვების
და ცაა იით სავსე გიდელი.

პოეტი თითქოს ინტუიციით გრძნობს მომავალ კატაკლიზმებს, შიშობს, ვაითუ მამულის ზეცა შავი ღრუბლებით დაიფაროს, და ჩვენი ბაღ-ვენახები, ჩვენი მდელოები ვინმე ბოროტმა გათელოს.

დიდი გულისტკივილით იკითხება ლექსი „საქართველო სათნოების სახლია“. როდესაც ასე იავარქმნილია მუხთალ მტერთაგან ჩვენი მამული და ვერც ჩვენ „ვჩუქნით, ერთმანეთს ტიტებს“, ვაგლახ, საქართველო უნასთა ბუდეს უფრო ემსგავსება, ვიდრე სათნოების სახლს. მწარე ღიმილით და სინანულით ვკითხულობთ სტრიქონებს, რომლებითაც პოეტი ისევ სიფხიზლისაკენ და სიფრთხილისაკენ მოგვიწოდებს, მშვენიერია ლექსი, რომელიც ასე იწყება: —

ო, საქართველო, საქართველო, ცრემლო
ღვთისმშობლის,
წამებად მექცა უწმინდესი სახელი შენი,
ო, საქართველო, განწმენდილო მაცხოვრის
ხელით,
შენ არ შეგშვენის, უწმინდურნი
გიხდენდნენ წალკოტს.
დანთხეულ სისხლზე მწუხარების შეიშრე
ცრემლი,
დილის მზესავით შეანათე თვალები
აწმყოს.

ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე საქართველოში სისხლის წვიმები დაიწყებოდა, პოეტი გრძნობდა, რომ ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებდა.

ღვრის წმინდა სხივებს ცა მეწამული,
ზაფრანის ფერად იღებება მიდამო
მწვანე,
შევყურებ უხმოდ შემოგარენს
და ვგრძნობ, მამულის
ღალატი ახლა უფრო მწარე!

საქართველოა პოეტის „ციხეც და გალიაც“. ახალი ხანა იწყება:

ახლა სიხარულს გული ვერ იტევს,
ახალი საქართველო მოდის.

და გვესმის სანატრელი ხმა:

ჰალებს ალვიძებს ძახილი
მკერდგაღეღილი მეხრისა,
ცოდვაა, დილის სიმღერა
გრგვინვას არ ჰგავდეს მეხისას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტს ისე უსაზღვროდ უყვარს მამული, რომ ყველა ჭრილობა უხორცდება მტკივან გულში, როცა „ჰფიცავს საქართველოს წმინდა სახელს“. შალვა ფორჩხიძემ გულითადი სტრიქონები უძღვნა მცხეთას; პოეტი ნატრობს, ნეტ ვი დიდგორის ბრძოლაში დავცემულიყავი ან გამარჯვების ზეიმი მენახაო. იგი ამაყობს, რომ ქართველია, რომ პოეტის ბედი ხვდა წილად და „რადგან საქართველოსი ჰქვია პოეტი“, სიყვარულისთვის უნდა იცოცხლოს, დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდეს ერის და კაცობრიობის წინაშე:

პოეტური სახეებით, ხატოვანებით გამოირჩევა ლექსი „თუბალი მოდის“-

ცა ბრწყინავს, როგორც ტყე ბროწეულის,
დუღს ურაგანი, ტრამალებზე თუბალი
მოდის,
მხარზე გაუდევს ციდან ხელით ჩამოწეული,
— ირმის ნახტომის რძისფერი ტოტი.

წარსული ხიბლავს პოეტს, მაგრამ მისი მზერა მაინც მომავლისკენ არის მიპყრობილი. იგი ყურს უგდებს ჯერ არყოფილის სუნთქვას, მისთვის უჭკნობ სურნელოვან ყვავილებს ჰკონავს და დასძენს:

მე მას ვეკუთვნი,
ვინც ღვთის ნებით ჯერ არ შობილა.

ასევე სათუთადაა დაწერილი ხათუნა ფორჩხიძისადმი მიძღვნილი ლექსი „შენ დაგრჩეს ჩემი ქრიზანთემები“. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ ლექსის ბოლო სტრიქონები:

და მინდა შენთვის უფრო ლამაზი
შენი სამშობლო ჰგავდეს სამოთხეს,
შენ გიყურებდეს ყველა თავაზით,
მე სიმღერებით სული ამომხდეს.
შენ დაგრჩეს ლურჯი სამოთხის ბაღი
და ჩემი ნაზი ქრიზანთემები...

პოეტი შესანიშნავი ოსტატია მეტაფორების, ეპითეტების, შედარებების! გაიხსენეთ მისი „მთვარეს ორღობეში ხეტიალით ფეხისგულები დაეშაშრა“, ან კიდევ: „განთიადის სხივი, მიწას რომ ბროწეულისფრად შეღებავს“.

ამავე ციკლის ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ შესანიშნავ სტრიქონებს:

ცეცხლი — არტისტული ყვავილების,
სინაზე — თეთრი მალარმეს გედის,
გულს მიხალისებს და ვყმაწვილდები
და მწვავს აკაკის სინათლე მეტი...

მკითხველსაც უთუოდ მოეწონება ლექსი — „მე სიყვარული მინდოდა მეტი“, სადაც პოეტი თავის ბედს სამშობლოს ბედს ადარებს-

ჰე, საქართველოვ, შენი არ ვყოს,
რა უცნაური მქონია ბედი!
დრო მიდის, სულმა ჰმუნვა დამიწყო,
მე კი სიმღერა მინდოდა მეტი.

მამულის დიდი სიყვარულია გაცხადებული სტრიქონებში:

ნიშა ხარს რქაზე ენთო სანთელი,
მე მედგა ქედზე ქვეყნის უღელი,
ჩამოდიოდა ციდან ნათელი
და მიწას ჰქონდა თაფლის სურნელი.

პოეტი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს ერის და კაცობრიობის წინაშე:

პოეტად გაჩნდი, — მაშ სხვაზე მეტი
შენ უნდა ზიდო ცოდვაც და მადლიც.

განსაკუთრებით მინდა, გამოვყო „მითრიდატე“ და „მითრიდატეს დატირება“.

იგლოვეთ, ვაჟკაცებო, თქვენი სიამაყე,
მაგრამ ცრემლი როდი შვენის მითრიდატეს.
მკერდზე პონტოს მიწა ფრთხილად
მიაყარეთ,
მისი დიდი სულის ძალა მიიმატეთ.
დასძარით ცხენები, კოლხთა ვაჟკაცებო,
ველებს მოეფინეთ, გზები სისხლით
ირწყვის...
დასძარით ცხენები, ომში ნაცადები,
ისევ ამოხდება მზეი პონტოს მიწის!

შემდეგი ციკლია „ლურჯ ტბათა იქით“, რომელიც იწყება ლექსით „მე შენსკენ ვილტვი“:

შენ დაგეძებდი ლურჯ ტბათა იქით,
მინდვრებს მოედნენ თეთრი ქორები,
მე ტყის წიაღში, ვით ტაძარში, შევედი
რიდით,
და სულში ლურჯად წამოდუღდა ფერთა
მორევი...
ავივსე პეშვი ათასი ფერით,
შიგ როგორც ქორი ასაფრენი ლექსი
ფართქალებს...

და მგოსანს მოაქვს „სიზმრებით სავსე კოშკები“, გრძნობს, რომ „ყვავილივით ერთხელ მოკვდება და საუკუნოდ სიმღერების აცოცხლებს მადლი“. ლექსში „დიონისე თბილისში“ შესანიშნავი სახეებია:

ქვიცივით აჭიხვინდა თბილისში შემოდგომა
და ხის ფოთლებში ატკრციალდა ყვითელი
ფერი...
მეტეხის ხიდზე დიონისემ ფეხი შემოდგა,
საქართველოს ცას ეამბორა და სული
მღერის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინის აღმართზე“ ცვრიან დილას
ჯამებით სვამენ...

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ტიციან ტაძის, ვაჟა-ფშაველას, გაბრიელ ჯაბუშანურისადმი... მიძღვნილი ლექსები.

შემდეგი ციკლი იწყება ჩინებული ლექსით „დღენი მიჰქრიან“:

ვარაზის ხევი, აღარც გუბე, აღარც ის
კლდენი,
დგანან ნაძვები და მივყვები უხმოდ
ქვაფენილს...
ნუღარ მახსენებ სიყმაწვილის დღეებს
გაფრენილს,
დღენი მიჰქრიან, ულმობელი მიჰქრიან
დღენი.

ციკლი „წიფობელები“ იწყება ლექსით „ვაზი, ყაჩები“...

ვაზი... ყანები და წყლისფერი ცა...
ამოტვიფრული ქვაზე ხარის რქა,
მზე ბალახებში ყვითლად ჩაიქცა,
მწიფე უნაბის ტოტი დაზნიქა...

თითქოს ჩვენი გულის ამოძახილიცაა სტრიქონები:

ვერ იქნა, დღემდე ვერ დავივიწყე,
უნდა წავიდე ამ გაზაფხულზე,
ის ნასაყდრალი, ის ძველი ციხე
მე ისევ მახსოვს და ისევ ვუმზერ.

და „მომღიმარი ბებერი ატმის ხე წელში მოხრილ დედას აგონებს“; აგონდება მამაც და ნანობს: „ჰოი, რამდენჯერ გასხლეს უჩემოდ ვენახი“, და „ესიზმრება თავისი ეზოს ლურჯი ყვავილი. ჩიტების ხმები და ირმების შორი ბღავილი“; „წყარო, სველი კოკა ტირიფები, წისქვილი“ შალვა ფორჩხიძე არასოდეს არ ცდილობს წაბაძოს სხვას, იქცეს სხვად. იგი მტკიცე ნაბიჯით მიდის და არასოდეს არ კარგავს თავის იერ-სახეს. ერთხელ ვიღაცამ ბატონ შალვას უსაყვედურა თუ გაეხუმრა (ეს ჩვენი სიჭაბუკის წლებში იყო), ვერც „ვეფხისტყაოსანს“ დაწერთ დღევანდელი პოეტები, ვერც ვაჟა-ფშაველა და ვერც გალაკტიონი იქნებითო. შალვამ მწარედ გაიღიმ და როსლეის სიტყვებით უპასუხა: მე რა თქმა უნდა, ვერ დავწერ შექსპირის ტრაგედიას, მაგრამ უსათუოდ დავწერ ჩემს საკუთარ წიგნსო. და მართლაც, შალვას საკუთარი ხელწერა აქვს, საკუთარი ხმა.

როცა ბატონ შალვას ლექსი „სიკვდილის შიში“ წავიკითხე, ტერენტი გრანელის ხატება გამიცოცხლდა თვალწინ. მისი ლექსი „სიცოცხლის გრად ცია“ გამახსენდა. მიბაძვაა? გავლენაა? არა და არა. მე მახსოვს: როგორ ვათენებდით ღამეებს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გრანელის საფლავზე ახალგაზრდა პოეტები, ვკითხულობდით მის ლექსებს; ჩვენს შორის შალვა ფორჩხიძეც ხშირად იმყოფებოდა. არ მეეჭვება ეს სტრიქონებიც იმ განცდათა რემინისცენციაა:

საყდრის ჩიტები სხდებოდნენ ჯვრებზე,
ცა იყო რაღაც შორი და მშვიდი.
იდგა ხატივით მკვდრის მყუდრო მზეზე
ლოდს დამხობილი ყვითელი შინდი.
იყო ბურუსი და სიმარტოვე
დაბერებული ცაცხვის ხეების,
მეჩვენებოდა, ასკილის რტოებს
ზე ამოჰქონდა სული ცხედრების.

მკითხველი უთუოდ მოიხიბლება, როდესაც წაიკითხავს „ჰეკატეს ბაღის ღამეებს“. პირველივე ლექსში („მზე ცხელ სილაში“) პონტოს მიწაა დახატული:

ტყე ანთებულა ხოხბის ფერებით
და პონტის მიწის მსუყე სხეულზე
ცვივა ზღაპრები და ლეგენდები
ვაზის ფოთლებად ათასწლეულებს
და ვგრძნობ, ფაზისის ლურჯ წიაღიდან
სულს ღვთაებრივი ამოაქვს სიბრძნე.

შემდეგი ლექსია „დიონისობა“-
კოცონზე მუხის შიშინებს კუნძი,
აკურთხეს ვაზი — პონტოს ლურჯი
ჭალების მეფე.

„ღვინოს ხუხავენ და ყიჟინით როკავენ ამორძალები. თავზე იდგამენ ვაზის ფოთლის მწვანე გვირგვინებს...“

კარგია ციკლი „პასტორალები“; საილუსტრაციოდ ეს სტრიქონებიც კმარა:

გუთნისდედები მწვანე კორდზე დამსხდარან
ჭამად
და წითელ ღვინოს აყოლებენ ხმელ
პურის ყუას...
ჩემი წიქარა
ღვთის ენაზე შებღავის ჭალას:
უგუთნისდედდო,
უმწყემსებო
ქვეყანა ყრუა!

განსაკუთრებით მომეწონა ლექსი „პასტორალი“:

და მახსენდება:
უხსოვარ დროშიც
სწორედ აქ კორდზე მედგა ჩემი გრილი
კარავი.
აქ ძოვდა ჩემი ურიცხვი ფარა,
ახლა რომ აღარ ახსოვს არავის.
დავეძებ ბინდში,
მწვანე კორდზე შენს ნაფეხურებს.
და თავმორღვეულ დანისლულ კარავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნველი ხელით ვახურებ ყავარს,
რომელსაც ახლა
ყვითელ ვარსკვლავთა
ფხვიერი სილა ფარავს...

ლექსების ციკლში „უცხო ცის ქვეშ“ პოეტთან ერთად თითქოს ჩვენც ვმოგზაურობთ, ისე შთამბეჭდავადაა აღწერილი „პარიზი მხიარული... პარიზი მოწყენილი... პარიზი ჩახჩახა... საღამო მონმარტრის“.

ერთტომეულში შეტანილია აგრეთვე ბალადები და პოემები. დაუვიწყარია „სერაფიტას სიკვდილი“. გულის ტკივილს გვაგრძნობინებს განსაკუთრებით ამ ბალადის ბოლო სტრიქონები:

დროო შემუსრა ყველა,
მაგრამ სილამაზე
ქვის კუბოშიც ელავს
და არმაზის მთაზე
ოდეს აქვეიქდება
რძისფრად თეთრი შინდი,
მიწას დაედება
ფიფქის თხელი ბინდი —
მეჩვენება, სერაფიტას სული
გაზაფხულის თან მოჰყვება ნიავს,
უხმოდ მიხმობს სილამაზე გარდასული.
სამთავროსენ ცხელი გული მიმაქვს...

ბალადა „კაცი საქართველოს საკადრისი“ დიდი ოსტატობითაა დაწერილი. პოეტმა თვალწინ გაგვიცოცხლა დიდი დავითი. „კაცი საქართველოს საკადრისი“, რომელიც წმინდა გიორგის რაშზე იჯდა და ხელთ ღვთის მახვილი ეპყრა, რომელმაც განამტკიცა იმერი და ამერი და „მყინვარწვერზე ამაღლდა ვითარცა ნათლის სვეტი“.

ბევრი შესანიშნავი სტრიქონია ამ ბალადაში. არის ლამაზი სახეებიც:

მთებში მეხი დაჭახჭახებს — ჭიხვინია
მისი რაშის,

განა მარტო მუხის კორძში, ჩაუგზნია
ცეცხლი ქვაში.

ბალადაში „საქართველო“ მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულია გაცხადებული:

ულონობა არ მაჩვენო, ეგ არ შვენის
საქართველოს!
სხვას არაფერს დაგიძრახავ, შავი ფერიც
არ მაჩვენო,
მწვანე შვენის საქართველოს!
უგულობაც არ მაჩვენო, არც ეგ შვენის
საქართველოს!
შენ ხარ ჩემი სულის ძალა, მე კი სისხლი
შენი მისხის...

ერთტომეულში შეტანილია საკმაოდ გრძელი ლირიკული პოემა, „ჩიორას და შიოს ლექსები“, სადაც მოთხრობილია ჩიორას და შიოს სპეტაკ, ამაღლებულ სიყვარულზე, რომლის ფონიც იმერეთის ზღაპრული პეიზაჟებია.

მგოსანი სასოებით ამბობს:
და მე მახსენდება სერი ნავარძეთის,
ცაში ალანძული
ჩემი კაცხის სვეტი,
ჩვენი გრილი ეზო,
ჭილის სავარძელი.

ამაყობს, რომ „ოთხი ათასი წლის წინანდელი ჭიათურა ფოლადისმდნობელი ხალიბების ტრადიციას განაგრძობს“ ოთხი ათასი წლის წინანდელი თავისი წინაპრის ნაფუძარით!.. დასამახსოვრებელია სტრიქონები:

ჭიათურა, ჩემი შავი ჭიათურა,
პირველი ელდა და ჟრჟოლა მეტი...
ცაში ასული უქრობ სანთურად
პოეტის სული და კაცხის სვეტი.
ჭიათურა, ჩემი შავი ჭიათურა,
ყვირილა... ყეფა შავი ნაგაზის.

ოდესღაც დიდებულ პოლონელ პოეტს ადამ მიცკევიჩს გულისტკივილით უთქვამს: „უფრო ძნელია ერთი დღე კეთილად იცხოვრო, ვიდრე წიგნი დაწერო.“ ბატონმა შალვამ ცხოვრების ხანგრძლივი გზა გაიარა, შესანიშნავი წიგნები დაწერა და ახლაც მტკიცე ნაბიჯით ისწრაფის მზისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიხეილ ქვლივიძე

### წარწერა ჩემს „ერთტომეულზე“

ეს წიგნი იდო თაროზე წლობით
ჩემი კაცობის ურყევ თავდებად.
იგია ჩემი საფლავის ლოდიც
და ყველა ჩემი ფიქრის და გრძნობის
ხელახლა ქვეყნად გამოცხადებაც!

მე თუ დავწერე ოდესმე კიდევ
ახალი ლექსი (რაც მეეჭვება),
მე ვიცი, სული გამძვრება, ვიდრე
შემდეგი წიგნი დაიბეჭდება.

მაგრამ არცაა საჭირო მგონი
სახელისათვის მეტი მცდელობა...
სხვამ წეროს აწი,
ამ ერთი ტომით
მე დავასრულე ჩემი მწერლობა.

ტექნიკური რედაქტორი **ზიული სირაძე**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99.85.81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98.53.32; პასუხისმგებელი მდივანი — 98.47.62; განყოფილებები: 98.36.43, 98.43.75. საკორექტორო — 98.47.62.

გადაეცა ასაწყობად 10.12.95 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.04.96 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}{}_{16}$/, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 14.07. შეკვეთა 1692. ტირაჟი 1000.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“ 380009, თბილისი, მ. კოსტავას 14.

ფასი 1 ლარი და 20 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა